

მ. ჩანტლაძე

**წინასწარი მეცნიერების
საფუძვლები**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორს, ქართული ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებელს აკად. ვასილ ჩანტლაძეს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. ამ წიგნის ხელახლა გამოცემით კი ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ გაიხსენა და ღირსეული პატივი მიაგო ღვაწლმოსილი მეცნიერის ნათელ ხსოვნას.

ნაშრომი შედგება ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული ცამეტი თავისაგან, თითოეული თავის ბოლოს ყოველი ფინანსური კატეგორიის მიმოხილვას ახლავს მაღალკვალიფიციური თეორიულ-მეცნიერული ხასიათის ანალიზი და მსჯელობა.

წიგნი განკუთვნილია როგორც სტუდენტი-ახალგაზრდობის, ასევე ამ საკითხებით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

რედაქტორი პროფ. გ. გამსახურდია

რეცენზენტები: დოც. პ. ბერიშვილი

დოც. თ. ციგროშვილი

რედაქტორისაბან

ფინანსების თეორიების მეცნიერულ დამუშავებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვასილ ჩანგლაძეს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქვეყნის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის პრობლემების კვლევის მთავარ სამეცნიერო ცენტრს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრას. მის შრომებში ფუნდამენტალურად არის გამოკვლეული, სხვა ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, ფინანსების თეორიების საკითხები. უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე აკადემიკოს ვასილ ჩანგლაძის აღზრდილებს, ცნობილ ფინანსისტ-ეკონომისტებს: გ. ხელაიას, ნ. ბაგრატიონს, შ. ქისგაურს, თ. ციგროშვილს, ლ. ქოქიაურს, ვ. ბერიშვილს, ვ. პაპაევას, ი. მესხიას, ე. მექვაბიშვილს, რ. კაკულიას, გ. ლაბარტყავას, რ. მამალაძეს, ნ. ბერძენაძეს, ნ. კაკაშვილს, ამ სტრუქტურების ავტორს ძალასა და სიმბნევეს გვმაგებს შეგნება იმისა, რომ წლებისაგან გათეთრებულ, ჩვენს აწ გარდაცვლილ ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქს ვასილ ჩანგლაძეს საქართველოს ისტორიის განვითარების ძნელბედობის წლებშიც, ანარქიის ცივი ზამთრის გრძელ დამეებში წუთითაც არ გაუგდია კალაში ხელიდან. ის მუხლჩაუხრელად იდგა ეროვნული ფინანსური მეცნიერების სადარაჯოზე, მსოფლიო ფინანსური მეცნიერების სკოლებსა თუ რუსთაველის ბრძნულ სტრუქტურებში ეძებდა იმპერიის მიერ დასეკყვილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებს.

როგორ სჭირდება დღესაც დილეგანტთა „ეკონომიკურ-ფინანსური თეორიებით“, თითქმის წალეკილ საქართველოს აკადემიკოს ვასილ ჩანგლაძისათვის დამახასიათებელი საღი აზრი, ეკონომიკის ურთულეს საკითხებში გონიერული გარკვევა.

მისი ნათელი ხსოვნისა და გაწეული შრომის დაფასების გამოხატულებას წარმოადგენს მისი ყოფილი მოწაფეების, კათედრის წევრებისა და თანამოაზრეების მიერ განახლებული ფორმით წარმოდგენილი სახელმძღვანელოს „ფინანსური მეცნიერების საფუძვლების“ ხელახალი გამოცემა.

ფინანსური მეცნიერების საბანი

ფინანსური მეცნიერება შეისწავლის ფინანსურ ურთიერთობებს, რომელიც ფულად რესურსებშია განივთებული და ამ სახითაა წარმოდგენილი. ფინანსური ურთიერთობა გულისხმობს სახელმწიფოსა და საერთოდ, საჯარო უფლებრივი კავშირების მიერ ფულადი სახსრების მიღებასა და გამოყენებას. ფინანსური ურთიერთობანი წარმოებრივი ურთიერთობებია, მათი სპეციფიკური სახეობაა. წარმოებრივი ურთიერთობანი ყველა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაში არსებობს, ფინანსური ურთიერთობა კი — არა, სხვანაირად, წარმოებრივ ურთიერთობათა გარკვეული ნაწილი მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იქცა ფინანსურ ურთიერთობად — ადამიანთა იმგვარ კავშირად და ურთიერთობად, რომელიც საზოგადოების სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ დამყარდა.

პირველყოფილი თემური წყობილების წარმოების წესის პირობებში წარმოებრივი ურთიერთობანი ფინანსურ ურთიერთობამდე არ ასულა, ფინანსური ურთიერთობის ხასიათი არ მიუღია. ეს იმიტომ, რომ ამ წარმოების წესის პირობებში არ არსებობდა საქონლურ-ფულადი მეურნეობა, კერძო საკუთრება, საჯარო უფლებრივი კავშირები, სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით აღჭურვილი სხვადასხვა ორგანიზაცია და მათი ფუნქციებით დაპირობებული ამოცანების განსახორციელებლად ფულადი რესურსების მოპოვება და გამოყენება.

ფინანსური მეცნიერება ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამერიკელი მეცნიერების ერლ როლფისა და ჯორჯ ბრეიკის აზრით, „მოდერნება საჯარო ფინანსების შესახებ არის ეკონომიკური მოძღვრება მთავრობის თვალსაზრისით. ეს არის პირველი და უმთავრესი ეკონომიკური მოძღვრება. ის, ვინც გადაწყვიტა ჯანსაღი ექსპერტი გახდეს საჯარო ფინანსებში, ავტომატურად ხდება ჯანსაღი ექსპერტი ეკონომიკაშიც“¹.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, გერმინი „ფინანსები“ წარმოიშვა შუა საუკუნეთა ლათინური სიტყვებიდან „finatio“, „fi-

¹ Earl R. Rolph, George F. Break. Public Finance. New York, 1961, p.5.

nancia“, „financia pecuniaria“, რომლებიც თავისთავად მომდინარეობდა ძვ. ლათინური „fingo“ – „ჩაჭედება“ და გვიანდელი „finis“-დან, რაც ნიშნავდა საზღვარს, დასასრულს (სასაზღვრო სამანების მიწის ერთი ნაკვეთის მეორისაგან გამოსაყოფად). მოგვიანებით ამ გერმინებით აღინიშნებოდა გადასახდელები, მათი ვადის გასვლა და ფულადი თანხა. ინგლისურ ენაში „fine“ ნიშნავს დასასრულს, ჯარიმას, საურს, „finis“ – დამთავრებას, „finish“ – დასასრულს, იტალიურში „finare“ – საბოლოო, დასრულებული.

‘ლათინური „finare“ გამოხატავდა სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის გადასახდელებს, სავალდებულო გადასახდელს მომსახურებისათვის და ბეგარას. ეს გერმინები იხმარებოდა ადრეც რენგის, ღალის გადახდისას. იმ ეპოქაშიც „ფინანსები“ აღნიშნავდა გადასახდელთა ვადის დასასრულს და თავის თავში აერთიანებდა ნატურალურსა და ფულად გადასახდელებს.

შუა საუკუნეთა ლათინურში დამატება „pecuniaria“ („ფულადი“). სიტყვა „financia“-ზე ადასტურებს, რომ „financia“ გამოხატავდა აგრეთვე არაფულად ოპერაციებსაც. დამატება „pecuniaria“ ამუსკებდა, რომ გადასახდელი ფულადი ხასიათისაა და ასხევეებდა მას არაფულად „financia“-საგან.

XIII-XIV სს-ში ეს გერმინები შემოვიდა ხმარებაში ფულადი გადასახდელებისა და თვით ფულადი თანხების აღსანიშნავადაც.

საფრანგეთში XVI საუკუნიდან გერმინი „finanse“-ს გაგება დაიწყო როგორც სახელმწიფო ქონების ერთობლიობისა. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ეს გერმინი XVIII ს-დან გერმანიაშიც. ამ დროიდან ეს გერმინი შევიდა სხვა ენებშიც.

ესპანური სიტყვა „hacienda“, რომელიც ფინანსებს აღნიშნავს, მომდინარეობს არაბული „hasena“-დან – „ხაზინა“, რუსული სიტყვა „Казна“ ქართულად არის ხაზინა. XII საუკუნეში საქართველოში ხაზინას ეწოდებოდა „საჭურჭლე“, ხოლო ფინანსთა მინისტრს – „მეჭურჭლეთუხუცესი“. რუსულ ენაში ფინანსურ საქმეთა აღსანიშნავად ხმარობდნენ რუსულ გერმინებს – «Государственные расходы», «Государственные доходы», «Государственное хозяйство», «Финансовое хозяйство», «Финансовое право» და სხვ.,

დღეს მოცემულ დისციპლინას ეწოდება „ფინანსური მეცნიერება“ ან „მეცნიერება ფინანსების შესახებ“. გერმანულად – Finanz-

wissenschaft ან Staatswirtschaftslehre, ინგლისურად – Public Finance, ფრანგულად – Science Finances, იტალიურად – Finanza publica, Scienza delle Finanze და Scienza finanziaria.

' XIV საუკუნიდან ფართოვდება ფულადი, საბირჟო და ფინანსური ქმედებები, ძლიერდება გერმინ „ფინანსების“ მნიშვნელობის საპეციფიკურობა, განსაკუთრებით კაპიტალიზმის პირობებში.

ფული ანვითარებს საგადამხდელო ფუნქციას. ყოველივე ამის შედეგად, ნივთთა გამოვლინების ფორმა და არსი უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს და იმისათვის, რომ გავარკვიოთ ნივთთა არსი, მას უნდა მოვაცვილოთ საფარველი, გაეაანალიზოთ. ამ მიზანს ისახავს მეცნიერება. ფული გამოდის საქონლური მიმოქცევის ჩარჩოებიდან, იძენს დამოუკიდებლობას და შემდეგ კვლავ ჩაერთვება გაცვლაში, მაგალითად, გადასახადების გადაკისრების დროს. აქ ფული გამოდის გადამანაწილებლის როლში.

ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი კელევის საგანი, უსაგნოდ არ არსებობს მეცნიერება. მეცნიერება ფინანსების შესახებ სწავლობს ფინანსურ ურთიერთობებს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან ფორმითა და შინაარსით განსხვავებულ საზოგადოებებში.

ფინანსურ ურთიერთობას ორი მხარე აქვს. ერთი გამოსახულია იმ მაგერიალურ სახსრებში, რომელსაც სახელმწიფო ითვისებს სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემოსავლის სახით და იმ ეროვნულ მეურნეობრივ ცვლილებებში, რასაც ეს მითვისება იწვევს ეროვნული შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებაში. ურთიერთობათა მეორე მხარე გამოსახულია სახელმწიფოს მიერ მაგერიალური სახსრების გარკვეული დანიშნულებით გამოყენებაში, ამ სახსრებისათვის გარკვეული მიმართულების მიცემაში, ე.ი. სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის გასავლით გათვალისწინებულ ხარჯებში. ურთიერთობათა ეს მეორე მხარეც თავის გამოხატულებას ქვეყნის ეროვნულ მეურნეობრივ ცვლილებებსა და ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში პოულობს.

მაგრამ აქ საყურადღებოა მეორე საკითხი. ყველა მაგერიალური სახსარი არ წარმოადგენს ფინანსებს. სახელმწიფოებრივი ფინანსები ყალფდება განაწილება-გადანაწილების პროცესში. ამასთან, განაწილება ხდება არა გაცვლის საშუალებით, წმინდა ეკონომიკური გზით, არამედ სახელმწიფოს ჩარევის საშუალებით, გარეშე ეკონომიკური გზით. იქნებ, სწორედ იმის გამო, რომ მაგე-

რიალური სახსრები ფინანსებად გარეშე ეკონომიკური გზით ყალიბდება, ისინი აღარ წარმოადგენენ წარმოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

როგორც ვიცით, პროდუქტთა განაწილების ფორმები წარმოებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, პროდუქტთა განაწილების ფორმები ეკონომიკური ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა მეთოდით წარმოებს ეს განაწილება, ეკონომიკური თუ გარე ეკონომიკური გზით, აგრეთვე იმისაგან დამოუკიდებლად, ეხება ის განაწილებას თუ განაწილებულის ხელახლად განაწილებას.

ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ურთიერთობას ეკონომიკურ ხასიათს არ უკარგავს. ფულის მოჭრა სახელმწიფოს, ე.ი. მდენაშენის საქმეა, ქალაქის ფულს სახელმწიფო უშვებს. ქალაქის სიმბოლო ფულის ნიშნისათვის დამახასიათებელ ობიექტურად საზოგადოებრივ მნიშვნელობას „იძულებითი კურსის მეოხებით იძენს“. აქ სახელმწიფოებრივი იძულება ელინდება როგორც ეკონომიკური ურთიერთობა.

სახელმწიფო გადასახადებს იღებს ქალაქის ფულისა და საკრედიტო ბილეთების საშუალებით, ქალაქის ფულის ინფლაციის შემთხვევაში გაუფასურების ჯამი საემისიო გადასახადად იქცევა.

მეცნიერება ფინანსების შესახებ, ფართო აზრით, ნიშნავს ერთიან მეცნიერებას, რომელსაც ერთიანი საგანი და ერთიანი მეთოდი აქვს.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური მეცნიერების შესწავლის ფარგლებში ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი დიდი განსხვავებულობით ხასიათდება. ფინანსური მეცნიერების ყოველი შემადგენელი ნაწილი ერთსა და იმავე საგანს სწავლობს, მაგრამ შინაარსით ისინი ფართოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ,

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ფინანსური მეცნიერების ამოცანები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სახელმწიფოთა ფინანსების შემსწავლელი მეცნიერება შეისწავლის ფინანსურ ურთიერთობებს, როგორც სპეციალურ ფინანსურ ურთიერთობებს, ანუ სპეციფიკურ წარმოებრივ ურთიერთობებს, ისინი წარმოადგენენ გადანაწილებით ურთიერთობებს და გაცელით განპირობებულ განაწილებით ურთიერთობებს. ისინი გამოხატავენ სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკურ საფუძვლებს.

ფინანსური მეცნიერება შეისწავლის სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარებაში ასახულ ფინანსების ბუნებას.

ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა მოგვცეს იმ გადანაწილებით ურთიერთობათა ანალიზი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფო შემოსავლის სხვადასხვა ფორმას. მან უნდა შეისწავლოს ის გემოქმედება, რომელსაც ახდენს სახელმწიფო ფინანსები (საბიუჯეტო შემოსავალი და ხარჯი) ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკურ და, საერთოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მან უნდა შეისწავლოს სახელმწიფო ფინანსების როლი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გავლის სფეროში — მისი ურთიერთობანი უცხოურ ქვეყნებთან.

სახელმწიფო აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მიზნით. სტიქიური მოვლენები განმეორებით ხასიათს ატარებენ, მოითხოვენ მტკიცე საზოგადოებრივ მოწესრიგებას. სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ქმნის გარკვეულ უფლებრივ ნორმებს, რომელთა ფარგლებში ცხოვრობენ და საქმიანობენ სამეურნეო ერთეულები. სახელმწიფოსთან ერთად არსებობენ აგრეთვე სხვადასხვა საჯარო უფლებრივი კავშირები, თემები და სხვა, რომლებიც მოსახლეობისა და მეურნეობის წარმართვის საერთო ხასიათის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ.

ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის სახელმწიფო ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს. სახელმწიფო ფუნქციებს შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია თავდაცვის ფუნქცია. იგი უზრუნველყოფს მხარის თავდაცვას ან თავდასხმას. აგრეთვე შინაგანი საზოგადოებრივი წესრიგის, პოლიტიკური სისტემის, მართლმსაჯულების დაცვას. ასევე აღსანიშნავია კულტურული, სწავლა-განათლების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, მიმოსვლის, გზათა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების ფუნქციები; სახელმწიფო ასრულებს სამეურნეო ხასიათის ფუნქციებს, ვაჭრობა-მრეწველობის მოწესრიგების, სოფლის მეურნეობისათვის ხელშეწყობის, ფულადი ბრუნვისა და კრედიტის ორგანიზაციას და სხვ.

სახელმწიფოს გარკვეულ ფუნქციას შეადგენს ინვესტიციური საქმიანობისადმი ხელშეწყობა. ინვესტიციებს წარმოადგენს ქონებრივ და ინტელექტუალურ საქმიანობათა ყველა სახე, რომელიც მეწარმეობისა და საქმიანობის სხვა სახეებშია ასახული და შედეგად მიიღება მოგება ან მიიღწევა სოციალური ეფექტი.

ინვესტიციურ ფასეულობას წარმოადგენს ფულადი საშუალებები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, პაიები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. მასვე მიეკუთვნება მოძრავი და უძრავი ქონება (შენობები, ნაგებობები და სხვ.); საავტორო უფლებებიდან გამომდინარე, ქონებრივი უფლებები და სხვა ინტელექტუალური ფასეულობანი; მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით გამოყენების უფლებები; ინვესტიციები ძირითადი ფონდების აღწარმოებაში უნდა განხორციელდეს კაპიტალურ დაბანდებათა ფორმით.

სახელმწიფო მეურნეობა განსხვავდება კერძო მეურნეობისაგან. პირველ შემთხვევაში სუბიექტად გამოდის სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, მეორე შემთხვევაში – კერძო პიროვნება, როგორც ფიზიკური პირი. სახელმწიფო მეურნეობას ახასიათებს უზენაესობა და იძულებითი ხელისუფლება ქვეშევრდომთა მიმართ. მიზნების მიხედვით დიდი განსხვავებაა მათ შორის. კერძო მეურნეობა ისწრაფვის ფიზიკური და გონებრივი მუშაობით და წინათდაგროვილ ფასეულობებით მოიპოვოს მაგერიალური საშუალებები თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და თავისი ეკონომიკური ძალაუფლების განსამკვიცებლად. ეს მისწრაფებანი განუსაზღვრელია. მას სამღვარს უდებს სხვა კერძო მეურნეობათა კონკურენცია. სახელმწიფო მეურნეობა სახსრების უსაზღვრო გადიდებაზე ვერ იფიქრებს. სახელმწიფო ბრუნავს ქვეყნის საგარეო და საშინაო წესრიგის დაცვაზე. ქვეყნის სამეურნეო განვითარების ხელის შეწყობაზე, არამატერიალურ დოვლათთა შექმნასა და სხვ. ის უპირატესად საქმიანობს არა ღირებულებათა თავისუფალი გაცვლით, არამედ თავისი უზენაესობით და თავის მეურნეობას წარმართავს კერძო მოქალაქეთა ქონებიდან სახსრების იძულებითი გადახდევინებით.

უზენაესობა და იძულებითი საწყისი გამოხატულებას პოულობს ფინანსურ მეურნეობაში იმ მხრივ, რომ მოქალაქენი ჩააბას უსაზღვრო სახსრებში და, ამავე დროს, შეუძლია ისინი დააჯილდოვოს არა მარტო ფულით, არამედ საპატიო წოდებებით, ორდენებით, გიგულებით და სხვ.

საფინანსო სისტემაში თავისი განვითარების გარკვეული საფეხურები და ეპოქის შესაბამისი ფორმები გაიარა. შუა საუკუნეებში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სახელმწიფო შემოსავლები მცირედ გა-

ნსხვავდებოდა სამეფო შემოსავლებიდან. მათი მთავარი შემოსავლის წყარო იყო სამეფო ქონება: გყეები და მიწები, რომელთაც ამუშავებდნენ ყმა-გლეხები, კრებდნენ ნატურალურ გადასახადებს, ხარჯებიც ნატურალური ფორმით იფარებოდა, შეიარაღებული ძალები გამოყავდათ ყმა-გლეხებიდან. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა ფულად-სასაქონლო მეურნეობის საბაზრო ურთიერთობის განვითარების შემდეგ. ფინანსების განვითარება უშუალო კავშირშია საბაზრო ეკონომიკასთან. ახალ დროში სახელმწიფო მეურნეობა არსებითად დაემყარა ფულად მეურნეობას, გადასახადებსა და კრედიტს.

ფინანსები აქტიურ როლს ასრულებენ სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაში, რაც ხორციელდება ფინანსური მექანიზმის გამოყენებით. ფინანსური მექანიზმი არის სამეურნეო მექანიზმის შემადგენელი ნაწილი; იმ ფორმების და მეთოდების ერთიანობა, რომელთა საშუალებით ხორციელდება განაწილებით და გადანაწილებით ურთიერთობათა ფართო სისტემა, მიიღება შემოსავლები და ხდება დაგროვება, იქმნება და გამოიყენება ფულად საშუალებათა ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდები. ფინანსური მექანიზმი შეიცავს ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსურ მმართველობას, ფინანსურ ბერკეტებსა და სტიმულებს, ფინანსურ მაჩვენებლებს, ნორმატივებს, ლიმიტებს, ფინანსურ რემერებს.

სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ფინანსური რესურსები. ფინანსური რესურსები არის ფულად საშუალებათა ფონდების ერთიანობა, რომლებიც იმყოფება სახელმწიფოს განკარგულებაში. ისინი იქმნებიან ერთიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების პროცესში. ფინანსური რესურსები ეროვნული შემოსავლის ნაწილია და ფინანსები – მისი განაწილება-გადანაწილების საშუალება.

სახელმწიფო ფინანსებს ზოგიერთი ავტორი უწოდებს სახელმწიფო მეურნეობას, როგორც სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთობათა ერთიანობას, რომელიც თავისი ფუნქციონალური დამოკიდებულებით განსხვავდება კერძო მეურნეობისაგან, კერძო შემოსავლებითა და ხარჯთა ურთიერთობებით.

სახელმწიფო ფინანსები წარმოადგენს სისტემას, რომელიც შედგება სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსებისაგან. სპეციალური

ბიუჯეტგარეშე ფონდებისაგან, საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფინანსებისაგან, სახელმწიფო კრედიტისაგან და ადგილობრივი ფინანსებისაგან.

თეორიები ფინანსური მცენიერების საბნის შესახებ

1. *მერკანტილიზმი.* ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაში სამოგადობრივ მოვლენათა შესწავლის პირველი ცდები აწარმოეს მერკანტილისტებმა, რომლებიც კაპიტალიზმის დასაწყისი პერიოდის გამომხატველნი და იდეოლოგები იყვნენ. ეს იყო დრო, როდესაც კაპიტალი ბატონობდა ვაჭრობისა და კრედიტის ფორმაში. წარმოებაში კაპიტალი პირველ ნაბიჯებს დგამდა მანუფაქტურების მოსაწყობად. მერკანტილიზმი თავდაპირველად მოგვევლინა იტალიაში, ინგლისსა და საფრანგეთში, ხოლო შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც.

მერკანტილიზმის ჩასახვა გამოიწვია სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მრდამ, რასაც თან სდევდა ამერიკიდან ოქროსა და ვერცხლის შემოტანა. ძლიერ გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები. ამ დროისათვის აუცილებელი შეიქნა შიდა ბაზრის შექმნა და შენახვა, ცენტრალიზაციის გაძლიერება, ერის ჩამოყალიბება, ამან განაპირობა ბრძოლა ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასა და მეურნეობრივ პოლიტიკურ ელემენტებს შორის. ამასთანავე, ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა. სახელმწიფო ამას ხელს უწყობდა, ვინაიდან დაინტერესებული იყო საგარეო ბაზარზე უპირატესობის მიღწევაში, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სხვა სახელმწიფოსთან შეპირისპირებას.

ყოველივე ეს მოითხოვდა მუდმივი არმიის მრდას, შეიარაღების გაძლიერებას, ომისათვის მზადყოფნას. XVII ს. დასაწყისისათვის სამხედრო ტექნიკა შეიცვალა, რის გამოც ომის წარმოება გაძვირდა. გამარჯვების გარანტია დამოკიდებული იყო ფულად რესურსებზე და არა მხოლოდ მეომართა სიმამაცებზე. ამასთან დაკავშირებით, მერკანტილისტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სახელმწიფო ხარჯების საკითხს. ისინი მწარმოებლურად თელიდნენ იმ ხარჯებს, რომელიც ხელს უწყობდა საგარეო ვაჭრობასა და ქვეყნის სიმდიდრის დაგროვებას.

მერკანტილისტები მოითხოვდნენ მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრას იმ სარგებლობის შესაბამისად, რასაც მოქალაქე

იღებდა სახელმწიფოსაგან. დაბეგვრა თანაბარი უნდა ყოფილიყო. გადასახადებით უნდა დაბეგრილიყო ის ფულიც კი, რომელიც გასესხებული იყო სარგებლის მიღების მიზნით. ხოლო სიმდიდრე, რომლის დამალვაც ადვილად შეიძლებოდა, გადასახადებით არ უნდა დაბეგრილიყო. მერკანგილისტების აზრით, გადასახადებს ხელი უნდა შეეწყო დაგროვებისათვის, მომჭირნეობისათვის. არსებობდა აგრეთვე სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გადასახადებს მშრომელებში უნდა განევითარებინა შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე და, ამგვარად, ხელი შეეწყო ხალხის გამდიდრებისათვის. ისინი გადასახადში ხელაღწევენ მშრომელთა უსაქმურობისა და სიღატაკის საწინააღმდეგო საშუალებას.

მერკანგილიზმში სახელმწიფო კრედიტს თვლიდა სახელმწიფო შემოსავლის საგანგებო წყაროდ, რომელიც უნდა გამოეყენებინათ ომის ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში. მერკანგილისტების შეხედულების თანახმად, სახელმწიფო კრედიტი ქმნიდა არამატერიალურ კაპიტალს და ზრდიდა ხალხის კეთილდღეობას. კრედიტის მერკანგილისტური თეორია ასახავდა მათ შეხედულებას ფულსა და ძვირფას ლითონებზე როგორც სიმდიდრეზე, რომელიც იზრდებოდა მიმოქცევის სფეროში. ამიტომ, მათი თვალსაზრისით, კრედიტი, ვაჭრობასთან ერთად, წარმოადგენდა საზოგადოებრივი სიმდიდრის გამზრდის საშუალებას.

მერკანგილისტური ეკონომიკური პოლიტიკა გამოიხატებოდა მეურნეობრივი ქმედების ყოველმხრივი რეგლამენტაციით. სახელმწიფოს ასეთი ჩარევა ეკონომიკაში განპირობებული იყო კაპიტალიზმის განვითარების დაბალი დონით, მისი სისუსტით, სახელმწიფოსაგან დახმარების საჭიროებით. სახელმწიფო ერეოდა ვაჭრობასა და მრეწველობაში, განსაზღვრავდა ეკონომიკის მიმართულებას შეზიდვისა და გაზიდვის ბაჟებით, ამკრძალავი და წამახალისებელი საშუალებებით, სახელმწიფო შემოსავლად ითვლებოდა ღობენები, საეაჭრო და სამრეწველო საწარმოები და გადასახადები. მაგრამ იმ დროს გადასახადებს ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ასეთი იყო მდგომარეობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში XVII-XVIII საუკუნეებში.

მერკანგილიზმის გამოჩენილი იდეოლოგი იყო დიომიდე კარაფა (XV ს. პირველი ნახევრის მწერალი). მან დიდი ყურადღება დაუთმო სახელმწიფო ხარჯებს და წინა პლანზე წამოსწია ისინი.

სახელმწიფო შემოსავლის მთავარ სახედ იგი მიიჩნევდა დომენებსა და გადასახადებს, პირველ რიგში დომენებს.²

ნიკოლო მაკიაველი (1468-1527) თავის ნაშრომში – „ხელმწიფე (principe) და მსჯელობა გიგეს ლივიუსის პირველ დეკადაზე“³, ეხება ფინანსურ საკითხებს მუდმივი ჯარის შენახვასთან დაკავშირებით. იგი იყო დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის რღვევის ხანის იდეოლოგიის გამომხატველი. მის მიერ გამოთქმული აზრების მიხედვით, ფინანსური მეცნიერებისათვის სახელმწიფო ხარჯების საკითხს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სახელმწიფო შემოსავლების საკითხს. მაკიაველი ქვეყნის მმართველისაგან მოითხოვდა მომჭირნეობასა და არა ხელგაშლილობას. დიდსულოვანი ხელგაშლილობა აიძულებს ხელისუფალს, ეძიოს გადასახადების გამრდის ყოველგვარი საშუალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს აწარმოოს თავდაცვითი და შეტევითი ომები.

მაკიაველი ფულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მას სიმდიდრედ თვლიდა. მაგრამ, ამასთანავე, ქვეყნის მმართველისაგან ითხოვდა პროდუქტების რეზერვების შექმნას, ვინაიდან ყოველთვის შესაძლებელი არ იყო მათი ფულზე ყიდვა. ომის საწარმოებლად ფული აუცილებელია. მაგრამ ის არ არის მისი მთავარი ნერვი.⁴

მერკანტილისტების აზრით, ძვირფასი ლითონები და ფული წარმოადგენდა სიმდიდრეს, სიმდიდრის წყაროს კი – საგარეო ვაჭრობა. ამიგომაც ისინი ამ უკანასკნელს თვლიდნენ მთავარ პრობლემად.

მერკანტილიზმის ცნობილი წარმომადგენელი – თომას მანი (1571-1641), რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა მერკანტილიზმის საფუძვლები თავის ნაშრომში „მსჯელობა ვაჭრობის შესახებ ინგლისსა და ოსტინდოეთს შორის“⁵, წერდა, რომ ფულის, სიმდიდრის მრდის ჩვეულებრივი საშუალებაა ვაჭრობა, რომელმედაც დამოკიდებულია სახელმწიფოს შემოსავალი.

² Diomide Carafa. De regis et boni principis officio. ეს ნაშრომი დაწერილია 1469წ, გამოქვეყნდა 1669წ.

³ Machiavelli Niccolo. Il principe discorsi la prima deca di Tito Livio. Milano, 1960.

⁴ იქვე, თავი XVI, გვ. 66-67, 77.

⁵ Thomas Mann. A discourse of trade from England to the East Indies. 1621.

ჟან ბოდენი (1530-1596) მხარს უჭერდა აბსოლუტურ მონარქიას. თავის ნაშრომში – „ექვსი წიგნი რესპუბლიკაზე“⁶, მან შემოგვთავაზა შემოსავლის კლასიფიკაციის პირველი ცდა. მას ჯერ კიდევ არ დაუსვამს ფინანსური მეცნიერების საკითხი. მაგრამ მისი ნაშრომის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სამეცნიერო დისციპლინის საგნად იგი სახელმწიფო შემოსავლის სახესხვაობათა შესწავლას თვლიდა.;

ჟან ბოდენის მიხედვით, დომენები სახელმწიფო შემოსავლის ყველაზე მთავარი და უწყინარი სახეა. ცნობილია, რომ აღრეულ პერიოდში სახელმწიფო იყო მსხვილი მიწათმფლობელი და ბოდენი ამტიკიცებდა დომენების გაუსხვისებლობას. მისი აზრით, სახელმწიფო შემოსავალს წარმოადგენდა აგრეთვე ნადავლი, მეგობარ სახელმწიფოთა საჩუქრები, მოკაეშირე სახელმწიფოთაგან მიღებული შემოსავალი, შესაზიდი და გასაზიდი ბაყები და ხარკი. ბოდენი სახელმწიფო შემოსავლის ჭეშმარიტ წყაროდ თვლიდა დომენებსა და ბაჟს, ხოლო გადასახადებს – არაჩვეულებრივ წყაროებად.

ტიომას ჰობსის (1588-1670) აზრით, გადასახადით არ უნდა დაბეგრულიყვნენ ისინი, ვინც ფულის ეკონომიას ეწეოდნენ. ჰობსი, როგორც მერკანტილისტი, უპირატესობას ანიჭებდა არაპირდაპირ გადასახადს, იგი, მაგალითად, თვლიდა რომ, თუ გადასახადებით დაბეგრილია მასობრივი მოხმარების საგნები, მაშინ თითოეული პირი თანაბრად იხდის გადასახადს და საზოგადოება არაფერს კარგავს ცალკეულ პირთა მფლანგველობის გამო.

როგორც უკვე აღინიშნა, მერკანტილისტების თვალსაზრისით, გადასახადები შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო სიზარმაცის, მუშათა დაუმორჩილებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჰაუტონი (1671) აწერდა: „როდესაც მქსოველები მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ისინი სამუშაოზე აღარ ცხადდებიან ორშაბათსა და სამშაბათს, სხედან ლუდხანებსა და ტავერნებში. ფეიქრები, ჩვეულებრივ ორშაბათს მთერალები არიან, სამშაბათს მათ თავი სტკივთ, ხოლო ოთხშაბათს – საჭირო იარაღები აღარ მოეპოვებათ“⁷. მერკანტილისტების აზრით, ხელფასის დაბეგვრა არ აუარე-

⁶ Jean Bodin. Six livres de la Republique. 1576.

⁷ И. М. Кулишер. Очерки финансовой науки. Вып. I, 1919., с. 119-120.

სებს მუშათა მდგომარეობას, პირიქით, ზრდის, როგორც მათ პირადს, ისე მთელი ქვეყნის მოსახლეობის სიმდიდრეს.

ამრიგად, მერკანტილისტებისათვის ჯერ კიდევ არ იდგა ფინანსური მეცნიერების საგნის საკითხი.

2. *გერმანული კამერალისტიკა.* კამერალისტიკა გულისხმობდა სამეცნიერო დისციპლინათა მთელ ციკლს. მაგალითად, გერმანიაში იგი შეიცავდა ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და სხვა დისციპლინებს. კამერალისტიკაში იგულისხმებოდა აგრეთვე ცოდნის განსაზღვრული ერთობლიობა, რომელიც აუცილებელი იყო სახაზინო უწყებათათვის კვალიფიციური მოხელეების მოსამზადებლად.

გვიანი ხანის კამერალისტებიდან ყურადღებას იპყრობს იუსტი და მონენფელსი.

იოჰან პენრიხ ჰოგლიბ იუსტი (1705 ან 1717, ან 1720; გარდაიცვალა 1771 წ.). მან პირველმა გაუკეთა თეორიული სისტემატიზაცია გერმანიის სახელმწიფო მეურნეობას, ერთ სისტემაში გააერთიანა კამერალისტების ცალკეული გამონათქვამები ფინანსური საკითხების შესახებ. თავის ნაშრომში – „ფინანსური სისტემის არსი“⁸, იუსტიმ განცალკევებულად გადმოსცა სახელმწიფო შემოსავალი, სახელმწიფო ხარჯები და კამერალურ საქმეთა მართვა: მან პირველმა შეიტანა ფინანსურ მეცნიერებაში მოძღვრება სახელმწიფო კრედიტის შესახებ, სცადა გაემიჯნა ფინანსური მეცნიერება ფინანსური პოლიტიკისაგან. მისი აზრით, ფინანსური მეცნიერება გვასწავლის, თუ როგორ მოვიხმაროთ რაციონალურად ფინანსური მეურნეობა, ხოლო ფინანსური პოლიტიკა – თუ როგორ გავაძლიეროთ სახალხო მეურნეობა.

იუსტი დიდად სასარგებლოდ თვლიდა კრედიტს. სახელმწიფო კრედიტი რომ არ ყოფილიყო, მრავალი კარგი წამოწყება ვერ შესრულდებოდა. მრავალი კარგი გეგმა ვერ განხორციელდებოდა. სახელმწიფო კრედიტს შეუძლია გააძლიეროს ერის სიმდიდრე, ხალხის კეთილდღეობა⁹.

იუსტი დომენებს აძლევდა უპირატესობას და განათლებული აბსოლუტიზმის მისწრაფებას გამოხატავდა.

⁸ Justi Johann Heinrich Gottlib von. System des Finanzwesens. Halle, 1746.

⁹ Justi. Staatswirtschaft. 1758, p. 451.

ქოზაუზ ზონენფელსი (1732-1817) თავის ნაშრომში – „პოლიციის, ვაჭრობისა და ფინანსების საფუძვლები“¹⁰, წერდა, რომ „სახელმწიფო მეურნეობაში მწერლები გულისხმობდნენ პოლიციას, ვაჭრობასა და ფინანსებს. მათ აგრეთვე უწოდებდნენ ეკონომიკურ მეცნიერებებს“. ვაჭრობასა და ფინანსებს იგი განაკუთვნიებდა კამერალურ მეცნიერებებს. ფინანსური მეცნიერება შეისწავლის სახელმწიფო შემოსავლის მიღების ყველაზე უფრო ხელსაყრელ საშუალებებს¹¹.

თავისი ნაშრომის მესამე ტომში მონენფელსმა გადმოსცა ფინანსები. იგი განიხილავდა ღომენებს, რეგალიებს, ბაჟებს, ჯარიმებს, გადასახადებს, სახელმწიფო კრედიტსა და ფინანსურ მმართველობას. მისი აზრით, გადასახადები წარმოადგენენ ფინანსური მეცნიერების არა შემთხვევითს, არამედ არსებით ნაწილს. ფინანსების ამოცანაა, სახელმწიფო უზრუნველყოს საკმაო რესურსებით.

მონენფელსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფო კრედიტს, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროდ გადასახადებს თვლიდა. მისი აზრით, თუ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ბოროტად გამოიყენონ სახელმწიფო სესხი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სარგებლობის მოგანაც არ შეუძლია.

3. 'ფიზიოკრატიების წინამორბედნი. ფიზიოკრატიებამდე ეკონომიკა არ წარმოადგენდა გამოცალკევებულ დამოუკიდებელ მეცნიერებას., ეკონომიკას სწავლობდნენ ფინანსისგები, ბანკირები, ვაჭრები და, აგრეთვე, ყოველმხრივ განათლებული პირები, ისეთები, როგორც იყო ჰობსი, ლოკი, იუმი. მათთვის ეკონომიკა იყო ენციკლოპედიური ცოდნის ერთ-ერთი სფერო, ამიტომაც ფიზიოკრატიების წინამორბედთა ნაშრომებში არ იყო მსჯელობა ფინანსურ მეცნიერებაზე, როგორც ასეთზე, მაგრამ მათ ფინანსურ საკითხებს უძღვნეს მთელი რიგი ნაშრომებისა, რომელთა საფუძველზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რას გულისხმობდნენ ისინი „ფინანსებში“.

ზემოხსენებული ეკონომისტები მომსწრენი იყვნენ პოლანდის ბურჟუაზიის განვითარებისა, ინგლისის ბურჟუაზიის პოლიტიკუ-

¹⁰ Sonnenfels Joseph von. Grundsätze der Polizei, Handlung und Finanz. Wien, 1786. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ირანულიდან უთარგმნია ერეკლე მეორეს, იხ. პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი (1629-1929). თბილისი, 1929, გვ. 175. იხ. აგრეთვე Шаншев, Хронологический указатель книг и брошюр, вышедших на груз. яз. в 1609-1883. Журнал «Кавказ», №126.

¹¹ Sonnenfels Joseph von. Grundsätze der Polizei, Handlung und Finanz. Wien, 1786, p.21.

რი შეგვეისა, მანუფაქტურის, სამღვაო ვაჭრობის, კოლონიზაციის განვითარებისა; ისინი იცნობდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიის ბრძოლას თავისუფლებისათვის. ყოველივე ეს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ასახულია მათ ნაშრომებში, ფიზიოკრატიების წინამორბედებს განეკუთვნებიან უილიამ პეტი, ჯონ ლოკი, პიერ ბუაგილბერი, სებასტიან ვობანი და სხვანი.

შილიამ პეტი (1623-1687) პირველი მეცნიერია, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ფინანსურ პრობლემებს: „გრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“¹². თუმცა პეტის ნაშრომის სახელწოდება მხოლოდ სახელმწიფო შემოსავალს ეხებოდა, აქედან მაინც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ პეტის თვალსაზრისით, ფინანსური მეცნიერების საგანი შემოიფარგლება სახელმწიფო შემოსავლით. პეტიმ თავის გრაქტატში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სახელმწიფო ხარჯების საკითხს და მოგვცა მათი შედარებით სწორი მეცნიერული დასაბუთება.

პეტის ნაშრომის სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას შეეძლო არ შეხებოდა სახელმწიფო ხარჯებს, მაგრამ პეტი დიდი ყურადღებით მოეპყრო ამ საკითხს და განიხილა სახელმწიფო შემოსავალი სახელმწიფო ხარჯებთან კავშირში. აღსანიშნავია, რომ მან ჯერ განიხილა სახელმწიფო ხარჯები, ხოლო შემდეგ – სახელმწიფო შემოსავალი და ამით ხაზი გაუსვა სახელმწიფო შემოსავლის აუცილებლობის განპირობებულობას სახელმწიფო ხარჯებით, როგორც თვით მათი არსებობის თვალსაზრისით, ისე მათი მწარმოებლურობის მხრივაც.

პეტი სახელმწიფო ხარჯებს ახასიათებდა როგორც არამწარმოებლურს. ამიტომ იგი მოითხოვდა სახელმწიფო მართვის გაიაფებას, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას.

მისი აზრით, სახელმწიფო შემოსავლის მოცულობა უნდა შეუპირისპირდეს სახელმწიფო ხარჯებს. იგი განიხილავდა სახელმწიფო შემოსავალსა და ხარჯებს შორის ურთიერთკავშირის საკითხს.

ჯონ ლოკი (1632-1704), მისი ეკონომიკური შინაარსის ნაშრომიდან – „ფიქრები იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც იწვევს პროცენტის ღონის დაწევა და ფულის ღირებულების მრღა“¹³ –

¹² W. Petty. A Treatise of taxes contributions. 1667.

¹³ John Locke. Some considerations of the lowering of interest and reising the value of money. 1692.

ჩანს, რომ მან გადასახადის გადაკისრების საკითხის გამოკვლევით გაამდიდრა ფინანსური მეცნიერება.

პიერ ბუაზილბერი (1646-1714), იგი იყო გადასახადებზე პასუხისმგებელი პირი საფრანგეთის ერთ-ერთ პროვინციაში და ამიგომაც თავის ნაშრომში – „საფრანგეთის საცალო ვაჭრობა“¹⁴, მას ხელთ ჰქონდა ვრცელი ინფორმაცია ქვეყნის ფინანსებისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ლუდოვიკო XIV-ის მეფობის პერიოდში.

ბუაგილბერი ეწინააღმდეგებოდა მერკანტილისტთა მტკიცებას, თითქოს სიმდიდრე ფულია. მსგავსი შეხედულებები მას მცდარად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ადამიანებს სწორი წარმოდგენა არა აქვთ სიმდიდრესა და ფულზე. მისი გაგებით, სიმდიდრე არის მიწა და ადამიანის შრომა, ოქრო-ვერცხლი „სიმდიდრისა და ცხოვრების სიამის“ ერთადერთი პრინციპი არ არის. მართლაც, ხელმწიფე ხომ ფულით არ ინახავდა სახმელეთო და საზღვაო არმიებს. „სიმდიდრესა და გადასახადს საფუძვლად აქვთ მხოლოდ მიწა და ადამიანის შრომა“. ამავე დროს, ის სცილდებოდა ფიზიოკრატიების შეხედულებას ერთიანი გადასახადის საკითხში, ფიზიოკრატიები მოითხოვდნენ ერთიანი გადასახადის შემოღებას. ბუაგილბერი კი ეწინააღმდეგებოდა ამ თვალსაზრისს და ამტკიცებდა, რომ ერთიანი გადასახადის გვირთი ყველაზე არ ნაწილდება, არამედ მთელი სიმძიმით მხოლოდ მოგიერთ გლეხს ეხება და ანადგურებს. იგი თვლიდა, რომ გადასახადები უნდა განაწილდეს ყველაზე და „ეს იქნება გადასახადის სწორი განაწილება“¹⁵.

ბუაგილბერის შეხედულებებიდან ამჟამად, რომ ფინანსური მეცნიერების შესწავლის ობიექტია ეროვნული სიმდიდრის ნაწილი, რომელიც ხმარდება სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და გამომდინარეობს არა მარტო ვაჭრობის, არამედ – მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის ინტერესებიდან.

სებასტიან ვობანი (1633-1707), თავისი შეხედულებებით მეტად ახლოს დგას ბუაგილბერთან. მაგრამ, მისგან განსხვავებით, თავის ნაშრომში – „სამეფოს სამეათელოს პროექტი“¹⁶, იგი იცავდა მრეწველი მოსახლეობის ინტერესებს.

¹⁴ Pierre Boisguillebert. La detail de la France. In Economistes financiers du XVIII siecle, par Engene Daire. Paris, 1843, p. 241.

¹⁵ იქვე, გვ. 394-395, 397, 415.

¹⁶ Voban. Projet d'une dixme Royle - Economistes Financieres du XVIII siecle, par Eugene Daire. Paris, 1843, p. 31-154.

დავიდ იუმი (1711-1776) ავტორია ნარკვევებისა „გადასახადების შესახებ“, რომელმაც ხელი შეუწყო ინგლისში ფინანსური თეორიის განვითარებას. მან უარყო ფიზიოკრატიების შეხედულება ერთიანი გადასახადის შესახებ. იუმმა გააფართოვა ფინანსური მეცნიერების საგანი, მისი შესწავლის ობიექტში შეიგანა სახელმწიფო სესხის პრობლემა¹⁷.

ჰიმს სტიუარტმა (1712-1780) თავისი წვლილი შეიგანა ფინანსურ პრობლემათა განვითარებაში. თავისი ნაშრომის¹⁸ მეხუთე წიგნი მან მიუძღვნა გადასახადების საკითხს. იგი ფინანსებს დამოუკიდებელ მეცნიერებად არ თვლიდა და მას განიხილავდა როგორც პოლიტიკური ეკონომიის ნაწილს.

4. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია.

ა) ფიზიოკრატიები. XVIII საუკუნეში საფრანგეთში ხალხის ყურადღება მიპყრობილი იყო მთავრობის ფინანსურ გასაჭირზე და მასთან დაკავშირებულ დისკუსიებზე გადასახადით დაბეგერის შესახებ. ამ საკითხებმა მიიპყრო ფიზიოკრატიების ყურადღებაც. მათი ფინანსური იდეების სისტემა ემყარებოდა იმის მტკიცებას, რომ სიმდიდრის წყარო სოფლის მეურნეობაა. ამიტომაც იგი უნდა გახდეს საადგილმამულო გადასახადით დაბეგერის ობიექტი. ამ იდეების პრაქტიკული გამოყენების ცდა განახორციელა გიურგომ.

ფიზიოკრატიები ხელს უწყობდნენ დამოუკიდებელი სამეცნიერო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შეიცავდა ეკონომიკის თეორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ფინანსების თეორიისა და ფინანსური პოლიტიკის საწყისებს.

შრანსუა კანემ (1694-1774) თავის ნაშრომებში¹⁹ საფრანგეთის სოფლის მეურნეობის დაცემა ძირითადად გადასახადების სიმძიმით ახსნა. კენეს მიხედვით, სახალხო მეურნეობის ერთადერთ მწარმოებლურ დარგს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. იგი სიმდიდრედ აღიარებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას და არა ფულს, ერთი სიტყვით, როგორც მერკანტილისტები, სიმდიდრის წყაროდ თვლიდა შრომას და არა ვაჭრობას²⁰. კენე იბრძოდა ყვე-

¹⁷ David Hume. Political Discourses. 1752.

¹⁸ James Steuart. An inquiry into the principles of political economy. 1767.

¹⁹ F. Quesnay. Firmiers. 1756; მისივე, Grains. 1757; მისივე Tableau economique. 1758.

²⁰ ეს შეხედულება ფრ. კენემ შეიგუზავა მე-XVIII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულში. იგივე ამრი სამოცი წლით ადრე გამოთქმული აქვს ქართულად

ლა დაბრკოლების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა კაპიტალის გადასვლას სოფლის მეურნეობაში. იგი გამოდიოდა დამტკიცრთავე გადასახადების, გამზიდვის ბაჟებისა და სხვ. წინააღმდეგ. კენემ პირველმა დაადგინა ორგანული კავშირი სახელმწიფო ფინანსებსა და მთლიანად სახალხო მეურნეობას შორის.

მირაბომ (1715-1789) ჩამოაყალიბა ფიზიოკრატების ძირითადი დებულებანი გადასახადების შესახებ.²¹

ბ) ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია. ადამ სმიტი (1723-1790) – განმამოგადებელ ეკონომისტს მანუფაქტურული პერიოდისა და ლ. რიკარდოს (1778-1823) – დამამთავრებელს ამ ეკონომიკური სკოლისა, თავიანთ შრომებში არა აქვთ ხმარებული ტერმინები „ფინანსები“, „ფინანსური“, „ფინანსური მეცნიერება“. ისინი არც აყენებდნენ ფინანსური მეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის არსებობისა და ფინანსური მეცნიერების პოლიტიკური ეკონომიიდან გამოყოფის საკითხს.

ამის მიუხედავად, მათ გარკვეული დამსახურება აქვთ ფინანსური საკითხების შესწავლაში. ადამ სმიტმა ფინანსებს მიუძღვნა თავისი ნაშრომის – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“²² – მეხუთე წიგნი.

დავით რიკარდომ თავისი ნაშრომის – „პოლიტიკური ეკონომიისა და გადასახადური დაბეგერის საფუძვლები“²³ – მესამე ნაწილში გადმოსცა ფინანსების შესწავლის შედეგები (წიგნი შედგება 32 თავისაგან, რომელთაგან თორმეტი ეძღვნება ფინანსებს).

ადამ სმიტი და დავით რიკარდო ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო შემოსავალი შედგება სახალხო სიმდიდრისაგან, რომლის წყაროს წარმოადგენს მიწა, შრომა და კაპიტალი და არა მხოლოდ ვაჭრობა, როგორც ამას მერკანტილისტები ამტკიცებდნენ, ან მხოლოდ მიწათმოქმედება, როგორც ფიზიოკრატები ფიქრობდნენ.

მწერალს სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც ეხება ფულის, კრედიტისა და სახელმწიფო ფინანსების საკითხებსაც. იხ. ეასილ ჩანგლაძე. სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები. თბ., 1959; მისივე Экономические взгляды Сулхан-Саба Орбелиани. Тб., 1970 მისივე, Economic views of Sulchan-Saba Orbeliani. Tbilisi, 1970; მისივე სტატია – Экономическая энциклопедия - Политическая экономия. Москва, 1979, т.3.с. 174, სადაც აღნიშნულია: «По своим экономическим взглядам Орбелиани является предшественником физиократов».

²¹ W. Mirabeau. Maximes generales au gouvernement de un royaume agricole. 1763.

²² Adam Smith. Inquiry into the nature and causes of the health of nations. Vol. 11.

²³ David Ricardo. The principles of political economy and Taxation.

სმითისა და რიკარდოს გამოკვლევებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ფინანსური კატეგორიები ეკონომიკური კატეგორიებია. მაშასადამე, ფინანსური დისციპლინა, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის ნაწილია, წარმოადგენს ეკონომიკურ დისციპლინას.

სმითის ნაშრომის მიხედვით ფინანსების საგანი შეიცავს სახელმწიფო ხარჯებსა და შემოსავალს.

რიკარდო თუმცა არ აყენებდა საკითხს ფინანსური დისციპლინის პოლიტიკური ეკონომიისაგან გამოყოფის შესახებ, მაგრამ მაინც სმითზე უფრო შორს წავიდა. იგი გარკვეულად გამოყოფდა ფინანსების სპეციფიკას, რაც კერძოდ, ჩანს მისი ნაშრომის სახელწოდებიდან. მას ესმოდა, რომ საერთო სათაური – „პოლიტიკური ეკონომია“ – არ მოიცავს მისი წიგნის მთელ შინაარსს და იმისათვის, რომ თვით სათაურში გადმოეცა ფინანსების სპეციფიკა, მან იგი ასე დაასათაურა: „პოლიტიკური ეკონომიისა და გადასახადური დაბეგვრის საფუძვლები“.

საერთოდ კი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებიდან ამკარაა, რომ ფინანსების მეცნიერების საგანს წარმოადგენს სახალხო სიმდიდრის იმ ნაწილის ბუნებისა და მიზეზების შესწავლა, რომელსაც სახელმწიფო ამოიღებს სახალხო სიმდიდრიდან საერთო სახელმწიფოებრივი ხარჯების დასაფარავად.

ჰონ სტიუარტ მილმა თავისი ნაშრომის – „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“²⁴ – მეხუთე წიგნის ნახევარი ფინანსებს მიუძღვნა. ფინანსური მეცნიერების საგანი მან სახელმწიფო შემოსავლით შემოფარგლა.

ფრანგმა ფინანსისგმა – კოლ ლერუა-ბოლიემ თავისი მეხუთეულებები ფინანსების შესახებ ფინანსური მეცნიერების კურსში გამოთქვა. იგი არ თვლიდა სახელმწიფო ხარჯებსა და ფინანსურ ორგანიზაციას ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგნად, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფო შემოსავალი უნდა აინგერესებდეს. მისი განსაზღვრით, „ფინანსური მეცნიერება არის უბრალოდ მეცნიერება სახელმწიფო შემოსავლისა და მისი საქმეში გამოყენების შესახებ“²⁵.

5. ისტორიული სკოლა. ძველი ისტორიული სკოლის ფუძემდებელია ვილჰელმ როშერი (1817-1894), რომელმაც ფინანსებს

²⁴ J. St. Mill. Principals of political Economy. 1848.

²⁵ Leroy Beaulieu Poul. Traite de la science des finances. from premier. Des revenus publics. Paris, 1877, p. 3.

მიუძღვნა თავისი პოლიტიკური ეკონომიის მესამე ნაწილი სათაურით – „ფინანსური მეცნიერების სისტემა“²⁶.

ამ ნაშრომში სისტემურად არის გადმოცემული ფინანსური საკითხები ისტორიული სკოლის თვალსაზრისით, რომელშიც ადგილობრივი, საკავშირო და ფედერალური ფინანსები არ არის მოცემული. რომერს არ მოუცია თეორიული საფუძვლები ისტორიული ფაქტების განსაზოგადებლად. მისი თვალსაზრისი განეკუთვნებოდა მიმართულებას, რომელსაც ეწოდებოდა ძველი ისტორიული სკოლა. ამ მიმართულების მომხრეები თვლიდნენ, რომ ფინანსური მეცნიერება შეისწავლის არა სიმდიდრეს (ან სიმდიდრის ნაწილს), არამედ სახელმწიფო მეურნეობას ან ფინანსურ მეურნეობას. ისტორიული სკოლის მომხრეთა აზრით, პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის სახალხო მეურნეობას, ხოლო ფინანსური მეცნიერება – ფინანსურ მეურნეობას. ისტორიული სკოლა არ ცნობდა ეკონომიკურ კანონებს და გეთავაზობდა მხოლოდ ისტორიული პროცესების აღწერას.

კარლ ჰინრიხ რაუმ (1792-1870) პოლიტიკური ეკონომია სამ ნაწილად გაყო და მესამე ნაწილს უწოდა მეცნიერება ფინანსების შესახებ²⁷. მართალია, რაუმე ადრეც იყო ცდები ფინანსური მეცნიერების დამოუკიდებელ დისციპლინად გამოყოფისა, მაგრამ რაუს და მისი მომდევნო ფინანსისტების ნაშრომებში ამ საკითხმა უფრო დასრულებული სახე მიიღო. შემდგომში ჯერ გერმანულ ლიტერატურაში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებისაშიც, ფინანსური მეცნიერება აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ დისციპლინად. ამ ვითარებამ განაპირობა მისი საგნის განსაზღვრის აუცილებლობა.

რაუს თვალსაზრისი წარმოადგენდა სმითისა და ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა იდეების ნარევს.

ფინანსური მეცნიერების საგანი მან განსაზღვრა როგორც მთავრობის მეურნეობა (Regierungswirtschaft), ანუ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მატერიალური ფასეულობით. იგი წერდა: „მეცნიერებას მთავარი მეურნეობის უკეთ მოწყობის, ანუ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა მატერიალური

²⁶ W. Roschar. System der Finanzwissenschaft. 1886

²⁷ 1826 წელს რაუმე გამოსცა პოლიტიკური ეკონომიის პირველი ტომი – Grundsätze der Volkswirtschaftslehre. 1828 წ. მეორე ტომი – Grundsätze der Volkswirtschaftspolitik და 1832 წელს – Grundsätze der Finanzwissenschaft.

ფასეულობებით უკეთ დაკმაყოფილების შესახებ ეწოდება ფინანსური მეცნიერება და იგი წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომიის ნაწილს. მას ხშირად უწოდებენ აგრეთვე კამერალურ დისციპლინას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან დასაწყისში მხოლოდ კამერალურ საქმეებში ან კამერალურ საქმიანობაში იგულისხმებოდა ფინანსები²⁸.

რაუ ფინანსურ მეცნიერებას თელიდა პრაქტიკულ მეცნიერებად და აყენებდა პოლიტიკური ეკონომიის გვერდით. „...ფინანსური მეცნიერება მუდამ უნდა ემყარებოდეს სახალხო მეურნეობის (პოლიტიკური ეკონომიის) მეცნიერების დებულებებს და უმეტესწილად განიხილებოდეს როგორც გამოყენებითი მეცნიერება პრაქტიკული მიზნებისათვის – სახელმწიფო ხელისუფლების მომარაგება მატერიალური სახსრებით. ასეთსავე ურთიერთობაშია პოლიტიკურ ეკონომიასთან ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ მეცნიერება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის განვითარებას (Volkswirtschaftslehre), როგორც ეკონომიკური პოლიტიკა, ისე ფინანსური მეცნიერებაც, რომელიც შეიძლება გავაერთიანოთ სამეურნეო პოლიტიკის საერთო სახელწოდებაში, წარმოქმნილია ორი ძირითადი მეცნიერებისაგან და თანაბარი უფლებით მიეკუთვნება როგორც მეცნიერებას სახელმწიფოს შესახებ, ისე პოლიტიკურ ეკონომიას. ფინანსები და ეკონომიკური პოლიტიკა თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი მიზნებით, მაგრამ ერთმანეთს საგნით ენათესაებიან, ვინაიდან როგორც ერთი, ისე მეორეც თავის თავში შეიცავს მთავრობის გრუნვას სამეურნეო საქმეებზე; მათი ეს ნათესაობა ამკარაა მრავალ პუნქტში, სადაც ერთი-მეორეს ეხება“²⁹.

ამრიგად, რაუს ამრით, ფინანსური მეცნიერება პრაქტიკული მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის მატერიალური რესურსებით სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის ხერხებს. რაუ ავეულგარიზებდა ფინანსურ მეცნიერებას, უკან სწევდა მას სმითისა და რიკარდოს იდეებთან შედარებით, რომლებიც ფინანსურ მოვლენებს თეორიულ ასპექტში განიხილავდნენ.

²⁸ К. Г. Рау. Основные начала финансовой науки. Перевод, под ред. А. Корсака, т. 1, СПб, 1867, с. 4.

²⁹ იქვე, ავ. 4.

6. კათედერ-სოციალიზმი.

ა) ისტორიული სკოლა. 1872 წ. დაარსდა „სოციალური პოლიტიკის კავშირი“ – კათედერ-სოციალიზმის ორგანო.

კათედერ-სოციალიზმის ბირთვი გახდა ახალი ისტორიული სკოლა, რომელიც უარყოფდა თეორიას და წინა პლანზე აყენებდა ემპირიზმს. ამ მიმართულების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ბუსსტამ შმოლერ (1838-1917), რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას უწოდებდა სახალხო მეურნეობის მოვლენათა აღმწერ მეცნიერებას³⁰. მისი აზრით, ფინანსურმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს ფინანსური მეურნეობა. მეცნიერების ამოცანა ამ მიმართულებით მდგომარეობს იმის შესწავლაში, „რაც უნდა იყოს“. ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა შეაფასოს სამეურნეო ქმედება, დასახოს იდეალები, დაადგინოს წარმოებისა და განაწილების სამართლიანი ნორმები და განახორციელოს ისინი სახელმწიფოს დახმარებით. ამგვარად, ეკონომიკური მეცნიერების ისტორიულ-ეთიკურმა მიმართულებამ დააყენა ეთიკური ხასიათის ამოცანები. ფინანსურ მეცნიერებას დაბევერის სფეროში უნდა დაედგინა სამართლიანი ნორმები და სახელმწიფოს უნდა ებრძოლა მათი განხორციელებისათვის.

ბ) სახელმწიფო სოციალიზმი. კათედერ-სოციალიზმის მეორე მიმართულებაა სახელმწიფო სოციალიზმი, რომელმაც ყოველგვარი გასახელმწიფოებრივობა სოციალისტურად გამოაცხადა.

სახელმწიფო სოციალიზმი ემყარება ისტორიული სკოლის შეხედულებებს.

ამ მიმართულებას ფინანსური მეცნიერების სფეროში საფუძველი ჩაუყარა ლორენც შტეინმა (1815-1890). იგი უეჭველად თვლიდა ფინანსური მეცნიერების დამოუკიდებლობას და მიიჩნევდა მას სახელმწიფოებრივი მეცნიერების ნაწილად.³¹ ისტორიული სკოლის გაელენით იგი თვლიდა, რომ ფინანსური მეცნიერება შეისწავლის სახელმწიფოებრივ მეურნეობას.

ლორენც ფონ შტეინმა გააფართოვა ფინანსური მეცნიერების საგანი, შეიტანა რა მასში მოკავშირე ფედერალურ სახელმწიფოთა ფინანსები და ადგილობრივ თვითმმართველობათა ფინანსები. მან საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე ფინანსურ სამართალს. .

³⁰ Густав Шмоллер. Народное хозяйство, наука о народном хозяйстве и ее методы. М., 1902, с. 12.

³¹ Lorenz von Stein. Lehrbuch der Finanzwissenschaft. 1873, p. 1-23.

ადოლფ ვაგნერი (1835-1917) სახელმწიფოს თელიდა ისეთ ძალად, რომელსაც შეუძლია ფართოდ გააგაროს სოციალური პოლიტიკა და გადასახადური დაბეგერის ვით გადაანაწილოს ეროვნული შემოსავალი. იგი იყო სახელმწიფო მონოპოლისტურ ორგანიზაციათა მომხრე. მისი აზრით, ისტორია ამტკიცებდა სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის გაფართოებას. სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოებრივ ჩარევას იგი მიზანშეწონილად თვლიდა და ამართლებდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მეურნეობრივ განვითარებას.

ადოლფ ვაგნერი ფინანსურ მეცნიერებას განაკუთვნებდა პრაქტიკულ დისციპლინას და მას პოლიტიკური ეკონომიის პრაქტიკულ ნაწილად მიიჩნევდა. იგი წერდა: „ფინანსური მეცნიერება მაგერიალურად, ანუ თავისი შინაარსით არის პოლიტიკური ეკონომიის ნაწილი, ფორმალურად – იურიდიულ მეცნიერებათა ნაწილი“³². ფინანსური მეცნიერება გვასწავლის, თუ როგორ მოვიპოვოთ და გამოვიყენოთ ნივთიერი სახსრები, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოსათვის, მისი ფუნქციების შესასრულებლად, როგორც იძულებითი საზოგადოებრივი მეურნეობის, როგორც ხალხის სახელმწიფოებრივი, ორგანიზაციულად გაერთიანებული მეურნეობის უმაღლესი ფორმა. ამიტომ, ფიქრობდა ვაგნერი, ფინანსური მეცნიერება განეკუთვნება მოძღვრებას საზოგადოებრივი მეურნეობის შესახებ ან მოძღვრებას სპეციალური, იძულებითი საზოგადოებრივი მეურნეობის შესახებ და მისი კვლევა მიმართულია ფინანსური მეცნიერების პირდაპირ ამოცანებზე. ეს არის სახელმწიფოსათვის ნივთიერი ღირებულების მოპოვება და გამოყენება; ამის გამო უჭველად საჭიროებს პოლიტიკური ეკონომიის ცოდნას.

ამრიგად, ადოლფ ვაგნერი რჩებოდა ისტორიული სკოლის პოზიციებზე, რომელიც ფინანსური მეცნიერების საგნად თვლიდა მეურნეობას. კერძოდ, სახელმწიფოებრივ მეურნეობას. ამ უკანასკნელში მას ესმოდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის კომპლექსი, რომელიც შეიცავდა სახელმწიფოს მიერ აუცილებელი მაგერიალური ღირებულების მოპოვებასა და გამოყენებას.

³² A. Wagner. Lehr-und Handbuch der politischen Ökonomie, Vierte Hauptabteilung. Finanzwissenschaft. Erst. T. L., 1883, p. 16.

7. მღერული სარგებელიანობის თეორიები.

ა) ავსტრიული სკოლის მომხრეები მიისწრაფოდნენ დამტკიცებინათ, რომ საზოგადოებრივი განვითარება მუდამ სტიქიური პროცესია, მაშასადამე, მისი დაგეგმვა, შეგნებული გემოქმედების თვალსაზრისით შეუძლებელია. საზოგადოებრივი წყობის ეკონომიკურ კატეგორიათა ფესვები უნდა ვეძიოთ იზოლირებული ინდივიდის, როგორც მეურნეობრივი სუბიექტის ფსიქოლოგიაში. ამიგომაც ესენი მარადიული კატეგორიებია და ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში არსებობენ.

ბ) კარლ მენბერტი (1840-1921) თავის ნაშრომში „გამოკვლევა სოციალურ მეცნიერებათა მეთოდებისა და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის შესახებ“³³, ასხვავებდა ინდივიდუალურს, ანუ კონკრეტულსა და საერთოს, ანუ გენერალურ მოვლენებს. ინდივიდუალური, ანუ კონკრეტული მოვლენები, მენგერის აზრით, შეისწავლება სახალხო მეურნეობის ისტორიისა და სტატისტიკის მიერ, ხოლო საერთო, ანუ ზოგადი მოვლენები, ვინაიდან ტიპური ხასიათისანი არიან, – თეორიული ეკონომიკის მიერ. არსებობს აგრეთვე მესამე ჯგუფის მეცნიერული დისციპლინები, ე.წ. პრაქტიკული მეცნიერებები, ანუ ხელოვნებათმცოდნეობანი (Kunstlehren).

პირველი ორი ჯგუფი შეისწავლის არსებულ მოვლენებს თეორიული და ისტორიული თვალსაზრისით, პრაქტიკული დისციპლინები კი შეისწავლიან იმას, „რაც უნდა იყოს“. ისინი განსაზღვრავენ უფრო მიზანშეწონილ გზებს არჩეული მიზნის მისაღწევად. პოლიტიკური ეკონომიის სფეროში ასეთი დისციპლინებია სახალხო მეურნეობრივი პოლიტიკა და ფინანსური მეცნიერება. კ. მენგერის მიხედვით, ფინანსური მეცნიერება ეს არის მეცნიერება „სახელმწიფოებრივი მეურნეობისა და სხვა მეურნეობრივ ორგანიზაციათა მართვის საფუძვლების შესახებ, რომლებსაც ფინანსური უწყლება მოეპოვებათ“³⁴.

ამრიგად, კ. მენგერი ფინანსურ მეცნიერებას თვლიდა პრაქტიკულ დისციპლინად, ხელოვნებად. ეკონომიკის განსაზღვრულ მომენტად იგი თვლიდა ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მაგერიალურ დოვლათთა შეზღუდულობას.

³³ K. Menger. Untersuchungen über die Methode der Sozialwissenschaften und der politischen Ökonomie insbesondere. Leipzig, 1883.

³⁴ იქვე, გვ. 255-256.

მეცნიერებათა სამ ჯგუფად დაყოფა ცნობილია ანტიკური ხანიდან. ჯერ კიდევ არისტოტელემ შემოგვთავაზა შემდეგი დაყოფა: 1. თეორიული მეცნიერებანი – ფილოსოფია, ფიზიკა, მათემატიკა; 2. პრაქტიკული მეცნიერებანი – ეთიკა, პოლიტიკა; 3. ხელოვნებათმცოდნეობა (ორიგინალში – Τεχνη).

სხვა ნიშნების მიხედვით, ფრენსის ბეკონმაც სამეცნიერო დისციპლინები სამ ჯგუფად დაყო.

გ) ჯონ ნემპილ კინსი, ინგლისური სკოლის წამომადგენელი ავითარებდა კ. მენგერის შეხედულებებს ფინანსური მეცნიერების საგნის შესახებ. როდესაც პოლიტიკონომიის ამოცანებზე მსჯელობდა, ჯ. კინსი მეტად მნიშვნელოვან და ძნელ საქმედ თვლიდა მის ჭეშმარიტ ურთიერთობას პრაქტიკულ პრობლემებთან. მან შემდეგი სახით ჩამოაყალიბა ეს საკითხი: „რა შეადგენს მის საგანს: იდეალი თუ სინამდვილე? მასში უნდა ვხედავდეთ დადებით მეცნიერებას, რომელიც იკვლევს მხოლოდ ერთგვაროვნებას, თუ ხელოვნებას, რომლის ამოცანაა პრაქტიკული საქმიანობისათვის წესების შემუშავება?“ კინსის აზრით, ჩვეულებრივ აღიარებული იყო ორადი, რომელიც სინამდვილეში სამადი იყო. პირველი – კვლევა სამეურნეო მოვლენათა ჭეშმარიტი წესის, მათი არსებობისა და თანმიმდევრობის შესახებ ნამდვილ თუ სავარაუდო პირობებში; მეორე – კვლევა ეკონომიკური იდეალებისა და ისეთი კრიტერიუმის განსაზღვრა, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა ეკონომიკური პირობებისა და ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება; მესამე – ეკონომიკური წესების დადგენა, ე.ი. იმ განკარგულებათა შემუშავება, რომელთა დაცვა ხელს შეუწყობდა მოცემული მიზნის მეტი წარმატებით მიღწევას.

„იმის გამოკვლევა, თუ როგორ ნაწილდება საგადასახადო ტვირთი – თავისთავად დადებითი გამოკვლევაა. ასეთი პრობლემა სხვადასხვა სახის დაბეგრის შემოქმედებისა საქონელთა შედარებით ფასეულობაზე, ეს არის ფაქტობრივი ხასიათის გამოკვლევა. სხვა ფაქტორის პრობლემებზე გადასვლისას ჩვენ ვასხეავებთ დაბეგრის იდეალის განსაზღვრას დაბეგრის წესების დადგენისაგან, ამ სიგყვის უფრო ვიწრო მნიშვნელობით. ერთია – ამ საკითხის დაყენება – უნდა ვედილობდეთ თუ არა თანასწორობის მიღწევას დაბეგრაში; მეორე – იმის გამოკვლევა, თუ რა წესებით, მაგალითად, პროგრესული დაბეგრის სისტემის მიღებით თუ პირდაპირ

რი და არაპირდაპირი დაბეგვრის გონიერული შეხამებით შეიძლება მივაღწიოთ ასეთ თანასწორობასთან უფრო მეტ დაახლოებას³⁵.

ამრიგად, ჯ. კეინსის მიხედვით, პირველი გამოკვლევა ეკუთვნის დადებით მეცნიერებას, მეორე – ნორმატიულ, ანუ რეგულაციურ მეცნიერებას, ხოლო მესამე – არა მეცნიერებას, არამედ ხელოვნებას.

არსებითად ჯ. კეინსი ისევე აჯგუფებს სამეცნიერო დისციპლინებს, როგორც მენგერი, მაგრამ მისგან განსხვავებით, მენგერი მთელ ფინანსურ მეცნიერებას თვლიდა ხელოვნებად. ჯ. კეინსმა ფინანსური მეცნიერება სამ ნაწილად დაყო: ფაქტობრივი კვლევა, იდეალების განსაზღვრა და იდეალების მისაღწევი ხერხების დადგენა.

8. ზოგიერთი ფინანსისტი ფინანსების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად სახელმწიფოს მიერ იმ სახსრების მოპოვების აუცილებლობას ასახელებს, რაც საჭიროა კოლექტიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ცალკეულ ინდივიდს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნებიანი და ამიტომაც წარმოიშვა სახელმწიფო. ამ საკითხში აღნიშნული მიმართულების ფინანსური მოძღვრება მთლიანად იმეორებს პლატონსა და არისტოტელეს. პლატონი თვლიდა, რომ „...სახელმწიფო წარმოიშობა ადამიანის საჭიროებათაგან; არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნისა, მაგრამ თითოეულ ჩვენთაგანს მრავალი საჭიროება აქვს ... და ვინაიდან ჩვენ მრავალი საჭიროება გვაქვს და მათი დაკმაყოფილებისათვის ბევრი ადამიანია საჭირო, ჩვენ ავყავს ერთი თანაშემწე ერთი საჭიროებისათვის და მეორე – მეორისათვის და როდესაც ყველა ეს თანაშემწე ერთ ადგილზეა თავმეყრილი, მთელ ამ ჯგუფს შეიძლება სახელმწიფო ეწოდოს... ისინი უცვლიან ერთმანეთს – ერთი აძლევს, მეორე იღებს, იმ მიზნით, რომ ეს ორივეს კეთილდღეობას ემსახურება“³⁶. იმავე აზრისაა არისტოტელე: „...ინდივიდუუმს, როცა ის იზოლირებულია, არ შეუძლია ყველა თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ამიტომ ის ემსგავსება ნაწილს მთელთან შედარებით“³⁷.

ფინანსურ ლიტერატურაში კოლექტიურ მოთხოვნისაგან იმავე განსაზღვრას გვაძლევენ: იგალღიელი ფინანსისტი ფრანჩეს-

³⁵ Джон-Невилл Кейнс. Предмет и метод политической экономии, пер. с англ. А. Буковского, М., 1899, с. 24-26.

³⁶ Платон. О государстве, кн. 11. О законах, кн. 111.

³⁷ Аристотель. Политика, кн. 11.

კო ნიგი, გერმანელი ფინანსისტი კარლ ვებერგი, რუსი ფინანსისტი ივანე ოზეროვი და სხვ.

ნიგი წერს: „ფინანსური მეცნიერება იკვლევს, თუ როგორი წესებით მოიპოვებენ სახსრებს სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივი დაწესებულებანი და როგორ ხარჯავენ მათ, ე.ი. შეისწავლის თვით სახელმწიფოსა და ქვემდგომი ან შუალედური კოლექტიური ორგანოების, როგორც მაგალითად, ღომენების, ოლქების, დეპარტამენტების, საგრაფოების და ა.შ. ეკონომიკურ საქმიანობას“³⁸.

იგივე ამრი აქვს გამოთქმული ვებერგსაც: „მაგერიალური და არამაგერიალური თვისების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ფიზიკური, სულიერი და მნეობრივი ძალების შემდგომი განვითარება და აგრეთვე, უმაღლესი სასიცოცხლო მიზნების მიღწევა შეუძლებელია იმ კოლექტივის ორგანიზებული დახმარების გარეშე, რომელიც ბატონობს მოცემულ გერიგორიასა და მის მცხოვრებლებზე, თავის მხრივ წარმოშობს ახალ საზოგადოებრივსა და კოლექტიურ მოთხოვნილებებს“³⁹.

ამავე თეალსამრისს იზიარებს ი. ოზეროვიც: „ზოგ მოთხოვნილებებს ჩვენ თვითონ ვიკმაყოფილებთ, ზოგს – სხვა პირებთან ერთად, რისთვისაც ისტორიამ შეიმუშავა ადამიანთა კავშირები (სახელმწიფო, თემი და სხვ.). ინდივიდუალური ხასიათის მრავალი მოთხოვნილება დღეს გადადის ისეთ მოთხოვნილებათა რიგში, რომლებიც კოლექტიური გზით კმაყოფილდება... კოლექტიური მოთხოვნილებანი დღეს უზარმაზარ სახსრებს მოითხოვენ“⁴⁰.

9. სოციალური მიმართულება გავრცელდა გერმანიაში XX საუკუნის დასაწყისში. მას პქონდა სხვა სახელწოდებაც – პოლიტიკური ეკონომიის სოციალურ-ორგანული სკოლა. მისი მთავარი წარმომადგენლები იყვნენ: ა. ამონი, შგოლცმანი, პეტრი, ლიფმანი და სხვ.

ამ მიმართულების წამომადგენლებმა თავისი ყურადღება გაამახვილეს ინდივიდის ქცევის სოციალური დაპირისპირების კვლევაზე. მათ უარყვეს მეურნეობის მაგერიალურ-გექნიკური მხარის შესწავლა და პოლიტიკური ეკონომიის საგნად აღიარეს მეურნეობის სოცი-

³⁸ Ф. Штти. Основные начала финансовой науки. М., 1904.

³⁹ К. Т. Ф. Эберг. Курс финансовой науки. СПб, 1913, с. 1.

⁴⁰ И. Озеров. Основы финансовой науки. Вып. 1, 1909, с. 5; კოლექტიური მოთხოვნილებების შესახებ. იხილეთ აგრეთვე C. Menger. Grundsätze der Volkswirtschaftslehre. L., 1923, p. 7-8.

ალური მხარე, რომელიც გამოიხატებოდა ადამიანებს შორის სოციალურ ურთიერთობებში.

ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ა. ამონის აზრით, „თეორიული სოციალური მეცნიერების ობიექტად გვევლინება სოციალური ურთიერთობანი ან კიდევ მათ მიერ განპირობებული კანონზომიერებანი და სისწორენი“⁴¹.

იგი განიხილავს ადამიანის საქმიანობას ან როგორც მოქმედებას, განპირობებულს ცალკეული ინდივიდების ფსიქოლოგიური განცდებითა და მოტივებით, ან როგორც მოქმედებას, მიმართულს აუსილებელი დოვლათის მოსაპოვებლად, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მისი აზრით, დღევანდლამდე მეცნიერებაში გაბატონებული იყო ეს ორი თვალსაზრისი – ფსიქოლოგიური და ბუნებრივ-გექნიკური⁴². ამონის მიხედვით, უნდა შესწავლილ იქნეს არა საერთოდ მეურნეობა, მისი ნივთიერ-მატერიალური მხარე, არამედ სოციალური ურთიერთობანი.

ამონი ფინანსური მეცნიერების საგნად თვლიდა ფინანსურ მეურნეობას იმ განსხვავებით, რომ ადამიანის მეურნეობრივ საქმიანობაში მას ესმოდა სოციალური ურთიერთობანი. „ფინანსური მეცნიერება, – წერს იგი, – არის მოძღვრება საჯარო საზოგადოებრივ მეურნეობათა სახეების და ფორმების შესახებ. მაშასადამე, მოძღვრება საჯარო საზოგადოებრივი მეურნეობის, ანუ ფინანსური მეურნეობის შესახებ, რაც გამომდინარეობს კიდევაც მეურნეობის საჯაროობის ხასიათისაგან“⁴³.

სოციალური მიმართულების წამომადგენლებს ეკუთვნის გერპარდ კოლმი, რომელიც ამ თვალსაზრისით სწავლობდა სახელმწიფო ხარჯებს⁴⁴.

რუსეთში სოციალურ მიმართულებას ემხრობოდნენ ვ. ნ. გვერდოხლებოვი, ი. ოზეროვი, პ. პ. გენზელი და სხვანი, რომლებიც თვლიდნენ, რომ ფინანსური მეცნიერება იმყოფება განვითარების გარდამავალ სტადიაში, რომ გაბატონებული სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების ნაცვლად, გაჩნდა ახალი მიმართულება, რომელიც ცდილობს გადასინჯოს ფინანსური მეცნიერების შინაარსი. ვ. გვერდოხლებოვი წერდა: „ახალი მიმართულების არსებითი დამახასია-

⁴¹ Alfred Amonn. Objekt und Grundbegriffe der theoretischen Nationalökonomie. 1927, p. 178.

⁴² იქვე. გვ. 164.

⁴³ A. Amonn. Grundsätze der Finanzwissenschaft. Erster (allgemeiner) Teil. Berlin, 1947, p. 18.

⁴⁴ Gerhard Colm. Volkswirtschaftliche Theorie der Staatsausgaben. Tübingen, 1927.

თებელი ნიშნები, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სოციოლოგიური, შემდეგში მდგომარეობს: იგი მკვეთრად გამოიხატავს პოლიტიკისა და მეცნიერების სფეროებს და მეორის ამოცანად სახაევს მხოლოდ სინამდვილის კანონების შესწავლას, ფინანსურ მოვლენათა კვლევას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საერთოდ სოციალურ მოვლენათა სახეობას. მაშასადამე, ფინანსური მეცნიერება ხდება სოციოლოგიის ნაწილი, ანუ, უფრო მუსკად, ერთ-ერთი სოციალური მეცნიერება და უნდა შეითვისოს ამ უკანასკნელთა ყველა მეთოდი⁴⁵. ფინანსისგების ეს ჯგუფი მოითხოვდა ფინანსური მეცნიერების გათავისუფლებას ფინანსური პოლიტიკისაგან. საერთოდ, თეორიები ძალზე ბევრია.

ემილ ჯემსმა თავის წიგნში „XX საუკუნის ფინანსური ამრის ისტორია“⁴⁶ ჩამოთვალა სამოცმე მეტი დასახელების მიმართულება და სკოლა. ბ. სელიგმენი თხზულებაში – „თანამედროვე ეკონომიკური ამრის ძირითადი მიმართულებანი“⁴⁷, განიხილავს ორმოცდაათზე მეტ ძირითად მიმართულებასა და სკოლას და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათგან შემდეგი თეორიები: დასაქმებულობის, ნეოლიბერალიზმის, ეკონომიკური ზრდის, საყოველთაო სიუხვის, სახელმწიფოს საკუთრების დიფუზიის, კაპიტალთა დემოკრატიზაციის, ინდუსტრიალური საზოგადოების, კონვერგენციების, კოოპერაციული სოციალიზმის, ორგანიზაციული კაპიტალიზმის, გეგმური ანუ რეგულირებული კაპიტალიზმის შემოსავალში რეველუციის, მმართველობის რეველუციის, საბაზრო სოციალიზმის, ულტრაიმპერიალიზმის, წვრილგლეხური მეურნეობის მდგრადობისა და ა.შ.

ამ თეორიების მიერ შემოთავაზებულ კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირების საშუალებათა რიგში ფინანსები თანდათან იკავენს ერთ-ერთ პირველ ადგილს. ამით აიხსნება ის, რომ უკანასკნელ დროს ფინანსისგებმა ფინანსები წინა პლანზე წამოსწიეს და თელიან მას უპირველეს ეკონომიკურ მეცნიერებად.

ფინანსებით აღწარმოების რეგულირების ზოგიერთ თეორიას შეეხებით ფინანსების ძირითადი კატეგორიების გადმოცემასთან დაკავშირებით.

⁴⁵ В. Н. Твердохлебов. Задачи финансовой науки. Журн. „Божий мир“, 1903, №7.

⁴⁶ Emile James. Histoire de la pensia economique au XX-e siccle. Paris, 1955.

⁴⁷ В. В. Seligman. Main currents in modern economics. 1963.

თავი მეორე

სახელმწიფო ხარჯთა სისტემა

1. სახელმწიფო ხარჯების არსი

ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენს. ზოგიერთი მკვლევარი ამ უკანასკნელს არ თვლიდა ფინანსური მეცნიერების საგნად. სინამდვილეში სახელმწიფო თავის ფუნქციების შესასრულებლად ხარჯავს გარკვეული ოდენობის სახსრებს.

სახელმწიფო ხარჯები სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის გამომხატველი და ქვეყნის პოლიტიკური ვითარების დამახასიათებელია. სახელმწიფო ხარჯებით უზრუნველოფილია სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება.

სახელმწიფო ხარჯები გვიჩვენებენ სახელმწიფო შემოსავალთა მიმართულებას, იმას, თუ ვის სასარგებლოდ და რაში ხარჯავს სახელმწიფო მის მიერ აკუმულირებულ სამოგადობრივ სახსრებს. ამგვარად, სახელმწიფო ხარჯები, თავის მხრივ, ახასიათებენ სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობას. ისინი აპირობებენ სახელმწიფო შემოსავალთა მიღების აუცილებლობას.

თანამედროვე სახელმწიფოთა ხარჯები შეუჩერებლივ იზრდება და შესაბამისად იზრდება მისი ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში, ეს იმ დროს, როდესაც მისი დიდი ნაწილი ხასიათდება არამწარმოებლური გამოყენებით, ვინაიდან სახელმწიფო ხარჯთა უდიდესი ნაწილი გამოყენებულია არა ეროვნული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, არა ახალი ეროვნული შემოსავლის შესაქმნელად, არამედ სახელმწიფო აპარატის შესანახად, ომების საწარმოებლად. სხვაგვარად, ამ ხარჯების დიდი ნაწილი მიდის ისეთ მომსახურებათა დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს არ უწყობენ მაგერიალურ წარმოებას, არ ზრდიან ეროვნულ სიმდიდრეს, ეროვნულ შემოსავალს, მის იმ ნაწილს, რომელიც არამწარმოებლურად გამოიყენება. ეს არის მილიტარიზმი, გამალებული შეიარაღება, გამანადგურებელი დიდი ომებისათვის მზადება.

2. სახელმწიფო ხარჯთა შემადგენლობა

სამხედრო ხარჯები

სახელმწიფო ხარჯების დიდ ნაწილს შეადგენს სამხედრო ხარჯები. წარმოების შინაგან წინააღმდეგობათა გაფართოებასთან ერთად, ღრმავლება კონფლიქტები სახელმწიფოთა შორის და მწვეავლება სხვადასხვა ქვეყანას შორის ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე, რაც თავის მხრივ სახელმწიფოსაგან მოითხოვს სათანადო სამხედრო ძლიერებას ომების საწარმოებლად.

ომის წარმოების მთავარ იარაღს წარმოადგენს არმია. სახელმწიფოები ქმნიან დიდ არმიებს, რომელთა შენახვა უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვს. ეს არმიები ეროვნულ მეურნეობას ართმევენ მწარმოებლური ასაკის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომელთაც წინათ შექმნილი სიმდიდრით და წარმოებაში ღარჩენილ პირთა შრომით კვებავენ, მოსავენ და იარაღს უმზადებენ.

განსაკუთრებით ძვირი ჯდება სამხედრო ტექნიკა და დიდი არმიების შექმნა. სწორედ ამიტომ, უწინდელი ასეთი ხარჯები ისე დიდი არ იყო. მაგალითად, საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 წლის ომის ხარჯები ყველა ხარჯის 15%-ს არ აღემატებოდა. სამხედრო ტექნიკაც შედარებით დაბალი იყო და ჯარის რაოდენობაც შედარებით ნაკლები. 1812 წელს ნაპოლეონმა რუსეთის წინააღმდეგ შექმნა არმია 600 ათასი კაცის რაოდენობით. რუსეთის მთელი არმია იმ ხანად შეადგენდა 480 ათას კაცს, რომელთაგან ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდა მხოლოდ ნახევარი. საფრანგეთ-პრუსიის 1871 წლის ომის დროს ორივე მხარემ გამოიყვანა მილიონ-ნახევარი ჯარისკაცი. პირველი მოფლიო ომის დროს ომში ჩაბმულ იქნა დედამიწის მოსახლეობის ნახევარი და მეომარმა სახელმწიფოებმა თოფქვეშ დააყენეს 68 მილიონამდე ჯარისკაცი, მეორე მსოფლიო ომში ჩაბმულ იქნა მსოფლიო მოსახლეობის 92%, თოფქვეშ კი – 110 მილიონი ჯარისკაცი. ცხადია, ასეთი დიდი არმიები მაღალ სამხედრო ტექნიკასთან ერთად, მოითხოვენ დიდძალ ხარჯებს, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ასეული მილიარდი ფულის ერთეულით გამოიხატება.

სამხედრო ტექნიკის წარმოება ისე გაფართოვდა, რომ მთელი რიგი სახელმწიფოებისათვის ექსპორტის საგანი გახდა. მაგალითად, აშშ მესამე მსოფლიოს ქვეყნებს 1989 წელს მიჰყიდა 8 მი-

ლიარდ დოლარად ღირებული იარაღი, 1990 წელს – 18,5 მილიარდ დოლარად ღირებული; საბჭოთა კავშირმა 1989 წელს გაყიდა 11 მილიარდის, ხოლო 1990 წელს – 12,1 მილიარდის ოდენობით იარაღი¹.

თუ მე-19 საუკუნეში მოწინავე სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები არ აღემატებოდა ეროვნული შემოსავლის 8-14%, მეოცე საუკუნეში პირველი და მეორე მსოფლიო ომების პირობებში მან 60%-ს გადააჭარბა.

პირველი მსოფლიო ომი ამერიკელი ეკონომისტის გ. ფისკის გამოანგარიშებით, მეომარ ქვეყნებს ნომინალურ გამოხატულებაში 186 მილიარდი დოლარი დაუჯდა, ანუ 80,7 მილიარდი დოლარი ოქროთი. ამ თანხის სამი მეოთხედი საკმარისი იყო მთელ მსოფლიოში არსებული ყველა რკინიგზის ხელახლად ასაგებად².

მეორე მსოფლიო ომი, არაბუსტი გაანგარიშებით, დაჯდა 925 მილიარდი დოლარი³.

სამხედრო ხარჯები შედგება ომის მომზადებისა და წარმოების ხარჯებისაგან და ომის შედეგებით გამოწვეული ფინანსური გვირგვინისაგან. სამხედრო ხარჯები განიცდობს პირდაპირ სამხედრო ხარჯებად და არაპირდაპირ სამხედრო ხარჯებად, ასევე ომის შედეგების დაფინანსების ხარჯებად. ეს უკანასკნელი შედგება ომის დროს აღებული უზარმაზარი სესხების დაფარვისა და მისი სარგებლის გადახდისაგან, ინვალიდების პენსიებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებისაგან. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეხმარებიან აგრეთვე ომის დროს დაზარალებულ საწარმოებს და სოფლის მეურნეობას იმ ზარალის ასანამდლაურებლად, რომელიც მათ მიიღეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ომის დროს სახელმწიფოს მიერ მტკიცე ფასების დაწესებით.

არაპირდაპირ ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის ხარჯი, რომელიც შეიარაღებასთან არ არის დაკავშირებული (მაგ. სამხედრო განათლება, მშენებლობა და ა.შ.).

¹ «Известия», 13. VIII, 1991 г.

² Г. Фиска. Финансовое положение Европы и Америки после войны. М., 1926.

³ А. М. Алексеев. Военные финансы капиталистических государств. М., 1952, с. 60.

3. სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯები

აღსანიშნავია თვით სახელმწიფო მმართველობის აპარატისა და მის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხარჯები. როგორც ცნობილია, არ არსებობს საერთო საზოგადოებრივი წესრიგი. მას მოემსახურება სხვადასხვა სახის ინსტიტუტები, როგორცაა: სასამართლო, პოლიცია, მოხელეთა შტატი და ჯარი, რამდენადაც ეს უკანასკნელიც გამოიყენება ხოლმე საჭირო შემთხვევაში, საშინაო წესრიგის დასამყარებლად.

აუცილებელი ხდება საკუთრების უზრუნველყოფა სასამართლოთი, პოლიციითა და სხვ. ამავე ხარჯებს ეკუთვნის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების შენახვა, მთავრობის ადმინისტრაციული ორგანოების ხარჯები და სხვ. ეს ხარჯები დიდი ზომისაა. მეორე მსოფლიო ომის წინ აშშ ბიუროკრატიული მმართველობის აპარატის ხარჯები შეადგენდა ბიუჯეტის ხარჯთა 5,3%-ს, ინგლისის – 6,1%. მეორე მსოფლიო ომის წლებში ეს ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდა. არის ცდა ამ კატეგორიის ხარჯთა შემცირებისა.

სახელმწიფო იღებს მართლმსაჯულების ხარჯებს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს უფასოდ აწარმოებს. რაც შეეხება სამოქალაქო მართლმსაჯულებას, იგი უსასყიდლო არ არის. ამაში სახელმწიფო გარკვეულ სასყიდელს ღებულობს, ეგრეთ წოდებულ, სასამართლო მისაგებლის სახით.

სახელმწიფო აპარატის ხარჯის ერთ ნაწილს შეადგენს ცივილური ფურცელი. იგი განსაზღვრავს თანხას, რომელიც ეძლევა სახელმწიფოს მეთაურს პირადი სარგებლობისათვის და კარის შესანახად, ქველმოქმედებისა და წყალობის გასაღებად, ფულადი საჩუქრების, მოსაკითხებისა და სხვ. გასაცემად, ნადიმების მოსაწყობად. აქვე აღსანიშნავია საწარმომადგენლო დაწესებულებებისა და მინისტრთა კაბინეტების ხარჯები.

ამ ხარჯების სიდიდე დამოკიდებულია ეკონომიკურ-პოლიტიკურ პირობებსა და სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე.

ნელეულის ბაზებისა და გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება, განაწილება-გადანაწილება, მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, საზღვარგარეთის ქვეყნებში საკუთარი ქონებისა და საკუთარი მოსახლეობის სიცოცხლის დაცვა და სხვ. იწვევენ დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის აუცილებლობასა და მათი შენახვის ხარჯებს.

4. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარჯები

საქონლის წარმოება მოითხოვს ბაზრებზე გასვლას და მიმოსვლა-მიმომზიდვის საშუალებათა გადაადგილებას, ვინაიდან საქონელი დასრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც იგი ბაზარზეა გატანილი. ამიტომ სახელმწიფო ხელს უწყობს მიმოსვლა-მიმომზიდვის საშუალებათა გადაადგილებას, მსოფლიო ბაზარზე გასვლას. ამ მიზნით სახელმწიფო აგებს რკინიგზებს, ზღვისა და მდინარის ნავსადგურებს, ხელს უწყობს საფოსტო-საგელეგრაფო ურთიერთობის გაშლას, შარაგმების გაყვანას, ხიდების აგებას, ქუჩების გაყვანას, მდინარეებისა და ნაკადულების რაბევასა და მოწესრიგებას.

სახელმწიფო ამ სახის სამუშაოებს ეწევა საკუთარი ბიუჯეტით. ასეთი სახის სამუშაოებს ეწეიან ადგილობრივი ორგანოები და კერძო პირებიც. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო მას ეხმარება და სუბსიდიებით ახალისებს კერძო საქმიანობას. ამის შედეგად სახელმწიფოთა ბიუჯეტებში იზრდება ეკონომიკის დაფინანსების ხარჯები. აშშ კაპიტალურ დაბანდებათა 30%-ზე მეტი ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ფონდებისა და სახელმწიფო საწარმოთა სახსრებით. სახელმწიფო გაიღებს ხარჯებს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო მიმართავს წახალისებას, ნიშნავს სუბსიდიებს და პრემიებს პირუტყვისა და მცენარეების გადამღებ ავადმყოფობისაგან დაცვისათვის. საცდელი სადგურების მოწყობისათვის, ჰიდრაულიკურ ნაგებობებისათვის, სხვადასხვა მეღიორაციული ღონისძიებისათვის, პავის დაცვისათვის, სახელმწიფო ტყეების დაცვისა და კერძო ტყეების რეგლამენტაციისათვის.

ვაჭრობის დარგში სახელმწიფო ხარჯებს ეწევა თითოეული ქვეყნის პროდუქტების დაწვრილებით გასაცნობად. აღსანიშნავია კონსულებზე გაწეული ხარჯები, რამდენადაც ეს უკანასკნელნიც ერთგვარად სავაჭრო მზვერავეებს წარმოადგენენ, ასევე ხარჯები სავაჭრო ცნობათა კანგორებისათვის და სხვ.

მრეწველობის დარგში – ექსპორტიორ კერძო ფირმებს ათავისუფლებს გადასახადებისაგან, უკან უბრუნებს გადასახადებს, ანიჭებს სპეციალურ შეღავათებს, უნიშნავს საექსპორტო პრემიებს. მარალიან საწარმოებს აძლევს ღოგაციებს, ეხმარება საქონლის გაზიდვაში, ამაგრებს მათ კონკურენტუნარიანობას მსოფ-

ლიო ბაზარზე, აწარმოებს ზომა-წონის შემოწმებას, აქვეყნებს პატენტების სიას და სხვ.

სახელმწიფო კერძო გაერთიანებებს ეხმარება აგრეთვე შემდეგნაირად: კერძო საწარმოთა გაკოტრებისაგან გადარჩენის მიზნით, ბაზარზე ყიდულობს რომელიმე კერძო საწარმოს გაუფასურებულ აქციებს. არსებობს დახმარების სხვა ფორმები. სახელმწიფო თავის შემოსავლიან საწარმოებს აერთიანებს ზარალიან კერძო საწარმოებთან. ზოგიერთ საწარმოს ღეუციტის დასაფარავად პირდაპირ აძლევენ ბიუჯეტიდან ფულად სახსრებს.

კერძო საქმიანობისათვის დახმარების არაპირდაპირი გზები არსებობს: სახელმწიფო შემოიღებს მფარველობით ბაჟებს, შეისყიდის კერძო საწარმოთა „ნაჭარბ“ საქონელს ამ უკანასკნელზე ფასების აწევის მიზნით. სახელმწიფო ყიდულობს „ნაჭარბ“ სასოფლო-სამეურნეო საქონელს; ან კიდევ აწესებს კონტროლს ფასებზე.

5. სახელმწიფო კრედიტის სისტემის ხარჯები

სახელმწიფოს დიდი ხარჯი აქვს ვალებისა და მისი სარგებლის გადასახდელად. რაც უფრო იზრდება სახელმწიფოს დავალიანება, სამხედრო და სხვა მსგავსი ხარჯების გადიდებასთან დაკავშირებით, მით უფრო იზრდება ამ კატეგორიის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში.

მეორე მსოფლიო ომამდე სახელმწიფო ვალის ხარჯები ნოქავდნენ ყოველწლიური სახელმწიფო ხარჯების 20%-ზე მეტს. მეორე მსოფლიო ომის შედეგად ამ კატეგორიის ხარჯები გაიზარდა მილიარდობით. ამ ხარჯების მრდით დაინტერესებულია ფინანსური არისტოკრატია, რომლისთვისაც დიდი შემოსავლის მიღების საშუალებას წარმოადგენენ აგრეთვე საბირჟო ოპერაციები, ფასიანი ქაღალდების კურსის რყევა, რასაც ხელოვნურად იწვევენ ბირჟის სპეკულანტები, ბანკირები და მათი დამქაშები, ისინი ამას ადვილად ახერხებენ სხვადასხვა საშუალებით.

6. სოციალურ საჯიროებათა ხარჯები

სახელმწიფო ეწევა აგრეთვე სოციალურ-კულტურულ საჯიროებათა ხარჯებს. ამ მხრივ აღსანიშნავია განათლების ხარჯები.

თანამედროვე წარმოებას უფრო კვალიფიციური და კულტურული ძალა ესაჭიროება. ამასვე მოითხოვს რთული სამხედრო ტექნიკის შექმნა და გამოყენება.

მძიმე მრეწველობა მანქანების საშუალებით იწვევს მუშის ფუნქციებისა და შრომის პროცესების ცვლილებას. მრეწველობის საფუძველზე განვითარდა პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე პროფესიული სკოლები, სადაც ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა საწარმოო ინსტრუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას.

დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა ფიზიკა-მათემატიკურ, ქიმიის, კიბერნეტიკის, ტექნიკურ, ბიოლოგიურ და სხვა მეცნიერებებში მეცნიერება სამოგადოების მწარმოებლურ ძალად გადააქცია. ავტომატიზაციამ, კიბერნეტიზაციამ მკვეთრად გაზარდა შრომის მწარმოებლურობა. ამ ნიადაგზე მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა წილი შემცირდა და არამატერიალური წარმოების სფეროში – გაიზარდა.

რთული ტექნიკა რომ განავითარო და აითვისო, საჭიროა უმაღლესი, ყოველ შემთხვევაში, სპეციალური საშუალო განათლება მაინც.

სოციალურ-კულტურულ საჯიროებათა ხარჯები ითვალისწინებს აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებსაც. ადრინდელ პერიოდში ამ დარგს სახელმწიფო უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ქალაქებში მუშებისათვის შექმნილი ცუდი საბინაო პირობები და მათთვის მიგდებული ცუდი უბნები ჩნდებოდა, ყოველნაირ გადამდებ ავადმყოფობათა კერად იქცეოდა და აქედან ვრცელდებოდა არისგოკრატიულ უბნებშიც. იგალიელი ფინანსისტი პროფესორი ფრანჩესკო ნიტი წერდა: „განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას ჯანმრთელობის დარგში, მუშათა სახლებისა და კარგი სუფთა თავშესაფრების მოწყობას, სწორედ იმ დროიდან, როდესაც გამოიჩინა, რომ მიკრობები იბუდებენ ღარიბთა კვარტალებში; ისინი ცუდად აღზრდილნი არიან და

სინდისის უმხილებლად იჭრებიან მდიდართა კვარტლებშია⁴. დღეს სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჯანმრთელობის დაცვას. აშშ ჯანმრთელობის დაცვა მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა, მეურნეობრივი სტრუქტურის ელემენტად იქცა და ხარჯებიც გაიზარდა. მაგრამ სახელმწიფოების დიდ ნაწილში სამედიცინო დაწესებულებები კომერციულ საწყისებზე საქმიანობენ. სამედიცინო მომსახურება საკმარისად ძვირი ღირს. აშშ სამედიცინო მომსახურება თითქმის კერძო ხასიათს ატარებს. 50-იან წლებთან შედარებით, სამედიცინო მომსახურების ღირებულება თხუთმეტზე მეტად გაიზარდა. აშშ ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები გათვალისწინებულია როგორც ცენტრალურ ბიუჯეტებში, ისე შტატებსა და ადგილობრივ ორგანოთა ხელისუფლების ბიუჯეტებშიც.

ამ დარგს განეკუთვნება აგრეთვე სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები.

სოციალური დაზღვევა პირველად შემოღებულ იქნა გერმანიაში XIX საუკუნის მიწურულში, 1910 წელს – საფრანგეთში, 1911 წელს – ინგლისში და აშშ-ში. ზოგიერთ ქვეყანაში ის დღესაც არ არის შემოღებული ან დაზღვევის მხოლოდ ზოგიერთ სახეს ითვალისწინებს. სავალდებულო სოციალური დაზღვევა შემოღებულია მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მშრომელთა აქტიური მოთხოვნებით. სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის დამახასიათებელია თვითდაზღვევითი და თვითუზრუნველყოფითი ფორმა. სადაზღვევო ფონდი ძირითადად იქმნება ხელფასიდან და მეწარმეების შემოსავლიდან, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო სადაზღვევო ფონდის შექმნა სახელმწიფო სახსრების მონაწილეობითაც.

გერმანიაში სოციალური დაზღვევის ფონდი იქმნებოდა მუშებისა და მეწარმეების შემოსავალთა ანგარიშით. ფონდის ორი მესამედი მიიღებოდა ხელფასიდან და 1/3 – მეწარმეთა შემოსავლიდან. დაზღვევა ეხებოდა ავადმყოფობას, შრომით დაშავებულობას, მოხუცებულობას და ინვალიდობას.

ინგლისში სახელმწიფო დაზღვევა ეხება უმუშევრობის, ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევებს. სოციალური დაზღვევის 4/8 წილი სახელმწიფო სახსრებიდან შედგება.

⁴ Фр. Нитти. Основные начала финансовой науки. 1904, с. 12.

სოციალური დაზღვევა გულისხმობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მატერიალურ დახმარებას იმ პირების მიმართ, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი, ან არიან ღრმად მოხუცებულნი. მატერიალური დახმარების ეს სისტემა ეხება აგრეთვე მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. მრავალ ქვეყანაში სოციალური დაზღვევა ტარდება როგორც „გლახაკთა მოწყალება“. სოციალური უზრუნველყოფაც დიდ ნაწილში ემყარება მშრომელთა შენატანებს. ინგლისში მშრომელთა შენატანების წილი აღემატება მეწარმეთა შენატანებს; აშშ მშრომელთა შენატანები შეადგენს ნახევარს.

7. სახელმწიფო ხარჯების თეორიები

სახელმწიფო ხარჯებს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ჯერ კიდევ მერკანტილისტებმა. ისინი სიმდიდრის, ე.ი. ფულის, ძვირფასი ლითონების წყაროდ საგარეო ვაჭრობას მიიჩნევდნენ. ამისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს მეურნეობრივ საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა და ომები, რაც, როგორც ცნობილია, სახელმწიფოებისაგან დიდ სახსრებს მოითხოვდა, განსაკუთრებით სამხედრო ტექნიკის ზრდის პირობებში. ეს გარემოება იწვევდა სახელმწიფო ხარჯების კოლოსალურ ზრდასა და მის მნიშვნელობაზე ყურადღების მიპყრობას.

მწარმოებლური შრომის მერკანტილისტური გაგების საფუძველზე მწარმოებლურად ითვლებოდა სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც აფართოებდნენ მწარმოებლური შრომის ზრდის პირობებს, საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობისა და ქვეყნად სიმდიდრის დაგროვებისათვის.

ამ მხრივ საყურადღებოა დიომიდე კარაფა, თომას მანი, უილიამ ჰეგი.

სახელმწიფო ხარჯების შედარებით უფრო სწორ მეცნიერულ დასაბუთებას გვაძლევს უილიამ ჰეგი თავის შრომაში „ტრაქტატი გადასახადთა და მოსაკრებელთა შესახებ“⁵. ნაშრომის სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჰეგის შეეძლო სახელმწიფო ხარჯების საკითხს არ შეხებოდა. მაგრამ იგი ამ საკითხს ისეთ დიდ მნიშვნე-

⁵ W. Petty. A Treatise of Taxes and Contributions. 1662.

ლობას ანიჭებდა, რომ გადასახადები და მოსაკრებლები არ განიხილა სახელმწიფო ხარჯების გარეშე. ამასთანავე, ისიც საყურადღებოა, რომ მან სახელმწიფო ხარჯების საკითხი წინ წარუმძღვარა სახელმწიფო შემოსავალთა საკითხის შესწავლას. ამით პეტი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობა აპირობებს სახელმწიფო შემოსავალს როგორც მისი არსებობის, ისე მისი მწარმოებლური თუ არამწარმოებლური განსაზღვრულობის მხრივ.

პეტი კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯებს თავის უდიდეს ნაწილში ახასიათებს როგორც არამწარმოებლურს. ამიტომ იგი მოითხოვდა სახელმწიფო მმართველობის გაიაფებას, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას.

ამგვარად, პეტი ერთმანეთისაგან არჩევს მწარმოებლურსა და არამწარმოებლურ ხარჯებს და სახელმწიფო ხარჯების მთავარ მუხლებს არამწარმოებლურს აკუთვნებს.

ფიზიოკრატიების შეხედულება სახელმწიფო ხარჯების მწარმოებლურობისა თუ არამწარმოებლური ბუნების შესახებ ემყარება მწარმოებლური შრომის მათებურ გაგებას.

ფიზიოკრატიებმა სწორად აღნიშნეს, რომ კაპიტალისტური თვალსაზრისით მწარმოებლურია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას, სხვანაირად, ზედმეტ პროდუქტს ანუ „წმინდა პროდუქტს“, ამასთან, არა თავისთვის, არამედ წარმოების საშუალებათა მესაკუთრისათვის, მიწის მესაკუთრისათვის. მაგრამ ფიზიოკრატიები ცდებოდნენ იმაში, რომ მწარმოებლურ შრომად თვლიდნენ მხოლოდ სამიწათმოქმედო შრომას, ამასთანავე მათ სწორად არ ესმოდათ ზედმეტი პროდუქტის ცნება.

ამაზე დაყრდნობით, ფიზიოკრატიები მწარმოებლურ ხარჯებად თვლიდნენ სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარებას, სიმდიდრის ამ ერთადერთი წყაროს ზრდასა და განვითარებას მათი აზრით. სახელმწიფოს ხარჯები, რაც მიწათმოქმედების წარმოებას არ ხმარდება, და სინამდვილეში მისი დიდი ნაწილი სწორედ მას არ ხმარდება, — არამწარმოებლურია.

მალთუსელები მომხრენი იყვნენ მხოლოდ ნებაყოფლობითი მმრუნველობისა. იგი სავალდებულო არ უნდა იყოს, ის სახელმწიფოს არ უნდა ევალებოდეს. სავალდებულო მმრუნველობა

ხელს შეუწყობს ღარიბი კლასების გამრავლებას, რაც დაასუსტებს მშრომელი კლასების ენერჯიას. მალთუსელებს განსაკუთრებით აშფოთებდათ ის გარემოება, რომ სავალდებულო მშრუნველობა გლახაკთა შენახვის ხარჯებს მქონებელთა კლასებს აკისრებს სპეციალურ გადასახადს, ღარიბთა გადასახადის შემოღებით. ასეთი ღონისძიება, მათი აზრით, გაზრდის მოსახლეობას, იმატებს სიღატაკე და, მაშასადამე, უნდა გაიზარდოს მქონებელი კლასების დაბეგვრაც, ე.ი. მთელი საზოგადოება ეკონომიკურად უნდა განადგურდეს და გამოიფიგოს.

ამგვარად, მალთუსელები ამკარად უარყოფდნენ სოციალური დამღვევისა და სოციალური უზუნველყოფის ხარჯებსა და მათ გათვალისწინებას ბიუჯეტში.

ფრიტრედერები, რომლებიც წარმოადგენდნენ მრეწველი ბურჟუაზიის პარტიას, მოითხოვდნენ ვაჭრობის თავისუფლებას და სახელმწიფოს ჩაურევლობას მეურნეობრივ ცხოვრებაში, ისინი იბრძოდნენ ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთების მოსასპობად და ესწრაფოდნენ ბურჟუაზიის განუსაზღვრელ ბატონობას. მათი აზრით, მთელი საზოგადოება უნდა დაქვემდებარებოდა ბურჟუაზიული წარმოების კანონებს და ხელმძღვანელობა დაკისრებოდა საქმიან ხალხს, ფაბრიკანტებს. მიწათმოქმედებაც კაპიტალისტურ საწყისებზე უნდა აგებულიყო, მიწა უნდა გადაქცეულიყო საბაზრო საქონლად და მიწის საკუთრება მას დაქვემდებარებოდა. ამ საფუძველზე შემამულები უნდა მოსპობილიყვნენ და ქსოვილების ფაბრიკანტების მსგავსად, კვების პროდუქტების ფაბრიკანტებად ქცეულიყვნენ.

ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ძველ დაწესებულებებსა და ყოველგვარ არამწარმოებლურ ხარჯებს; მათი ლოზუნგი იყო: „რაც შეიძლება იაფად წარმოება და წარმოების ყოველგვარი faux frais (არამწარმოებლური ხარჯების) თავიდან აცილება“.

ამ არამწარმოებლურ ხარჯებს ეკუთვნის მეფის ხელისუფლება სასახლით, ლაქიებითა და „ცივილური ფურცლით“, მასვე ეკუთვნის ინგლისური კანონმდებლობის აპარატი, მისი კანცელარიული და სასამართლო სისტემა, აზნაურთა სინეკურები, ლორდთა პალატა, დიდი მუდმივი არმია, კოლონიები, ნაციონალური ომები, სახელმწიფო ეკლესია.

ამის საფუძველზე ისინი მოითხოვდნენ ხელისუფლების აპარატის გამარტივებას; უნდა დარჩენილიყო სამთავრობო ხელისუფ-

ლების ის მინიმალური ხარჯები, რაც აუცილებელი იყო საგარეო და საშინაო მმართველობის შესანახად.

ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ენერგიულად გაილაშქრა სახელმწიფოს არამწარმოებლური ხარჯების წინააღმდეგ. ა. სმიგის პირველი განმარტების მიხედვით, მწარმოებლურია შრომა, რომელიც უშუალოდ კაპიტალზე იცვლება. არამწარმოებლურია ისეთი შრომა, რომელიც იცვლება არა კაპიტალზე, არამედ უშუალოდ შემოსავალზე, ე.ი. ხელფასზე ან მოგებაზე (სარგებელსა და რენტაზე).

მწარმოებელი მუშაკი მისი სამუშაო ძალის მყიდველისათვის აწარმოებს საქონელს, არამწარმოებელი – უბრალოდ სახმარ ღირებულებას, რაც შეიძლება იყოს წარმოსახვითი და ნამდვილიც. არამწარმოებლისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი თავისი მყიდველისათვის საქონელს არ აწარმოებს, მაგრამ მისგან საქონელს ღებულობს. ამ საფუძველზე, ა. სმიგის გაგებით, სახელმწიფო ხარჯები არამწარმოებლურია, რადგან საზოგადოებრივი წოდებანი, რომელთა მომსახურების ანაზღაურებაზედაც ის იხარჯება, ღირებულებას არ ქმნის. თითქმის მთელი სახელმწიფო ხარჯები არამწარმოებლურ ელემენტთა შენახვაზე იხარჯება.

ად. სმიგმა თავისი ნაშრომის მეხუთე წიგნი მიუძღვნა სახელმწიფო ფინანსებს. იგი ფინანსების გადმოცემას იწყებს სახელმწიფო ხარჯების განხილვით.

სმიგი წერს: „საზოგადოების ზოგ ფრიად პატივცემულ წოდებათა შრომა, შინამოსამსახურეთა შრომასავით არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას და არ ღებულობს ფიქსაციას და რეალიზაციას რაიმე ხანგრძლივად არსებულ საგანში ან გასაყიდ საქონელში, რომელიც განაგრძობდეს შრომის შესრულების შემდეგ არსებობას და რომელშიაც შეიძლებოდეს შემდეგში მიღებულ იქნეს თანატოლი შრომის რაოდენობა. ხელმწიფე, მაგალითად, ყველა მისი მოსამართლე მოხელეებით და სამხედრო ოფიცრებითურთ, მთელი არმია და ფლოტი, არამწარმოებელ მშრომელებს წარმოადგენენ. ისინი მსახურნი არიან საზოგადოებისა და შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილით. მათი სამსახური, რაგინდ საპატიო, სასარგებლო ან აუცილებლად საჭიროც არ უნდა იყოს, არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შეიძლებოდეს თანატოლი ზომის სამსახურის მიღება შემდეგში.

სახელმწიფოს დაცვა და უშიშროება, რაც შედეგი არის მათი შრომისა ამ წელიწადში, ვერ იყიდის მის დაცვას და უშიშროებას მომავალ წელს. ერთსა და იმავე კლასს უნდა მიეკუთვნოს როგორც ზოგი ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი პროფესია, ისე ზოგი ფრიად ფუქსაეატურიც: მღვდლები, იურისტები, ექიმები, ყოველგვარი მწერლები, მსახიობები, ჯამბაზები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, მოცეკვავენი და სხვ. ამათში სულ უმცირესი ადამიანის შრომასაც აქვს განსაზღვრული ღირებულება, რომელიც იმ პრინციპებით წესრიგდება, რომელნიც განსაზღვრავენ ყოველი სხვა სახის შრომის ღირებულებას; მაგრამ ამათში უაღრესი კეთილშობილი და სასარგებლო პროფესიის შრომაც კი არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შემდეგში შეიძლებოდეს თანატოლი შრომის რაოდენობის ყიდვა, მოპოვება. მსგავსად მსახიობის დეკლამაციისა, ორაგორის სიგყვა ან მუსიკოსის მელოდიისა, ყველა იმათი შრომა პქრება მისი შესრულების მომენტშივე⁶.

ამის საფუძველზე სმიტი ასკენის, რომ სახელმწიფო ხარჯები არამწარმოებლურია. იგი წერს: „დიდი ერები არასოდეს არ ღარიბდებიან კერძო პირთა ბედოულათობისა და წინდაუხედაობის მიზეზით, მაგრამ არაიშვიათად ღარიბდებიან სახელმწიფო ხელისუფლების მფლანგველობისა და წინდაუხედავი საქმიანობის გამო. მთელი ან თითქმის მთელი სახელმწიფო შემოსავალი მეტწილ ქვეყნებში იხარჯება არაპროდუქტიული ელემენტების შესანახად. უკანასკნელთ უნდა მივაკუთვნოთ ყველა ისინი, ვინც შეადგენენ სამეფო კარის მრავალრიცხოვან და ბრწყინვალე ამაღას, ფართო საეკლესიო ორგანიზაციას, დიდ ფლოგსა და არმიას, რომელნიც არას აწარმოებენ მშვიდობიანობის დროს, ხოლო ომის დროს არას იძენენ ისეთს, რითაც შეიძლებოდეს დაფარულ იქნეს მათი შენახვის ხარჯები თუნდაც ომის განმავლობაში, ვინაიდან ასეთი ელემენტები თვითონ არას პქმნიან. ისინი შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტით. და, ამიტომ, როდესაც მათი რიცხვი საჭიროზე მეტად იზრდება, მათ შეიძლება ამ პროდუქტის ისე დიდი ნაწილი მოიხმარონ წლის განმავლობაში, რომ იქიდან აღარ დარჩება საკმარისი შესანახი მწარმოებელი მშრომელებისათვის,

⁶ ა. სმიტი. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, 1938 წ. გვ. 377.

რომელთაც უნდა მოახდინონ მისი რეპროდუქცია შემდეგ წელში ამის გამო შემდეგი წლის პროდუქტი შემცირდება წინა წლის პროდუქტთან შედარებით; და თუ ეს არანორმალური წესი გავრცელდა შემდგომაც, მესამე წლის პროდუქტი კიდევ უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე იყო მეორე წლისა. ამ არაპროდუქტიულმა ელემენტებმა, რომელთა შენახვას უნდა მოხმარებოდა მხოლოდ დამოგილი შემოსავლის ნაწილი. შეიძლება მთელი სახალხო შემოსავლის ისე დიდი ნაწილი მოიხმარონ და ასე ბევრი ადამიანი იძულებული ხელი ახლონ დასახარჯად თავიანთ კაპიტალებს, რომლებიც არამწარმოებლური შრომის შესანახად იყო დანიშნული, რომ ცალკეულ პირთა მთელმა მომჭირნეობამ და გონიერულმა საქმიანობამ, იქნებ ვერც კი გააწონასწოროს პროდუქტების ის განთავება და წარმოების დაცემა, რასაც გამოიწვევს კაპიტალის ეს ძლიერი და იძულებითი ხელის ხლება⁷.

რამდენადაც სმიტი მწარმოებლური შრომის გაგებაზე იდგა, სწორად წყვეტდა სახელმწიფოს ხარჯების არამწარმოებლურ ბუნებას და მისი გადიდების წინააღმდეგი იყო.

სმიტის მიერ მწარმოებლური შრომის პირველ გაგებას მხარს უჭერდა დავით რიკარდო. რიკარდო ამბობდა, რომ „მწარმოებელი მუშებისათვის“ უფრო სასარგებლოა მოგებისა და მიწის რენტის მესაკუთრეებმა ის მოიხმარონ „არამწარმოებელ მუშაკებზე“.

რიკარდო მთლიანად იზიარებს სმიტის შეხედულებას მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის განსხვავების შესახებ, რომ მწარმოებლური შრომა იცვლება უშუალოდ კაპიტალზე, არამწარმოებლური უშუალოდ შემოსავალზე. მაგრამ რიკარდო სმიტისებრ სინაზეს არ ავლენს მწარმოებელი მუშის მიმართ და სმიტისებური ილუზიები არა აქვს მათ შესახებ. მწარმოებელი მუშა სხვის სიმდიდრეს აწარმოებს, მწარმოებელ მუშად ყოფნა უბედურებაა.

ქვეყანა, რომელიც ომშია ჩაბმული და იძულებულია დიდი არმია და ფლოტი შეინახოს, ადამიანთა გაცილებით უფრო დიდ რაოდენობას გამოიყენებს საქმეში, ვიდრე მაშინ, როდესაც ომი გათავდება და მასთან დაკავშირებული ხარჯები შეწყდება. ომის

⁷ ა. სმიტი. გამოკლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, 1938 წ., გვ. 390-391.

შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ადამიანებზე მეტ მოთხოვნას ჯარისკაცებისა და მაგროსების სახით. ამიგომ ომი, რომელიც ქვეყნის შემოსავლის ხარჯზე იწარმოება და არა კაპიტალის ხარჯზე, ხელშემწყობია მოსახლეობის ზრდისთვის.

„ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ჩემი შემოსავლის ნაწილი უკან დამიბრუნდება და მე მას წინანდებურად ღვინის, ავეჯეულობის და ფუფუნების სხვა საგანთა საყიდლად დაეხარჯავ, მოსახლეობა, რომლის შენახვას ეს ნაწილი წინათ ხმარდებოდა და რომელსაც ომი აძლევდა მოსაქმეობას, მოჭარბებული გახდება, და მისი კონკურენცია დანარჩენ მოსახლეობასთან სამუშაოს ძიებისას დაბლა დასწევს ხელფასის ღირებულებას და არსებითად გააუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას“⁸.

რიკარდოს ეს შეხედულება – თითქოს სამხედრო ხარჯები მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობდეს, სწორი არ არის. არც ის არის სწორი, თითქოს მუშათა კლასისათვის ომი უკეთესია, ვინაიდან ომის დამთავრებით მოსახლეობა ჭარბი გახდება და მუშათა ხელფასი შემცირდება. ომი მუშათა კლასის ნაწილს პირდაპირ სპობს, როგორც საზარბაზნე ხორცს და სამხედრო ხარჯებისათვის გადასახადების გადიდებით, სესხის და მისი პროცენტების დაფარვით და ფულის გაუფასურებით ძალზე აუარესებს მუშათა მეორე ნაწილის მდგომარეობას. ანადგურებს მის ჯანმრთელობას და ამით მის ბუნებრივ ზრდას ხელს უშლის.

სიმონდ დე სისმონდი თავის შრომაში – „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საფუძვლები ანუ სიმდიდრის შესახებ მის ურთიერთობაში მოსახლეობასთან“⁹, სახელმწიფო ხარჯებს ახასიათებს როგორც არამწარმოებლურ ხარჯებს.

სისმონდიმ მიიღო მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტიცებური განსხვავების სწორი განმარტება. ამიგომ სისმონდი სახელმწიფო ხარჯებს, რომელთაც თვლის საზოგადოებრივად სასარგებლოდ და აუცილებელ ხარჯებად, განსაზღვრავს როგორც არამწარმოებლურ ხარჯებს.

⁸ დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგერის საფუძვლები. 1937, გვ. 337-338. თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

⁹ J. C-L. Simonde de Sismondi. Nouveaux principe d' economie politique, ou de la richesse das ses rapports avec la population. t. L. Paris, 1819, თავი 9.

ვინაიდან ჯონ სტიუარტ მილი მწარმოებლური შრომის საკითხში სმიტიესულ მეორე განმარტებას ემხრობა, ამიგომ მისი შეხედულება სახელმწიფო ხარჯების შესახებაც წინააღმდეგობრივია. მაგრამ ძირითადად იგი სახელმწიფო ხარჯებს მაინც თელის მწარმოებლურ ხარჯებად. იგი ამბობს, რომ შესაძლებელია მათ ეუწოდოთ არაპირდაპირად მწარმოებლური ხარჯებით.

ეკონომისტების ნაწილმა უარყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შეხედულება სახელმწიფო ხარჯებზე. ისინი შეეცადნენ გაემართლებინათ სახელმწიფო ხარჯების ყოველგვარი ზრდა, უარეყოთ სახელმწიფო ხარჯთა არამწარმოებლური ხასიათი. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ეერმენ გარნიე, რომელიც იძლევა სმიტისა და ფიზიოკრატების თეორიების ეულგარიზაციას. მან თარგმნა სმიტის შრომა და თარგმანს ვაუკეთა შენიშვნები. გარნიე კითხულობს, თუ რატომ არის მწარმოებლური „ეერძო სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოს ინსპექტორის ან ღირეექტორის შრომა, და არამწარმოებლური მთაერობის მოხელის შრომა, რომელიც ზეღამხედველობს, რომ სათანადოდ მოვლილი იყოს სამოგადოებრივი გზები, სანაოსნო არხები, ნავსადგურები, ფულადი სისტემა და ვაჭრობის გამაცოცხლებელი სხვა მნიშვნელოვანი საშუალებები, რომელიც თვალყურს ადევნებს გრანსპორტისა და კომუნიკაციების უშიშროებას, ხელშეკრულების შესრულებას და სხვა. იგი თავისი უფლებებით შესაძლებელია ჩაითელოს დიდი სამოგადოებრივი მანუფაქტურის ინსპექტორად. ეს სავსებით ისეთივე შრომაა, რომელიც უფრო დიდი მასშტაბით სრულდება“ (გვ. 172-173)¹⁰.

გარნიეს აზრით, მოხმარება წარმოადგენს წარმოების წყაროს და უკანასკნელის სიდიდე ვაიზომება პირველი სიდიდით. არამწარმოებელი მუშაკები ყოველმხრივ სასარგებლონი არიან, ვინაიდან ისინი აკმაყოფილებენ „ხელოვნურ მოთხოვნილებებს“ და მოიხმარენ მატერიალურ პროდუქტებს. ის ეკონომიის წინააღმდეგია. თავისი წიგნის წინასიტყევაობაში წერს: „ცალკეული პირის სიმდიდრე იზრდება მოჭირნეობის საშუალებით; სამოგადოებრივი სიმდიდრე პირიქით, იზრდება მოხმარების ვადილების შედეგად“¹¹.

¹⁰ К. Маркс. Теория прибавочной стоимости. ч. I, М., 1954. с. 155.

¹¹ Garniers Germain. Abrege elementaire des principes de l'economie politique. Paris. 1796, p. XIII.

ამგვარად, გარნიეს აზრით, მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები მწარმოებლური ხარჯებია. სახელმწიფო ხარჯები ზრდიან „ხელოვნურ მოთხოვნილებებს“. ამ უკანასკნელის ზრდას გულისხმობს მაგერიალური პროდუქტების მოხმარების ზრდა, მოხმარება კი წარმოების წყაროა. ამიტომ არამწარმოებელი მუშაკებიც სასარგებლონი არიან. მოხმარების გადიდება საზოგადოებრივ სიმდიდრეს ზრდის. მამასადამე, სახელმწიფო ხარჯები საზოგადოებრივ სიმდიდრეს ზრდის და ამიტომ ისინი მწარმოებლურ ხარჯებად უნდა ჩაითვალოს.

ასევე მართებული არ არის ამ საკითხში ჟ. რ. სეის¹² შეხედულება. სეი არ არის მართალი, რომ სმიტი თითქმის უარყოფს იმას, რომ საქმიანობის ეს სახეები ამა თუ იმ პროდუქტს აწარმოებენ. მას აღნიშნული აქვს სახელმწიფოს მსახურთა „წლიური შრომის შედეგები დამატებითი განსაზღვრის მიხედვით. სმიტი იმ აზრისაა, რომ „მომსახურების“ პროდუქტი შესრულების მომენტში ქრება. სეი ამგვარ მომსახურებას და მის პროდუქტებს უწოდებს არამატერიალურ პროდუქტებს და მოცემული დარგის მუშაკებს არ უწოდებს „არამწარმოებლურს“ და უწოდებს „არამატერიალური პროდუქტების მწარმოებლებს“. დასასრულ, ის მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ დარგის შრომა არამწარმოებლურია. სეი ეკამათება გარნიეს სწორ დებულებას, რომ ექიმების, იურისტების და სხვა მსგავს პირთა შრომის გადიდება ერისათვის სასარგებლოა. სეის გაგებით, ეს შრომა არ მოემსახურება ეროვნული კაპიტალის გადიდებას, ვინაიდან არ არის სახეირო, მწარმოებლური შრომა იმაზე მეტად გაიზარდოს, ვიდრე მოთხოვნილებაა მასზე.

სეის აზრით, აქ იგივე ხდება, რაც ფიზიკური შრომის მიმართ, როდესაც მას პროდუქტის დასამზადებლად იმაზე მეტი რაოდენობით დახარჯავენ, ვიდრე აუცილებელია მის დასამზადებლად, როგორც მაგიდის დამზადებაზე იმაზე მეტი შრომა არ უნდა დაიხარჯოს, ვიდრე საჭიროა მის დასამზადებლად, ასევე ავაღმყოფი სხეულის „შეკეთებაზე“ არ უნდა დაიხარჯოს იმაზე მეტი შრომა, ვიდრე საჭიროა მის განსაკურნავად. ამგვარად, ექიმები და ადვოკატები მხოლოდ აუცილებელ შრომას უნდა ხარჯავდნენ¹³. სეის მიხედვით,

¹² Say Y. R. *Traité d'économie politique*. Tome I...მესამე გამოცემის კვერდი 117.

¹³ იქვე, გვ. 120.

„არასდროს არ შეიძლება წარმოებულ იქნეს მეტად ბევრი მაგიდა, და მეტად ცოცა, ვთქვათ ჯამი, რომლებიც მაგიდაზე უნდა დაიდგას“.

ამგვარად, სეის მიხედვით უსარგებლო მწარმოებლებად ითვლებიან ისინი, რომლებიც პროდუქტებს ამზადებენ მოთხოვნილებაზე მეტად. არამწარმოებლური მუშაკების რიცხვი ვერასოდეს ვერ გაიზრდება საკმარისი რაოდენობით. ამიტომ ზომამზე მეტად ვერ გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები.

მკვლევართა ერთი ნაწილი სახელმწიფო ხარჯებს არ თვლის ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგნად.

ამ ჯგუფს შესაძლებელია მიეკუთვნოს კარლ პაინრიხ რაუ, რომელიც თავის შრომაში, მართალია სახელმწიფო ხარჯებს საკმარისად დაწვრილებით განიხილავს, მაგრამ სახელმწიფო ხარჯთა დასაბუთება არ მიაჩნია ფინანსური მეცნიერების საკითხად¹⁴.

ამავე პოზიციამზე დგას ლერუა ბოლიე. იგი სახელმწიფო ხარჯებს არ ცნობს ფინანსური მეცნიერების შესწავლის საგნად.

იგი ემხრობა შეხედულებას, რომელიც მოითხოვდა საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის შემღვდევასა და სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას.

რაუსა და ლერუა ბოლიეს შეხედულებას იზიარებდნენ რუსი ფინანსისგები აკად. მ. ი. იანეული და პროფ. ი. ხ. ოზეროვი.

იანეულის აზრით, სახელმწიფო ხარჯების განხილვა მეტისმეტად აფართოებს ფინანსური მეცნიერების ფარგლებს და მასში შეაქვს ისეთი საკითხები, რომლებიც სრულიად სხვა მეცნიერების დარგს ეკუთვნიან. მოძღვრება სახელმწიფო ხარჯების შესახებ მთლიანად გამომდინარეობს სახელმწიფოსა და მის მოვალეობათა არსის ცნებიდან, რაც განპირობებულია სახელმწიფოს ორგანიზაციით, მმართველობის ფორმით, მთავრობის დაწესებულებათა მოწყობილობით, ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებით და სხვა. იგი, როგორც ასეთი, მთელი თავისი მოცულობით ეკუთვნის სახელმწიფო ან პოლიტიკურ სამართალს, რომელთა გამგებლობას ეკუთვნის მოცემული საკითხები, და არამც და არამც ფინანსურ მეცნიერებას, რომელსაც კვლევის სავსებით სპეციალური დარგი აქვს ...ჩვენ ასევე მთლიანად გამოვირიცხავთ ჩვენი კურსიდან მოძღვრებას სახელმწიფო ხარჯების შესახებ¹⁵.

¹⁴ K. H. Rau. Lehrbuch der Finanzwissenschaft. L. u. H., 1872., p. 32-242.

¹⁵ М. И. Янжул. Основные начала финансовой науки. 1890., с. 20.

ომეროვის ამრითაც, ფინანსური მეცნიერება არ შეისწავლის სახელმწიფო ხარჯებს. „... საკითხი იმ მიზნების შესახებ, რაზედაც სახელმწიფო და თემები ხარჯავენ თავიანთ საშუალებებს, შეადგენს საგანს მეცნიერებისა მმართველობის შესახებ. ზემოხსენებული ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობის მეორე მხარე შეიცავს ფინანსური მეცნიერების შინაარსს“¹⁶.

მეცნიერთა ნაწილი სახელმწიფო ხარჯებს განიხილავს როგორც კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. მაგალითისათვის შესაძლებელია დაეასახელოთ იტალიელი ფინანსისტი ფრანჩესკო ნიტი და გერმანელი ფინანსისტი კ. ეებერგი.

ფრანჩესკო ნიტის ამრით, ფინანსური მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს სახელმწიფო ხარჯების საკითხსაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო შემოსავალთან. „ამიგომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ღუმლით მიზემებს, რომლებიც აპირობებენ ცვლილებებს ამ სფეროში“¹⁷.

ნიტის ამრით, სახელმწიფო ხარჯები გამოიყენება სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს მოთხოვნილებები კოლექტიური მოთხოვნილებებია.

ფრ. ნიტი ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფო ხარჯების საკითხი შესაძლებელია აინტერესებდეს პოლიტიკას და არა ფინანსურ მეცნიერებას.

ეებერგიც, ისევე როგორც ნიტი, ასაბუთებს, რომ ფინანსური მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს სახელმწიფო ხარჯების საკითხსაც. მისი ამრით, დიდი დანაკლისი იქნებოდა ფინანსური მეცნიერებისათვის... „მმართველობის იმ მიზნების სრული უცოდინარობა, რისი გულისათვისაც სწარმოებს ფინანსური მეურნეობის მუშაობა. ამიგომ ფინანსური მეცნიერება ზოგად ხაზებში მაინც, უნდა შეისწავლიდეს საკითხს მოთხოვნილებათა ან ხარჯთა ორგანიზაციის შესახებ“¹⁸. ეებერგის მიხედვით, ეს მოთხოვნილებები და მათ დასაკმაყოფილებლად გაწეული ხარჯები კოლექტიური ხასიათისაა. ადამიანის მრავალფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება „შეუძლებელია კოლექტივის ორგანიზებული დახმარების გარეშე, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის გარეშე,

¹⁶ И. Х. Озеров. Основы финансовой науки. Вып. 1, 1909., с. 15.

¹⁷ Франческо Нитти. Основные начала финансовой науки. 1904, с. 14.

¹⁸ K. Th. Ebeberg. Finanzwissenschaft. L., 1909, p. 13.

რომლებიც ბაგონობენ გერიგორიასა და მის მცხოვრებლებზე და თავის მხრივ, ბადებენ ახალ საზოგადოებრივ ან კოლექტიურ მოთხოვნილებებს¹⁹.

ამგვარად, ფინანსისგთა მეორე ჯგუფმა მიზანშეწონილად ცნო სახელმწიფო ხარჯები ფინანსური მეცნიერების შესწავლის ფარგლებში შეტანილიყო, მაგრამ სახელმწიფო ხარჯები აღიარა კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებად.

შეიქმნა თეორიები, რომლის მიხედვით სახელმწიფო ხარჯები მწარმოებლურ ხარჯებად გამოცხადდა. მათი აზრით, სახელმწიფო ხარჯებით, კერძოდ კი სამხედრო ხარჯებით, შესაძლებელია ეკონომიკის რეგულირება, მოსახლეობის გადახდის უნარის გადიდება. ასეთ შეხედულებას გამოხატავს ჯონ მეინარდ კეინსის თეორია.

მისი აზრით, „...გადასაყარ ხარჯებს, რომლებიც იფარება სესხით, შეუძლია საბოლოოდ არა ნაკლებად გაამდიდროს საზოგადოება. პირამიდების აგებას, მიწისძვრებს, ომსაც კი შეუძლიათ სიმდიდრის გადიდება“.

„... უმუშევართა დახმარება, რომელსაც აფინანსებენ სესხის ანგარიშით, უფრო ადვილად მიიჩნევა მისაღებად, ვიდრე დანახარჯები მელიორაციამზე, რომლებიც თავს ინაზღაურებენ პროცენტის არსებული ნორმით. ამავე დროს, მიწის ორმოების თხრა, რასაც ეწოდება ოქროს მოპოვება, რომელიც არა მარტო არაფერს უმატებს მსოფლიოს ნამდვილ სიმდიდრეს, არამედ კიდევ მოითხოვს შრომას, განიხილება, როგორც საუკეთესო – ყველა გადაწყვეტილებათა შორის.

ხაზინას რომ აევსო ძველი ბოთლები ბანკნოტებით და დაემარხა შესაბამის სიღრმეზე ქვანახშირის უმოქმედო მალაროებში, შემდეგ იგი ქალაქის ნავით აევსო პირამდე და ამის შემდეგ მიენდო კერძო ინიციატივისათვის Laiser-faire-ის კარვად ნაცად პრინციპების საფუძველზე, ამ ბანკნოტების მიწიდან ამოთხრა (ამასთან ასეთი უფლების მიღებისათვის საჭირო იქნებოდა, რასაკვირველია, შესაფერისი იჯარით გაცემულიყო ბანკნოტის მომცემი მოედანი) უმუშევრობა აღარ იქნებოდა და ეს არაპირდაპირად მიგვიყვანდა, ალბათ საზოგადოების რეალური შემოსავლის და მისი კაპიტალური სიმდიდრის საგრძნობ გადიდებამდე.

¹⁹ K. Th. Eheberg. Finanzwissenschaft. L., 1909, gv. 13.

რასაკვირველია, უფრო ჭკვიანური იქნებოდა სახლების აგება და სხვა... ისევე როგორც ომები მსხვილი ხარჯების ერთადერთი ფორმაა უმარამაზარი სესხების ანგარიშით, რომელსაც სახელმწიფო მოღვაწეები გამართლებულად თვლიან, ასევე ოქროს ამოღება წარმოადგენს ერთადერთ საბაბს მიწის ორმოების სათხრელად, რომელიც ბანკირების მიერ განიხილება, როგორც ჯანსაღი ფინანსური საწარმო²⁰.

ამგვარად, გამოდის, რომ ამგვარი ხასიათის სახელმწიფო დაბანდებასაც შეუძლია ახალი შემოსავლის წარმოშობა, ამ საფუძველზე იზრდება მოსახლეობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნა, ეს უკანასკნელი ქმნის ახალ საწარმოებს. პირველ რიგში, საკვები პროდუქტების, განსაცმლისა და სხვ. სამომხმარებლო საშუალებათა წარმოების გაფართოება იწვევს წარმოების საშუალებათა წარმოების გაფართოებას და ასე შემდეგ.

კეინსის აზრით, ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა სახელმწიფო აქტიურად ჩაერიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომელშიც დიდ როლს ასრულებს ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს დასაქმების დონეს და შემოსავლის სიდიდეს. ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია შედგება ორი სიდიდისაგან – სამომხმარებლო საქონლისა, მომსახურების ხარჯებისა და კაპიტალის დაგროვებასთან დაკავშირებულ მეწარმეთა ხარჯებისაგან.

ამერიკელი ეკონომისტი ელვინ ჰარვეი ჰანსენი ქადაგებს ციკლთა ინვესტიციურ თეორიას. მისი მიზანია კეინსის „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიის საფუძველზე გამოძებნოს საშუალებები გამანადგურებელი ციკლური კრიზისების მოსასპობად. ჰანსენი დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ეკონომიკური ზრდის პროცესში. ციკლური კრიზისების მოსპობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიაჩნია მას სახელმწიფო ხარჯები. თავის ნაშრომში²¹ სახელმწიფო ხარჯებს მიუძღვნა სპეციალური თავი²².

ჰანსენის აზრით, სახელმწიფო ხარჯებით და კერძოდ, ავტონომიური ინვესტიციებით, შესაძლებელია ეროვნული შემოსავლის გაფართოება და შემოკლება.

²⁰ Дж. М. Канне. Общая теория занятости, процента и денег. М., 1949, с. 124-125.

²¹ Alvin H. Hansen. Business Cycle and National Income. № 4, 1951.

²² იქვე, თავი XII. „სახელმწიფო ხარჯები, ინვესტიციები და მოხმარება“.

იგი შემოსავალზე სახელმწიფო ხარჯების მეგაელენის ფორმების მიხედვით არჩევს სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც სესხებით იფარება და სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც გადასახადებით იფარება.

პანსენი ამ ურთიერთობას მათემატიკური ფორმულის განტოლების სახით გამოხატავს.

პირველ განტოლებაში გამოყოფილია სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც სესხებით იფარება – L , მას უმატებს კერძო ინვესტიციებს I , სახელმწიფო ხარჯთა ეს კატეგორია შესაძლებელია განხილულ იქნეს ალგებრულად, როგორც დადებითი ან უარყოფითი სიდიდე. ის, როგორც დადებითი სიდიდე, როგორც სესხით დაფარული სახელმწიფო ხარჯთა ჯამი, გამოხატავს ბიუჯეტურ დეფიციტს, როგორც უარყოფითი სიდიდე – გამოხატავს ბიუჯეტურ გარდამეტს.

განტოლებას ექნება შემდეგი სახე: $y=(I+L)+T(y)+c(y)$. აქედან $(I+L)$ წარმოადგენს კერძო ინვესტიციებს პლუს ბიუჯეტური დეფიციტი (ან მინუს ბიუჯეტური გარდამეტი). $T(y)$ – ეს არის გადასახადურ შემოსულობათა გრაფიკი შემოსავლის სხვადასხვა დონის დროს. ამას პანსენი უწოდებს „გადასახადთა გრაფიკს“ ან „გადასახადთა ფუნქციას“.

$c(y)$ – არის მოხმარების ფუნქცია. ეს პანსენს გამოხატული აქვს დიაგრამით²³.

შემდეგ პანსენი განიხილავს სახელმწიფო ხარჯთა დაფინანსების სამ ხერხს: პროპორციული საშემოსავლო გადასახადები, რომელსაც იხდის ყველა შემოსავლის მიმღები და მათ ისე ახდენენ, რომ შემოსავალთა განაწილება უცვლელი რჩება; პროგრესული საშემოსავლო გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწეება შემოსავლის მიმღებ საშუალო ჯგუფთა ზედა ნაწილს, მდიდარ ჯგუფებს და ამით დაზოგვას ამცირებს, დაფინანსება სესხის საშუალებით, რომელიც არ არღვევს ნორმალურ შეფარებას მოხმარებასა და დაზოგვას შორის. ის პანსენის მიხედვით, ყველა არხს უხსნის დაზოგვას, რომლის გამოყენება მოსახლეობას სურს. ის ამიტომ არ ეხება შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობას, როგორც მოხმარების, ისე დაზოგვის მიზნებისათვის.

²³ Alvin H. Hansen. Business, Cycle and National Income. №4, 1951, p. 57.

ჰანსენი სახელმწიფო ხარჯების გავლენას შემოსავალზე განიხილავს დაფინანსების ამ სამივე წესის პირობებში. ის წერს, რომ შეიცვალა შეხედულება, თითქოს სახელმწიფო ხარჯები ისეთი გადასახადებითაა დაფინანსებული, რომელთაც არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ შემოსავლის განაწილებაზე, ვერ ასწევენ შემოსავლის დონეს. დღევანდელი შეხედულებით ასეთ ხარჯებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ექსპანსიის მხრივ.

დაეუშვათ, ამბობს ჰანსენი, რომ საზოგადოებაში, სადაც შემოსავლის არსებული დონე მუდმივად შენარჩუნებულია, არსებობს უმუშევრები. ამასთან, გაეითვალისწინოთ, რომ შეიქმნა ახალი საწარმოები, რომლებიც ახალ შემოსავალს აძლევენ მუშებსა და აქციონერებს, ისინი შემოსავალთა ნაკადში უშუალოდ უკანვე ისერიან ამ შემოსავლებს. დაეუშვათ აგრეთვე, რომ კიდევ დარჩნენ უმუშევრები, წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფომ კიდევ წამოიწყო საზოგადოებრივი სამუშაოები, ან შექმნა დაწესებულებანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ საზოგადოებას. აქ ისინი გასცემენ დამატებით შემოსავალს. იგი ემატება შემოსავალთა ნაკადს და იმ ჯამის გოლი იქნება, რომელსაც მიღებულ მომსახურებაში იხდის მოსახლეობა გადასახადების სახით.

ამ შემთხვევაში მოსახლეობა თავისუფლდება უმუშევართა შენახვის ხარჯებისაგან. დამატებითი შემოსავალი ცოცხად თუ ბევრად ნაწილდება მთელ მოსახლეობაზე.

ხარჯები აქ იფარება ფასებისა და გადასახადების საშუალებით. იგი საკმარისია მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და არ ეხება საზოგადოების არსებულ მსყიდველობით უნარს.

სახელმწიფო ხარჯთა დაფინანსების მეორე ხერხის დროს, სახელმწიფო ხარჯთა გადიდება იფარება პროგრესული სამემოსავლო გადასახადით. ეს გადასახადი მოხმარებას სუსტად ეხება, დამოგვას – უფრო სერიოზულად, ამიგომ აქ კერძო მოხმარების ფუნქცია უფრო ნაკლები ხარისხით იქნება შემცირებული, ვიდრე წინა შემთხვევაში.

მესამე შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხარჯები სესხებით იფარება, მოხმარების ფუნქცია არ მცირდება რაიმე ახალი გადასახადებით, აქ ახალი სახელმწიფო ხარჯები მრდიან შემოსავალს.

ჰანსენის კონცეფცია სახელმწიფო ხარჯთა და გადასახადთა ბუნებისა და როლის შესახებ მეტად წინააღმდეგობრივია. სახელმწიფო

ხარჯთა უდიდესი ნაწილი არამწარმოებლურია. ის აკლდება მაგერიალური წარმოების სფეროში მშრომელთა მიერ შექმნილ ეროვნულ შემოსავალს, უდიდესი ნაწილი კი მიდის სამხედრო ხარჯებისათვის. სახელმწიფო შემოსავალთა დიდი ნაწილი საბოლოო ანგარიშით (გადაკისრების მხედველობაში მიღებით) ეკისრება მშრომელებს, სახელმწიფო ხარჯთა წყაროდ დამატებითი მოგება გამოდის.

პანსენის კონცეფციით გადასახადების ანგარიშით დაფარული სახელმწიფო ხარჯები თითქოს იწვევს ეროვნული შემოსავლის ზრდას, ისევე როგორც ეს შესაძლებელია წარმოების გაფართოებით, როდესაც სახელმწიფო საზოგადოებრივ სამუშაოებს აწყობს ან მომსახურებას ეწვეა გადასახადების ანგარიშებით, ამით სახელმწიფო იხდის არა „დამატებით“ შემოსავალს, არამედ პირველადი შემოსავლის გადანაწილებას ახდენს. გადასახადების გზით აკრეფილი ეს გადანაწილებული შემოსავალი არ წარმოადგენს „შემოსავალთა ნაკადის დამატებას“, ვინაიდან სახელმწიფომ იგი უკვე გამოაკლო პირველად შემოსავალს მანამდე, სანამ მას მუშებსა და მოსამსახურეებს გადაუხდოდა.

აღსანიშნავია ნეოლიბერალიზმის თეორია, რომელიც აღიარებს თავისუფალ მეწარმეობას, თუმცა არ უარყოფს ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევას²⁴ და მონოპოლიების დასაცავად კეინსიანური პოლიტიკის გატარებას.

„ეკონომიკური ზრდის“ თეორია ეწინააღმდეგება ჯონ მეინარდ კეინსის „სრული დასაქმების პრობლემას“. იგი ბრძოლისათვის საჭიროდ თვლის სახელმწიფო რეგულირების კეინსიანური მეთოდების გამოყენებას; რეგულირების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯები.

საყურადღებოა აგრეთვე „სოციალურ ღონისძიებათა ხარჯების“ თეორია, რომელსაც აყენებს ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მიმდინარეობა ჯონ გოლბრეითის ხელმძღვანელობით. იგი თავის ნაშრომში – „სიუხვის საზოგადოება“, უარყოფს კეინსის „სრული დასაქმების“ თეორიას, ნეოკეინსიანელთა ზრდის ტემპების თეორიას და სხვ. მისთვის საშიში არ არის მასობრივი უმუშე-

²⁴ იხ. მაგალითად I. Galbreith. *The Affluent Society*. London, 1958.

ერობა და საჭიროდ არ თელის სახელმწიფოებრივ რეგულირებას დაგროვების გასადიდებლად.

იგი შინაური ბაზრის გაფართოებას უიქრობს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების გადიდებით. კაპიტალიზმის პოზიციების განსამტკიცებლად მთავარ საშუალებად მიაჩნია სოციალურ-კულტურული ხარჯების გადიდება. ეს მისი მოთხოვნაა საერთოდაც განუხორციელებელია.

თავი მესამე

სახელმწიფო შემოსავალთა სისტემა

იმ დიდი ხარჯების დასაფარავად, რომელსაც სახელმწიფო ეწევა, აუცილებელია შესაბამისი ოდენობის ფულადი სახსრები, სახელმწიფო შემოსავალი. სახელმწიფო შემოსავალი მრავალფეროვანია თავისი სახეების, სახსრების მობილიზაციის, ფინანსური მეთოდებისა და წყაროს მიხედვით. იგი შედგება სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისაგან, სახელმწიფო საწარმოების შემოსავლებისაგან, მთავრობის ბიუჯეტგარეშე სპეციალური ფონდებისაგან (სოციალური დაზღვევა) და სხვ.

როგორც საერთოდ ცნობილია, სახელმწიფოს შემოსავალი აქვს შინაგანი და საგარეო რესურსებიდან. სახელმწიფო შემოსავლის შინაგანი წყაროა მოცემული ქვეყნის ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე. სახელმწიფოს საგარეო შემოსავლების წყაროა სხვა ქვეყნის ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ქონება.

სახელმწიფოს შემოსავალთა მთავარი წყაროა ეროვნული შემოსავალი.

ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ხდება სხვადასხვა გზით. ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მომსახურების ანაზღაურება. აქ იგულისხმება არამწარმოებლური სფეროს მუშაკების (მასწავლებლების, არტისტების, ექიმებისა და სხვ.) მომსახურება. წარმოებული შემოსავლები იქმნება ძირითადი შემოსავლების ხარჯვის პროცესში, როდესაც ძირითადი შემოსავლის მიმღები პირები ანაზღაურებენ მათთვის გაწეულ მომსახურებას.)

ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ხდება აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის (პროფკავშირი, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და სხვ.) გადახდილი შენაგანებით და გადასახდელებით.

ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ხდება აგრეთვე ფასების საშუალებით. ერთმანეთს არ ემთხვევა საწარმოში შექმნილი წმინდა პროდუქცია და ამ საწარმოს მიერ რეალიზებული წმინდა პროდუქცია. მონოპოლისტური გაერთიანებები ახერხებენ დააწესონ მონოპოლიურად მაღალი ფასები გასაყიდ საქონელზე და დაბალი ფასები – შესასყიდ საქონელზე. ფასების საშუალებით წარ-

მოებს ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ინფლაციის შემთხვევაში, როდესაც იცვლება ფასთა მასშტაბი და ცალკეულ შემოსავალთა რეალური სიდიდე.

რამდენადაც საქონლის ფასში ჩაერთვის არაპირდაპირი გადასახადები, ამდენად ფასი წარმოადგენს სახელმწიფოს სასარგებლოდ ეროვნული შემოსავლის განაწილების საშუალებას.

სამოგადოებაში წარმოებული შემოსავალი ყველა ერთნაირი არ არის. როდესაც ძირითადი შემოსავლის მიმღები ნებაყოფლობით ანაზღაურებს მასწავლებლის ან არტისტის მომსახურებას, ამ შემთხვევაში ეს შემოსავალი შრომითი ხასიათისაა, რისგანაც არსებითად განსხვავდება წარმოებული შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო იძულებით იღებს ეროვნული შემოსავლიდან გადანაწილების საშუალებით.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გვაინტერესებს ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ფინანსური მექანიზმის საშუალებით, რომლის მთავარი ბერკეტი სახელმწიფო ბიუჯეტია.

ბიუჯეტის მიერ ეროვნული შემოსავლის წილის მიღება ხდება ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების გზით, ძირითადად – გადანაწილებით, რაც ხორციელდება გადასახადების, სახელმწიფო სესხების აღების, ქალაქის ფულის ემისიის, სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავლის აღების, მისაგებლებისა და სხვ. მეთოდებით. რამდენადაც სახელმწიფო აწესებს მისაგებლებს როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების საფასურს, რომელსაც მოქალაქე ან ორგანიზაცია იხდის სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამდენად, მომსახურების ანაზღაურება წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას სახელმწიფოს სასარგებლოდ.

სახელმწიფო ბიუჯეტის როლი ქვეყნების ეროვნული შემოსავლების გადანაწილებაში იზრდება.

სახელმწიფო შემოსავლის მთავარი წყარო გადასახადებია, რომელთა ხვედრითი წილი სახელმწიფო შემოსავალში ზოგჯერ ბეპროცენტამდე აღწევს, ინგლისსა და აშშ-ში 90 პროცენტსაც აღემატება.

გადასახადი სახელმწიფოს ბიუჯეტური შემოსავლის ელემენტარული ფორმაა.

სახელმწიფო შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო სესხები. მისი საშუალებით იფარება სახელმწი-

ფო ხარჯების დიდი ნაწილი. პირველი მსოფლიო ომის დროს მეომარი სახელმწიფოების ხარჯების ოთხი მეხუთედი სახელმწიფო სესხით დაიფარა. მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნების სამხედრო ხარჯები 70%-მდე სახელმწიფო სესხით დაიფარა.

სახელმწიფო შემოსავლის მიღების საშუალებაა აგრეთვე ინფლაცია, რასაც იწვევს სახელმწიფოს მიერ ქალაქის ფულის ემისია სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. (როგორც ცნობილია, ხელფასის ზრდა ყოველთვის ჩამორჩება ფასების ზრდას, რაც იწვევს რეალური ხელფასის შემცირებას.

ინფლაციას აძლიერებს სახელმწიფო სესხის ობლიგაციების უზრუნველყოფით ბანკების მიერ ბანკნოტებისა და ჩეკების გამოშვება, რაც გადამეტებულად ავსებს ფულად მიმოქცევას ქალაქის ფულით, ამას მოსდევს ინფლაცია და ფასების ზრდა.

ქალაქის ფულის გაუფასურება საემისიო გადასახადის სახეს ღებულობს.

სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავალი.

სახელმწიფოს არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება სამრეწველო-საეაჭრო და საეაჭრო ფისკალური მონოპოლიები.

სახელმწიფო საწარმოთა მონოპოლიური ფასები, რომლებიც თავისუფალ საკონკურენციო ფასებს აღემატება, არაპირდაპირი გადასახადებია.

სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი გადასახადის ხასიათისაა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახელმწიფო საწარმოები საქონელს ყოდიან თვითღირებულების მიხედვით ან მასზე უფრო დაბლაც, რადგან ისინი ღეფიციტს ფარავენ ბიუჯეტიდან, ე.ი. გადასახადების ანგარიშით სახელმწიფო ქონების შემოსავალი რენტის სახით გვევლინება, როდესაც ქონება სახელმწიფოს გაცემული აქვს იჯარით კერძო პირებზე. თუ სახელმწიფო მას ამუშავებს თავისი მეურნეობრივი აღმინისგრაიის საშუალებით, მაშინ იგი შემოსავალს ღებულობს მოგებისა და რენტის სახით. სახელმწიფოს მიერ მიღებული მოგების ხასიათზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ აღებულ რენტას, იგი თავისებური ფორმის გადასახადია.)

იგივე ითქმის სახელმწიფო შემოსავლის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც სხვადასხვა მისაგებლისა და მოსაკრებლის სახით გვევლინება. ეს მისაგებლები სპეციფიკური ფორმის არაპირდაპირი

გადასახადებია. ამიგომ სახელმწიფო შემოსავლის ყველა სახე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გადასახადად გვევლინება.

სახელმწიფო შემოსავალს იღებს აგრეთვე სხვადასხვა აღმინისტრაციული ჯარიმის, კერძო პირთა ქონების კონფისკაციის საშუალებით.

სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს ქონების გაყიდვითაც. სახელმწიფოები ომის დროს მიმართავენ ხოლმე ეროვნული ქონების ნაწილის გაყიდვას, ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო და სამოქალაქო ქონების მიტაცებას, დაპყრობილი ხალხების სისტემატურ ძარცვას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ სხვა ქვეყნებს მიჰყიდა სამხედრო ტანსაცმელი და სხვ.

სახელმწიფო შემოსავალს იღებს კონტრიბუციებით, დაპყრობილ ხალხებზე შეწერილი ხარჯებით და სხვ.

სახელმწიფო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე თავისი და სხვა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე.

ეროვნული სიმდიდრე არის მრავალი წლის გნმავლობაში შრომით შექმნილი და დაგროვილი მატერიალური ღოულათები და ბუნებრივი რესურსები.

ეროვნული სიმდიდრე შედგება მემკვიდრეობით მიღებული და შრომით შექმნილი ეროვნული ქონებისა და ბუნებრივი სიმდიდრისაგან.

ეროვნული ქონება არის წარმოების საშუალებები და პირადი და საზოგადოებრივი მოხმარების სფეროში არსებული ქონება, როგორცაა: საცხოვრებელი საშუალებები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითადი ფონდები, სამომხმარებლო საქონელთა და პროდუქტთა მარაგი.

ამგვარად, ეროვნული ქონება მოიცავს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგთა წარმოებრივ ფონდებს (ძირითად წარმოებრივ ფონდებს და მატერიალურ მარაგს წარმოებისათვის) და სამომხმარებლო დანიშნულების ქონებას (ძირითად არაწარმოებრივ ფონდებს, საქონელთა და პროდუქტთა მარაგს მოხმარებისათვის და მოსახლეობის საოჯახო ქონებას).

ბუნებრივი სიმდიდრე მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, როგორცაა: მიწის ფონდი, ტყის ფონდი, სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, ჰიდროენერგეტიკული რესურსები.

სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ გამოდის ეროვნული ქონება, როდესაც სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდით ბიუჯეტის სასა-

რგებლოდ ამოიღებს არა მოცემული წლის შემოსავალს, როგორც დროის ამ მონაკვეთში შექმნილ ახალ ღირებულებას, არამედ წინა წლების მანძილზე გაწეული შრომით შექმნილ და დაგროვილ ქონების ნაწილს იმისგან დამოუკიდებლად, ვის საკუთრებაშია იგი. ასე მაგალითად, ქონების ხელიდან ხელში გადასვლის, გადასახადების, მემკვიდრეობის გადასახადის წყარო არის არა შემოსავალი, არამედ თვით ქონება. იგივეა კერძო პირთა ქონების კონფისკაცია, სახელმწიფო ქონების გაყიდვა, „ტროფეი“ და სხვ. ასეთივეა სამხედრო საჭიროებისათვის ოქროს მარაგის დახარჯვა, საზღვარგარეთ არსებული საწარმოების ან ქონების გაყიდვა, სხვა სახელმწიფოების მიერ მოწოდებული საქონლის გამოყენება და სხვ.

ამგვარად, სახელმწიფოს შემოსავალი წარმოადგენს ეროვნული შემოსავლისა და ქონების განაწილებასა და გადანაწილებას, ძირითადად გადანაწილებას. რამდენადაც სახელმწიფო ამა თუ იმ ზომით თუ მასშტაბით გამოდის წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ, ამდენად სახელმწიფო შემოსავალი მიიღება როგორც პირველადი განაწილება, ხოლო რამდენადაც სახელმწიფოს შემოსავლის მიღების სხვადასხვა მეთოდი ეხება განაწილებულ ეროვნულ შემოსავალს და ცვლილებები შეაქვს არსებულ განაწილებაში, ამდენად, სახელმწიფო შემოსავალი მიღებულია გადანაწილებით.

სახელმწიფო შემოსავალი შედგება შემდეგი სახეობებისაგან: 1. სახელმწიფო ქონებათა და საწარმოთა შემოსავლებისაგან; 2. შემოსავლები ფისკალური რეგალიებისა და მონოპოლიებისაგან; 3. საგადასახადო შემოსავლებისაგან; 4. სასესხო შემოსავლებისაგან და 5. ბიუჯეტგარეშე ფონდებისაგან.

თანამედროვე პირობებში საქონეობ და საწარმოთა შემოსავლები შედარებით უფრო უმნიშვნელო როლს ასრულებს, რაც შუა საუკუნეებში სახელმწიფო შემოსავლის ძირითად ფორმას შეადგენდა.

გარეგნული ფორმით სახელმწიფო შემოსავალი იყოფა ორ ჯგუფად: ჩვეულებრივი შემოსავალი და არაჩვეულებრივი შემოსავალი. ჩვეულებრივი შემოსავალში იგულისხმება შემოსავალი, რომელთა წყარო მუდმივი ხასიათისაა. არაჩვეულებრივი შემოსავალში კი – ისეთი სახელმწიფო შემოსავალი, რომელთა შემოსულობა შემთხვევითი ხასიათისაა, მაგალითად, შეწირულება სახელმწიფოს სასარგებლოდ, სამხედრო კონტრიბუცია, ემისია და სხვ.

შემოსავლები შესაძლებელია გავყოთ სამ ჯგუფად: კერძო, კერძო-საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი. კერძო-უფლებრივი

შემოსავლებს სარეწაო ხასიათი აქვთ, მეორენაირ შემოსავლებს კერძო-საზოგადოებრივი, მაგალითად, კერძო პირთა შეწირულებანი სახელმწიფოს სასარგებლოდ. მესამე – სახელმწიფო-უფლებრივი. მეორე ჯგუფს სხვაგვარად სხვადასხვა შემოსავალს უწოდებენ.

კერძო-უფლებრივ ან სარეწაო ხასიათის შემოსავლებს ეკუთვნის ის შემოსავლები, რომლებსაც სახელმწიფო ღებულობს თავისი ქონებიდან, საწარმოებიდან და ექვემდებარება კერძო მეურნეობათა საქმიანობის კანონებს, მიწოდება-მოთხოვნის კანონებს. სახელმწიფო-უფლებრივ ან სარეწაო შემოსავლებს ეკუთვნის ის შემოსავლები, რომლებსაც სახელმწიფო ავალდებულებს, აიძულებს კერძო მეურნეობებს.

სახელმწიფო-უფლებრივი შემოსავლები აგებულია ან მისაგებლის პრინციპზე, ან გადასახადურზე. მისაგებლის პრინციპის შემოსავლებს სახელმწიფო იღებს მოსახლეობიდან, როგორც საზღაურს სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის. გადასახადური შემოსავლები მიიღება მოსახლეობისაგან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ გადამხდელებისათვის რაიმე კერძო მომსახურების გაწევის გარეშე. ფინანსურ პრაქტიკაში ზოგიერთი გადასახდელი ორივე ამ საწყისების შენარევს წარმოადგენს.

ზოგიერთი ფინანსისტი კრედიტს არ თვლის სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ. ეს არ არის სწორი, რამდენადაც სახელმწიფო კრედიტი ვალია, სახელმწიფოს მიერ გადასახდელი. მაგრამ აქ ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ მდგომარეობას, რომ ხშირ შემთხვევებში სესხი გადასახადად იქცევა ან წინდაწინ აღებული გადასახადის ხასიათს ღებულობს.

სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავალი ორგვარი ხასიათისაა – ნატურალური ან ფულადი. ნატურალური ხასიათი აქვს მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოსათვის გაწეულ მომსახურებას ან ბეგარის მოხდას. აღრინდელ პერიოდში ნატურალური ბეგარადიდ როლს ასრულებდა. მაგრამ ფულადი მეურნეობის განვითარებამ ძალზე შეკვეცა გამოსაღებთა ნატურალური ფორმა. ეს უეჭველი პროგრესი იყო, ვინაიდან ფულადი შემოსავლებით სახელმწიფოს უფრო კარგად შეუძლია შეარჩიოს შემსრულებელნი. დღეს ყველა სფეროში ბატონობს ფულადი ბეგარა, გარდა ქვეყნის თავდაცვისა, სადაც ნატურალური ბეგარა უზრუნველყოფს ცოცხალ მეომარ ძალას.

სახელმწიფო ქონებათა და საჯაროო შემოსავალი

1. *სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი.* სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს სახელმწიფო ქონებიდან. ამ შემოსავალს შუა საუკუნეებში უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ახლა აქვს. სახელმწიფო ამ სახის შემოსავალს ღებულობს როგორც იურიდიული პირი, როგორც მიწის მესაკუთრე.

მერკანტილიზმის ხანაში სახელმწიფო შემოსავალი შედგებოდა ღომენების, რეგალიების, მისაგებლების, გადასახადებისა და სესხებისაგან. ღომენები წარმოადგენდნენ სახელმწიფო მოძრავ და უძრავ ქონებას, როგორც იყო მიწები, ტყეები, ციხესიმაგრეები, გზები. მთავრობის შენობები, დაწესებულებები და სხვ. მათ გარკვეულ ნაწილს სახელმწიფოსათვის მოქმონდა შემოსავალი.

ამ ღროისათვის ღომენებს თავისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ დაკარგული არ ჰქონდათ, მაგრამ სამეფო კარის მოთხოვნილებებს ძირითადად ვეღარ აკმაყოფილებდნენ. სამეფო კარს ყველა საჭირო საგანს აწვდიდა მიმწოდებლები. ღომენებში მყოფი გლეხები ღალას უხდიდნენ სახელმწიფოს. ღომენების გარშემო ბრძოლა იყო ატეხილი მეფესა და თავაღამნაურობას შორის. მეფეები ღომენებს თელიდნენ პირად საკუთრებად და მას განკარგავდნენ ისე, როგორც სურღათ. ღომენებს ურიგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, სარღლებს, ფავორიგებსა და სხვ. თავაღამნაურობას სურღა ღომენები ყოფილიყო სახელმწიფო ქონება და არა მეფის პირადი ქონება, რომ ღომენებიდან სახელმწიფო შემოსავალი არ შემცი-რებუღიყო, რაც გამოიწვევღა გადასახადების გაღღებას. შემღ-გომში თანღათანობით განცალკევღა ერთმანეთისაგან მეფის პირადი მიწის ფონღი და სახელმწიფო ღომენები. ღროთა მსელე-ღობაში გყის ღომენები თანღათან გაღაიქნენ სახელმწიფოსათვის შემოსავლის წყაროღ.

სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენღა რეგალიები. მასში იგულისხმებოღა სახელმწიფოს უფღება, რაც მისი არსიღან გამომღინარეობღა. რეგალიები იყო ხაზინის საშემოსავლო პრეროგატივები. ისინი მთელ რიგ სარეწავეთა და ქონებათა ფისკალურ მონოპოღიებს წარმოადგენდნენ. რეგალიის

მთავარი სახეები იყო: ნადირობის, მეთევზეობის, არყის გამოხდის, თამბაქოს, მარილის და სხვ. რეგალია.

რეგალიებიდან შემოსავლის მიღების მიზნით სახელმწიფო ქმნიდა საეაჭრო და სამრეწველო საწარმოებს. ასეთები იყო ფართელელის, შუშეულის, ფაიფურის, თოფისწამლის, ქვემეხების და სხვ.

სახელმწიფო შემოსავალს ღებულობდა აგრეთვე სხვადასხვა მისაგებლიდან. ასეთები იყო სასამართლო მისაგებელი, სააქტო და საშტემპელო მოსაკრებლები, საგერბო მისაგებელი და სხვ.

სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ გამოყენებული იყო აგრეთვე გადასახადები, განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადები. შუა საუკუნეების ქალაქების მიერ შემოღებულ აქციზებს, როგორც იყო დაფქვისა და პირუტყვის დაკელის გადასახადები, იმხანად დაემატა მრავალი აქციზი: მარილის, მაგარი სასმელების, ღვინის, ჩაისა და სხვ. საერთოდ ცდილობდნენ სულ ახალ-ახალი აქციზები გამოეგონებინათ.

ფეოდალების მიერ დაწესებულ საშინაო ბაყებს და ქალაქების მიერ შემოღებულ საჭიშკრო მოსაკრებლებს სამეფო ხელისუფლება კრეფდა თავის სასარგებლოდ, ამასთანავე, ტერიტორიების გაერთიანებისა და ეროვნული ბაზრების ჩამოყალიბების გამო დაწესდა საგარეო ბაყები.

პირდაპირი დაბეგერა ნაკლებად იყო განვითარებული. მის გაერცელებას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სხვადასხვა პრივილეგირებული წოდებანი. თავად-ამნაურობა, სასულიერო წოდება გადასახადებს არ იხდიდა. სამეფო ხელისუფლება ვერ შემოიღებდა პირდაპირ გადასახადებს, თუ ამის ნებას მას წოდებათა წარმომადგენლები არ დართავდნენ, რაც ასე ადვილი არ იყო მერკანტილიზმის ეპოქაში. პირდაპირი დაბეგერის სახეებს წარმოადგენდა ადგილ-მამულის, ქონების და სულადობის გადასახადები.

იმ ხანად გაერცელებული იყო გადასახადების გადახდევინების იჯარა-შესყიდვის წესი, რაც კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

მოიჯარე-შემსყიდველი ყიდულობდა სახელმწიფოსაგან უფლებას თვით გაეწერა და გადაეხდევინებინა გადასახადები მოსახლეობისათვის, რაშიც ის შეთანხმებით წინასწარ უხდიდა სახელმწიფოს განსაზღვრულ თანხას. მოიჯარე-შემსყიდველი მოსახლეობას გადასახადებად აწერდა გაცილებით იმაზე ბევრად მეტ თან-

ხას, ვიდრე თითონ უხდოდა სახელმწიფოს. ამგვარად, მოიჯარე-შემსყიდველებს გადასახადების გადახდენების წესი თავისი პირადი გამორჩენის საქმედ პქონდათ გადაქცეული. იგი მათი გამდიდრების ერთ-ერთ დიდ საშუალებას წარმოადგენდა.

სახელმწიფოებს შემოსავლის წყაროდ პქონდათ გადაქცეული, აგრეთვე, თანამდებობათა გაყიდვა. იყიდება პატენტები სამხედრო წოდებათა – მაიორის, კაპიტანისა და სხვ. იყიდებოდა თანამდებობა მოსამართლის, გადასახადთა ამკრეფის, არქივარიუსისა და სხვ.

სახელმწიფო ფართოდ იყენებდა კრედიტს, იღებდა სესხებს, ლატარიულ სესხებს; საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა იძულებითი ფორმის სესხებსაც.

სახელმწიფო ქონებას შეადგენს სახელმწიფოს მთელი უძრავი და მოძრავი ქონება. სახელმწიფო ქონება არის ორი ჯგუფის: ერთ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ქონება, რომელსაც აქვს გარკვეული სახელმწიფოებრივი დანიშნულება. მაგალითად: დაწესებულებათა შენობები, ნაგებობები, ციხესიმაგრეები, საწყობები, გემები და სხვ. მეორე ჯგუფს ეკუთვნის იმგვარი ქონება, რომელსაც შეუძლია შემოსავალი მისცეს სახელმწიფოს. ასეთებია: მიწები, ტყეები და მთამადნეულობა. განვითარების დაბალ საფეხურზე სახელმწიფო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა ნატურალურად. მაშინ მეფეები ისე ცხოვრობდნენ, როგორც კერძო პირები საკუთარი ქონების ხარჯით. ამ ქონებას აძლევდნენ აგრეთვე თავიანთ თანამემწეებს. მოცემულ პირობებში სახელმწიფოს ძლიერება დამოკიდებული იყო მიწის საკუთრების სიდიდემზე, მიწის საკუთრების მხრიდან სხვა ქვეყნების მიწების მიგაცებით. ასეთ ქონებას ეწოდებოდა დომენი.

სახელმწიფოები ცდილობდნენ გაეზარდათ თავიანთი ქონება, რაც ნიშნავდა მათი შემოსავლის გადიდებას. პირველ ხანებში განსხვავება არ იყო მეფის პირად ქონებასა და სახელმწიფოს ქონებას შორის და მეფეებიც ისე განაგებდნენ ამ ქონებას, როგორც კერძო მემამულეები.

ფულადი მეურნეობის განვითარებისა და სახელმწიფო ხარჯების ზრდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ქონების შემოსავალი ვეღარ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს. ამიგომ მათ გადაწყვიტეს შეხებოდნენ კერძო მეურნეობათა ქონებასა და შემოსავლებს და უპირატესობა მიეცათ გადასახადებისათვის.

ამასთანავე, როგორც გამოცდილება უჩვენებდა, კერძო მიწები უფრო მეტ შემოსავალს იძლეოდა, ვიდრე სახელმწიფო მიწები. ამიტომ დაიწყო სახელმწიფო მიწების გასხვისება. სახელმწიფო თავის ხელთ იტოვებდა ისეთ ქონებას, რომელიც საზოგადოებრივ მოვლა-პატრონობას საჭიროებდა, ან მომავალ თაობათა ინტერესების გათვალისწინებას მოითხოვდა, მაგალითად, საგყეო ქონება. კერძო პირმა, მემოსავლების მიღების სიადვილის გამო, შესაძლებელია სულ გაჩეხოს გყე და დიდი ზიანი მიაყენოს ქვეყნის სახალხო მეურნეობას და მომავალ თაობას. სახელმწიფო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს და არეგულირებს მის მეურნეობრიობას.

თუ გადავხედავთ ძველ ქვეყნებს, ვნახავთ, რომ სახელმწიფოს ხელში იყო თავმოყრილი უზარმაზარი ქონება, მიწებზე უზენაესობა სახელმწიფოს ეკუთვნოდა. მაგალითად, რომში სახელმწიფო ქონების უდიდეს ნაწილს შეადგენდა საზოგადოებრივი მიწები, რომლებიც მეფის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ. დანარჩენი იყო დანაწილებული მოსახლეობას შორის. მიწების გამრდა ხდებოდა ომებით, მიწების მიტაცებით, თავისუფალი სიერცეების დაკავებით.

გერმანიაში ღომენების ისტორია თითქმის ისეთივე იყო, როგორც რომში. რომის კულტურამ გავლენა იქონია თავდამსხმელ გერმანულ ტომებზედაც.

შუა საუკუნეებში დიდი ხნის განმავლობაში მიზანშეწონილად ითვლებოდა მიწათსარგებლობის საკუთარი მმართველობის ფორმა.

შეერთებულ შტატებში სახელმწიფო მიწები შეიქმნა იმის საფუძველზე, რომ შტატებმა ფედერალურ მთავრობას დაუთმო საკუთარი მიწების ნაწილი. ნაწილობრივ ფედერალურმა მთავრობამ იგი შეისყიდა ევროპელი მთავრობებისაგან. ასე მაგალითად, „ლუიზიანა ნაპოლეონ I-საგან 1803 წელს, ფლორიდა 1814 წელს – ესპანელ ფერდინანდისაგან. ალასკა – რუსეთისაგან 1867 წელს და სხვ“¹. სახელმწიფო მიწები იყოფოდა სექციებად: ნაკვეთი 36 მილი იყოფოდა 36 სექციად და ერთი ნაკვეთი (სექცია) დანიშნული იყო სახალხო სკოლებისათვის, დანარჩენი გაისხვისებოდა: აკრი 2 დოლ., ან 1 დოლ. 25 ცენტად, 1 პიროვნებაზე – 320, 160, 80 და 40 აკრის ოდენობით. ერთი სექცია 36-ზე მეტი არ გაისხვისე-

¹ И. К. Озеров. Основы финансовой науки. 1909, с. 79.

ბოდა და შეადგენდა სასკოლო ფონდს, რომლის შემოსავალი გამოიყენებოდა სახალხო განათლებისათვის, 1862 წლამდე მიწები გაიყიდა მხოლოდ ფულში, 1862 წლის შემდეგ იწყება აგიტაცია მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთების უფასოდ გადაცემის შესახებ. 1862 წ. აქციით (Homestead Act) ყოველ 21 წელს მიღწეულ მოქალაქეს, ან ამერიკის მოქალაქედ გახდომის მსურველს უფლება აქვს მიიღოს 160 ან 80 აკრი მიწა რკინიგზიდან ნაკვეთის დაშორებისაგან დამოკიდებულებით. ამისათვის საჭიროა მხოლოდ განცხადება განსაკუთრებულ ბიუროში და 18 დოლარის გადახდა. მაგრამ ასეთი პირი 6 თვის განმავლობაში უნდა შეუდგეს დამუშავებას, და თუ იქ იცხოვრებს 5 წელიწადს და დაამუშავებს მიწას, ის ხდება ნაკვეთის სრული მესაკუთრე. იმ პირებმა, რომელთაც ჯარში იმსახურეს 90 დღეზე მეტი, უნდა გადაიხადონ არა 18 დოლარი, არამედ 2 და იცხოვრონ არა 5 წელი, არამედ 5 წელი ნამდვილ სამსახურში გატარებული დროის გამოკლებით.

რა ხერხებით იღებდა სახელმწიფო შემოსავალს სახაზინო მიწებიდან? ამისთვის ცნობილია სხვადასხვა წესი. ერთ-ერთს წარმოადგენს ვადიანი იჯარა კერძო პირებზე; მეორეს – სახაზინო მმართველობა მთავრობის მიერ დანიშნულ პასუხისმგებელ პირთა საშუალებით; მესამეს – მიწების გადაცემა მუდმივ ხელშეუვალ სარგებლობაში ისე, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუცვლელი რჩება ფულადი გადასახდელი ან ღალა. აღრიხდელ პერიოდში გავრცელებული იყო სახაზინო მმართველობა, რაც ახლა ნაკლებ შემოსავლიანად ითვლება.

ამის გამო უპირატესობა ენიჭება ვადიან ან სამუდამო იჯარას. იჯარის პირობებში მოიჯარეს შესაძლებლობა აქვს დაინტერესდეს მიწისა და ინვენტარის გაუმჯობესებით. ხაზინაც ამ შემთხვევაში ზრდის თავის შემოსავალს. ვადიანი იჯარის დროსაც შესაძლებელია მოიჯარე მტაცებლურად მოექცეს მიწას, თუ დარწმუნებული არ არის, რომ ის მას დარჩება ხელშეკრულების მეორედ გაფორმების დროს საიჯარო ქირის გაუდიდებლად. ამ უარყოფით მომენტს ხსნის სამუდამო-სამემკვიდრეო იჯარა. რადგან ასეთ შემთხვევაში მოიჯარე ფლობს ქონებას არა მარტო სიცოცხლეში, არამედ შეუძლია მფლობელობა გადასცეს მემკვიდრეობითაც. სამუდამო იჯარა გაიცემა ხანგრძლივი დროით, რამდენიმე

ათეული წლით. საიჯარო ხელშეკრულების ხელახალი გაფორმების დროს საიჯარო ქირა მაგულობს.

სამუდამო იჯარის დროს ხაზინის შემოსავალი შედგება შესასვლელი გადასახდელისაგან იჯარის დასაწყისში, ყოველწლიური საიჯარო ქირისაგან და განსაკუთრებული გადასახდელისაგან, როდესაც ხდება იჯარის გადაცემა სხვა პირზე. პროფ. ლ. ვ. ხოდსკის შეფასებით, სამუდამო-სამემკვიდრეო იჯარა, მოგიერთთა ამრით, მეტად მიზანშეწონილია სახელმწიფო ქონებიდან შემოსავლის მისაღებად. მაგრამ ამაზე დათანხმება არ შეიძლება. ამ სახის იჯარით ხაზინა მაინც და მაინც დიდ შემოსავალს არ ღებულობს. მოიჯარეც თავისთავში მესაკუთრის შეგნებას არ განიცდის².

სახელმწიფო შემოსავლის წყაროებს წარმოადგენს აგრეთვე საზღვაო ადგილები, მინერალური წყლები, კურორტები, სახელმწიფო ტყეები.

2. სახელმწიფო ტყეები. სახელმწიფო ქონებას, გარდა ფისკალურისა, აქვს აგრეთვე სხვა სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობაც. უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიექცა ამ მეორე მხარეს, განსაკუთრებით ზოგიერთი დარგების მიმართ. აქ, პირველყოელისა, საყურადღებოა ტყეები და მათი მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობისათვის.

ტყეს ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ტყე იძლევა სათბობს, მასალას მშენებლობისათვის, მასალას ავეჯისათვის, მასალას ქაღალდისათვის, ტყე არის აუცილებელი პირობა ნადირობისათვის, მეფუტკრეობისათვის. ტყე ქმნის ზომიერ პავეს – ზაფხული გრილია, ზამთარი თბილი; ამცირებს წყალდიდობას, ნიადაგის ჩამოქცევას, ებრძვის მდინარეების დაშრობას, წყლის შემცირებას, ხელს უწყობს მეთევზეობას, წყალზე მიმოსვლას, ნაოსნობას.

ტყეები ამცირებენ ქარების უარყოფით ზეგავლენას მეურნეობაზე. ტყეების გაჩეხვის შედეგად ნოციერი ნიადაგი დაფარა ქარით მოზიდულმა ქვიშამ და შეამცირა მოსავლიანობა, ზოგან კი სრულიად გახრიოკდა – მოსავლიანი ადგილები გადაიქცა უდაბნოებად. ტყეების გაჩეხვა აჩენს ხევებს, იწვევს მეწყერებს. ტყეების გაჩეხვა მეტად უარყოფითად მოქმედებს მიწათმოქმედებაზე. ამერიკაში მიწათმოქმედება გორებზე წარმოებს ხელოვნური მო-

² Л. В. Ходский. Основы государственного хозяйства. 1901, с. 33.

რწყევით მთის ლელებიდან. ტყეების მოსპობის გამო, მთის წვერ-ზე გაჩეხვის თუ ხანძრის გამო წყალი თანაბრად აღარ ნაწილდება მაფხულის პერიოდში, ხმაურით მიექანება მდინარეებში, მდინარეები კალაპოტიდან გადმოდიან და ანადგურებენ ყველაფერს; ამის შედეგად, მაფხულში მხარეს წყალი აღარ ყოფნის. ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა მდინარეების დამრობა-დაკლება ტყეების სიფრცის შემცირების გამო. ზოგან პატარა გემებიც ველარ შედიან ნაფსადგურში ზღვის ნაპირების დასილვის გამო.

ეროვნული მეურნეობისათვის ტყეების ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო, მის მოვლა-პატრონობას კისრულობს სახელმწიფო. ეს სამოგადო, სახალხო ინტერესი მოითხოვს ტყის დაცვას. ამიტომ უპირატესობა ეძლევა ტყეების სახელმწიფოებრივი საკუთრების ფორმას. ტყის ნორმალური ექსპლოატაცია მოითხოვს ტყის ფართო სივრცეებს.

ტყეების დაცვას ხელი შეუწყო სათბობის სხვადასხვა სამუალების გამოყენებამ, ასეთებია ქვანახშირი, გორფი, აირი, ელექტროენერჯია და ნავთობი.

მშენებლობაში გამოყენებულ იქნა ქვა, აგური, რკინა-ბეტონი, პლასტმასა, თუმცა ხის მასალა მაინც რჩება ნაწილობრივ მშენებლობის აუცილებელ ელემენტად. ავეჯის წარმოებაში ხე ნაწილობრივ შეცვალა რკინამ და პლასტმასამ. დღესდღეობით ტყის დიდ მტრად რჩება ქალაქის წარმოება, რომელმაც გააჩანაგა ტყეები, ტყეებს ანადგურებს აგრეთვე ხანძრები.

ტყის დაცვას ემსახურება კერძო ტყეების რეგლამენტაცია სახელმწიფოს მიერ. კერძო პირთ ეკრძალებათ იმ ტყეების გაჩეხვა, რომლებიც მოქმედებენ მდინარეებზე ან იცავენ მხარეს ქვიშისაგან. დამრღვეენი ისჯებიან ჯარიმით და ხშირად პატიმრობითაც.

წინათ ტყეებს ყურადღებას არ აქცევდნენ და ახალისებდნენ კიდევ ტყის გაკაფვას სახნაფ-სათესი ადგილებისათვის. მაგრამ ცუდმა შედეგებმა აიძულა სახელმწიფოები დაეცვათ ტყეები. საფრანგეთში ტყეების გაკაფვის მანევ შედეგების შესახებ ი. უ. იანკული წერს, რომ უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ტყეების სივრცე გამესამედდა და წლიდან წლამდე მცირდება. „სამხრეთი და დასავლეთი საფრანგეთი სრულებით უტყეო გახდა, შამპანი გამოშვებულია და მხოლოდ აღმოსავლეთით დარჩა მნიშვნელოვანი სახაზინო ტყეები. მანებლობა ტყეების ამ გამანადგურებელი გა-

ჩეხვის გამო ყველაზე მეტად გამოაშკარავდა სამხრეთში, სადაც გყეები, განუენილი მალლობებზე, იცავდნენ ქვეყანას ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან. აქ ჰაეა გახდა სუსხიანი, ყინეებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნეებიდან მოსპეს მრავალ ადგილას ზეთისხილის მცენარეები და დამღუპეულად მოქმედებენ ეაზზე. არაგოსა და ბურლოს სიგყეებით, ზეთისხილის და ყურძნის კულტურის ხაზი ჩრდილოეთიდან თანდათან იხეეს სამხრეთისაკენ. ზეთისხილის მცენარეებს ცვლის ვენახი და თხილი. წინა ხანაში აკლიმატიზებული იყო პროვანსში შაქრის ლერწამი, რომელიც სულ გაქრა, ხოლო ფორთოხალი, რომელიც XVI საუკუნეში Hyers-ის მახლობლად მოდიოდა სოფელ Cuers-მდე, სულ აღარ ხარობს ამ ადგილებში და შეცვლილია აგმითა და ნუშით. გყეების გაჩეხვამ არანაკლებ დამღუპეული გავლენა იქონია მდინარეებზე. უმცენარო ადგილებზე თოვლის სწრაფი დნობის გამო, წყალდიდობა განუწყვეტლივ ეწვევა ხოლმე საფრანგეთს და ანადგურებს უამრავ ქონებას. ხშირად შემოტანილი ქვიშით მიწა უვარგისი ხდება. ზოგიერთ ადგილებში, პირენეების და ალპების მახლობლად, ნაყოფიერი მიწების რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ თვით მოსახლეობაც ვერ ახერხებს იქ თავის გამოკვებას. ერთი ნატურალისტის სიგყეებით, უნდა მოველოდეთ, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, სავოია იმდენად დასცილდება დაუსახლებელი სივრცით საფრანგეთს, რამდენადაც ეგვიპტე-სირიას. იმ დროს, როდესაც ეს ადგილმდებარეობა გყიანი, ნიადაგნოყიერი და მჭიდროდ დასახლებული იყო, მის საძოვრებზე საზრდოს პოულობდა დიდი ჯოგი რქოსანი პირუტყვისა და მილიონამდე ცხეარი. მეორე სავალალო მოვლენა იჩენს თავს გყეების გაჩეხვის გამო ქვიშიან ადგილებზე, გაკაფულ ადგილებზე. საქონლის ძოვისა და ქარების გამო შავმიწანიადაგის თხელი ფენა, რომელიც ფარავდა ნიადაგს, თანდათან ქრება. ქარს გადააქვს ქვიშა მდელოზე, დასამუშაებელ მიწებს აქცევს უნაყოფოდ, უდაბნოდ³.

ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც გააჩნია გყეების სახაზინო მფლობელობას, აყენებდა კერძო მფლობელობის გყეების აუცილებელ რეგლამენტაციას. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საგყეო კანონები კრძალავენ გყეების თვითნებურ გაკაფვას, ე.ი. საბოლოო გაჩეხვას და მიწის სახნაველ გადაქცევას. ასეთი გაკაფ-

³ Н. И. Янжул. Основные начала финансовой науки. 1890, с. 85-86.

ვა შესაძლებელია გარკვეულ პირობებში და ტყის სამმართველოს ნებართვით; თხოვნას განიხილავს უმაღლესი ინსტანცია. საფრანგეთში თხოვნას თან დაერთვის სახაზინო სპეციალისტის მიერ ტყის დათვალეირების აქტი, წარედგინება ფინანსთა სამინისტროში და იქიდან გადაეცემა სახელმწიფო საბჭოს. ნებართვის გარეშე გაჩეხვისათვის დამნაშავე დაისჯება დიდი ჯარიმით. კერძო ტყეების გაჩეხვა ხდება გარკვეული წესით, მრავალ შემთხვევაში სრულიად იკრძალება და თუ დაერთვის ნება იმ პირობით, რომ გარკვეულ ვადაში გაშენებული იქნება ახალი. შეუსრულებლობის შემთხვევაში ხაზინა გააშენებს მფლობელის ანგარიშით.

ამგვარად, სახელმწიფო ტყეებიდან შემოსავლის მიღება წარმოებს სახელმწიფო მმართველობის საშუალებით.

3. რეგალიები. სახელწოდება რეგალიები შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს. რეგალიები, როგორც სახელმწიფო შემოსავლის წყარო, წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალს დომენიალური წყობიდან თანამედროვე საგადასახადო სისტემაზე. პირველ ხანებში, რეგალიებში იგულისხმებოდა ყველა უფლება, რაც სახელმწიფოს არსიდან გამომდინარეობს. შემდგომში გამოიყო ისეთი რეგალიები, რომელთაც წმინდა ფისკალური მნიშვნელობა პქონდათ. შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ფისკალური მონოპოლიები, რომელიც ეხებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის ყველა დარგს და, რომლებიც მონოპოლიზებული იყო მთავრობის მიერ. არსებობდა უცნაური სახის რეგალიებიც, მაგალითად, მონოპოლიზებული იყო ჩერების შეგროვება, ღორების დაკვლა, დანების ალესვა, საკვამურების წმენდა, ცხოველების და ფრინველების დაჭერა, ნადირობა და სხვ. დღესდღეობით უდიდესი ნაწილი ასეთი რეგალიებისა აღარ არსებობს. ახალ დროში რეგალიებს უწოდებენ იმგვარ სახაზინო სარეწაოებს, რომელთა წარმოებაში სახელმწიფოს უპირატესობა აქვს ქვეშევრდომთა წინაშე, ან შემოსავლის ისეთ სარეწაო წყაროებში, რომელთაც თვითონ სახელმწიფო საწარმოებს დაშვებული არა აქვთ კერძო კონკურენცია. რეგალიებს ყოფენ სამ ჯგუფად, მაგალითად, იანყული:

ა) რეგალიები, სადაც სახელმწიფო გამოდის კერძო მწარმოებლის თანაბრად, არ ზღუდავს კონკურენციას, ასეთებია სახაზინო რკინიგზები, იარაღის მწარმოებელი ფაბრიკები, ფაიფურის ქარხნები და სხვ.

ბ) რეგალიები, სადაც სახელმწიფო ან მლუდავს, ან სრულიად გამორიცხავს კერძო კონკურენციას, ემყარება იმ მოსაზრებას, რომ კონკურენცია მაინც იქნება საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ასეთებია ფოსტა, ტელეგრაფი, სამონეტო საქმე.

გ) რეგალიები, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ სახელმწიფოებრივ სარეწავებს, სადაც კერძო ინიციატივის გამორიცხვა გაპირობებულია ფისკალური მიზნებით. ასეთებია სამთო, მარილის, თამბაქოს, ასანთის და სხვ. რეგალიები.

4. **რკინიგზები.** რკინიგზა დიდად მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენს ადამიანისათვის. იგი იძლევა საშუალებას სწრაფი ურთიერთობისა და დიდი ზომის ტვირთის გადაზიდვისათვის. რკინიგზებმა დიდი როლი შეასრულა ქვეყნების ცივილიზაციის ისტორიაში. მათ ახასიათებთ მიმოსვლა-მიმოზიდვის დიდი სიჩაფე რკინიგზებამდე არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით. ამ თვისებების გამო რკინიგზებმა დიდი გავლენა იქონია მოსახლეობის მოძრაობასა და გადაადგილებაში, პროდუქტთა გაცვლასა და საერთოდ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში, რკინიგზამ გააფართოვა საქონელთა გასაღების არე. ბევრი მალფუჭადი საქონელი რკინიგზების შემოღებამდე შორეულ ბაზრებზე ვერ გაიზიდებოდა.

რკინიგზებს აქვთ აგრეთვე დიდი სტრატეგიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი გაყვანა დაკავშირებულია კერძო საკუთრების უფლებაში ჩარევასთან. რკინიგზამ უნდა გაიაროს კერძო მესაკუთრეთა მრავალ მამულზე. უნდა მოხდეს კერძო მესაკუთრეთა მიწების ამ ნაწილის ექსპროპრიაცია, ამიტომ რკინიგზებს ენიჭება საზოგადო უფლებრივი დაწესებულებების ხასიათი. რკინიგზის მეწარმეთა ინტერესების სასარგებლოდ სახელმწიფო მიმართულებას აძლევს და რეგლამენტაციას უკეთებს სარკინიგზო მშენებლობას.

რკინიგზებმა გადატრიალება მოახდინეს სამეურნეო ცხოვრებაში, დაანგრის ნატურალური მეურნეობა, საქონელი მიიტანეს მიყრუებულ რაიონებშიც. სარკინიგზო მშენებლობას ხელს უწყობდა მრეწველობის ინტერესები და თვით რკინიგზებიც ითხოვდნენ მრეწველობის განვითარებას.

რკინიგზის მშენებლობას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, ისინი ვის ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა სამრეწველო ცენტრების

გადაადგილება, ან კაპიტალისგთა ჯგუფები, რომელთა ინტერესებს ზიანს აყენებდა რკინიგზების გაყვანა, ასევე წყლის გზებისა და საჭაპანო ტრანსპორტის მფლობელები. ისინი ეწეოდნენ ყოველგვარ აგიტაციას სარკინიგზო მშენებლობის წინააღმდეგ. ამბობდნენ, რომ რკინიგზის კვამლი დახოცავს ფრინველებს, ქათმები კვერცხს აღარ დადებენ, ძროხებს გაუშრებათ რძე, ორთქმაელის ნაპერწკლები გადაწვავენ ტყეებს და სხვ. მიუხედავად მათი აგიტაციისა, რკინიგზებმა დასერეს მთელი მსოფლიო. პირველი რკინიგზა გაყვანილ იქნა ინგლისში 1825 წელს, რომელმაც შეაერთა მანჩესტერი და ლივერპული. რუსეთში რკინიგზების მშენებლობას შეუდგნენ უფრო გვიან. აქ პირველი რკინიგზა გაყვანილ იქნა 1838 წელს, რომელსაც უწოდეს ცარსკოსელსკის გზა. იგი ააგო სააქციონერო საზოგადოებამ. მოსკოვ-პეტერბურგის ხაზი გაიყვანა ხაზინამ 1842 წელს და დამთავრდა 1851 წელს.

რკინიგზა თითქმის გამორიცხავს კონკურენციას, ვინაიდან იშვიათად, რომ ორი ქალაქი შეერთებული იყოს ორი ან სამი რკინიგზის ხაზით. არის გამონაკლისის ორი ან სამი შემთხვევა. წყალგზებზე ერთი და იმავე მიმართულებით ხშირად საქმიანობს რამდენიმე კომპანია. რკინიგზის საქმეში არსებობს რამდენიმე პირობა, რომელიც აბრკოლებს თავისუფალი კონკურენციის განვითარებას. თითქმის შეუძლებელია იმავე მიმართულებით მოგვიანებით რკინიგზის გაყვანა მეორე კომპანიის მიერ. კონკურენციას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ორივე მოკონკურენტო კომპანიას და სხვ. სახელმწიფო ეწევა კერძო რკინიგზების საქმიანობისა და ტარიფების რეგლამენტაციას, ხოდსკის კლასიფიკაციით სარკინიგზო მეურნეობაში აღინიშნება შემდეგი სისტემები: 1) კერძო რკინიგზების სისტემა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო კონტროლს უწევს მის საქმიანობას სპეციალურად დანიშნული მოხელეების საშუალებით. 2) შერეული სისტემა, რომლის დროსაც თანაზიარად არსებობენ და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს კერძო და სახელმწიფო რკინიგზები. შერეულ სისტემას ახასიათებს გადასვლა რკინიგზის სახელმწიფო სისტემაზე; 3) კერძო რკინიგზაზე სახელმწიფო მმართველობის სისტემა ჩვეულებრივად შედეგია კერძო რკინიგზების ვადა-უვალობისა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ეხმარება, რათა უკეთ უზრუნველყოს თავისი ინტერესები; 4) სახელმწიფო რკინიგზები კერძო გამგებლობაში, სხვანაირად სახელმწიფო

რკინიგზების იჯარით გაცემა კერძო მეწარმეებზე. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ეს სარკინიგზო საქმიანობის საუკეთესო ფორმაა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ის ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას; დასასრულ, 5) სახელმწიფო რკინიგზის სისტემა თეორიულად წარმოადგენს სარკინიგზო მეურნეობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას. აქ უფრო უზრუნველყოფილია საზოგადოების საერთო ინტერესები, მგზავრობის უსაფრთხოება, ტარიფების სიიაფე და სხვ.

საერთო ტენდენცია იხრება სახელმწიფო რკინიგზების უპირატესობისაკენ და კერძო რკინიგზების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვისაკენ.

5. ფოსტა. ფოსტას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, მისი საშუალებით ხორციელდება ინფორმაციის გაცემა და სხვადასხვა ურთიერთობა ადამიანთა შორის. ის ხელს უწყობს სახალხო განათლებას, ხალხების კულტურულ და სამრეწველო საქმიანობის განვითარებას.

ძველ დროშიც ცნობილი იყო ფოსტის დიდი სარგებლობა. რომში რესპუბლიკის ეპოქაში არსებობდნენ მიკრიკები და მუდმივი სადგურები, რომელთა საშუალებით ცენტრალურ მთავრობას ჰქონდა ურთიერთობა უზარმაზარი სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილთან. შუა საუკუნეებშიც გამოყენებული იყო საფოსტო ურთიერთობა სხვადასხვა ქალაქსა და სახელმწიფოს რეგიონებს შორის ურთიერთობისათვის. გარდა სახელმწიფო მიკრიკებისა, არსებობდა კერძო წესიერი ურთიერთობანი – ცნობათა გადაცემის ორგანიზაცია, განსაკუთრებით სავაჭრო საქმიანობის სფეროში. საფოსტო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, დარწმუნდნენ, რომ სახაზინო ფოსტას უკეთ შეუძლია დაიცვას კორესპონდენციის საიდუმლოება, ვიდრე კერძოს. ამასთან, სახელმწიფოს შეუძლია უფრო იაფად, უფრო წესიერად და თანაბარზომიერად აწარმოოს ეს მომსახურება.

საფოსტო საქმის კარგი ორგანიზაცია მდგომარეობს კორესპონდენციის გადაგზავნის სიიაფეში, სისწრაფესა და ჩაბარების სიზუსტეში.

თავდაპირველად საფოსტო ტარიფის განსაზღვრისათვის მხედველობაში იღებდნენ მომსახურების სიდიდეს, რომელსაც საფოსტო დაწესებულება უწევდა კერძო პიროვნებას. ამიგომ მხედველობაში ღებულობდნენ რისკს, მანძილს, პაკეტის წონას, გზის მდგომარეობას; წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა საფასურს ახ-

ღვეინებდნენ. ამიგომ ბარათების გადაგზავნის საფასური ძვირი იყო, რთულად საანგარიშო და სხვადასხვა სიდიდისა. ასე მაგალითად, რუსეთში 1839 წლამდე წერილების გადაგზავნაზე 700-მდე სხვადასხვანაირი ფასი იყო დაწესებული.

1840 წელს მოხდა რეფორმა, რომელიც რაულანდ მილის სახელთან არის დაკავშირებული. მან ღიდად გააიიფა და გაამარტივა საფოსტო მომსახურება, რეფორმით შემოღებულ იქნა ახალი წესი, რომელიც მარკების დაწებებაში მდგომარეობდა.

საფოსტო ურთიერთობის განვითარებას ღიდად შეუწყო ხელი 1878 წელს დაარსებულმა მსოფლიო საფოსტო კავშირმა, რომელმაც გააერცელა გარიფის, სიიფის, სიმარტივის და ერთგვაროვნობის პრინციპი და გაატარა ყველა ქვეყანაში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით.

ყველა მოსაზრების მიხედვით, კერძოსთან შედარებით, უპირატესობა ეძლევა სახელმწიფო საფოსტო გამგებლობას.

საფოსტო საქმეში სახელმწიფო უპირატესობას არ უნდა ანიჭებდეს ფისკის ინტერესებს იმ საერთო სასარგებლო მომსახურებასთან შედარებით, რომლის გაწევა მას ევალება საზოგადოების საკეთილდღეოდ.

6. ტელეგრაფი. ტელეგრაფიც ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთ თავისებურ საშუალებას წარმოადგენს. ურთიერთობის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ იგი წარმოებს მხოლოდ აზრების საშუალებით, იმ ღროს, როდესაც ფოსტით და რკინიგზებით ხდება ნივთებისა და ადამიანების გადატან-გადაყვანაც. გარდა ამისა, ტელეგრაფი აზრის გადაცემის გაუმჯობესებული საშუალებაა, რომელსაც გადალახული აქვს უდიდესი სისწრაფით უშორესი მანძილები.

ძველი ხალხები აზრის გადასაცემად იყენებდნენ სიგნალის ტელეგრაფს, რომელიც შემდეგ შეცვალა ოპტიკურმა ტელეგრაფმა, ეს უკანასკნელი კი – ელექტრონის გაუმჯობესებულმა ტელეგრაფმა.

სატელეგრაფო რეგალია ყველა მონაცემის მიხედვით უპირატესად ეკუთვნის სახელმწიფოს. სახელმწიფო ტელეგრაფს შეუძლია უკეთესად მოაწყოს მისი ორგანიზაცია, საიდუმლოების დაცვა, უარი თქვას ღიდ მომგებიანობაზე, რაც არ შეუძლია კერძო სატელეგრაფო

საზოგადოებას. კერძო სატელეგრაფოებს შორის კონკურენცია ხშირად მათ აიძულებთ, გაერთიანდნენ და შექმნან მონოპოლია.

ტელეგრაფი შემოსაველს აძლევს ხაზინას, მაგრამ ფისკალური ინტერესი სახელმწიფოსათვის არ არის არსებითი ტელეგრაფის საქმეში. ტელეგრაფის დიდმა მნიშვნელობამ ხალხები მიიყვანა ტარიფების ერთგვაროვნობამდე და საერთაშორისო სატელეგრაფო კონგრესების დაარსებამდე, რომელთაც გავლენა იქონიეს სატელეგრაფო ტექნიკის განვითარებასა და ტარიფების ჩამოყალიბებაზე.

7. ტელეფონი. ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთ დიდ საშუალებას წარმოადგენს ტელეფონი. ვაჭრობა-მრეწველობისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ტელეფონის განვითარებას. დასაწყისში ტელეფონი კერძო მეწარმეთა ხელში იყო. შემდეგ ის თანდათან გადავიდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების ხელში. სატელეფონო ექსპლოატაციას ეწევიან სახელმწიფო მუნიციპალიტეტები, კერძო მეწარმენი და კოოპერატიული საზოგადოებანი. ინგლისში ტელეფონი იმყოფებოდა ეროვნული სატელეფონო კომპანიის ხელში. მათ დაწესებული ჰქონდათ მაღალი სატარიფო ნორმები. ტელეფონი ძალიან გავრცელებულია შეერთებულ შტატებში და ევროპის ქვეყნებში. შეერთებულ შტატებში ასი წლის წინათაც ყოველ სოფელში, თითქმის ყოველ მოსახლეს ჰქონდა ტელეფონი.

სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველ დარგს ესაჭიროება ტელეფონი. მედიცინის დარგში – სასწრაფო დახმარება, მიმოსვლის გზათა ურთიერთობაში – სხვადასხვა ავარიული შემთხვევის დროული შეტყობინებისათვის და სხვ.

შეერთებულ შტატებში ასი წლის წინათაც კი ქალაქ ბედეს მცხოვრებლები სარგებლობდნენ ტელეფონის შემდეგნაირი მომსახურებით: ქალი ურეკავს სადგურს – ბავშვს აკვანში უდევს ტელეფონის ყურმილი, თუ გაიღვიძოს, დამირეკეთ. მეორე აბონენტი – პური მაქვს გამოსაცხობად შელაგებული, არ დამავიწყდეს გამოლება, 15 წუთის შემდეგ დამირეკეთ; ან კიდევ – ხვალ მაგარებელზე არ დამაგვიანდეს, გამაღვიძეთ დილით ამა და ამ საათზე და სხვ.

8. მონეტის რეგალია. მონეტის რეგალიაში იგულისხმება სახელმწიფოს უფლება – მოჭრას მონეტა და გაუშვას ბრუნვაში. საქონლის მიმოქცევა მოითხოვს მონეტის მოჭრის სისწორეს, რისი მიღწევაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მონეტის მოჭრა სახელმწიფოს ხელშია. კერძო პირებს შეუძლიათ მოჭრან ერ-

თი სახელწოდების მონეტები არაერთგვაროვანი ზომისა და წონისა, რაც დააბრკოლებდა მათ ცირკულაციას. მონეტების მოჭრა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. ამიტომ სახელმწიფო კერძო პირთაგან იღებს მოჭრის გარკვეულ საფასურს. შუა საუკუნეებში მონეტის მოჭრას მეფეები იყენებდნენ როგორც შემოსავლის წყაროს. ისინი ემყარებოდნენ იმ მცდარ შეხედულებას, რომ მონეტის ფასი დამოკიდებულია არა მისი შინაგანი ღირსებისაგან, არამედ დამოკიდებულია სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ამიტომ თანდათან ამცირებდნენ მონეტის შინაარსს, უტოვებდნენ იმავე სახელწოდებას. ამგვარად, მიიღებოდა იაფფასიანი, ანუ გაყალბებული მონეტები. ვინაიდან მონეტების მოჭრა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, თუ სახელმწიფო კერძო პირს მოუჭრიდა უფასოდ, მაშინ ეს ხარჯები უნდა დაფარულიყო გადასახადის ანგარიშით და დააწვებოდა სხვებს, რომლებიც ამ კონკრეტულ მომსახურებას არ ღებულობდნენ. მაგრამ მონეტის მოჭრის საფასური არ უნდა აღემატებოდეს მასზე გაწეულ ხარჯებს.

მეორე მხრივ, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს შემოსავალი მონეტის რეგალიიდან იმ სხვაობის საფუძველზე, რომელიც არსებობს მის შინაგან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის. ეს შესაძლებელია იქცეს სახელმწიფოს შემოსავლის წყაროდ ბილონური ფულის მოჭრის დარგში იმ პირობით, რომ ხურდა ფული არ იქნება მოჭრილი მის საჭიროებაზე უფრო მეტი. შემოსავალი შესაძლებელია მიღებულ იქნეს აგრეთვე პირველი შემსყიდველის უფლების გამოყენებითაც.

9. სამთო რეგალია. სამთო რეგალიაში იგულისხმება სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება სამთო საქმის წარმოებაში. სამთო საქმე მდგომარეობს წიაღისეულის – ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ქვანახშირის, რკინის მადნის და სხვა დამუშავებაში. აქედან სახელმწიფო ღებულობს შემოსავალს. ან სამთო წარმოება კერძო პირთა ხელშია და მათ სახელმწიფო ახდევინებს გადასახადებს, ან წიაღისეულის დამუშავებას თვითონ სახელმწიფო ეწევა. აქ ცალკე განიხილება წიაღისეულის საკუთრება მისი ზედაპირის საკუთრებისაგან. შესაძლებელია ზედაპირი იყოს კერძო საკუთრება, წიაღისეული – სახელმწიფო საკუთრება. ან წიაღისეულიც და ზედაპირიც იყოს სახელმწიფო საკუთრება.

ძველად ეგვიპტეში, საბერძნეთში წიაღისეული ეკუთვნოდა სახელმწიფოს, რომელიც მას აძლევდა კერძო პირებს დასამუშაველად გასამრჯელოს მიცემით. შუა საუკუნეების დასაწყისში წიაღისეულს განიხილავდნენ როგორც სახელმწიფო საკუთრების საგანძურს. ახალ პირობებში სამთო რეგალია სხვადასხვა ქვეყანაში განიხილება სხვადასხვანაირად, ინგლისში წიაღისეულიც იმას ეკუთვნოდა, ვისაც ზედაპირი. საფრანგეთში სამთო რეგალია არსებობდა XVIII საუკუნის ბოლომდე. გერმანიაში სახელმწიფომ მითთვისა განსაკუთრებული უფლება, ამოელო წიაღისეული და გაეყიდა.

სამთო რეგალიასთან ერთად, განვითარდა სამთო თავისუფლება. სამთო თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ კერძო პირს უფლება აქვს ეძიოს წიაღისეული ყველა მიწაზე, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს მიწა. ეს ფორმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს და წიაღის დამუშავება გადასცეს კერძო პირებს გარკვეული ქირის გადახდით. ამან ხაზინას უფრო მეტი სარგებლობა მისცა, რის გამოც ხელი შეუწევს კერძო ინიციატივას. სამთო თავისუფლებამ სამთო მრეწველობა აიყვანა მაღალ საფეხურზე.

სახელმწიფო ინარჩუნებს თავის გამგებლობაში წიაღს იქ, სადაც ის მდიდარია და დამუშავება შედარებით მარტივად მიმდინარეობს, რომელიც დაბეგრულია გადასახადებით, ან სადაც წიაღის დამუშავებამდე ეს ადგილი უდაბნო იყო და დამუშავების დაწყების შემდეგ მჭიდროდ დასახლდა, ან სადაც მზადდება სამხედრო იარაღი, ან ნედლეული ასეთი ქარხნებისათვის.

შემდგომში, როდესაც განვითარდა სინდიკატები, რკინიგზები სახელმწიფოთა ხელში გადავიდა, რომელთაც დიდი ოდენობით ესაჭიროებოდათ რკინა და ქვანახშირი. ეს საგნები კერძო პირთა მიერ ძალზე გაძვირებულ იქნა, სახელმწიფომ უპირატესობა მისცა წიაღისეულის სახაზინო სისტემას. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფომ შეძლო კვალიფიციური ტექნიკური პერსონალი შეექმნა და გამოეყენებინა სამთო საქმის წარმოებაში.

თავი მეხუთე

ბადასახადები

1. ბადასახადების ცნება

შემოსავლის იმ წყაროებს შორის, რომლითაც სახელმწიფოს ბიუჯეტი იკეებება, მთავარი ადგილი გადასახადებს უჭირავს, სახელმწიფო შემოსავლის რიგი სხვა წყაროებიც ამა თუ იმ ზომით ან ფორმით შენიღბულ გადასახადებს წარმოადგენენ.

გადასახადი, პირველყოელისა, არის განაწილებისა და გადასახადების გზით მიღებული ნაციონალური შემოსავლისა და სიმდიდრის წილი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

იმ საზოგადოების სიმდიდრე, რომელიც საქონლურ-ფულადი ხასიათისაა, მისი სიმდიდრის ის ნაწილიც, რომელიც გადასახადის ფორმასღებულობს, იმავე თვისების მაგარებელია. კაპიტალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები წარმოადგენენ შენიღბულ თუ შეუნიღბავ გადასახადთა უმარმაზარ გროვას, ცალკეული გადასახადი კი – მის ელემენტარულ ფორმას. ამიტომ სახელმწიფო შემოსავალთა ანალიზი უნდა იწყებოდეს გადასახადის ანალიზით.

გადასახადი არის სახელმწიფო ხელისუფლების საარსებო წყარო.

გადასახადების ელემენტებად იწოდება: გადასახადის სუბიექტი, გადასახადის ფორმალური გადამხდელი და ნამდვილი გადამხდელი, გადასახადის მზიდველი, გადასახადის ობიექტი, გადასახადის წყარო, დაბეგერის ერთეული, გადასახადის განაკვეთი ანუ კვოტა და გადასახადის გადანაკვეთი.

გადასახადის სუბიექტია გადამხდელი, რომელსაც კანონით ევალება გადასახადის გადახდა. იგი შესაძლებელია იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. მაგალითად, სახლის გადასახადის სუბიექტია სახლის პატრონი. კორპორაციის გადასახადის სუბიექტი – კორპორაცია.

გადასახადის სუბიექტი ყოველთვის არ არის ნამდვილი გადამხდელი, ხშირად ის არის მხოლოდ ფორმალური გადამხდელი. ნამდვილი გადამხდელია ის, ვისაც საბოლოოდ ეკისრება გადასახადი; მას ეწოდება გადასახადის მზიდველი. პირველნი გვევლინე-

ბიან გადასახადის ფორმალურ გადამხდელებად, მეორენი – ფაქტობრივ გადამხდელებად, ანუ გადასახადის მზიდველებად.

გადასახადის ობიექტია საგანი, რასაც შეეწერება გადასახადი, რისი ქონება ან არსებობა საფუძვლად ედება საგადასახადო დაბეგვრას. სახლის გადასახადის ობიექტია სახლი, ადგილ-მამულის გადასახადისა – მიწა, შემოსავლის გადასახადისა – შემოსავალი (ხელფასი, ჰონორარი, მოგება, რენტა), არაპირდაპირი გადასახადების ობიექტია სამომხმარებლო საგნები. დაბეგვრის ობიექტი მრავალფეროვანია. ის შესაძლებელია იყოს საერთო შემოსავალი ან მისი ნაწილები, მასობრივი მოხმარების საგნები, ბანკის გირაუნობის ფურცლები, ფასიანი ქაღალდები და სხვ.

გადასახადის წყაროა გადასახადის გადამხდელის მთლიანი შემოსავალი ან მისი ნაწილი, საიდანაც გადასახადი აიღება. ასეთი კაპიტალიზმის პირობებში მრავალფეროვანია. იგი შესაძლებელია იყოს ვაჭარ-მრეწველთა მოგება, მემამულეთა რენტა, ბანკირებისა და სადამღვევო საზოგადოებების მოგება, წვრილმწარმოებელთა შემოსავალი, ხელფასი და სხვა.

დაბეგვრის ერთეულთა შემოსავლის ან ქონების ნაწილი, რამედაც დაწესებულია საგადასახადო განაკვეთი ერთეულთა რაოდენობის მიხედვით, გადასახადი დაბეგვრის ობიექტს შეეწერება. მაგალითად, სახლის გადასახადის ერთეულია – მეტრი საცხოვრებელი ფართობი; საადგილმამულო გადასახადისა – ჰექტარი ან აკრი მიწა; საშემოსავლო გადასახადის – ფულის ერთეული: დოლარი, ევრო, ფრანკი, გირვანქა სტერლინგი და სხვ.¹

¹ თუ რა მნიშვნელობა აქვს დაბეგვრის ერთეულს, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს მეფის რუსეთის საგადასახადო სისტემიდან.

რუსეთში XII-XVIII საუკუნეებში არსებობდა საადგილმამულო გამოსაღები, რომელსაც დაბეგვრის ერთეულად ელო „Соха“ – კავი, სახნისი, აქ ნაგულისხმევი იყო მიწის გარკვეული ფართობი, რასაც კავი მოხნადა დროის გარკვეულ ერთეულში; აქედან იყო მიღებული გამოსაღების სახელწოდება «посошная податъ» – სახნაის გამოსაღები. ეს ფართობი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი იყო. «В посошью (Московскую) соху клалось 800 четвертей земли доброй, 1000 четв. средней и 1200 худой». (Янжул. Основныя начала финансовой науки. 1890, с. 296). მიწები დაყოფილი იყო „ღესეგინებად“, „ჩეკებად“ და „ეიგებად“.

მე-17 ს. დასასრულს, რუსეთში დაბეგვრის ერთეული შეიცვალა. «Сохა»-ს ნაცულად მემოღებულ იქნა «Дворъ» კომლი, ამის საფუძველზე გამოსაღებს ეწოდა «Подворная податъ», საკომლო გამოსაღები. დაბეგვრის ერთეულის გამოცემა გამოწვე-

გადასახადის განაკვეთია გადასახადის ოდენობა დაბეგვრის ერთეულზე. მაგალითად, ინგლისში გირვანქა სტერლინგზე შილინგებისა და პენსების გარკვეული ოდენობა.

გადასახადის კვოტა არის გადასახადის განაკვეთი გამოხატული პროცენტობით და არა აბსოლუტური თანხით. ვთქვათ, შემოსავლის დოლარზე შეწერილია გადასახადი 40 ცენტის ოდენობით, ეს იმას ნიშნავს, რომ დაბეგვრის ერთეულია დოლარი, გადასახადის განაკვეთია 40 ცენტი და გადასახადის კვოტა არის 40% (ვინაიდან დოლარში არის 100 ცენტი).

2. გადასახადის განაკვეთების აბეგვის მეთოდები

გადასახადების განაკვეთების აბეგვის მეთოდების მიხედვით გაირჩევა რეგრესული, პროპორციული და პროგრესული გადასახადები.

რეგრესული ეწოდება გადასახადს, რომლის განაკვეთი კლებულობს შემოსავლის ზრდასთან ერთად. რაც უფრო მდიდარია გადამხდელი, უფრო ნაკლებად ბეგრავს გადასახადი და პირიქით, რაც უფრო ღარიბია – უფრო მეტად. რეგრესული, არაპირდაპირი გადასახადები (მოხმარების საგნებზე შეწერილი გადასახადები).

გოვებდა და გარბოდა, ან სახნავე ფართობს ამცირებდა, რაც გადასახადების შემცირებას იწვევდა. დაბეგვრის ახალი ერთეული სახნავე ფართობისაგან დამოუკიდებლად, ბეგრავდა ემო-კარმიდამოს. ამან პირველ ხანებში სახელმწიფო შემოსავლის გადიდება გამოიწვია, მაგრამ შემდეგ გლეხობამ კვლავ გამოიწვია სხვა გზა გადასახადების გვერდის ასაველედა. ეს იყო მოსახლეობის კომლექსურად შეშვიდროება. იზრდებოდა არა კომლთა რიცხვი, არამედ კომლის წვერთა რიცხვი. ამიგომ კვლავ დაისვა საკითხი დაბეგვრის ერთეულის შეცვლის, უფრო მოქნილი დაბეგვრის ერთეულის შემოღების შესახებ. პეტრო პირველის დროიდან გაუქმდა საადგილმამულო დაბეგვრა და შემოღებულ იქნა «подушная подать» – სულაღობრივი დაბეგვრა. იგი კვლავ შემოღებულ იქნა 1875 წლიდან.

სულაღობრივი გამოსაღები რუსეთში პირდაპირ გადასახადთა შორის ძირითადი გადასახადი იყო. მას ახდევინებდნენ გლეხებს და მეშჩანებს. გადამხდელთა რაოდენობის განსაზღვრა ხდებოდა რევიზიების საშუალებით, რევიზიები ხშირად არ წარმოებდა, ვინაიდან ღიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამიგომ რევიზიიდან რევიზიამდე გარდაცვლილი და ახლად დაბადებულნი დაბეგვრის დროს მხედველობაში არ მიიღებოდნენ, ხოლო გარდაცვლილი ცოცხლებად ითვლებოდნენ და იბეგრებოდნენ (Озеров. Общая картина обложения в России в XVII в. и влияние его на экономическое положение населения; აგრეთვე: Озеров. Основы финансовой науки. Вып. I, с. 295-303).

რეგრესული დაბეგერა გამოყენებულია პირდაპირ გადასახადებშიც. როდესაც, მაგალითად, მეურნე მით უფრო მეტი განაკვეთით იბეგრება, რაც უფრო ნაკლები აქვს მიწა და პირიქით. ასევე რეგრესიულია სულადობრივი გადასახადი, რომელიც ყოველ დასაბეგრ პიროვნებას ახდევინებს მტკიცე განაკვეთს მისი ასაკის, ჯანმრთელობისა და შემოსავლის მიუხედავად.

პროპორციულია გადასახადი, რომლის განაკვეთი უცვლელი რჩება შემოსავლის მოძრაობის მიუხედავად, იგი ერთი და იმავე განაკვეთით ბეგრავს ყველა შემოსავალს სიდიდის მიუხედავად, პროპორციული დაბეგერა შემოღებულია საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ.

პროგრესული გადასახადია, რომლის განაკვეთები იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

რთული, ანუ საფეხურებრივი პროგრესიის დროს, დასაბეგრი შემოსავალი იყოფა ცალკეულ მონაკვეთებად და გადიდებული პროცენტით იბეგრება მხოლოდ შემდგომი მონაკვეთი.

მაგალითისათვის ავიღოთ შემოსავლის დაბეგერა მარტივი პროგრესიით:

1) 100 დოლარი	5 %	5 ლ
2) 1000 დოლარი	10 %	100 ლ
3) 10000 დოლარი	20 %	2000 ლ

იგივე შემოსავლის დაბეგერა რთული პროგრესიით:

1) 100 დოლარამდე	5 %	5 ლ
2) 101 ლ – 1000-მდე	10 %	95 ლ
3) 1001 ლ – 10000-მდე	20 %	1895 ლ

ეს გაანგარიშებულია შემდეგნაირად:

- 1) 100 ლ. 5 ლ.
 - 2) 101-დან 1000=900 10%=90 ლ.
 - 3) 1001-დან 10000=9000-20%=1800 ლ.
- ამგვარად: 5+90+1800=1895 ლ.

ე.ი. შემოსავალი გადაიხდის ერთი და იმავე პროცენტული განაკვეთებით

მარტივი	პროგრესიით	რთული	პროგრესიით
100 ლ	5 ლ	100 ლ	5 ლ
1000 ლ	100 ლ	1000 ლ	95 ლ
10000 ლ	2000 ლ	10000 ლ	1895 ლ

როგორც ვხედავთ, რთული პროგრესია ერთგვარად არბილებს პროგრესიის სიმკვერივეს, ამცირებს გადასახადს. ამიტომ რთული პროგრესია უფრო მისაღებია მსხვილი შემოსავლის მეპატრონეებისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში კომერციული საიდუმლოების არსებობის გამო, ახერხებენ გადამალონ თავიანთი შემოსავლის დიდი ნაწილი. ხშირად აწესებენ პროგრესულ დაბეგრას, მაგრამ პროგრესიის განაკვეთებს აღგენენ ისე მცირედს, რომ დიდად არ განსხვავდება პროპორციისაგან, მაგალითად:

1) 100 ლ	5 %	იქნება 5 ლ
2) 1000 ლ	5,1 %	იქნება 51 ლ
3) 10000 ლ	5,2 %	იქნება 520 ლ

იმავე შემოსავალზე პროპორციული დაბეგვრით იმავე პროცენტული განაკვეთით აიღებოდა გადასახადი:

1) 5 ლ, 2) 50 ლ და 3) 520 ლ. ამგვარად, განსხვავება არის 1 და 20 ლოლარი.

3. გადასახადების გადახდევინების მიხედვით, პირდაპირი გადასახადები არის განწილადებითი და გადაკვეთილი.

გადასახადების გადახდევინების მიხედვით, პირდაპირი გადასახადები არის განწილადებითი და გადაკვეთილი.

განწილადებითი გადასახადების გაწერა ხდებოდა კაპიტალისტურამდელ სამოგადოებრივ ფორმაციამდე. ამ დროს გადასახადური ტექნიკა ჯერ კიდევ საკმარისად განვითარებული არ იყო. გადასახადების განწილადებითი წესით გადახდევინების დროს სახელმწიფო გადასახადის მთელ თანხას აწერდა ოლქებს, ქალაქებს, სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს; შემდეგ ამ აღმინისტრაციული ერთეულის გადახდევლები თვითონ ინაწილებდნენ თავიანთ

შორის, ან ადგილობრივი ორგანოები ანაწილებდნენ მათ შორის გადასახადის ოდენობას (თუ ვის რამდენი უნდა გადაეხადა).

გადაკვეთილი გადასახადების გადახდევინებისას საფინანსო უწყება თითოეულ გამამხდელს აწერს გადასახადის განსამდგურულ თანხას – გადაკვეთილ გადასახადს. გამამხდელისათვის წინდაწინვე ცნობილია გადასახადის გადანაკვეთიცი და განაკვეთიცი. გადაკვეთილი წესით გადახდევინება ვაერცელდა კაპიტალიზმის პირობებში. ამას ხელს უწყობს კვალიფიციური ფინანსური აპარატის არსებობა.

გადასახადის გადახდევინების ელემენტებს შეადგენს: საგადასახადო კადასტრი, საგადასახადო დეკლარაცია, საგადასახადო შეფასება, დაუბეგრავი მინიმუმი და საგადასახადო იმუნიტეტი. საგადასახადო კადასტრის დროს დასაბეგრი ობიექტი დაყოფილია გარკვეულ თანრიგებად ობიექტის შემოსავლიანობის მიხედვით, თითოეული თანრიგისათვის დაწესებულია გადასახადის განსამდგურელი განაკვეთი. საგადასახადო კადასტრი გამოიყენება პირდაპირი გადასახადების რეალური დაბეგვრის სისტემაში, განსაკუთრებით კი საადგილმამულო დაბეგვრაში.

საადგილმამულო კადასტრის ისტორია იწყება მონათფლობელური სამოგადოებიდან. საადგილმამულო კადასტრი ითვალისწინებს მიწების დაყოფას თანრიგებად, მიწები ნაწილდება კულტურების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი და სხვა), მიწის ნაყოფიერების, მოსავლიანობის და სხვ. ის ჩაიწერება მიწის ნაკვეთების რეესტრში და გადაიგანება რუკაზე, ამასთანავე, ხდება მიწის ნაკვეთის თითოეული თანრიგის საშუალო ნორმალური შემოსავლიანობის შეფასება. საადგილმამულო კადასტრების შედგენას სჭირდება დიდი დრო და დიდი ხარჯები, ხშირად ათეული წლები; შემოწმება ძნელია, რადგან ის ითხოვს ისევ დიდ დროს და დიდ ხარჯებს, შემდეგ ძველდება ცხოვრების განვითარების გამო, ზოგი ნაკვეთი მცირდება, ზოგი იზრდება, ზოგის შემოსავლიანობა კლებულობს, ზოგის მატულობს, ამის გამო გადასახადების განაწილდება უთანაბრო ხდება, ღარიბებისათვის იზრდება, ხოლო მდიდრებისათვის კლებულობს, ამიგომ წვრილ მესაკუთრეთათვის ის ღებულობს დაბეგვრის რეგრესულ ხასიათს. კადასტრის შედგენა ხდება თვითნებურად. ის ემყარება დასაბეგრი ობიექტის გარეგნულ ნიშნებს. ამიგომ ობიექტის ნამდვილ შემოსავლიანობასთან დაცილებულია.

საგადასახადო დეკლარაცია გამოიყენება პირად დაბეგრამი პირდაპირი გადასახადებით დაბეგრის დროს. საგადასახადო დეკლარაცია არის გადამხდელის განცხადება, რომლითაც იგი საფინანსო უწყებას აცხადებს თავის შემოსავალს და მის სიდიდეს, აცნობებს მთლიან შემოსავალს და წმინდა შემოსავალს, შემოსავლის წყაროს და ოჯახის შემადგენლობას. ეს დეკლარაცია და საბუთები, რომლებიც ადასტურებენ გადასახადგადამხდელის ცნობების სისწორეს, საფუძვლად ედება დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრას და მასზე გადასახადის შეწერას.

საგადასახადო დეკლარაცია არის სავალდებულო და ფაქულტატური. ფაქულტატური დეკლარაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი განსაზღვრულ თანხას აღემატება. სავალდებულო დეკლარაცია გამოიყენება საშემოსავლო გადასახადის, მემკვიდრეობის, სახლის, სარეწაო გადასახადებისა და ბაჟების გადახდევის დროს.

საგადასახადო შეფასება. შეფასების მეთოდი გავრცელდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც დაკავშირებული იყო შემოსავლის გადასახადის გავრცელებასთან. საგადასახადო შეფასება არკვევს იმ პირობებს, რომელზედაც არის დამოკიდებული მისაღები გადასახადის ჯამის განსაზღვრა. ის აფასებს გადასახადის ობიექტს. საგადასახადო ტექნიკის განუვითარებლობის პირობებში, საგადასახადო ობიექტის შეფასება გარეგნულ მიზნებს ემყარებოდა. მაგალითად, სახლის გადასახადში ფანჯრების ან საკვამურების რიცხვს, დღევანდელ პირობებში ის ემყარება სახლის შემოსავლის სიდიდეს, საგადასახადო შეფასება, საგადასახადო კადასტრთან შედარებით, უფრო იაფი არის და უფრო მოქნილიც. მას ბოროტად იყენებენ მსხვილი გადასახადგადამხდელები.

დაუბეგრავი მინიმუმი არის შემოსავლის გარკვეული ოდენობა, რომელსაც არ შეეწერება გადასახადი, რასაც განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი მოსახლეობისათვის. მშრომელთა ერთი ნაწილი თავისუფლდება გადასახადისაგან, თუ ძალიან დაბალი არ არის დაუბეგრავი მინიმუმი დაწესებული. დაუბეგრავი მინიმუმი დაწესებულია, როგორც წესი, საშემოსავლო გადასახადისათვის, იგი გამოიყენება აგრეთვე ზოგიერთი სხვა გადასახადებისათვისაც, როგორც არის ქონების გადასახადი, მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი და სხვ.

ხშირად აწესებენ ისეთ დაბალ დაუბეგრავ მინიმუმს, რომ ის გადასახადისაგან ათავისუფლებს მხოლოდ წერილ შემოსავლებს, დაუბეგრავ მინიმუმს ამცირებს აგრეთვე საცხოვრებელ საშუალებათა გაძვირება, ქალაქის ფულის ინფლაცია, რიგ შემთხვევაში, მას ამცირებენ პირდაპირ საკანონმდებლო გზითაც. არაპირდაპირ გადასახადებში დაუბეგრავი მინიმუმი არ არსებობს.

საგადასახადო იმუნიტეტი არის განსაკუთრებულად პრივილეგიურ პირთა ვათავისუფლება გადასახადებისაგან. მონათმფლობელურ სახელმწიფოებში მშვიდობიან დროს საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდა ყველა თავისუფალი მოქალაქე. უფოდალურ სახელმწიფოებში საგადასახადო იმუნიტეტით აღჭურვილნი იყვნენ სამღვდლოება და თავადაზნაურობა.

დღევანდელ პირობებში საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებისაგან ვათავისუფლებული არიან საელჩოებისა და მისიების დიპლომატიური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები. დიპლომატები არ თავისუფლებიან იმ უძრავი საკუთრების პირდაპირი გადასახადებისაგან, რომლებიც არის იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ისინი იმყოფებიან და აგრეთვე იმ შემოსავალთა გადასახადებისაგან, რომელთა წყარო ამავე ტერიტორიაზეა.

ბადასახადის სახეები

1. ბადასახადების კლასიფიკაცია

წესისა და სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის მიხედვით გადასახადებს აქვს სხვადასხვაგვარი ფორმა და სახე. გადასახადებს აჯგუფებენ პირდაპირ გადასახადებად, არაპირდაპირ გადასახადებად, მისაგებლებად და მოსაკრებლებად.

პირდაპირი გადასახადები იყოფა რეალურ გადასახადებად და პირად გადასახადებად. რეალური გადასახადები ბეგრავს არა ცალკეულ პირებს, არამედ ქონებას ან შემოსავალს, ასეთებია: ადგილ-მამულის გადასახადი, სახლის გადასახადი, რეწვის გადასახადი, ფულადი კაპიტალების შემოსავლის გადასახადი. პირადი გადასახადებია ისეთი გადასახადები, რომლებსაც ახლევინებენ პიროვნებას.

ესენია: შემოსავლის გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი, სულადობის გადასახადი, ქონების გადასახადი.

არაპირდაპირი გადასახადები შედგება: აქციზების, ფისკალური მონოპოლიებისა და საბაჟო გადასახადებისაგან. აქციზები არის პირადი მოსმარების საგნებზე შეწერილი გადასახადები (ცნობილია თამბაქოს, ღვინის, ნაეთობის, შაქრის და სხვა აქციზები), რიგ შემთხვევაში აქციზებით იბეგრება წარმოებრივი მოსმარების საგნებიც.

ფისკალური მონოპოლია გულისხმობს განსაზღვრული საგნების, როგორც არის: თამბაქო, ღვინო, სათამაშო ქალაღი და სხვა წარმოების ან გასაღების, ან წარმოებისა და გასაღების განსაკუთრებულ უფლებას, რომელსაც სახელმწიფო თავისთვის იტოვებს.

საბაჟო გადასახადები ბეგრავს საქონლის უცხოეთიდან შემოზიდვასა და უცხოეთში გაზიდვას. ამის საფუძველზე გაირჩევა შემოზიდვის, გაზიდვის და გრანზიტის ბაჟები. თავისებურ სახეებს წარმოადგენენ ფისკალური, პროტექციონისტული და სტატისტიკური ბაჟები. ცნობილია აგრეთვე ბაჟები ავტონომიური, ხელშეკრულებითი, პრეფერენციული, სპეციფიკური და ფასეულობითი.

გადასახადურ გადასახდელებს მიეკუთვნება მისაგებლები და მოსაკრებლები, როგორცაა: ქონების მიმოქცევის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების, ნოტარიული, სასამართლო, საგერბო და სხვ.

პირდაპირი გადასახადები

რეალური გადასახადები	პირადი გადასახადები
1. ადგილ-მამულის გადასახადები	შემოსავლის გადასახადი
2. სახლის გადასახადი	ქონების გადასახადი
3. რეწვის გადასახადი	მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი
4. ფულადი კაპიტალის გადასახადი	სულადობის გადასახადი

არაპირდაპირი გადასახადები

აქციები	საბაჟო გადასახადები		ფისკალური მონოპოლიები
1. მასობრივი მოხმარების საგნების 2. ფუფუნების საგნების 3. წარმოებრივი მოხმარების საგნების 4. ბრუნვის გადასახადი (უნ-ივერსალური აქციზი)	1. საქონელთა შემოზიდვის 2. გაზიდვის 3. ტრანზიტის	1. პროტექციონისტული 2. ფისკალური 3. სტატისტიკური 4. ხელშეკრულებითი: აეტონომიური პროპორციული სპეციფიკური შეჯასებითი	1. წარმოების 2. ვაჭრობის 3. წარმოებისა და ვაჭრობის

მისაგებლები და მოსაკრებლები

1. ქონების მიმოქცევის.
2. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების.
3. ნოტარიული.
4. სასამართლო.
5. საგერბო მოსაკრებლები.

ნატურალური და ფულადი გადასახადები. ნატურალური გადასახადები ეწოდება გადასახადებს, რომლებსაც გადამხდელი სახელმწიფოს უხდის ნატურით; ასეთებია: პური, ღვინო, ხორცი, ყველი და სხვ. ეს არის გადასახადების აღრინდელი ფორმა. იგი გავრცელებული იყო მონათმფლობელურ და ფეოდალურ სახელმწიფოებში.

კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციაში, სადაც ფულმა თავის სრულ გაშლას მიაღწია, გადასახადები ფულად გადასახადებად გადაიქცნენ.

სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. სახელმწიფოებრივი გადასახადები წარმოადგენს მოსახლეობის სა-

ვალდებული გადასახდელს, რომელიც შემოღებულია სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების მიერ კანონით დაწესებულ საფუძველზე.

ადგილობრივი გადასახადებია სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დაწესებული გადასახადები. ის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის მთავარი წყაროა. ადგილობრივი გადასახადები არის როგორც პირდაპირი, მაგალითად, ქონების, რეწვისა და სხვა, ასევე არის არაპირდაპირი – აქციზის, ბაჟის სახით. ხდება აგრეთვე ადგილობრივის სასარგებლოდ სახელმწიფო გადასახადებზე წამატება. მაგალითად, აშშ კორპორაციის გადასახადზე და სხვ.

2. პირდაპირი გადასახადები

პირდაპირი დაბეგვრა არის დაბეგვრის უმარტივესი და უბევლესი ფორმა. იგი ვითარდებოდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმების მოძრაობასთან ერთად. პირდაპირი გადასახადები გავლენას ახდენენ წარმოებაზე. დაბეგვრის ამ სისტემის არსებობისას საქონელი იაფია.

ა) პირდაპირი რეალური გადასახადები

პირდაპირი გადასახადები იყოფა რეალურ გადასახადებად და პირად გადასახადებად. პირდაპირ რეალურ გადასახადებს უწოდებენ გადასახადებს, რომლებიც ეწერება თვით ქონებას, მაგალითად სახლს, მიწას, ფაბრიკას და სხვ. პირდაპირი პირადი გადასახადები ეწოდება გადასახადებს, რომლებიც ეწერება არა ნივთებს, არამედ გადასახადგადამხდელის შემოსავალს, მაგალითად ხელფასს, მოგებას, რენტას და სხვ.

ეს დაყოფა, რასაკვირველია, პირობითია, რადგან გადასახადის გადამხდელი ორთავე შემთხვევაში პიროვნებაა – ფიზიკური ან იურიდიული. იგი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, გადასახადი ეწერება როგორც პიროვნებას, თუ როგორც ქონების მფლობელს.

პირდაპირი რეალური გადასახადებია ცალკეული ქონების ან შემოსავლის გადასახადები: საადგილმამულო გადასახადი, სახლის გადასახადი, რენტის გადასახადი, ფულადი კაპიტალების შემოსავლის გადასახადი.

ადგილ-მამულის გადასახადი. ადგილ-მამულის გადასახადი არის მიწის ნაკვეთების შემოსავლის გადასახადი. გადასახადის სუბიექტია მიწის მესაკუთრე ან მფლობელი იმისაგან დამოუკიდებლად, ის თვით ამუშავებს მიწის ნაკვეთს, თუ მას იჯარით გასცემს. მოიჯარე დამოუკიდებლად იხდის გადასახადს თავისი შემოსავლიდან, საიჯარო ქირის გამოკლების შემდეგ.

რეალურ გადასახადთა შორის საადგილმამულო გადასახადი ყველაზე ძველია. ეს საესებით გასაგებია იმიტომ, რომ მიწის დიდი შემოსავალი ყურადღებას იპყრობდა იმ დროს, როდესაც მრეწველობა და ვაჭრობა ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო.

ადგილ-მამულის გადასახადი ვრცელდება მიწაზე, რომელიც ემსახურება სასოფლო-საგაყეო მეურნეობას და, ჩვეულებრივად, ყველა მიწაზე, რომელსაც შეუძლია ემსახუროს ერთსაც და მეორესაც, თუმცა ფაქტობრივად შეიძლება არც კი იქნეს გამოყენებული როგორც ასეთი (პარკები და სხვ.), მაგრამ ტყის, ადგილ-მამულის გადასახადი განსხვავდება წმინდა სასოფლო-სამეურნეო ადგილ-მამულის გადასახადისაგან და ხშირად ახდევინებდნენ განსაკუთრებულ საგაყეო გადასახადის სახით. სამთო საქმის შემოსავალს, რომელიც ასევე ნიადაგთან დაკავშირებულია, ამ სამუშაოს განსაკუთრებული ბუნების შესაბამისად, ბეგრავენ ან განსაკუთრებული გადასახადით, ან სარეწაო გადასახადით. გაშენებული მიწა ასევე უნდა გამოირიცხოს კატეგორიებიდან, რომლებიც დაბეგრულია ადგილის გადასახადით, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არის მიწიდან დამოუკიდებელი შემოსავალი, თუმცა პრაქტიკა ხშირად ასეთ მიწებსაც საადგილმამულო გადასახადად აქცევს.

გადასახადის გაზომვის საფუძვლების დაწესების მიმართ ადრე კმაყოფილებოდნენ შემოსავლის დაახლოებითი შეფასებით, სარგებლობდნენ სარეწაოს გარეგანი ნიშნებით (გუთნები, ცხოველთა რიცხვი, ნათესის სიდიდე და სხვ.), რომელსაც საფუძვლად უღებდნენ დაბეგრას.

სახლის გადასახადი. სახლის გადასახადს ახდევინებენ სახლის მესაკუთრეს ანუ მფლობელს. ეს არის შენობის გადასახადი.

მისი მეურნეობრივი წყარო შენობის შემოსავალია. დაბეგრის დროს არკვევენ საკითხს, მესაკუთრე სარგებლობს შენობით, თუ სხვაზე აქვს გაქირავებული.

გაქირავებული შენობა იძლევა რენგას იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზნით არის გაქირავებული. გამქირავებლისათვის ქირა წარმოადგენს შემოსავალს, მაშინ, როდესაც დამქირავებლისათვის – ბინის ხარჯს ან ღუქნების, კანგორების, სახელოსნოების და სხვ. დაქირავების ღროს – მისი წარმოების ხარჯების ნაწილს.

თუ შესაკუთრე თვითონ ცხოვრობს ან სარგებლობს შენობით, ამ შემთხვევაშიც ხდება შენობის დაბეგვრა.

სახლის გადასახადის გვერდით ახლევინებენ აგრეთვე საადგილმამულო გადასახადს ანაგებიან ნაკვეთებზე; მაგრამ, ვინაიდან ანაგებიან მიწას მეტი არავითარი დამოუკიდებელი შემოსავალი არ მოაქვს, ამიგომ საადგილმამულო გადასახადი შეიძლება გადაიქცეს საკუთრივ, მხოლოდ როგორც დამატებითი: სახლის, მოედნის, ებოსა და ბალის გადასახადად.

შენობის შემოსავლიანობა, რომელიც საფუძვლად ედება დაბეგვრას, შესაძლებელია დაწესდეს სხვადასხვა წესით. პრაქტიკაში სარგებლობენ შემდეგი მეთოდებით. დაბეგვრა ემყარება ან განსაზღვრულ დაქირავების ფასს, რომელსაც შესაკუთრე განსაზღვრული ღროის განმავლობაში მართლა ღებულობდა შენობიდან, ან შეეძლო მიღება ადგილობრივი პირობების მიხედვით (გადასახადი გაქირავების შემოსავალზე), ან სახლის შემოსავალზე, ან მოედნიდან, რომელიც უჭირავს შენობებს, ხშირად მის კუთვნილ ებოს მოედნითაც, მოცემული ადგილისათვის შეფასების უმაღლეს კლასში შეტანით (გადასახადი მიწის ფართობზე).

ამ კანონით წესდებოდა საგადასახადო განაკვეთები საცხოვრებელ შენობათა სიდიდესა და რიცხვთან შესაბამისად, შენობის სახისა და თვისების, ხანდახან მისდამი კუთვნილი მიწის ნაკვეთების მხედველობაში მიღებით, ან სამუშაოს კაპიტალური ღირებულების განსაზღვრის გზით – მათი მდგომარეობის, მომის, გამოყენების წესის, შინაგანი მოწყობილობის შესაბამისად და აგრეთვე, სხვა პირობათა მხედველობაში მიღებით, რომლებიც გავლენას ახდენენ გასაყიდ ღირებულებაზე (შენობის ღირებულების გადასახადი); დაბოლოს, ფანჯრების და კარების რაოდენობის მიხედვით, მღებარეობის, სართულიანია თუ არა შენობა (გადასახადი ფანჯრებსა და კარებზე).

რეწვის გადასახადი. ეს გადასახადი შემოღებულია ფეოდალიზმის პირობებში, ის განაგრძობს არსებობას კაპიტალიზმის ღრო-

საც. რეწვის გადასახადი შეეწერება სამრეწველო და სხვა საწარმოებს. ამ გადასახადს იხდიან ფაბრიკების, მაღაზიების, სახელოსნოების, საბანკო კანტორების და სხვა მფლობელები. გადასახადის ობიექტია მათი შემოსავალი რეწვითი საქმიანობიდან. გადასახადი შეეწერება გარეგანი ნიშნების მიხედვით, მაგალითად: მუშების რიცხვი, გამომუშავების სიდიდე, მოტორების სიმძლავრე და სხვ.

რეწვის გადასახადის გამოსაანგარიშებლად სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია „სარგყლებად“ მათი მნიშვნელობის მიხედვით. სარეზიდენციო ქალაქები და მსხვილი ქალაქები მოთავსებულია პირველ სარგყელში, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი — მეორეში და ასე შემდეგ. დასაბეგრი ბრუნვა ვაჭრობაში განისაზღვრება ვაჭრობის სახეების მიხედვით: მსხვილი, საბითუმო, საცალო და სხვ.

რეწვის გადასახადის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პატენტი, რეწვის გადასახადს იხდიან ამა თუ იმ საქმიანობის უფლების მოპოვებისათვის სპეციალური მოწმობის (პატენტის) მიღებით. საპატენტო გადასახადს უთვლიან რეწვის ძირითად გადასახადში. შემდგომში გადახდევინების წესი შეცვალეს ისე, რომ გადასახადს აწერდნენ არა საფინანსო უწყების ორგანოების მიერ რეწვის მოგებათა გამომანგარიშების საფუძველზე, არამედ საგადაამხდელო დეკლარაციის საფუძველზე.

ფულადი კაპიტალის შემოსავლის გადასახადი. ფულადი კაპიტალის შემოსავლების გადასახადი წარმოიშვა კაპიტალიზმის პირობებში. იგი არის რეალური გადასახადების გვიანდელი ფორმა. იგი განსაკუთრებით განვითარდა ფასიანი ქაღალდების გავრცელებასთან დაკავშირებით. ფასიანი ქაღალდების მფლობელები დებულობენ შემოსავალს დივიდენდებისა და სარგებლის ხაზით. ეს შემოსავლები ხდება ობიექტად ფულადი კაპიტალის შემოსავლის გადასახადისა. ამ გადასახადის გადახდევინება ხშირად წარმოებს ბანკების საშუალებით. ფინანსური კონტროლი გადასახადის გადახდაზე თავის სიმალლე არ ღვას და ხერხდება გადასახადისათვის თავის არიდება. აშშ ადგილობრივი ორგანოებისა და შტატების სესხის მფლობელები ამ გადასახადიდან გათავისუფლებული არიან. ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებული არიან მიიზიდონ კაპიტალი, ათავისუფლებენ კაპიტალის შემოსავლებს გადა-

სახადებიდან. უცხოელ კაპიტალისტებს ეძლევათ შეღავათები და პრივილეგიები ფასიანი ქალაქების დაბეგვრაში.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი დაბეგვრის ფორმა უმჯობესია არაპირდაპირ დაბეგვრასთან შედარებით, პირდაპირი რეალური გადასახადებიც არ ბეგრავს გადასახადგადამხდელს გადახდისუნარიანობის მიხედვით ერთ-ერთ პირობას – პირდაპირი რეალური გადასახადებიდან პირდაპირ პირად გადასახადებზე გადასვლისას.

ბ) პირდაპირი პირადი გადასახადები

პირადი გადასახადების ობიექტია პიროვნების მთელი შემოსავალი, მისი ქონების შემოსავალი ან თვითონ პიროვნება. ამ გადასახადების ჯგუფს ეკუთვნის შემოსავლის გადასახადი, ქონების გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი, სულალობის გადასახადი.

რეალური გადასახადებისაგან განსხვავებით, პირად გადასახადებში გამოიყენება გადასახადგადამხდელის პირადი მიზნები. ასეთებია დაუბეგრაფი მინიმუმი, დასაბეგრი შემოსავლიდან ხარჯების გამოკლება, შეღავათები ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, გადასახადის პროგრესული განაკვეთები და სხვ. გარდა ამისა, პირადი გადასახადების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის შედარებით უფრო ელასტიურია, ვიდრე რეალური გადასახადები.

პირდაპირი პირადი გადასახადები, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ყველაზე ადრე შემოიღეს ინგლისსა და გერმანიაში, რაც აიხსნება სოციალურ-ეკონომიკური პირობებით.

დაბეგვრის შემოღების მიზნით, შემოსავლის გადასახადს მხარს უჭერდნენ მიწათმფლობელები და ფერმერები; ისინი მოითხოვდნენ დასაბეგრი შემოსავალი შემცირებულიყო სარგებლისა და სხვა გადასახდელთა გამოკლებით, მსხვილი კაპიტალის კონკურენციის შემცირების მიზნით შემოსავლის გადასახადს ემხრობოდა წვრილი ბურჟუაზია. შემოსავლის გადასახადის შემოღებაში მაინც მთავარი იყო მუშათა მოძრაობა, რომელმაც აიძულა სახელმწიფო დათმობაზე წასულიყო.

შემოსავლის გადასახადი. შემოსავლის გადასახადის ობიექტია გადასახადგადამხდელის ყოველგვარი შემოსავალი, მიუხედავად იმისა, თუ რა წყაროებიდან ღებულობს მას. შემოსავლის გადასახადი არის ორგვარი: შედუღარული და გლობალური. პირველი

თავდაპირველად შემოღებულ იქნა ინგლისში, მეორე – პრუსიაში. ამიგომ მათ სხვანაირად უწოდებდნენ ინგლისურსა და პრუსიულს.

ინგლისის შემოსავლის გადასახადი შედგება ორი სახისაგან: ძირითადი საშემოსავლო გადასახადისა და დამატებითი საშემოსავლო გადასახადისაგან. პირველი პროპორციულია, მეორე პროგრესული. ინგლისში ძირითადი შემოსავლის გადასახადი შემოიღეს 1842 წელს. ეს გადასახადი პროპორციულია და დაწესებულია შედუღარული სახით, რაც იმას გულისხმობს, რომ დაბეგვრის ობიექტად მიჩნეულია გადასახადგადამხდელის მთელი შემოსავალი, მაგრამ გადასახადი შეეწერება არა მთელი შემოსავლის, არამედ ცალკეული ნაწილების ანუ შედუღების მიხედვით. ასეთი შედუღებია ხუთი – A, B, C, D, E. A შედუღებით იბეგრება უძრავი ქონების შემოსავალი და მიწის რენტა; შედუღა B ბეგრავს სოფლის მეურნეობის შემოსავალს; შედუღა C – ფულადი კაპიტალების, ე.ი. ფასიანი ქაღალდების შემოსავალს; შედუღა D – მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკების, სადამღვევო საზოგადოებათა და სხვ. მოგებას; შედუღა E – ბეგრავს ხელფასს, ჯამაგირებს, პენსიას, ადვოკატების, მხატვრების, ექიმების და სხვ. კონორარებს.

შრომითი შემოსავლები იბეგრება წყაროსთან, შემოსავლის მიღების მომენტში, შედუღარული გადასახადი არ გამოორიცხავს გადასახადის გვერდის ავლის შესაძლებლობას, მრეწველობისა და ვაჭრობის შემოსავალი წყაროსთან ვერ იბეგრება, ამიგომ გამოიყენება გადასახადგადამხდელის დეკლარაცია. სწორედ აქ არის შემოსავლის გადამალვის შესაძლებლობა, რასაც აადვილებს კომერციული საიდუმლოების დაცვა, ვინაიდან ინგლისში გადასახადის გადახდა წარმოებს შედუღების მიხედვით ცალ-ცალკე, ამიგომ საგადასახადო შეღავათების გამოყენება გადახდევინებისას შეუძლებელია, ამიგომ გადამხდელნი მეორე წლის დასაწყისში, როდესაც უკვე მათ მიერ გადასახადი გადახდილია მთელ მათ ერთობლივ შემოსავალზე, წარადგენენ იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვით მათ ეს შეღავათები ეკუთვნით და საფინანსო უწყება უკან უბრუნებს მათ მიერ მდღემტად გადახდილ გადასახადებს.

გლობალური შემოსავლის გადასახადი პირველად შემოიღეს პრუსიაში 1891 წელს, ხოლო შემოსავლის გადასახადი ინგლისში, შემდეგ გერმანიაში და ყველა სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში – XX საუკუნეში.

გლობალური შემოსავლის გადასახადი შეეწერება გადასახადგამხდელის ერთობლივ შემოსავალს. ასეთი გადასახადი არსებობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აშშ-ში, იტალიაში, იაპონიაში. გადასახადს ახდენენ არა წყაროსთან, არამედ გადამხდელის დეკლარაციის საფუძველზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში შემოიღეს საიმპერიო შემოსავლის გადასახადი.

აშშ-ში შემოსავლის გადასახადით ცალკე იბეგრება მოსახლეობა და ცალკე კორპორაციები.

აქაც მოსახლეობის შემოსავლის გადასახადი ორგვარია: ძირითადი და დამატებითი. ძირითადი შემოსავლის გადასახადი პროპორციულია, დამატებითი შემოსავლის გადასახადი – პროგრესული.

კორპორაციების ფედერალური საშემოსავლო გადასახადიც ორგვარია: ძირითადი და დამატებითი. ამ გადასახადების გადახდევინებაში დიდი გასაქანი აქვს შემოსავლის გადამალვას და, მასადაამე, გადასახადის გვერდის აელას.

ქონების გადასახადი. ქონების გადასახადი გვხვდება იშვიათად. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში და იტალიაში ის იყო შემოღებული დროებით, როგორც დამატებითი გადასახადი. ეს გადასახადი ლებულობს არაჩვეულებრივი გადასახადის სახეს, რომელსაც აწესებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში (ომისა და სხვ.). აშშ-ში ქონების გადასახადს აწესებენ შტატები ან ადგილობრივი ორგანოები. ქონებრივ გადასახადებს აქვს დაბალი განაკვეთები, რაც შესაძლებელს ხდის, გადამხდელმა იგი მიმდინარე შემოსავლიდან გადაიხადოს.

მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადი. მემკვიდრეობის გადასახადი წარმოადგენს სიკვდილის შემთხვევაში ქონების ხელიდან ხელში უსასყიდლოდ გადასვლის გადასახადს. გადასახადის წყაროსა და დაბეგრის მასშტაბს წარმოადგენს სამემკვიდრეო ქონება, რამდენადაც ის თავის თავში შეიცავს აქტივს. გადასახადვალდებულად გვევლინებიან პირები, რომლებიც მემკვიდრეობას ლებულობენ კანონის ან ანდერძის მიხედვით.

მემკვიდრეობის გადასახადი, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს ქონების მიმოქცევის გადასახადს, ვინაიდან ის ქონებას ბეგრავს ქონების მფლობელის გამოცვლის დროს. ეს გამოცემა რომ არ ყოფილიყო, არც გადასახადი იქნებოდა. თავისი მოქმედებით

მოცემული გადასახადი წარმოადგენს ქონებრივს, ვინაიდან სამეკვიდრო ქონება ერთსა და იმავე დროს საფუძველიც არის გადასახადის განსასაზღვრავად და საგადასახადო წყაროც.

სულადობის გადასახადი წარმოადგენს პირადი გადასახადის ყველაზე უმარტივეს ფორმას, ე.ი. ისეთი გადასახადისა, რომლის დროსაც პიროვნება ერთდროულად სუბიექტიც არის და ობიექტიც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ისეთ გადასახადს, რომელიც ერთგვარი თანხით გადახდება თითოეულ გადამხდელს, ე.ი. თითოეული ოჯახის თავს, ან ცალკე პიროვნებას – ყველას ან მოგიერთი შეზღუდვით, მაგალითად, შრომისუნარიან მოზრდილ მამრობით მოსახლეობას.

სულადობის ასეთი გადასახადები, რომელიც ხშირად გვხვდება წარსულში, მეტისმეტად უხეში და უსამართლო იყო, ვინაიდან ის სრულიად არ უწყვედა ანგარიშს ქონებისა და შემოსავლის სხვადასხვაობასა და სიდიდეს.

ცხადია, ის კიდევ უფრო მეტად დამგვირთველი და უსამართლოა იქ, სადაც მას ერთგვარი ზომით ახდევინებენ თითოეულ სულს მდგომარეობის, ასაკისა და სქესის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში სულადობრივი გადასახადი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთადერთი გადასახადი დაბალ კლასებზე.

ზემოგების გადასახადი, აშშ-ში, ინგლისსა და მოგიერთ ქვეყანაში ომის დროს, როგორც დროებითი ღონისძიება, შემოდებულ იქნა ზემოგების გადასახადი. ამ გადასახადის დროს გადამხდელის ქონება მხოლოდ მასშტაბია დაბეგერისათვის. დაბეგერის ობიექტია ომის თითოეული წლის მოგების ის ნაწილი, რომელიც აღემატება ომამდელ წლიურ მოგებას. გადასახადგადამხდელეები ახერხებენ ამ გადასახადის გადაკისრებას მომხმარებლებზე და სახელმწიფოზე მათთვის სხვადასხვა შეკვეთის მიცემისას. გადახდილი გადასახადის ნაწილი ომის დამთავრების შემდეგ ინგლისსა და აშშ-ში დაუბრუნეს გადამხდელეს.

თავი მემქვსე

არაპირდაპირი გადასახადები

დაბეგერის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს არაპირდაპირი გადასახადები. იგი სხვადასხვა სახელმწიფოში გადასახადთა საერთო შემოსავლის, მეტ-ნაკლებად 35-45 % შეადგენს. არაპირდაპირი გადასახადების მთავარი მზიდველი არის მშრომელი მოსახლეობა, რადგან ამ გადასახადით ძირითადად დაბეგრილია აუცილებელი ანუ მასობრივი მოხმარების საგნები. რადგან მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მშრომელი მოსახლეობა შეადგენს, ამიტომ არაპირდაპირი გადასახადების დაახლოებით 80 %-მდე მოდის მშრომელების წილად. ამგვარად, არაპირდაპირი გადასახადები ამცირებენ რეალურ ხელფასს.

არაპირდაპირი გადასახადები გადახდება მოსახლეობას არა პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ, სამომხმარებლო საგნებზე ფასების წამატებით. პირდაპირი გადასახადების დროს ცნობილია გადასახადის გადამხდელი პიროვნება, არაპირდაპირი გადასახადის დროს მისი გადამხდელია ის, ვინც ყიდულობს საქონელს და რამდენსაც ყიდულობს, იმდენ გადასახადს იხდის. არ არის მართალი ისეთი შეხედულება, რომლის მიხედვითაც არაპირდაპირი გადასახადები უფრო სამართლიანია, ვიდრე პირდაპირი, ვინაიდან შეძლებული უფრო მეტს იყიდის და, მამასადამე, უფრო მეტს გადაიხდის, ვიდრე ნაკლებად შეძლებული. არის პროდუქტები, რომელთაც ერთნაირი რაოდენობით ან მცირედი განსხვავებით მოიხმარენ შეძლებულნი და ნაკლებად შეძლებულნი. მაგალითად, არაპირდაპირ გადასახადს რომ პროპორციულობა მისცე, მაშინ მარილის მომხმარებელი ნაკლებად შეძლებული თუ მოიხმარს კილოგრამ მარილს, ათასჯერ უფრო შეძლებულმა უნდა შეჭამოს გონა მარილი. თუ პირველი მოიხმარს კილოგრამ შაქარს ან ლიტრ ღვინოს, მეორემ უნდა შეჭამოს გონა შაქარი, დალიოს გონა ღვინო და სხვ. ამიტომ არაპირდაპირი გადასახადები დაბეგერის უფრო მძიმე ფორმას წამოადგენენ; მათ არც ექსისტენც-მინიმუმი აქვთ.

ცნობილია, არაპირდაპირი გადასახადების სამი ჯგუფი: აქციზები, ფისკალური მონოპოლიები და ბაჟები. არაპირდაპირი გადასახადების ეს სახეები ერთმანეთთან კავშირშია და ერთმანეთს აპირობებენ. ასე, მაგალითად, ქვეყნის შიგნით აქციზების დაწესება მოითხოვს სამღვათრზე პროტექციონისგული ბაჟების დაწესებას და სხვ.

ა. სააქციო დაბეგვრის ფორმათა განვითარება

აქციები წამოადგენს არაპირდაპირი დაბეგვრის გავრცელებულ ფორმას. აქციები არის შინაგანი წარმოების საგნებზე შეწერილი გადასახადი, რომელიც შესულია მის ფასში. აქციების ფორმის სახელმწიფო ახდევინებს გადასახადს საქონლის მწარმოებელს ან გამსაღებელს. უკანასკნელნი ამ გადასახადს აკისრებენ მომხმარებლებს მოცემულ საქონელთა ფასის გადიდებით.

აქციებით შესაძლებელია დაიბეგროს ყოველი პროდუქტი. არ ჩვენ აქციებს აუცილებელი მოხმარების საგნებზე და ფუფუნების საგნებზე. უფრო გავრცელებულია აქციები აუცილებელი მოხმარების საგნებზე, ვინაიდან მისი შემოსულობა საიმედოა და თანაყდიდი. ამ საგნების მოხმარების გვერდის ავლა ძნელია და თანაყმას მოსახლეობის დიდი ნაწილი მოიხმარს. ამიგომ აქციები განსაკუთრებულად მძიმე გვირთად აწეება მშრომელებს.

ცნობილია აქციების გადახდევინების რამდენიმე წესი: 1) აქციებით დაბეგვრა ნელლეულის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, 2) მიწის, რაზედაც ნელლეულის მცენარე იზრდება, 3) ნახევარ ფაბრიკატის, 4) მანქანების სიმძლავრის მიხედვით, რომლებიც ნელლეულს ან მზა პროდუქტს ამზადებენ, ან 5) მზა პროდუქტის მიხედვით. ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფს შორის წარმოებს ბრძოლი: იმის გარშემო, აქციების თუ რომელი ფორმა ჯობს – წერილი ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, მონოპოლიისა კი ისეთი ფორმების შემოღება, რომელიც აჩქარებს წარმოების კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში შემოღებულია აგრეთვე ბრუნვის გადასახადი, როგორც აქციების დამატება, როგორც ადრე არსებობდა გერმანიაში, საფრანგეთსა და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საფრანგეთში მას უწოდებენ ბრუნვის გადასახადს, აშშ-ში – გაყიდვის გადასახადს, ინგლისში – ნასყიდობის გადასახადს. საერთოდ, მას უწოდებენ უნივერსალურ აქციმს, რაც საესებით გამოხატავს მის ნამდვილ შინაარსს. ეს არის გადასახადი, რომელიც ბეგრავს კომერციულ ბრუნვას; უმთავრესად ამით იბეგვრება საბითუმო და საცალო ვაჭრობა, როდესაც საქონელი მომხმარებელთან გადადის, გადასახადი ნაწილობრივ ბეგრავს საქონელს წარმოების ადგილას. ამგვარად, ბრუნვის გადასახადი ბე

გრაეს იმ საქონელსაც, რომელსაც აქციში არა აქვს შეწერილი და იმათაც, რომელზედაც აქციზს იხდიან, ე.ი. ის იბეგრება განმეორებით.

არაპირდაპირი გადასახადები სხვადასხვა ფორმას ღებულობს. გადასახადებით იბეგრება წარმოება, გასაღება და მოხმარება. შედარებით მარტივ ფორმას წარმოადგენს წარმოებაზე დაღებული გადასახადები. არის საგნები, რომლებიც ეპარება სამომხმარებლო დაბეგვრას, ამიგომ, რიგ შემთხვევაში, მოხმარების მაგიერ უპირატესობას აძლევენ პროდუქტების წამოების დაბეგვრას. ეს ფორმა შედარებით უფრო გვიანაა წარმოშობილი. წარმოებაზე დაღებულ გადასახადებს შორის არის განსხვავება. ადრე არაპირდაპირი გადასახადით იბეგვრობდა პირველი მოხმარების საგნები, უმთავრესად პურის წარმოება. მოგიერთ სახელმწიფოში დიდხანს არსებობდა დაფქვის გადასახადი. წისქვილები ბევრი იყო და აკრეფაც გაძნელებული. წარმოების დაბეგვრა მოსახერხებელია, რადგან წარმოება კონცენგირებულია რამდენიმე ადგილზე, რაც აადვილებს კონტროლს. აღსანიშნავია, რომ ფისკალური მხარე არ უნდა უშლიდეს ხელს წარმოების განვითარებას და გადახდევინების თვითნებობაზე არ უნდა იყოს დამყარებული. არაპირდაპირი გადასახადები კორექტივს უკეთებს საბაჟო დაბეგვრას.

ასევე ბეგრავენ ისეთი საგნების წარმოებას, რომელიც ფართოდ მოიხმარება, მაგრამ პირველ მოთხოვნილებას არ შეადგენს. ასეთია ალკოჰოლი, ლუდი, შაქარი და სხვ.

ბ. სახელმწიფო ფისკალური მონოპოლიები

ფისკალური მონოპოლია არის დაბეგვრის თავისებური ფორმა. სახელმწიფოს თვითონ აწყობს მასობრივი მოხმარების მოგიერთი საგნების წარმოება. ამ დარგის საგნების წარმოებაზე აცხადებს მონოპოლიას. მონოპოლიური მდგომარეობის გამო საქონელი იყიდება მაღალ ფასად, რომელიც შენიღბულად შეიცავს გადასახადსაც. ამგვარად, სახელმწიფო საწარმოების მოწყობისას, სახელმწიფო ღებულობს აქციზს შენიღბულად და მის გვეით მაღალ მოგებასაც. მოსახლეობისთვისაც ფისკალური მონოპოლია დაბეგვრის მძიმე ფორმაა.

ფისკალური ანუ სახაზინო მონოპოლია არის სრული, როდესაც სახელმწიფო თვითონ ამზადებს ნედლეულს და თვითონვე ეწევა საქონელთა წარმოებასა და გასაღებას. ნაწილობრივია ის

მონოპოლია, როდესაც სახელმწიფო პროდუქციის ან მხოლოდ მწარმოებელია, ან მხოლოდ გამსაღებელი. მეფის რუსეთში არსებობდა სახაზინო მონოპოლია სპირტის სასმელებზე, ნელეულ სპირტს ამზადებდნენ კერძო ქარხნები და აბარებდნენ სახელმწიფოს. სახელმწიფო ქარხნები ამზადებდნენ სპირტს და ყიდდნენ ხაზინის საწყობებიდან და არყის ღუქნებიდან. პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა სიკეთეს, რომელსაც მოიგანდა არყის მონოპოლია. ის ვარაუდობდა, რომ გაიზრდებოდა ხაზინის შემოსავალი, გაუმჯობესდებოდა პროდუქტი და შემცირდებოდა ლოთობა. ნამდვილად კი მოხდა ისე, რომ ხაზინის შემოსავალი შემცირდა, პროდუქტი გაუარესდა და ლოთობა გაიზარდა. უამრავი ფული დაკარგეს. წინათ ისინი ფულს ახდევინებდნენ არყის ღუქნების პატრონებს, ხაზინამ მათ შემოსავლის წყარო წაართვა და მარალი არ აუნაზღაურა.

ფისკალურ მონოპოლიებს შორის ყველაზე დიდ შემოსავალს იძლეოდა თამბაქოს მონოპოლია, რომლის მიმართ სერიოზულ წინააღმდეგობებს ვერ აყენებდნენ. ეს ისეთი პროდუქტი იყო, რომელიც ფართოდ მოიხმარებოდა და ამასთანავე, პირველი მოთხოვნილების საგანს არ წარმოადგენდა. მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მსხვილი კომერსანტები და მონოპოლისტები.

აესტრიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და იტალიაში შექმნეს თამბაქოს მსხვილი მონოპოლიები: დანარჩენში სახელმწიფოებმა შემოიღეს ნაკლები შემოსავლის გადასახადები თამბაქოს დამუშავებასა და შემოზიდვაზე. არსებობს თამბაქოს გადასახადის სხვადასხვა ფორმა: შინაგანი გადასახადი, რომელიც ბეგრავს თამბაქოს ნელეულს, რომელიც ჯერ კიდევ პლანტაციებშია და ბეგრავს აგრეთვე მზა ფაბრიკებსაც. არის გადასახადები თამბაქოს შემოზიდვაზე ან ეაჭრობის ნებართვაზე. არსებობს სახელმწიფო მონოპოლია, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ კონკურენციას. მრავალი ევროპული სახელმწიფო უპირატესობას აძლევდა მონოპოლიას. მონოპოლია არ ამცირებს მის მოხმარებას, ვინაიდან მისი შეცვლა არ ხერხდება სხვა პროდუქტით. ვინც დაეჩეია წევას, ვერ ახერხებს გადაჩეევას. ამიტომ მოთხოვნა მასზე არ მცირდება. ამასთანავე, მისი მოხმარება მასობრივად გაერცელებულია და სასარგებლო აუცილებელ პროდუქტს არ შეადგენს.

სახელმწიფოები ხშირად იყენებენ აგრეთვე სახელმწიფო ლაგარიების მონოპოლიას.

გ. ბაქები ვიწრო გაგებით

ბაქი ეწოდება საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე დადებული გადასახადს. ამიტომ ბაქებს აქვს არა მარტო ფისკალური მნიშვნელობა, არამედ სახალხომეურნეობრივიც. ბაქების საშუალებით შესაძლებელია მთლიანად სახალხო მეურნეობას ან მის ცალკეულ დარგს ხელი შეეწყოს ან პირიქით, ხელი შეეშალოს.

ბაქები წარმოიშვა იმ გადასახადებიდან, რომლებსაც შემამულეები აწერდნენ მათ ტერიტორიაზე გამვლელ ვაჭრებს. ეს იყო გამოსასყიდი გადასახადი მათ გაძარცვაზე უარის თქმისთვის. ასეთ გადასახადებს ქალაქებიც ახდევინებდნენ. შემდგომში სახელმწიფოებმა ამით ფულის შოვნის მოხერხებული საშუალება გაიჩინეს. ამ ბაქებს ფისკალური მნიშვნელობა აქონდათ.

ბაქები თავისი ბუნებით მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადებს. ამა თუ იმ სახელმწიფოს მოსახლეობის დაბეგრის სიმძიმის თვალსაზრისით, პირველ რიგში, საყურადღებოა შემოზიდვის ბაქები, რომლებიც საქონელთა ფასების გადიდებით მშრომელთა ფართო მოსახლეობას ბეგრავენ. მფარველობითი და აკრძალვითი საბაჟო ტარიფი ყოველთვის განასხვავებს შემოზიდვასა და გაზიდვას ერთმანეთისაგან და სხვადასხვა მომის განაკვეთით ბეგრავს, ანდა გაზიდვას სრულიად ათავისუფლებს ბაჟისაგან. ფისკალური ბაქები კი შემოზიდულ-გაზიდული საქონლის ასეთ გარჩევას არ მისდევენ და ერთსაყ და მეორესაყ თანაბარი განაკვეთით ბეგრავენ.

ამგვარად, ფისკალური ბაქების დანიშნულებათა შემოსავალი მისცეს ხაზინას.

პროტექციონისტული, ანუ მფარველობითი ბაქები შემოღებულია არა მარტო იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ შემოსავალი მიიღოს, არამედ იმიტომ, რომ უცხოური კაპიტალის კონკურენციისაგან ქვეყნის მრეწველობა დაიცვას.

მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე მიმდინარეობდა ვაჭრობის, ნაოსნობის სწრაფი განვითარება. ამასთანავე, ბრძოლა ბაზრების განაწილებისათვის. ამ დროისათვის ინგლისში მანუფაქტურა დაწყული იყო შინაურ ბაზარზე მფარველობითი ბაქებით, კოლონიურ ბაზრებზე – მონოპოლიებით, უცხოეთის ბაზრებზე – დიფერენციული ბაქებით. მფარველობითი ბაქები კრძალავდნენ ნელლეულის საზღვარგარეთ გაზიდვასაც.

ხშირად წესდება მაქსიმალური და მინიმალური საბაჟო ტარიფები. მაქსიმალურ საბაჟო ტარიფის განაკვეთებს აწესებენ ყველა ქვეყნის საქონელზე, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც სპეციალური საბაჟო შეთანხმებაა მიღწეული. მინიმალური საბაჟო ტარიფი წესდება მხოლოდ იმ ქვეყნების საქონელზე, რომელთანაც შეთანხმებაა დადებული.

სტატიისტიკური ბაჟები რეგისტრაციას უწევენ საბაჟო პუნქტებში საქონლის შემოსვლის ფაქტს. ეს ბაჟები აადვილებენ საქონელთა საზღვარზე გატარების აღრიცხვას. ამ ბაჟებს ფისკალური მიზანი არა აქვს.

ბაჟები, გადახდევინების წესის მიხედვით, დაიყოფა *შეფარდებით* და *სპეციფიკურ* ბაჟებად. შეფარდებით ბაჟს ახდევინებენ განცხადებული ღირებულების მიხედვით, სპეციფიკურ ბაჟს კი – წონის, საქონელთა ერთეულის, მოცულობის და სხვ. მიხედვით.

ავტონომიურ ტარიფს აწესებს კაპიტალისტური სახელმწიფო შინაგანი კანონის მიღების წესით. კონვენციური ტარიფი არის ბაჟი დაწესებული საერთაშორისო შეთანხმებით. პრეფერენციული ტარიფია იმ ქვეყნების საქონელთა დაბეგვრის შემცირებული განაკვეთები, რომლებთანაც სპეციალური შეთანხმებით აქვთ გაფორმებული ურთიერთშელაგათები.

სპეციალური ბადასახადები

ძველადაც არსებობდა და ახლაც არსებობს ზოგიერთი სპეციალური გადასახადი, რომელთა მთავარი ამოცანაა არა ფისკალური, არამედ 1) სპეციალური უპირატესობის კომპენსირება, მაგალითად, სამხედრო გადასახადი; 2) გადასახადი უცხოელებზე, რომლებიც საერთო საზოგადოებრივი ცხოვრებით სარგებლობენ და რაიმე გვირგვინს არ ეწევიან; 3) იმ დაწესებულებათა ქონებრივი ზრდის შემზღვევა, რომელთა უსაზღვრო ზრდა მიანს აყენებს საზოგადოებას, რელიგიური მოსაზრებებით ან ფუფუნების ზრდის თვალსაზრისით.

მფარველობითი საბაჟო სისტემა, რომელიმე ქვეყანაში მსხვილი მრეწველობის დასამყარებელი საშუალებაა. ის მოცემულ ქვეყანას დამოკიდებულს ხდის მსოფლიო ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობისგანაც. მფარველობითი საბაჟო სისტემა ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას ქვეყნის შიგნით.

ის ქვეყნები, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგნენ, ცდილობდნენ შემოეღოთ მფარველობითი საბაჟო სისტემა. ამას ბურჟუაზია იყენებდა როგორც იარაღს ფეოდალიზმისა და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. ბურჟუაზია მფარველობითი საბაჟო სისტემით თავისი ძალების კონცენტრაციას ახდენდა და ქვეყნის შიგნით ხელს უწყობდა თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. ისტორიულ განვითარებაში მფარველობითი საბაჟო სისტემა და თავისუფალი ვაჭრობის სისტემა ერთმანეთთან კონფლიქტში აღმოჩნდნენ, ვინაიდან მფარველობითი საბაჟო სისტემა კონსერვატულია და თავისუფალი ვაჭრობის დამრღვევად მოქმედებს.

ბაჟების გაუქმებით გამოწვეული სამომხმარებლო საგნების გაიაფება შესაძლებლობას აძლევდა მეწარმეებს, შეემცირებინათ სამუშაო ხელფასი შესაბამისი ოდენობით. ამით ისინი ამცირებდნენ საქონელთა თვითღირებულებას და აძლიერებდნენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე გამსვლელ სხვა ქვეყნის კაპიტალისტებთან შედარებით.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში ბაჟები გამოიყენებოდა იმ ქვეყნის ეროვნული მრეწველობის ინტერესების დასაცავად, რომელსაც წარმოება სუსტად ჰქონდა განვითარებული. მფარველობითი ბაჟები აფერხებდა ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შემოტევას. ბაჟები ხშირად გამოყენებულია დემპინგის საწარმოებლად, მსხვილ ექსპორტიორ კაპიტალისტთა ინტერესების დასაცავად. ბაჟები შეტევით ხასიათს ღებულობენ. ისინი ითვალისწინებენ მსოფლიო ბაზარზე გამსვლელი კაპიტალისტების ინტერესებს. ეს ბაჟები ხდება ზეპროტექციონისტული.

არსებობს პრეფერენციული ბაჟები, რაც იმამი მდგომარეობს, რომ სახელმწიფოები საგარეო ვაჭრობის გასაადილებლად ურთიერთხელშეკრულებას დებენ, გაითვალისწინონ ურთიერთსაბაჟო შეღავათები. ტარიფებში მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ხელი შეუწყო პრეფერენციული ბაჟების გავრცელებას.

თავი მეშვიდე მისაგებლები¹

მოსაკრებლებს, რომლებსაც სახელმწიფო ახდევინებს კერძო პირებს, მისაგებლები ეწოდება, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებები მათ რაიმე სამსახურს უწევენ. მას ახდევინებენ აგრეთვე, როდესაც კერძო პირები კანონით დადგენილი წესით ურთიერთ-შორის წერილობით საბუთებს აფორმებენ.

მისაგებლებს აქვთ იძულებითი ხასიათი, რაც მათ ამსგავსებს გადასახადებს. მაგრამ გადასახადებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მოქალაქენი გადასახადებისაგან ღებულობენ ზოგად ნაცვალებას, მისაგებლებისაგან კი სპეციალურ ეკვივალენტს. მისაგებლები გადასახადებისაგან განსხვავდებიან აგრეთვე იმ მხრივაც, რომ გადასახადები ერთგვარად ითვალისწინებენ მოქალაქის გადამხდელუნარიანობას, მისაგებლები კი ერთნაირი მასშტაბით ახდევინებენ ყველას. გადასახადი არ ითვალისწინებს მოქალაქის პირად სარგებლობას, მისაგებლების გადახდევინებისას სახელმწიფო გადამხდელისათვის სასარგებლო მოქმედებას ახორციელებს. მისაგებლებს ეკუთვნის ისეთი მოსაკრებლები, რომლებსაც იხდიან ისინი, ვინც სახელმწიფოს და მის დაწესებულებებს მიმართავენ მომსახურებისათვის. გადასახდელის სიდიდეს ადგენს სახელმწიფო ხელისუფლება დაინტერესებული პირის მონაწილეობის გარეშე. გადასახადი კი წესდება რაიმე კერძო მომსახურების გარეშე. ამ განსხვავების საილუსტრაციოდ ლ. ოლსკი ადარებს გადასახდელს ერთმანეთს, რომლებსაც სახელმწიფო ახდევინებს მაძიებლებს ან მოპასუხეებს, ბანდეროლის გადასახდელს, სამოქალაქო პროცესში, რომლებსაც იხდის მოსახლეობა თამბაქოს ნაწარმის ფასში. პირველ შემთხვევაში მოპასუხე ან მაძიებელი სასამართლოსაგან მოელის საკითხის გადაწყვეტას მის სასარგებლოდ. საკითხის განხილვა არის უშუალოდ მომსახურება მაძიებელ ან მოპასუხის მიმართ, ასეთ გადასახდელს ეწოდება მისაგებელი. მეორე შემთხვევაში, ბანდეროლის გადასახდელის გადახდევინებისას არავითარ კავშირში არ არის სახელმწიფოს საქმიანობა

¹ რუსულად არის пошлина, ინგლისურად – duty, გერმანულად – Gebühren, ფრანგულად – droit.

თამბაქოს მომხმარებლის სარგებლობასთან. აქ ეს გადასახდელი გადასახადური ხასიათისაა. მისაგებლის გადახდევინება, თითქოს დაწესებულია როგორც საზღაური მთავრობის დაწესებულების მიერ გაწეული ხარჯების დასაფარავად.

მაგრამ სამართლიანი არ იქნებოდა სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვა მთლიანად მიგვეწერა იმ პირებისათვის, ვინც უშუალოდ სარგებლობენ ამ მომსახურებით, ვინაიდან მისაგებლებს მნიშვნელობა აქვთ არა მარტო მათთვის, ვინც მთავრობის დაწესებულებებს მიმართავენ, არამედ მთელი საზოგადოებისათვისაც. სასამართლოსა და პოლიციური აპარატის არსებობა ბევრისათვის გამაფრთხილებელია. ისინი, რომ არ არსებობდნენ გაცილებით მეტი იქნებოდა დანაშაულობები. ამგვარად, მათი არსებობა მოსახლეობას და სამართალ-დარღვევებს აცილებს მრავალ დანაშაულს. აქედან გამომდინარეობს, რომ მთავრობის დაწესებულებათა ხარჯების ანაზღაურება მთლიანად მისაგებლებს არ უნდა დაეკისროს, ნაწილი გადასახადებით უნდა იქნეს ანაზღაურებული.

სახელმწიფოს მიერ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება არასოდეს არ არის ეკვივალენტური. ის მათ არ აღემატება, უფრო ხშირად მასზე ნაკლებია. ამიტომ მისაგებელი, როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში, გადასახადის ხასიათისაა. ამიტომ მისაგებელი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სპეციფიკური გადასახადი.

მისაგებლის გადახდაც სავალდებულოა, მაგრამ მას ახდევინებენ არა ყველას, არამედ მას, ვინც მიმართავს მომსახურებისათვის სახელმწიფო ან ადგილობრივ ორგანოს.

გადახდევინების ფორმის მიხედვით მისაგებლები შესაძლებელია მიეაკუთვნოთ პირდაპირ გადასახადებს, მაგრამ რამდენადაც ის თავისი ბუნებით რეგრესულია, მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადებს. მისაგებლები მრავალგვარია.

მისაგებლის სახეები გვხვდება ძველ დროშიც. მემკვიდრეობის გერბის მოსაკრებელი არსებობდა ძველ რომში. მისაგებლები განვითარდა განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, რასაც ხელი შეუწყო ქვეშევრდომთა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებამ კერძო-უფლებრივ საფუძველზე და სამოსამართლო საქმეების განვითარებამ. სასამართლო მისაგებლები მრავალრიცხოვანი იყო. მას ახდევინებდნენ სამეფო სასამართლოში საქმის

წარმოებისას, როდესაც საქმე ირჩეოდა მსაჯულების თანდასწრებით. ყოველ სასამართლო დადგენილებაზე დაწესებული იყო მისაგებლის გადახდევინება. არსებობდა აგრეთვე საქმის დაჩქარების მისაგებელი, შეწყალების სხვადასხვა აქტის მისაგებელი, ვაჭრობის მისაგებელი. ქვრივების გათხოვებაზე თანხმობის მისაგებელი, თავისი ვასალების ქალიშვილთა გათხოვებაზე სხვადასხვა საჩუქარი და სხვ.

ახალ დროში შეეცადნენ მისაგებელთა სისტემატიზირებას, მაგრამ მათი სასტიკი გამიჯვნა მაინც შეუძლებელი გახდა სხვადასხვა ქვეყანაში მათი სიჭრელის გამო. ფინანსურ პრაქტიკაში შემოღებულია მათი დაყოფა: საღერბო მისაგებლები, ნასყიდობის მისაგებლები, ქონების ხელიდან ხელში უსამღაუროდ გადასვლის შემთხვევაში. მისაგებლები განსხვავდება მათ შორის დამყარებული მომსახურების სხვადასხვაობაზე, რომელსაც სახელმწიფოსაგან მოითხოვენ მოქალაქენი.

მისაგებლის უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ იგი როგორც სახელმწიფოს მიერ შემოსავლის მიღების ხერხი, უთანაბრობა. ის გვირთად აწევა მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს. არ ითვალისწინებს გადამხდელუნარიანობას. მეორე მხრივ, მისაგებელი ყველა მოქალაქისათვის ერთნაირად მისადგომი და ერთნაირად მოსახერხებელია. ეს მით უფრო საგრძნობია, რაც უფრო მაღალია მისაგებლის სიდიდე.

საგერბო მისაგებლები ეწოდება ისეთ მისაგებლებს, რომლებსაც ახდევინებენ სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველა დარგში, აგრეთვე, კერძო პირთა ურთიერთობაშიც. მისაგებლებისათვის საეაღდებულოა გამოყენებულ იქნეს დალდასმული ქალაქი, რომელსაც ყიდის სახელმწიფო, ან უბრალო ქალაქი, რომელსაც უნდა დაეკრას სპეციალური მარკები, რომლებიც ნაყილია სახელმწიფო დაწესებულებაში.

საგერბო მისაგებლის შემოღებას ძველ დროში აწერენ იუსტინიანეს. ევროპაში იგი შემოღებულია XVII საუკუნიდან. იგი მალე გავრცელდა შემოსავლის აკრეფის სიმარტივის, სამეურნეო ცხოვრების გართულების და წერილობითი დოკუმენტების გამრავლების გამო. მის გავრცელებას ხელს უწყობდა ისიც, რომ შემოსავალთა აკრეფას არ სჭირდებოდა კონტროლი.

საგერბო მისაგებელთა ორგანიზაცია ორგვარია; პირველი – მტკიცე განაკვეთით, სადაც პირდაპირ არის განსაზღვრული გადასახდელი თანხა ყოველგვარი გარიგებისათვის, გარიგების თანხის მხედველობაში მიუღებლად; მეორე – ისეთი, რომელიც მხედველობაში იღებს გარიგების თანხას და გადასახდელი ცვალებადობს შესაბამისად ან პროპორციულად.

მარტივ საგერბო მოსაკრებლით იბეგრება თხოვნები, განცხადებები და მსგავსი ქაღალდები, რომლებითაც კერძო პირები და დაწესებულებები მიმართავენ მთავრობის დაწესებულებებს. მისაგებლის გადახდა სავალდებულოა მათზე გაცემულ პასუხზედაც.

რაც შეეხება პროპორციული თამასუქის მოსაკრებელს, ის გადახდება თამასუქებს, სესხის ხელწერილებს, სავალო ხელწერილებს და სხვ.

არსებობს აგრეთვე პროპორციული სააქტო მოსაკრებელი, რომელიც გადახდება ქონებივ გარიგებათა აქტებსა და დოკუმენტებს განსაზღვრული ფასით; მისაგებელი გადახდებათ აგრეთვე, ფასიან ქაღალდებს – აქციებსა და ობლიგაციებს, ვირაენობის ფურცლებს, რომლებსაც საზოგადოებრივი და წოდებრივი დაწესებულებები გამოსცემენ, დაბალი გადანაკვეთის სააქტო მოსაკრებელი გადახდება გარიგების დოკუმენტებს, უპირატესად, სავაჭრო ხასიათის გარიგებებს.

საგერბო მოსაკრებლები ხშირად დაწესებულია ისეთ სააქტო გარიგებებზედაც, რომელთა მიმართ სახელმწიფოს არაერთიარო მომსახურება არა აქვს გაწეული. და, ამდენად, მისაგებელი გადასახადის ხასიათს ღებულობს.

საგერბო მისაგებლის გადასახდელისაგან თავისუფლება სისხლის სამართლის აქტები, აგრეთვე სასწავლებლებისა და საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის შეწირულობების დოკუმენტები.

თანამედროვე პირობებში ვინაიდან მისაგებლის შემოსავალი მიიღება მარკების დაწებებით, ამიგომ, საჭიროა მარკების იმგვარად გაუქმება, რომ მისი ხელმეორედ გამოყენება აღარ მოხერხდეს. ამასთანავე, ისე უნდა გაუქმდეს, რომ დოკუმენტს ზიანი არ მიადგეს.

ნასყიდობის მისაგებლები ეწოდება ისეთ გადასახდელებს, რომლებსაც ახდევინებენ უძრავი ქონების ერთი პირის საკუთრებიდან მეორე პირის საკუთრებაში საზღაურით გადასვლის შემთხვევაში. ნასყიდობის მისაგებელს სხვაგვარად ეწოდება აგრეთვე

ვანცხადების მისაგებელი. ასეთი აქტები დგება მთავრობის დაწესებულებათა მიერ განსაკუთრებული წესით და შეიტანება ნასყიდობის დავთრებში. ამ შემთხვევაში პიროვნებებს აინტერესებთ, რომ ამ ნასყიდობას ჰქონდეს ოფიციალური ხასიათი. ამიგომ ის დაინტერესებული უნდა იყოს მთავრობის ორგანოების მიერ რეესტრში შეტანით. ამ შემთხვევაში საჭიროა პიროვნებების გამოცხადება სათანადო ორგანოებში, ეს კი საფუძველია მისაგებლის გადახდევინებისა. რაც შეეხება საგერბო გადასახდელებს, ის ეხება ყოველგვარი სასამართლოს, ადმინისტრაციული და კომერციული ხასიათის გარიგებათა გაფორმებას.

ამგვარად, ნასყიდობის მისაგებელი არის მთავრობის ორგანოების მიერ სააქტო რეესტრში შეტანის გადასახდელი. ეს მისაგებელი მიზნად ისახავს გარიგების მოხდენის დროის ფორმალურ დამოწმებას და კაპიტალის დაბეგვრას მისი ერთი ხელიდან მეორის ხელში გადასვლის მომენტში. ნასყიდობის მისაგებლებს ბევრი საერთო აქვს საგერბო მისაგებელთან, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავებაც. ი. იანეული ამ განსხვავებებს აყალიბებს შემდეგნაირად: საგერბო მისაგებელი უპირატესად ფისკალურ მიზანს ისახავს და ამიგომ ის გადახდება სახელმწიფო დაწესებულებების გამოყენებას ურთიერთობის გარეშე; ნასყიდობის მისაგებლები გამოხატავენ პირდაპირ სარგებლობას სახელმწიფოს მხრივ, ვინაიდან სხვადასხვა აქტის დამოწმება უზრუნველყოფს საკუთრებით სარგებლობას. საგერბო მისაგებლების გადახდევინება მიმდინარეობს თითქმის სახელმწიფოს ჩაურევლად და კონსტროლის გარეშე; ნასყიდობის მისაგებლები, პირიქით, დაკავშირებულია განსაკუთრებული დავთრებისა და რეესტრების წარმოებასთან, რაც საჭიროებს სახელმწიფოს განსაკუთრებულ დაწესებულებებს. საგერბო მისაგებლები ესწრაფვიან მოიცვან ადამიანთა საქმიანი ურთიერთობის თითქმის ყველა წერილობითი აქტი, ნასყიდობის მისაგებლები კი, პირიქით, ეხებიან სამოქალაქო ცხოვრების მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებს².

ნასყიდობის მისაგებლის სასარგებლოდ ითვლება ის, რომ საკუთრება ხშირად საჭიროებს მფარველობას, მნიშვნელოვან ქონებრივ დამოწმებებს და ამ მომსახურების გაწევისათვის, სახე-

² И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. 1890, с. 508.

ლმწიფო ახდევინებს მისაგებელს. მეორე, მისაგებლის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ყველა შემთხვევაში არ ხერხდება კაპიტალის დაბეგვრა, ქონების ხელიდან ხელში გადასვლისას მოხერხებული შემთხვევა იქმნება ქონების გამოაშკარაებისა და მისი დაბეგვრისა. ნასყიდობის მისაგებელი საინტერესოა ფისკალური თვალსაზრისითაც, იგი საკმარის შემოსავალს აძლევს სახელმწიფო ხაზინას.

ნასყიდობის მაჩვენებელს აქვს ნაკლიც. მას ახასიათებს უთანაბრობა, ზოგიერთი ქონება ხშირად გადადის ხელიდან ხელში და ხშირად იბეგრება, ზოგი არა, ან საუკუნეში ერთხელ. მეორე, ქონების გასხვისება ყოველთვის არ არის მოხერხებული მომენტი გადამხდელისათვის, რადგან ის უფრო ხშირად იყიდება გაყიდვლის მიერ. ნასყიდობის მისაგებლის ნაკლია ისიც, რომ ის ეხება კაპიტალის ნაწილს, და ამდენად, ამცირებს მწარმოებლურ კაპიტალს, ამ შემთხვევაში, სახალხო ქონების ნაწილი მიდის სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. დასასრულ, მაღალი მისაგებლის გადასახდელი ამცირებს საკუთრების გადასვლის შემთხვევათა რაოდენობას, ამცირებს გასხვისების პროცესს.

ამგვარად, არსებობს ქონების მიმოქცევის გადასახადი.

ქონების მიმოქცევის გადასახადად იწოდება ჯგუფი გადასახადებისა, რომელთაც საერთო აქვთ ის, რომ ამ გადასახადებს ახდევინებენ ქონებათა, მათი ნაწილების, მათი ღირებულებათა და უფლებათა ხელიდან ხელში გადასვლისას.

ამ შემთხვევაში, დაბეგვრის წყარო იქნება ნაწილობრივ ის შემოსავალი და მოგება, რომელიც წარმოიშობა მფლობელის გამოცვლით, ნაწილობრივ, თუ დასაბეგრ ფაქტს თან არ სდევს არავითარი შემოსავალი, გადამხდელის დანარჩენ ქონებასა ან შემოსავალზე. თუ ქონების გადასვლის ფაქტი იწვევს ქონების ზრდას ან მოგებას, მაშინ მიმოქცევის გადასახადები მოქმედებენ, როგორც სპეციალური გადასახადები მოგებასა და მიმოქცევაზე.

დაბეგვრის მასშტაბს წარმოადგენს გასასხვისებელი ქონების ღირებულება. საგადასახადო ობიექტს ხშირად წარმოადგენს ქონების გადასვლის აქტი. უმეტეს შემთხვევაში, გადასახადს ახდევინებენ უშუალო ხელმძღვანელების ერთ მხარეს, ან ორთავეს სახელმწიფო სალაროში გადასახადის შეტანით, ან საგერბო ნიშნის დასმით. მაგრამ მიზანშეწონილების მოსაზრებით, მიმართავენ გადას-

დეინების არაპირდაპირ საშუალებასაც, როდესაც გადასახადს იხდიან გარიგებისას შუამავლები, რომელთაც უფლება ეძლევათ კონტრაგენტებიდან ანაზღაურებისა.

მემკვიდრეობის მისაგებლები ეწოდება ისეთ გადასახდელს, რომლებსაც სახელმწიფო ახდევინებს მემკვიდრეობის მიმღებ პირებს გარდაცვლილი მემკვიდრისაგან ნამემკვიდრალის მიღების შემთხვევაში. მემკვიდრეობის მისაგებლის გარდა არსებობს აგრეთვე სხვა ხერხი, რომლებიც ბეგრავენ მემკვიდრეს საკუთრების უსასყიდლოდ მიღებისას. ასეთებია ჩუქება, გამოყოფა, წყალობა, მეწირვა. ასეთ მისაგებლებს დიდი ხნის ისტორია აქვთ, ისინი ცნობილია ძველი დროიდანვე.

ახალ დროში ამ საკითხის გარშემო შემუშავდება სხვადასხვა შეხედულება. მათ შორის, სახელმწიფოს თანამემკვიდრეობის თეორია, რომლის მიხედვით სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი თავი დააყენოს მემკვიდრეთა რიგში. მეორე – ცნობილია სოციალისტური თეორია, რომლის მიხედვით სახელმწიფოს უფლება აქვს აწარმოოს კერძო საკუთრების სრული რეგლამენტაცია. თეორია მოითხოვს არსებული ქონებრივი უთანასწორობის გათანაბრებას, რის მისაღწევად აყენებდნენ მემკვიდრეობაზე მაღალი პროგრესული გადასახადის შემოღებას; გადასახადი იმდენად მაღალი უნდა ყოფილიყო, რომ მას გარკვეული თანხის ზევით მთლიანად უნდა ამოეღო სამემკვიდრეო ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ, ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე გვერდითი ხაზის მემკვიდრეობის სრულ ამოღებას სახელმწიფოს მიერ და სხვ.

მემკვიდრეობის მისაგებლის ნაკლად თვლიან იმას, რომ მისი გადახდევინება ხდება არა ქონების შემოსავლიდან, არამედ თვით სამემკვიდრეო ქონებიდან. მემკვიდრეობის მისაგებელს დადებით მომენტად უთვლიან იმას, რომ ის გადაუკისრებელია. ამასთანავე, მათი გადახდევინება ადვილია და კონტროლს ვერ გაეპარება. გადამხდელებისათვის მოხერხებულია, რადგან გადახდა უხდებათ ყველაზე ხელსაყრელ მომენტში. აღსანიშნავია ამ გადასახდელის ის თავისებურებაც, რომ იგი მსგავსად საშემოსავლო გადასახადისა, მეტად ელასტიკურია.

თავი მერვე

გადასახადის თეორიები

1. მერკანტილისტური შეხედულება

კაპიტალიზმის მოვლენათა ახსნის პირველი ცდები მოგვეცეს მერკანტილისტებმა. როგორც ცნობილია, მათ დააყენეს საკითხი ქვეყნის სიმდიდრის ფორმებისა და მისი ზრდის შესახებ. ამასთანავე, შეისწავლეს სიმდიდრის ზრდაში გადასახადების როლის საკითხი.

მერკანტილისტები ფიქრობდნენ, რომ ადამიანს გადასახადი უნდა შეეწეროს იმ სარგებლობის შესაბამისად, რასაც იგი სახელმწიფოსაგან ღებულობს. ამ აზრს გამოხატავდა იმხანად გაბატონებული „სოციალური ხელშეკრულების“ იდეა. მერკანტილისტები მოითხოვდნენ დაბალ შემოსაზიდ ბაჟებს, გადასახადების დაწესებაში თანასწორობის აუცილებლობას. გადასახადებით უნდა დაბეგრულიყო საპროცენტოდ გასესხებული ფული. უხერხულად მიაჩნდათ გადასახადის შეწერა ადვილად გადასამალავ სიმდიდრეზე.

ისინი მოითხოვდნენ, რომ გადასახადები ხელს უნდა უწყობდეს სიმდიდრის დაგროვებას, მომჭირნეობას. ასე, მაგალითად, *თომას პობსის* (1588-1670) აზრით, გადასახადი არ უნდა შეეწეროს მას, ვინც ფულის მომჭირნეობას ეწევა. თუ გადასახადით დაბეგრულია საგნები, რომელსაც ხალხი მოიხმარს, მაშინ გადასახადს ყოველი ადამიანი თანასწორად იხდის და საზოგადოება არაფერს კარგავს კერძო პირების მფლანგველობით. პობსი როგორც მერკანტილისტი უპირატესობას ანიჭებდა არაპირდაპირ დაბეგვრას.

მოგიერთი მერკანტილისტის აზრით, გადასახადი არის სიზარმაცის მოსპობის, მუშებში ბეჯითობის უნარის გაღიძერების და ამგვარად, ხალხის გამდიდრების საშუალება.

გაუგონი ამბობდა, რომ თუ მუშა მაღალ ხელფასს ღებულობს, მაშინ ის ბეჯითად აღარ მუშაობს, ამიტომ ბეჯითობის უნარის გასაღვივებლად საჭიროა ხელფასი დაიბეგროს გადასახადებით. ეს ხელს შეუწყობს მრეწველობის ზრდას, სახელმწიფოს გამდიდრებას და თვით მუშების გაბედნიერებას. იგი წერდა: „როდესაც აბრეშუმის წინდების მქსოველნი ან მწარმოებლები მაღალ ხელფასს ღებულობენ, ორშაბათს და სამშაბათს სამუშაოდ აღარ გამოდიან და ლუდხანებსა და ტავერნებში სხედან; ფეიქრები ჩვეუ-

ლებრივად ორშაბათს მთერალები არიან, სამშაბათს თავი სტკივათ, ხოლო ოთხშაბათს აუცილებელი იარაღები აღარ აქვთ; მეწადენი ადვილად თავს ჩამოიხრჩობენ, ვიდრე ორშაბათს (ლურჯი ორშაბათი) წმინდა კრისპინის ღლესასწაულზე უარს იტყობდნენ. ჩვეულებრივად ეს გრძელდება, სანამ მათ პენი მაინც აქვთ ჯიბეში, ან ამ თანხის ოდენა კრედიტი¹.

მე-17 საუკუნის დიდმა ეკონომისტმა უილიამ ჯეტიმ (1626-1687), რომელიც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მამამთავრად ითვლება, სპეციალური შრომა მიუძღვნა გადასახადებს: „ტრაქტატი გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“². ჯეტი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ მოწესრიგებულ გადასახადებს შეუძლია სარგებლობა მოუტანოს სახალხო მეურნეობას. გადასახადები უქმად მყოფ პირებს აიძულებენ შრომას; გადასახადებს კაპიტალები უფრო ენერგიულ პირთა ხელში გადააქვთ.

დავით იუმი (1711-1776) იმ აზრისაა, რომ მშრომელებზე გადასახადის გადიდების დროს შესაძლებელია სამნაირ შემთხვევას ქჟონდეს ადგილი; ან მშრომელები მოთხოვნილებას შეამცირობენ, ან ხელფასს გაზრდიან და, მამასადამე, გადასახადი მდიდრებს გადაეკისრება, ან გადასახადი ისევ მათზე დარჩება და მაშინ იძულებული იქნებიან ბეჯითობას მოუმაგონ.

თავის ნარკვევებში იუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ეკონომისტი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადასახადებს ბეჯითობის გადიდებაში. თვითონ ამ დებულებას არ უარყოფს, მაგრამ მოითხოვს, რომ გადასახადების გადიდება ხდებოდეს არა ერთბაშად, არამედ ზომიერად და თანდათანობით. ის წერს: „გადასახადების გადიდებას შეუძლია მესამე შედეგიც გამოიწვიოს, ის, რომ ღარიბები ბეჯითობას მოუმაგებენ, მეტი რაოდენობის სამუშაოს შეასრულებენ და ისევ კარგად იცხოვრებენ, როგორც წინათ, არ მოითხოვენ ხელფასის მომაგებას, როდესაც გადასახადები ზომიერია, თანდათანობით წესდება და არ ეხება პირველი მოთხოვნილების საგნებს, მათ ბუნებრივად ამ მესამე შედეგამდე მივყავართ; ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარი სიძნელენი ხშირად ხელს უწყობენ ერის სამრეწველო საქმიანობის აყვავებას და სხვა ხალხთან შედარებით უფრო მდიდარსა და უფრო მუყაითს ხდიან ამ

¹ И. М. Кулишер. Очерки финансовой науки. Вып. 1, 1919, с. 119-120.

² W. Petty. A Treatise of taxes and contributions. 1662.

ერს, თუმცა შესაძლებელია იგი უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდეს³.

ამრიგად, იუმის აზრით, გადასახადების გადიდებით შესაძლებელია მშრომელები აიძულონ ბეჯითობას მოუმატონ და, მამასა-დამე, გადასახადი გამოყენებულ იქნეს კაპიტალის დაგროვების გასაღივად, მას შესაძლებლად მიაჩნია ხელფასიდან გადასახადების ნაწილობრივი გადაკისრება, თუმცა, მისივე აზრით, ეს მეტად ძნელი და თითქმის განუხორციელებელია. იუმი წინააღმდეგია ფიზიოკრატიული შეხედულებისა, რომლის თანახმად ყველა გადასახადი მიწას აწევბა. ასეთი შეხედულება იმ მოსაზრებას ემყარება, რომ მუშას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა გაზარდოს ხელფასი გადასახადის ზრდის შესაბამისად.

იუმი მომხრეა მოხმარების გადასახადებისა, რომლებიც მუშე-ბში შრომისმოყვარეობას აღიდებენ. იგი არ უარყოფს მოგიერთ-თა შეხედულებას, რომ ყოველი ახალი გადასახადი მისი ზიდვის ახალ უნარიანობას მაგებს გადამხდელს და მისი სიმძიმის ყოვე-ლგვარი ზრდა პროპორციულად აძლიერებს ხალხის სამრეწველო საქმიანობას. მაგრამ გადასახადების მაგება უნდა ხდებოდეს ზო-მიერად და გამოყენებული არ უნდა იქნეს ბოროტად.

იუმის მიხედვით, ხელფასი დამოკიდებულია შრომის მიწო-დება-მოთხოვნაზე და არა გადასახადების ოდენობაზე. ექსპორტი-ორ მანუფაქტურისგებს არ შეუძლიათ ხელფასის გადიდება, რად-გან იგი გამოიწვევს ქსოვილების ფასის გადიდებას და გააძნე-ლებს მათ გასაღებას უცხოეთის ბაზრებზე. ვერც ის მანუფაქტური-სგები გაზრდიან ხელფასს, რომლებიც ადგილობრივი საჭიროები-სათვის ამზადებენ ქსოვილებს, ვინაიდან შრომის ერთსა და იმავე სახეზე არ შეიძლება არსებობდეს ორი ფასი, იუმი ასკენის: „მოხ-მარების საგნების გადასახადი აუცილებლად იწვევს იმას, რომ მუშა ან უფრო ნაკლებს ხარჯავს, ან უფრო მეტს მუშაობს. არ არის ისეთი მუშა, რომელსაც საკმარისად არ ჰქონდეს იმდენი შრომისმოყვარეობა, რომ რამდენიმე მედმეტი საათი მოუმატოს თავის კვირის მუშაობას და არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც იმდენად ღარიბი იყოს, რომ არ შეეძლოს რამდენადმე შეამცი-როს თავისი ხარჯები. რა შედეგი მოაქვს პურის გაძვირებას? ის

³ Давид Юм. Опытъ. Перевод М. О. Гершензона, И., 1896, с. 86-87.

ხომ არა, რომ ღარიბები უფრო ცუდად ცხოვრობენ და მეტს მუშაობენ? ასეთსავე გავლენას ახდენს გადასახადიც⁴. ამგვარად, იუმი მხარს უჭერს შეხედულებას, რომლის მიხედვით გადასახადებით შესაძლებელია დაგროვების გაღივება.

ჯემს სტიუარტმა (1712-1780) თავისი შრომის – „გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ“⁵ – მეხუთე წიგნი მიუძღვნა გადასახადებს. იგი გადასახადებს განსამზღვრავდა, როგორც კერძო მეურნეობათა მომჭირნეობას საზოგადოებრივი მიზნებისათვის; უფრო მეტად ეს გადასახადები გამოიყენებოდა ქარაფშუტა, მფლანგველ მემამულეთა წინააღმდეგ. გადასახადი, სტიუარტის აზრით, მტკიცედ უნდა განისაზღვროს, თანაბრად განაწილდეს და გადახდევინებულ იქნეს ხელსაყრელ დროს. იგი უნდა იყოს პროპორციული და გადახდევინებული შემოსაველებიდან ისე, რომ არ ეხებოდეს თვით შემოსაველის წყაროს.

ამგვარად, კაპიტალიზმის განვითარება მოითხოვდა დაგროვებას, დაზოგვას, სამუშაო ძალის უწყვეტლივ შეუფერხებელ გამოყენებას. ამ მიზანს ემსახურებოდა მერკანტილისტთა შეხედულებანი, რომლებიც მოითხოვდნენ მშრომელების გადასახადებით დაბეგვრას, მამასადამე, მერკანტილისტთა შეხედულებანი ამართლებდნენ მშრომელთა დამატებით ექსპლოატაციას გადასახადების საშუალებით.

2. ფიზიოკრატიის წინამორბედთა შეხედულება

ერთიანი გადასახადით რენტის დაბეგვრის იდეა წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ ფიზიოკრატიის წინამორბედთა მიერ. ამ მხრივ აღსანიშნავია *ჯონ ლოკი* (1632-1704), რომელიც თავისი ეკონომიკური შეხედულებებით მერკანტილიზმის კრიტიკას ემხრობოდა. მისი შეხედულება საკუთრების შესახებ ასეთია:

ადამიანს შეუძლია მიისაკუთროს შრომის შედეგი იმ რაოდენობით, რამდენის მოხმარებაც შეუძლია. მას შეუძლია მიისაკუთროს არა შრომით შექმნილი საგანიც, მაგალითად, მიწის ნაკვეთი, მაგრამ იმ ზომით, რამდენის დამუშავებაც შესწევს მის ძალ-ღო-

⁴ Из переписки Юма с Тюрго по вопросу о налогах 1760-1767 гг., Д. Юм. Опыты, М., 1896, с. 94.

⁵ Stuart Jans. An Enquiry into the princiipien of political economy. L., 1767.

ნეს. ბუნებამ თვითონ მოგვცა საკუთრების ზომა იმით, რომ საზღვარი დაუდო ადამიანის შრომასა და მოთხოვნილებებს.

ჯონ ლოკი თავის ნაშრომში – „ფიქრები იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც იწვევენ პროცენტის ღონის შემცირება და ფულის ღირებულების ზრდა“⁶ – იმ აზრს გამოთქვამს, რომ ყველა გადასახადი მიწის მესაკუთრეს აწვება, რასაც ასაბუთებს შემდეგნაირად: ვაჭარი და ყველა შუამავალი გადასახადებს აკისრებენ მომხმარებლებს, რომელთა დიდ ნაწილს შეადგენენ მუშები, ვინაიდან მუშებს გადასახადების ზიდვა არ შეუძლიათ, ამიტომ მოხდება ორიდან ერთი: ან გაიზრდება მუშის ხელფასი და მოიჯარე იძულებული გახდება შეუმციროს იჯარა მესაკუთრეს, ან მიწა მიიჯაროს, რადგან გადიდებულია ხელფასი და იმ საქონელთა ფასი, რომელსაც ის მოიხმარს და, ამავე დროს, დარჩენილია ან შემცირებულია მის მიერ წარმოებული საქონლის (ხორბლის, მაგყლის) ფასი, ან შეიქმნება მეორე შემთხვევა – ხელფასი ვერ გაიზრდება, ის მუშის არსებობას ვერ უზრუნველყოფს და სარჩინად დააწვება მრევლს. ეს გაზრდის უძრაობათა დაბეგვრას, რაც, თავის მხრივ, დააწვება მესაკუთრეს. ამგვარად, მიწათმფლობელნი ამ შემცირებულ საიჯარო საფასურს მიიღებენ, ან საადგილმამულო გადასახადით დაიბეგრებიან.

ჯონ ლოკი აღსანიშნავია იმით, რომ მან პირველმა დააყენა გადასახადების გადაკისრების საკითხები და აგრეთვე იმით, რომ მისი შეხედულება გადასახადებზე ფიზიოკრატთა შეხედულების წინამორბედი გახდა. დასკვნა, რომელიც გამომდინარეობდა ლოკის შეხედულებიდან, ძირითადი დებულების სახით იქნა დაყენებული ფიზიოკრატიების მიერ. ეს იყო იდეა მიწაზე ერთიანი გადასახადის შემოღებისა.

ჯონ ლოკი მართალი არ იყო იმის მტკიცებაში, რომ არაპირდაპირი გადასახადები მთლიანად მესაკუთრეებს აწვება. ნამდვილი არაპირდაპირი გადასახადების ძირითადი მზიდველები მშრომელთა კლასებია. ჯონ ლოკი არც იმაშია მართალი, რომ მუშათა კლასს კაპიტალიზმის პირობებში ადვილად შეუძლია გადასახადების გადაკისრება.

⁶ John Locke. Some considerations of the consequences of the lowering of interest and raising the value of money. London, 1691.

ბუაგილბერი (1646-1714) თავის შრომაში – „საფრანგეთის დაწერილებითი აღწერა“⁷ – გადმოგვცემს ლუდოვიკო XIV დროის საფრანგეთის გლეხობის საშინელ სიღატაკეს. იგი გამოდის წერილი ფერმერის ინტერესების დამცველად და მოითხოვს საგადასახადო სისტემის გამარტივებასა და იმ გადასახადების მოსპობას, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავისუფალ ბრუნვას.

მიწათმოქმედთა სიღარიბის მიზეზად ბუაგილბერს მიაჩნია, სახელმწიფოს ჩარევა და გადასახადების არათანაბარი განაწილება, რაც გადასახადების მთავარ სიმძიმეს უღარიბეს ფენებს აკისრებს.

საფრანგეთის მარშლის *სებასტიან ვობანის* (1633-1707) წიგნი „სამეფო სამეათელი“⁸ წარმოადგენს საფრანგეთის ფინანსური სისტემის კრიტიკას. ის აყენებს გადასახადების ოთხ ჯგუფს, რომლებიც სამეფო ათვისთვის სახით დაბეგერის ერთიან სისტემას წარმოადგენენ.

3. ფიზიოკრატიული შეხედულება

ფრანსუა კენე (1694-1774) მიჩნეულია ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავრად. ფიზიოკრატიების თეორიის მიხედვით ზედმეტ ღირებულებას იძლევა მიწათმოქმედება. „მეფე და ხალხი არასდროს არ უნდა იეიწყებდნენ, რომ მიწა არის სიმდიდრის ერთადერთი წყარო და, რომ მხოლოდ მიწათმოქმედება მრდის სიმდიდრეს...“⁹. მთელი წლის პროდუქტების ღირებულება შედგება ორი ნაწილისაგან. წარმოების ხარჯებისა და წმინდა შემოსავლისაგან (product net). ამ წმინდა შემოსავალს ლებულობს მიწის მესაკუთრე კლასი, გადასახადი უნდა იყოს ალებული მიწის წმინდა შემოსავლიდან, ვინაიდან ამ უკანასკნელისათვის სხვა წყარო არ არსებობს. მიწის მესაკუთრე კლასს ეკუთვნის: სახელმწიფო, მიწათმფლობელნი და ეკლესია. „მიწის ქონებათა წმინდა პროდუქტს ინაწილებს სამი მესაკუთრე: სახელმწიფო, მიწათმფლობელნი და ის პირები, რომლეთაც სამეათედოს ალების უფლება აქვთ“¹⁰.

⁷ Boiguilebert. Le detail de la France. 1697.

⁸ Vouban. Dime royale.

⁹ Франсуа Кене. Избранные экономические произведения. М., 1960, с. 433.

¹⁰ იქვე, გვ. 439.

„...გადასახადი უნდა გადახდილ იქნეს უშუალოდ მიწის წმინდა პროდუქტიდან, ვინაიდან, როგორც წესითაც არ უნდა ხდებოდეს მისი გადახდევინება სახელმწიფოში, რომელიც სიმდიდრეს თავისი ტერიტორიიდან ლებულობს, გადასახადი საბოლოოდ მიწიდან აიღება“¹¹.

წარმოების ხარჯები ანამლაურებენ მიწათმოქმედი, მოვაჭრე და მრეწველი კლასების ხარჯებს, იგი ისევე წარმოებას უბრუნდება.

ფიზიოკრატების აზრით, ამ ხარჯების შემოკლება არ შეიძლება, ვინაიდან იგი წარმოებისათვის დანიშნულ აუცილებელ მინიმუმს წარმოადგენს. ამიტომ მათი აზრით, მიწათმოქმედ, მოვაჭრე და მრეწველ კლასებს არავითარი გადასახადის ზიდვა არ შეუძლიათ. „...გადასახადი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაედვას სხვა რაიმეს, გარდა შემოსავლისა, ე.ი. მიწით მოწეულ წლიურ წმინდა პროდუქტს, და არა მიწათმოქმედელთა დანახარჯებს, მუშებს ან საქონელთა გაყიდვას (la vente des marchandises): წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამანადგურებელი გახდება, თუ მშრომელთა ნახარჯს დაედებოდა, მაშინ ის გადასახადი კი აღარ იქნებოდა, არამედ ძარცვის ფორმად გადაიქცეოდა, შეუძლებელს გახდიდა აღწარმოებას და გამოიწვევდა მიწების გაუარესებას, ფერმერების, მესაკუთრეებისა და სახელმწიფოს განადგურებას“¹².

ამავე საკითხის შესახებ კენე წერს: „გადასახადი არ უნდა იყოს დამამძიმებელი ან სახალხო შემოსავლის რაოდენობის არაპროპორციული, ის შეიძლება გადიდდეს მხოლოდ უკანასკნელის გადიდების შემთხვევაში; ის უნდა გადახდეს უშუალოდ მიწის ქონებათა წმინდა პროდუქტს (product net biensfonds) და არამც და არამც საშუალო ხელფასს ან საარსებო საშუალებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაზრდის თავისი აკრეფის ხარჯებს, ზიანს მიაყენებს ვაჭრობას და ყოველწლიურად გაანადგურებს ქვეყნის სიმდიდრის ნაწილს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადახდეს გადასახადი მიწის ფერმერთა სიმდიდრეს: „სახელმწიფოს ხარჯები მიწათმოქმედებაზე უნდა განიხილებოდეს როგორც ხელუხლებელი ფონდი, რომელიც გულდასმით უნდა იყოს დაცული გადასახადის, შემოსავლისა და ყველა კლასის არსებობის საშუალებათა

¹¹ Франсуа Кене. Избранные экономические произведения. М., 1960 с. 441.

¹² იქვე, 83. 440.

მისაღებად; წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადი გადაგვარდება ქარცივის საშუალებად, რაც სახელმწიფოს დაუძღვრებს და სწრაფად გაანადგურებს¹³.

წარმოების ხარჯებიდან გადასახადის აღება შეამოკლებს წარმოებას, გამოიწვევს სამიწათმოქმედო ფონდის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს აღწარმოებას, წმინდა შემოსავალს და გაანადგურებს მიწათმფლობელებსა და სახელმწიფოს, მუშები გადასახადებს ვერ გადაიხდიან იმიტომ, რომ ისინი არსებობის მინიმუმს ღებულობენ, თუ გადასახადი მათ მაინც დაეწერა, ეს ხელფასის გადიდებას გამოიწვევს და გადასახადის გადამხდელი გახდება მუშის დამქირავებელი, ფერმერი, რომელიც იძულებული შეიქნება ფასები გაზარდოს. ასევე, თუ გადასახადი მოვაჭრე მრეწველ კლასს შეეწერა, ისიც ფასებს გაზრდის, ვინაიდან არამწარმოებლურ კლასს წარმოადგენს და წმინდა შემოსავალს არ ქმნის. ყოვლივე ეს კი შეამცირებს მიწის მესაკუთრეთა შემოსავალს. ასე რომ, წარმოების დაბეგვრა გადასახადით ნიშნავს ამ წარმოების შემცირებასა და, მამასადამე, სახელმწიფოს განადგურებას, ან ფასების გადიდების გზით გადასახადის მიწის მესაკუთრეთა შემოსავალზე – რენტაზე გადაკისრებას, ამიტომ ფიზიოკრატიების აზრით, მიზანშეწონილია იმთავითვე დაიბეგროს რენტა. ამ შემთხვევაში შთაინთქმება წმინდა პროდუქტის ერთი ნაწილი, რომელიც წარმოების და წმინდა პროდუქტის ხელახალ წარმოებას ზიანს არ მიაყენებს.

ამ მიზნით ფიზიოკრატიები ითხოვდნენ ყველა გადასახადის გაუქმებას და მიწის დაბეგვრას ერთიანი გადასახადით. ასეთი პროექტი ნიშნავდა მიწის რენტის ნაწილობრივ კონფისკაციას. კენეს „ეკონომიკური ტაბულის“ თანახმად, ხდება სახელმწიფოს მიერ წმინდა შემოსავლის 2/7-ის კონფისკაცია. რენტის განაწილება კლასებს (სახელმწიფოს, მიწათმფლობელთა და ეკლესიას) შორის ხდება შემდეგნაირად: საერთო შემოსავალი, რომელიც კენეს ნაანგარიშევი აქვს 2 მილიარდი ლივრის რაოდენობით, ნაწილდება ასე: სახელმწიფოს – 2/7, ანუ 572 მილიონი, მიწათმფლობელებს – 4/7 ან 1 მილიარდი 144 მილიონი და ეკლესიას 1/7 ანუ 286 მილიონი.

¹³ იქვე, გვ. 433-434.

ფიზიოკრატიულ იდეებს ქადაგებდა და რენტაზე ერთიანი გადასახადის დადების მომხრედ გამოდიოდა *ტიურგო* (1727-1781), რომელიც ლუდოვიკო XVI-ის ფინანსთა მინისტრი იყო.

მისი მტკიცების თანახმად, გადასახადი ყველა შემთხვევაში მაინც მიწის მესაკუთრეს დააწევბა. თავის პასუხში იუმის წერილზე, *ტიურგო* წერს: „ერთადერთი შემოსავალი, რომელიც შეიძლება სასელმწიფომ მიიღოს, არის მიწის წლიური პროდუქტების ჯამი. პროდუქტების მთელი ერთობლიობა ორ ნაწილად იყოფა: ერთი გათვალისწინებულია მომავალი წლის წარმოებების ხარჯების დასაფარავად და შეიცავს არა მარტო იმ პროდუქტებს, რომლებსაც მიწათმოქმედი ნატურით მოიხმარს, არამედ იმათაც, რომლებითაც იხდის თავისთვის საჭირო ყველა მუშაკის შრომას: მკვლელების, მეეტლების, მეუნაგირეების, ფეიქრების, მკერავებისა და სხვ., აგრეთვე მის მოგებას და მის მიერ დახარჯული კაპიტალის პროცენტებსაც. მეორე ნაწილს შეადგენს წმინდა პროდუქტი, რომელსაც ფერმერი უხდის მემამულეს, როდესაც მიწათმოქმედი და მიწის მესაკუთრე – ორი სხვადასხვა პირია, რაც ყოველთვის სწორი არ არის; წმინდა პროდუქტით მესაკუთრე სარგებლობს იმ ადამიანთა შრომის გადასახდელად, რომელნიც მისთვის მუშაობენ. ამ გარემოებათა გამო, ყოველი გადასახადი, რომელიც მესაკუთრეს პირდაპირ არ ეხება, აწევბა ან იმ მუშებს, რომელნიც ანაზღაურებას წმინდა პროდუქტიდან ღებულობენ, ან იმათ, რომელთა შრომა ფერმერის წილიდან ნაზღაურდება. თუ ხელფასმა კონკურენციის გამო, თავის კანონიერ ღონეს მიაღწია – უნდა აიწიოს, და, რადგან მას შეუძლია გაიმარდოს მხოლოდ იმათ ხარჯზე, ვინც მას იხდის, ამიგომ ერთი ნაწილი დააწევბა მესაკუთრეს იმ შრომისათვის, რომელსაც ის ანაზღაურებს თავის წმინდა პროდუქტიდან, მეორე გაზრდის ფერმერის ხარჯებს და აიძულებს მას ნაკლები გადაუხადოს მესაკუთრეს, მაშასადამე, ყველა შემთხვევაში გადასახადი მესაკუთრეს აწევბა“¹⁴.

ამგვარად, ფიზიოკრატები მიზნად ისახავდნენ ფერმერთა კლასის ინტერესების დაცვას, ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ კაპიტალის გადასვლისათვის მიწათმოქმედებაში, ისინი ასაბუთებდნენ ერთიანი გადასახადის შემოღებას, რომელსაც უნდა მოეხდინა

¹⁴ ტიურგის პასუხი, იხ. Давид Юм. Опыт. М., 1890, გვ. 95-96.

რენგის კონფისკაცია. ამდენად, დემოკრატთა თეორია უარყოფდა მიწის საკუთრების ფეოდალურ ხასიათს, მეორე მხრივ, რამდენადაც ამ თეორიას მრეწველობის ერთადერთ ფორმად მიაჩნდა აგროკულტურა, ამდენად აღიარებდა ფეოდალიზმს. ფიზიოკრატები ერთი მხრივ ამალლებდნენ მიწათმლობელობას, რამდენადაც მიწათმოქმედებას მიიჩნევდნენ ერთადერთ მწარმოებელ დარგად, მეორე მხრივ, მას უარყოფდნენ, რამდენადაც ყველა გადასახადს მიწის რენტას აკისრებდნენ.

4. ინბლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია

ა. ადამ სმიტი (1723-1790)

ა. სმიტის მიხედვით, ცალკე პირთა კერძო შემოსავალი მიიღება სამი წყაროდან: რენტა, მოგება და ხელფასი, ყოველი გადასახადი საბოლოოდ გადაიხდება რომელიმე ამ წყაროდან ან თანაბრად ყველასგან.

მისი აზრით, კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ისტუმრებს პროცენტს, მეორე რჩება პროცენტის გასტუმრების შემდეგ. ა. სმიტის თანახმად მოგების ეს მეორე ნაწილი არ შეიძლება, რომ დაიბეგროს უშუალოდ. ეს არის ჯილდო, რასაც მეწარმე ღებულობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ საქმიანობას არ განაგრძობს. ამ ზომიერ ჯილდოს ის ღებულობს კაპიტალის გამოყენების რისკისა და შრომისათვის. მიღებული მოგების უშუალო დაბეგრის შემთხვევაში კაპიტალისტი იძულებული იქნებოდა ან მოგების ნორმა გაედიდებინა, ან გადასახადი ფულადი კაპიტალის მფლობელზე გადაეკისრებინა, ე.ი. პროცენტი შეემცირებია. მოგების შრომის გადასახადს მთლიანად გადაიხდიდა ორიდან ერთ-ერთი ჯგუფი, რაც იმაზეა დამოკიდებული თუ რა წესით გამოიყენება კაპიტალი: თუ კაპიტალი გამოყენებულია მიწის დასამუშავებლად, მაშინ ფერმერებს მოგების ნორმა რომ გაედიდებინათ, უნდა შეენარჩუნებინათ მიწის პროდუქტის ფასის მეტი წილი, ე.ი. მიწის მფლობელებზე მისაცემი რენტა უნდა შეემცირებინათ. თუ კაპიტალი გამოყენებულია, როგორც საეაჭრო ან სამრეწველო კაპიტალი, მაშინ კაპიტალიგს მოგების ნორმის გადიდება შეუძლია თავის საქონელთა ფასის მომატებით, რაც ნიშნავს გადასახადის მთლიანად ამ საქონელთა მომხმარებლებზე გადაკი-

სრებას. თუ არ გაზრდის მოგების ნორმას, მაშინ გადასახადი მთლიანად ეკისრება მოგების იმ ნაწილს, რომელიც ფულის პროცენტების წილად მოდის; კაპიტალისტი უფრო ნაკლებ პროცენტს უხდის კრედიტორს. თუ ერთი ხერხით ვერ გადააკისრებს, მოიშველიებს მეორეს.

ა. სმიგის მიხედვით, ფულის პროცენტები, ერთი შეხედვით, შესაძლებელია უშუალოდ დაბეგვრის ობიექტად გახდეს ისევე, როგორც მიწის რენტა, პროცენტები ისევე როგორც მიწის რენტა, წმინდა პროდუქტია. მიწის რენტის დაბეგვრა რენტის გადიდებას ვერ გამოიწვევს, ვინაიდან წმინდა პროდუქტი, რომელიც რჩება ფერმერს კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ სამართლიან მოგებასთან ერთად, გადასახადის შემდეგ იმაზე მეტი ვერ იქნება, ვინემ მანამდე იყო. ასევე პროცენტებზე შეწერილი გადასახადი ვერ გაზრდის პროცენტის ნორმას, რადგან კაპიტალის, ანუ ფულის ოდენობა ქვეყანაში იგულისხმება უცვლელად, როგორც გადასახადის შემოღებამდე, ისე მის შემდეგ ფულის პროცენტის გადასახადს არ შეუძლია კაპიტალის გამოყენების რაოდენობით არც გადიდება, არც შემცირება. ამგვარად, ა. სმიგის მიხედვით, ფულის პროცენტის უშუალო დაბეგვრა ისევე როგორც რენტისა, შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეხედვით. არსებითი განხილვის დროს სმიგი აღნიშნავს ორ გარემოებას, რომლებიც ფულის პროცენტს უშუალო დაბეგვრისათვის გაცილებით უფრო ნაკლებად გამოსადეგ ობიექტად ხდიან, ვიდრე მიწის რენტას.

პირველი, მიწის რაოდენობა და ღირებულება საიდუმლო ვერ იქნება და ის ყოველთვის შეიძლება ზუსტად იქნეს დადგენილი. ფულადი კაპიტალის საერთო თანხა, თითქმის ყოველთვის საიდუმლოს წარმოადგენს და მიახლოებითი სიზუსტითაც ვერ იქნება ვერასოდეს განსაზღვრული, გარდა ამისა, ეს უკანასკნელი მუდამ განიცდის რყევას და ამის ყოველთვიური თუ წლიური გამორკვევა მეტისმეტად აუტანელი და შემაწუხებელი იქნებოდა, რასაც ვერც ერთი ხალხი ვერ მოითმენდა.

მეორე, მიწა წარმოადგენს ისეთ საგანს, რომლის გადაგანა ერთი ადგილიდან მეორეზე შეუძლებელია, კაპიტალი კი ადვილად შეიძლება გადაგანილ იქნეს, მიწის მესაკუთრე იმ მხარის მოქალაქეა სადაც ქონება აქვს. კაპიტალის მესაკუთრე მთელი მსოფლიოს მოქალაქეა და მისთვის სავალდებულო არ არის რომელი-

მე ცალკეულ ქვეყანასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ მოგების დაბეგვრის შემთხვევაში კაპიტალი შესაძლებელია გაზიდულ იქნეს სხვა ქვეყანაში. კაპიტალი ამუშავეებს მიწას, იგი ასაქმიანებს შრომას. ამგვარად, გადასახადი მოგების დაბეგვრით კაპიტალს აძევეებს ქვეყნიდან და სპობს მეფისა და საზოგადოების შემოსავალთა ყოველგვარ წყაროს¹⁵.

ა. სმიტის აზრით, თუ უცვლელია შრომაზე მოთხოვნის სიდიდე და სურსათ-სანოვაგის ფასები, მაშინ ხელფასზე დადებული პირდაპირი გადასახადი გამოიწვევს ხელფასის გადიდებას გადასახადზე რამდენადმე აღმატებული თანხით. თუ მაგალითად, გადასახადი დაწესებულია ერთი მეათედის ოდენობით, ხელფასი გაიზრდება ერთი მერვედით. „ამგვარად ხელფასზე პირდაპირი გადასახადი მაშინაც კი თუ მას თვითონ მუშა იხდის, არ შეიძლება, საკუთრივ იმის ლაპარაკი, რომ ის ავანსირებულია მუშის მიერ, ყოველ შემთხვევაში, თუ შრომაზე მოთხოვნა და სურსათ-სანოვაგის ფასები გადასახადის შემოღების შემდეგ ისეთივე დარჩნენ, როგორც იყო მანამდე. ყველა ასეთ შემთხვევაში არა მარტო გადასახადი, არამედ სინამდვილეში რამდენადმე უფრო მეტი თანხა ავანსირებულია იმ პირის მიერ, რომელიც უშუალოდ ქირაობს მუშას. საბოლოო გადახდა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა პირს დააწევბა. მანუფაქტურული შრომის ხელფასის გადიდებას, რომელსაც ასეთი გადასახადი გამოიწვევს, გადაიხდის მანუფაქტურის მფლობელის მოგება, რომელიც უფლებამოსილი იქნება და იძულებულიც აღმოჩნდება ის მოგებასთან ერთად დააწეროს საქონლის ფასს. ამგვარად, ხელფასის ასეთი გადიდების საბოლოო გადახდა მანუფაქტურის მფლობელის დამატებით მოგებასთან ერთად დააწევბა მომხმარებელს“¹⁶. იგივე ხდება, სმიტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო შრომის ხელფასის მიმართ. მას გადაიხდის ფერმერი, რომელმაც იმდენივე მუშები რომ დაიქირავეოს, რამდენსაც წინათ ქირაობდა, მეტი კაპიტალის დახარჯვა მოუხდება. ხოლო იმისათვის, რომ ეს უკანვე დაიბრუნოს, დამატებით მოგებასთან ერთად, ის იძულებული იქნება მიწათმფლობელს უფრო ნაკლები რენტა მისცეს. ამგვარად, სამუშაო ხელფასის ეს გადიდება

¹⁵ А. Смит. Исследование о природе и причинах богатства народов. т. II, М., 1935, с. 360-362.

¹⁶ Там же, с. 377.

ფერმერის დამატებით მოგებასთან ერთად დააწვება მიწათმფლობელს. ყველა შემთხვევაში პირდაპირი გადასახადი ხელფასზე საბოლოო ანგარიშით იწვევს მიწის რენტის უფრო მეტ შემცირებას და მანუფაქტურული ფასების უფრო მეტ გადიდებას, ვიდრე ეს მოხდებოდა, თუ გადასახადით დაიბეგრებოდა ნაწილობრივი რენტა, ნაწილობრივ მოხმარების საგნები.

თუ ხელფასზე შეწერილი პირდაპირი გადასახადები ყოველთვის არ იწვევდნენ ხელფასის გადიდებას – ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ისინი ჩვეულებრივად ამცირებდნენ შრომაზე მოთხოვნას. ასეთი გადასახადების შედეგი იყო მრეწველობის დაცემა, ღარიბებისათვის სამუშაოების შემცირება, ქვეყნის მიწისა და შრომის წლიური პროდუქტების შემცირება, მაგრამ ასეთი გადასახადების გამო შრომის ფასი ყოველთვის უფრო დიდი იქნებოდა ამ გადასახადებისა და იმათი დამატებითი მოგებისა, ვინც გადასახადთა აევანსირებას ეწევა. გადასახადი საბოლოო ანგარიშით გადახდება მიწათმფლობელებსა და მოხმარებლებს.

სასოფლო მეურნეობის შრომის ხელფასის გადასახადი არ ადიდებს მიწის ნელლი პროდუქციის ფასს გადასახადის პროპორციულად იმავე მიზეზებით, რომელთა გამო ფერმერის მოგების გადასახადი არ ზრდის პროპორციულად ამავე ფასს¹⁷.

ბ. დავით რიკარდო (1772-1823)

დავით რიკარდოს აზრით, გადასახადი არის ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტის ნაწილი, რომელსაც მთავრობა ახდევინებს მოსახლეობას. ის საბოლოო ანგარიშით გადაიხდება ქვეყნის კაპიტალიდან ან შემოსავლიდან.

როდესაც მთავრობის მოხმარება დიდდება დამატებითი გადახდევინების გამო და მისი დაფარვა ხდება ან წარმოების გადიდებით, ან ხალხის მიერ მოხმარების შემცირებით, მაშინ გადასახადები დააწვება შემოსავალს, ეროვნული კაპიტალი ხელუხლებელი დარჩება. მაგრამ, თუ არ გადიდება წარმოება, ან არ შემცირდა ხალხის მოხმარება-გადასახადები, აუცილებლად კაპიტალს დააწვება; ეს იმას ნიშნავს, რომ შემცირდება ფონდი, რომელიც მწარმოებლური მოხმარებისათვის არის დანიშნული.

¹⁷ А. Смит. Исследования о природе и причинах богатства народов, т. II, М., 1935, гл. 377.

„იმ პროპორციით, როგორც ქვეყნის კაპიტალი შემცირდება, შემცირდება მისი პროდუქტებიც. ამიგომ, თუ არაპროდუქტიული ხარჯების გაწევა გაგრძელდება ხალხისა და სახელმწიფოს მხრივ და თუ წლიური რეპროდუქცია მუდამ მცირდება, — ხალხისა და სახელმწიფო რესურსები მზარდი სისწრაფით დაიშრიტება, და შედეგი იქნება სიღატაკე და განადგურება“¹⁸.

თუ გადასახადი აწეება კაპიტალს, შესაბამისად შემცირდება ის ფონდი, რომლის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის მწარმოებლური გამრჯელობის სიდიდე. თუ გადასახადი აწეება შემოსავალს და ამცირებს დაგროვებას ან აიძულებს მომხმარებელს შეამციროს წინანდელი არამწარმოებლური მოხმარება.

კაპიტალის დაბეგურის შემთხვევაში გადასახადი ყოველთვის კაპიტალს არ აწევს, თუ გადამხდელი კმაყოფილდება და ხარჯავს იმ თანხას, რაც მას რჩება გადასახადის გამოკლების შემდეგ, მაშინ გადასახადი აწეება შემოსავალს და არა კაპიტალს. თუ გადახდელი წინანდებურად იმდენსავეს ხარჯავს, რასაც გადასახადის გადახდაზე ხარჯავდა, მაშინ გადასახადი აწეება კაპიტალს.

გადასახადების მეტი წილი იმისგან დამოუკიდებლად კაპიტალს აწეება იგი თუ შემოსავალს, შემოსავლიდან გადაიხდება, ამიგომ დაბეგურის ზრდასთან ერთად ხალხის მიერ მოხმარებულ პროდუქციათა რაოდენობა შემცირდება თუ ხალხს არ ძალუძს სათანადოდ გაზარდოს თავისი კაპიტალი და შემოსავალი. მთავრობა ხელს უნდა უწყობდეს ხალხის მისწრაფებას დაგროვებისადმი. მთავრობა არ უნდა აწესებდეს გადასახადებს, რომლებიც კაპიტალს აწეება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეამცირებს შრომის შესაძლებლობას ფონდს და ქვეყნის მომავალ წარმოებას.

რიკარდოს აზრით, რენგაზე დაწესებული გადასახადი აწეება მხოლოდ რენგას. მას მთლიანად მემამულეები გადაიხდიან და მომხმარებლებს არ გადაეკისრება. მით უმეტეს, არ შეუძლია მემამულეს გადასახადებით რენგის გადიდება, „...ვინაიდან იგი ვერ შეცვლის სხვაობას დამუშავებაში მყოფ, უმცირესი პროდუქტივობის მქონე მიწაზე მიღებულ პროდუქტსა და იმ პროდუქტს შორის, რომელიც მიიღება ყოველი სხვა ხარისხის მიწაზე“¹⁹. რიკარდო

¹⁸ ლ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგურის საფუძვლები, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, 1937, გვ. 115.

¹⁹ იქვე, გვ. 135.

რენტის დაბეგვრის გარჩევისას იღებს მხოლოდ ერთ შემთხვევას, როდესაც მიწა იბეგრება შემოსავლის მიხედვით, არ არჩევს სხვა შემთხვევებს რენტის დაბეგვრისა, სახელდობრ, როდესაც იბეგრება თვით მიწა და არა შემოსავალი, როდესაც მიწა იბეგრება რაოდენობის ან თვისების მიხედვით, რაც მას სხვაგვარ დასკვნამდე მიიყვანდა; ამის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

საქონელზე მეწერილი გადასახადი საქონლის ფასს რომ არ ზრდიდეს, მაშინ გადასახადის საბოლოო გადამხდელი ფაბრიკანტი იქნებოდა, მაშინ მისი მოგება საერთო ღონეზე დაბლა დაიწვედა და იგი მოსაქმეობას დაგოვებდა. „მოგების სპეციალური გადასახადი მაღლა ასწევს იმ საქონლის ფასს, რომელსაც იგი აწვება“²⁰. თუ მრეწველობის ყველა დარგს დაედება მოგების პროპორციული გადასახადი, მაშინ ყოველი საქონლის ფასი მაღლა აიწვევს. „მაგრამ თუ ის სამადნე, საიდანაც ჩვენ ჩვენი ფულის ნორმალური საზომი გვეძლევა, ჩვენს ქვეყანაში იქნებოდა და სამთამადნო მესარეწის მოგება დაბეგრილი იქნებოდა, იმ შემთხვევაში არც ერთი საქონლის ფასი არ აიწვედა, იმიტომ, რომ მაშინ ყოველი ალამიანი პროპორციულად ერთნაირ ნაწილს გაიღებდა თავის შემოსავლისას, და ასე ყველაფერი წინანდელ მდგომარეობაში დარჩებოდა“²¹.

რიკარდოს აზრით, თუ ყველა საქონლის ფასი აიწვევს, მასთან ფულის ღირებულება არ შეიცვლება, მემამულე წინანდელ ნატურალურ და ფულად რენტას მიიღებს. თუ ყველა საქონლის ფასი უცვლელი დარჩა, იგი ნატურალურ რენტას იგივეს მიიღებდა, ფულადს კი უფრო ნაკლებს. მემამულე ორ შემთხვევაში მიიღებდა მონაწილეობას გადასახადების გადახდაში, მისი შემოსავალი კი უშუალოდ დაბეგრილი არ იქნებოდა.

როდესაც ფერმერის მოგება დაბეგრილია იგი იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც ყველა სხვა მრეწველი. გადასახადის გადახდის შემდეგ მას იგივე ფულადი შემოსავალი ექნება, რადგან მისი საქონლის, ე.ი. ნედლი პროდუქციის ფასი გადიდდება.

ფერმერის მოგებაზე დადებული გადასახადი მემამულეს სარგებლობას აძლევს, თუ მისი მოიჯარის მოგება დაბეგრილი იქნება; მემამულე სწორედ ამის გამო თავისუფლდება გადასახადისაგან.

²⁰ დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოჯიანიშვილის მიერ, 1937. გვ. 164.

²¹ იქვე, გვ. 165.

„ფერმერის მოგებაზე დადებული გადასახადი არ წარმოადგენს მიწის მთლიანი პროდუქტის პროპორციულ გადასახადს; იგი პროპორციულია წმინდა პროდუქტისადმი, რომელიც რჩება რენტის, ხელფასის და სხვა ხარჯების გასტუმრების შემდეგ, რადგან სხვადასხვა სახის მიწების: №1-ის, №2-ის და №3-ის, დამუშავებლები სრულიად ერთნაირ კაპიტალებს ხარჯავენ, ამიტომ მათი მოგებაც საეკონომიკურ ერთნაირი იქნება, თუმცა მთლიანი შემოსავალი ერთს შეიძლება მეტი ჰქონდეს, ვიდრე მეორეს; მაშასადამე, ყველა ისინი თანაბრად იქნებიან დაბეგრნილი.

ეკულისხმობთ, რომ №1-ის მთლიანი პროდუქტი უდრის 180 კვარტერს, №2-ისა – 170 კვარტერს და №3-ისა – 160 კვარტერს, და რომ თითოეული დაბეგრნილი არის 10 კვარტერის ოდენობის გადასახადით. სხვაობა №1-ისა, №2-ისა და №3-ის მთლიან პროდუქტებს შორის, გადასახადის გადახდის შემდეგ, იგივე იქნება, რაც წინათ იყო; თუ №1-ის მთლიანმა პროდუქტმა დაიწია 170-მდე, №2-ისამ – 160-მდე და №3-სამ – 150 კვარტერამდე, სხვაობა №3-ისა და №1-ს შორის წინანდებურად იქნება 20 კვარტერი და სხვაობა №3-ისა და №2-ს შორის 10 კვარტერი, თუ გადასახადის შემოღების შემდეგ პურისა და ყველა სხვა საქონელთა ფასები უცვლელი დარჩა, იმ შემთხვევაში ფულადი რენტაც, ისე როგორც ხორბლით გამოსახული რენტაც, უცვლელი დარჩება, მაგრამ თუ გადასახადის გამო პურის და ყველა სხვა საქონელთა ფასებმა აიწია, – ფულადი რენტაც იმავე პროპორციით აიწევს“²².

ხელფასზე დადებულ გადასახადს რიკარდო განიხილავს როგორც მოგების დაბეგვრას. მისი აზრით, მუშის ხელფასი განსაზღვრულია ბიოლოგიური მინიმუმით, ამიტომ ხელფასზე შეწერილ გადასახადს მუშა გადააკისრებს დამქირავეებელს. ხელფასის დაბეგვრა მუშებს არ აწვება, მაგრამ იგი არ ეხება არც ფულად კაპიტალისტებს, არც მემამულეებს, არც რომელიმე სხვა კლასს, ის ეხება მხოლოდ შრომის დამქირავეებს, ამგვარად, რიკარდოს აზრით, ხელფასზე დადებული გადასახადი მოგების გადასახადს წარმოადგენს. ამისგან რამდენადმე განსხვავდება საარსებო საგნებზე დაწესებული გადასახადი, ვინაიდან ის ნაწილობრივ მდიდარ მომხმარებლებზე დადებულ გადასახადს წარმოადგენს. „საბოლოო შე-

²² დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. გვ. 170.

დეგები, რომლებიც ასეთი გადასახადებიდან გამომდინარეობს, სავსებით ისეთივეა, როგორც ის შედეგები, რომლებსაც მოგების პირდაპირი გადასახადი იწვევს²³.

*

* * *

სმიგისა და რიკარდოს შეხედულებები წმინდად ანტიფეოდალურია, ფიზიოკრატიებისა – ანტიფეოდალურთან ერთად ფეოდალურიც არის. ფიზიოკრატიული თეორია ერთი მხრივ, მიწის საკუთრების არსად აცხადებს მრეწველობას, აგროკულტურას; ამით ის უარყოფს მიწის საკუთრების ფეოდალურ ხასიათს. მეორე მხრივ, ფიზიოკრატიული თეორია უარყოფითად ეკიდება მრეწველობას, ამ უკანასკნელთან ერთად ერთ ფორმად მიაჩნია აგროკულტურა; ამდენად ფიზიოკრატიები აღიარებდნენ ფეოდალიზმს. ისინი ცდილობდნენ მოცემული საზოგადოებისათვის მიეცათ ბურჟუაზიული ახსნა-განმარტება, მაგრამ ჯერ კიდევ ნაპოვნი არ ჰქონდათ ნამდვილი ფორმა, ისინი ერთი მხრივ, ამაღლებენ მიწათმფლობელობას, რამდენადაც მიწათმოქმედებას მიიჩნევენ ერთადერთ მწარმოებლურ დარგად, მეორე მხრივ, მას უარყოფენ, რამდენადაც ყველა გადასახადს მიწის რენტას აკისრებენ.

სმიგი და რიკარდოც მოითხოვენ დაბეგვრას, მაგრამ არა იმიტომ, რომ მიწათმოქმედება მიაჩნიათ სიმდიდრის შექმნის ერთადერთ წყაროდ, არამედ იმიტომ, რომ იცავენ მოგების მიმღებ კლასს, რომელიც გულისკვირვლით უნაწილებს ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს მემამულეებს რენტის სახით.

რენტის დაბეგვრის ახსნაში სმიგი და რიკარდო აკეთებენ შეცდომებს. ერთი ის, რომ რიკარდო ცნობს მხოლოდ ღიფერენციულ რენტას, მეორე, თავის დასკვნებს აგებს რენტის მხოლოდ როგორც შემოსავლის დაბეგვრაზე, ე.ი. იმ შემთხვევებზე, როდესაც რენტა გადასახადს ვერ იცილებს თავიდან და მასვე აწვება. არ არის სწორი შეხედულება, რომ საადგილმამულო დაბეგვრის პირობებში რენტას აწვება გადასახადი.

რამდენადაც საკითხი მხოლოდ ღიფერენციალურ რენტას შეეხება, და, ამ შემთხვევაში, სმიგი და რიკარდო თავის კვლევას ღი-

²³ დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიისა და დაგეგმვის საფუძვლები. გვ. 144.

ფერენციალური რენგით შემოფარგლავენ, უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედებაზე გადასახადების დაკისრებას, მის თანაბრად თუ არათანაბრად განაწილებას, შეუძლია შეცვალოს რენგის სიდიდე სხვადასხვა მიმართულებით, თუ გადასახადი ამცირებს უთანასწორობას პროდუქტში, მაშინ რენტა მცირდება, თუ გადასახადი უცვლელს ტოვებს ამ უთანასწორობას, მაშინ რენტაც უცვლელი რჩება და გადასახადი დაეკისრება მომხმარებელს.

თავი მეცხრე
ბაზასახადების თეორიები
(გაგრძელება)

1. *ჯონ მეინარდ კეინსის თეორია.* როგორც ცნობილია, კეინსი თავის ანალიზს საფუძვლად უდებს „ეფექტურ მოთხოვნას“, ამიგომ მის მიერ გადასახადებზე გამოთქმული მოსაზრებები დაკავშირებულია ამ ძირითად პრობლემასთან, ამასთან ერთად, მას გადასახადები მიაჩნია სოციალური თანასწორობის მიღწევის საშუალებად. ის წერს, რომ შემოსავლის, დამატებითი პროგრესული და მემკვიდრეობის გადასახადის საშუალებით ინგლისში საგრძნობლად შემცირდა შემოსავალთა უთანასწორობა.

კეინსი წერს, რომ სახელმწიფომ „უნდა განახორციელოს თავისი ხელმძღვანელი გავლენა მოხმარებისადმი მიდრეკილებაზე გადასახადთა შესაბამისი სისტემით, ნაწილობრივ – სარგებლის ნორმის ფიქსაციით“¹.

კეინსის აზრით, ეკონომიკას არ შეუძლია თვით რეგულირდებოდეს. სამომხმარებლო მოთხოვნის უკმარისობა გამოწვეულია „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ მოქმედებით, რომლის შესაბამისად ადამიანებს აქვთ „მიდრეკილება დამოგვისადმი“. ეს იწვევს მოთხოვნის შემცირებას, წარმოების შემოკლებას. სახელმწიფომ უნდა შეაქოს უკმარისი გადამხდელუნარიანი მოთხოვნა, გაზარდოს ხარჯები გადასახადების ანგარიშით, ან კერძო სექტორის ინვესტიციები გააფართოოს. გადასახადებით და სესხებით უზრუნველყოფილმა მოთხოვნამ მულტიპლიცირება უნდა გაუკეთოს წარმოებას, გაამრავლოს წარმოება, გაცვლა, დასაქმება.

2. *ნეოკეინსიანური თეორია.* ამ თეორიის წარმომადგენლები არიან: ე. ჰანსენი, უ. გელერი, ე. ლომარი, კ. კლარკი, გ. ჰელესი, ფ. ნოიმარკი, ფ. ჯერუ. ისინი მოითხოვენ სისტემატურ ზეგავლენას ეკონომიკაზე, რათა უზუნველყოფილ იქნეს წარმოების მაღალი ტემპები. მათი აზრით, უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსურ-საკრედიტო მეთოდები. დაგროვების მთავარი რეგულატორია გადასახადები, რომელთაც შეუძლიათ ეკონომიკის განვითარება.

¹ Дж. М. Кейнс. общая теория занятости, процента и денег. 1949, с. 364.

ნეოკეინსიანლები ამუშაებენ მათემატიკურ მეთოდებს და აწესებენ მეურნეობაზე გადასახადების ზეგავლენის ხარისხს, ისინი მაღალი დაბეგვრის წინააღმდეგნი არიან, რადგან გადასახადები წარმოების გაფართოებას ხელს უშლიან.

ნეოკეინსელების აზრით, საგადასახადო მექანიზმი არის წარმოების რეგულატორი. რეგულირებისათვის უნდა გამოყენებულ იქნეს ჩასმული სტაბილიზატორები – ავტომატური – პროგრესული საშემოსავლო გადასახადი და სახელმწიფო ხარჯები და მმართველი – სხვადასხვა ფინანსური ღონისძიებანი. ამ სტაბილიზატორების ბალანსირებით მიიღწევა მეურნეობის ამაღლება.

3. ნეოკლასიკური თეორია ემყარება თავისუფალ მეწარმეობას, რომელიც ექვემდებარება თავისუფალ კონკურენციასა და ფასებს. ამ შეხედულებას აყენებენ რ. სოლოუ, ფ. ფრიდმანი, გ. პეზლიტი, ლ. რობინსი. მათი აზრით, თანამედროვე ეკონომიკა „თვითმმართველია“. სახელმწიფოს ჩარევა დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში. საგადასახადო პოლიტიკა აქ უნდა დაეხმაროს ისე, რომ გააბალანსოს წარმოების, მოთხოვნის და მოწოდების ბრუნვა, დაუქვემდებაროს საბაზრო მეურნეობას.

ეკონომიკის რეგულირების თეორიები მოითხოვენ ეროვნული შემოსავლის გასახელმწიფოებრივებული ნაწილის გამოყენებას აღწარმოების პროცესის რეგულირებისათვის. გადასახადებით ეკონომიკის თეორიებს რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვთ.

ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის აუცილებელია მოთხოვნა-სა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარება. ამისათვის გამოიყენება ეროვნული შემოსავლის გასახელმწიფოებრივებული ნაწილი. იგი უნდა მოთავსდეს გრძელვადიან დაბანდებებში ან დაიხარჯოს არამწარმოებლურად.

ჰანსენს თავის შრომაში მოგანილი აქვს სპეციალისტთა სამი ჯგუფის წინადადება: 1. წინადადებები წამოყენებული ეკონომიკური განვითარების კომიტეტის მიერ²; 2. პროგრამა შედგენილი 16 ეკონომისტის მიერ ეროვნულ-გეგმურ ასოციაციაში³; 3. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ დანიშნულ

² Taxes and the Budget, November, 1947; Monetary and Fiscal Policy for Greater Economic Stability. December, 1948.

³ Federal Expenditure the Revenue Policies, September 23, 1949.

ექსპერტთა ჯგუფის მოხსენება⁴. ამ მოხსენებაში წამოყენებულია სტაბილიზაციის დაცვისათვის დანიშნული კომპენსირების ღონისძიებანი. განხილულია სამგვარი პროგრამა: 1. მოქნილობის ჩასმული მექანიზმი, 2. ავტომატურად მოქმედი მაკომპენსირებელი კონტროლისძიებანი, 3. კომპენსირების მართვადი პროგრამები.

პანსენის აზრით, მოქნილობის ჩასმული მექანიზმები „წარმოადგენს ავტომატურ სისტემას, რომელსაც შეუძლია რყევადობის ჩასშობა, მაგრამ მას არ შეუძლია დაეხმაროს დეპრესიული ღონიდან ნამდვილ აღდგენაზე გადასვლაში“, ეს იმგვარად აგებული სისტემაა, რომელიც შეგნებული მართვის გარეშე ავტომატურ რეაგირებას ახდენს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაზე: ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის მკვეთრი პროგრესული სკალა. განაკვეთთა ფიქსირებული სისტემის ფარგლებში საგადასახადო შემოსულობა სწრაფად გაიზრდება შემოსავლის ზრდასთან და მკვეთრად შემცირდება შემოსავლის შემცირებასთან ერთად. ამგვარად, ბუმს ექნება გენდენცია, შექმნას ბიუჯეტური გარდამეტი, დეპრესიას – ბიუჯეტური დეფიციტი.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემაც ასევე ავტომატურად მოქმედებს, როგორც მაკომპენსირებელი ღონისძიება. აყვავების დროს უმუშევრობა მცირეა, გასაცემი დახმარების საერთო თანხაც მცირდება იმ დროს, როდესაც სოციალური დაზღვევისათვის ხელფასზე მეწერილ გადასახადთა შემოსულობა იზრდება. დეპრესიის დროს, როდესაც უმუშევრობა ღიღია, დახმარების თანხაც იზრდება, ხოლო სოციალური უზრუნველყოფისათვის შეწერილი გადასახადების შემოსულობა მცირდება. აყვავების პერიოდში სოციალური უზრუნველყოფის გადასახადები აღემატება გასაცემი დახმარების თანხას, რაც შემაკაველად მოქმედებს ბუმზე. დეპრესიის დროს გასაცემი დახმარების თანხა აღემატება სოციალური უზრუნველყოფის დაბეგვრიდან მიღებულ შემოსავალს; ესეც შემცირებულად მოქმედებს დაცემის პერიოდში.

ამგვარად, ფერმერთა ფასების დაცვა ამსუბუქებს ფერმერთა შემოსავლების დაცემას იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობის ფასები კლებულობს. ფასების დაცვის პროგრამის ჩვეულებრივი ტიპიდან გადახვევაა წინადადება, როდესაც ფერმერები საბაზრო

⁴ National and International Measures for Full Employment. December, 1949.

ფასად ყიდიან, მაგრამ საბაზრო ფასსა და იმ ფასს შორის დაცილების შემთხვევაში, რომლის დაცვაა გათვალისწინებული, მთაერობა შესაბამის კომპენსაციას აძლევს⁵. ასეთია „მოქმედების ჩასმული მექანიზმის მაგალითები“. ავტომატურად მოქმედი მაკომპენსირებელი კონტროლისძიებანი, „ჩასმულ სტაბილიზატორებს შეუძლიათ ციკლური რყევადობის ამპლიტუდა შეამცირონ, შეამსუბუქონ დაცემა, ან რაიმე ზომით შეაკაონ ბუმი, მაგრამ არ შეუძლიათ შემოსავლისა და დასაქმების ნამდვილი აღმავლობა გამოიწვიონ. აქ საჭიროა გადამწყვეტი კონტროლისძიებანი, რომლებიც ავტომატურად ხორციელდება. ციკლის საწინააღმდეგო საბრძოლველად გამოიყენება მსგავსი ავტომატური სქემა: ერთი მხრივ, გადასახადების განაკვეთების ვარირება, მეორე მხრივ – მთაერობის ხარჯებისა. ეს ვარირება ავტომატურად შედის მოქმედებაში, როდესაც სპეციალურად გამოყოფილი ინგერესები აიწვევენ ან დაიწვევენ ზუსტად განსაზღვრულ დონემდე. როდესაც უმუშევრობის ინდექსი ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებზე ზევით აიწვევს ან დაიწვევს, თავის მოქმედებას გამოამქლავებენ გადასახადის განაკვეთებისა და ხარჯების ზუსტად დაწესებული ცვლილებები.

მესამე ტიპის ღონისძიება არის კომპენსირების მმართველი პროგრამა. აღმასრულებელი ხელისუფლება წინასწარ მოფიქრებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე აირჩევს მოქმედებაში შესვლის და ანტიციკლური პროგრამის შესრულების ხერხებს. კონგრესი წინასწარ დანიშნავს მოქმედების დიაპაზონს. მისი განხორციელების პასუხისმგებლობა დაეკისრება აღმასრულებელ ხელისუფლებას ან სპეციალურად დანიშნულ მმართველს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსისგები მოითხოვდნენ გადასახადებით რეგულირებას იმ აზრით, რომ გადასახადები უნდა შეუმცირდეს მეწარმეებს კონიუნქტურის გამოსაცოცხლებლად. მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად აუსილებელია კონიუნქტურის გამოცოცხლება. ამისათვის საჭიროა კაპიტალდაბანდებების გადიდება. ეს მოსახერხებელი იქნება გადასახადების შემცირებით.

მეორე მოსაზრება გამოდიოდა იქიდან, რომ გერმანიას ესაჭიროება საგარეო ბაზრები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ

⁵ T. W. Schult. Agriculture in Ustable Economy. 194, p. 230-235.

სრული დასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. გერმანიის მრეწველობაში განწყობილება მოძველებულია, ამიტომ მისი საქონელი არ არის კონკურენტუნარიანი. საჭიროა ძირითადი კაპიტალის განახლება, რისთვისაც აუცილებელია დიდი კაპიტალდაბანდებები. ეს კი შეუძლებელია გადასახადების შემცირების გარეშე.

4. სახელმწიფოს მომსახურების საფასურის თეორია. ამ თეორიის წარმომადგენლებად გვევლინებიან პანსენი და ლუტცი. პანსენს თავის შრომაში „ფისკალური პოლიტიკა და სამრეწველო ციკლები“⁶ განმარტებული აქვს გადასახადი როგორც სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების იძულებითი ფასი. მისი აზრით, ამ კატეგორიის მომსახურებათა რიცხვს ეკუთვნის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მართლმსაჯულების ორგანოების მომსახურებანი, სოციალურ-კულტურულ ორგანიზაციათა, კავშირგაბმულობის, დაზღვევის ორგანიზაციებისა და სხვ. მომსახურებანი. მოცემულ საკითხში პანსენის შეხედულებებს იმეორებენ ამერიკელი ფინანსისტები ლუტცი და სხვ. ამ უკანასკნელის აზრით, გადასახადის გადახდა საზოგადოებრივი მომსახურების აუცილებელი ფასია. ბლაფის მტკიცებით, გადასახადი მთელი სახელმწიფო მომსახურების ფასია. გერმანელი ფინანსისტები გადასახადს განიხილავენ როგორც სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურს. ამასთანავე ამტკიცებენ, რომ გადასახადებს აქვთ უკანდაბრუნებითი ხასიათი.

5. გადასახადების ინტეგრაციის თეორია. გადასახადების ინტეგრაციის თეორიის წამომადგენლები, მაგალითად, გროესი და სხვ., მოითხოვდნენ კორპორაციის შემოსავლის გადასახადების ინტეგრირებას მოსახლეობის დაბეგვრასთან. გადასახადთა ამ გაერთიანების გასრულადება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შემოსავლის გადასახადის განაკვეთები კორპორაციისათვის უნდა დაწესდეს დაბალი.

6. გადასახადების ანტიინფლაციური თეორია. გადასახადების ანტიინფლაციური როლი მოგიერთი ეკონომისტის მიერ წარმოდგენილია იმგვარად, რომ გადასახადები მძიმედ არ უნდა აწვეს მეწარმეებს, რომელთა დაგროვება აფართოებს წარმოებას.

⁶ Дж. М. Кейнс Общая теория занятости, процента и денег. 1949, с. 364.

⁷ Y. G. Lutz. Public Finance. 1947.

გადასახადები უნდა დააწვეს სამომხმარებლო შემოსავალს, რომელიც აფართოებს მოთხოვნას და ამით ზრდის ფასებს.

პოლ სამუელსონის აზრით, გადასახადები ზრდის მოსახლეობის რეალურ შემოსავალს, რადგან შემოსავლის შემცირება მიმართულია ინფლაციის წინააღმდეგ.

პანსენის აზრით, ინფლაციის თავიდან ასაცილებლად შემოდებულ უნდა იქნეს მოხმარების საგნების მაღალი განაკვეთებით დაბეგვრა. ამასვე იმეორებს ლაფი, რომლის მიხედვით ინფლაცია შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ მაღალი გადასახადებით.

პანსენის აზრით, მაღალ გადასახადებში არის ანტიინფლაციური ძალა. მაღალი გადასახადები ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობით უნარს, ამით აძნელებენ ინფლაციას⁸.

პარტი ამტკიცებს, რომ მაღალი გადასახადები ეფექტური იარაღია ინფლაციის წინააღმდეგ „მოსახლეობის შემოსავლის გადასახადი უძლიერესი იარაღია ანტიინფლაციურ არსენალში“⁹. მათი აზრით, გემომოგებაზე შეწერილი გადასახადები იწვევენ ინფლაციას. ჩანდლერი¹⁰, მარკრევი¹¹ და სხვ. მოითხოვენ მეწარმეთა გათავიუფლებას გადასახადებისაგან, ყოველ შემთხვევაში – მათ დაბეგვრას შეღავათიანად. ისინი პროგრესული დაბეგვრის წინააღმდეგნი არიან, რადგან იგი ამცირებს კაპიტალდაბანდებებს. „გადასახადები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მღუდავდნენ წამოწყებას, წარმოებას და დასაქმებას.

7. გადასახადებით შრომის ინტენსივობის გადიდების თეორია. დ. ბლეფი, ა. პიგუ და ე. როლფი ასაბუთებენ, რომ ხელფასსა და მოხმარების საგნებზე შეწერილი გადასახადები დადებითად მოქმედებენ წარმოებაზე, ამცირებენ „სიზარმაცის“ ფასს და აიძულებენ მუშებს მეტი იმუშაონ. მათი აზრით, გასაყიდ საქონელზე შეწერილი გადასახადი თავისი რეგრესიულობის გამო უძლიერესი ინსტრუმენტია ინფლაციის წინააღმდეგ.

მაღალი გადასახადების გამო მუშები იძულებული იქნებიან მეტი იმუშაონ, რომ შეინარჩუნონ მოხმარების არსებული დონე. ამგვარად, მათი აზრით, გადასახადები სპობენ სიზარმაცეს და ალვი-

⁸ Harris. The Economics of Mobilisation and inflation. №1. 1951, p. 157.

⁹ A. G. Hari. Financing of Defence. N. Y., 1951, p. 157.

¹⁰ Chanditr Lester V. Inflation in the United States. 1940-1948, №1, 1951.

¹¹ Musgrave A. Federal tax Retorin. "Public Finance and Full Employment": 1945.

ვებენ ბეჯითობას. ეს არის მერკანტილისტური იდეების აღდგენა დაბეგვრის საკითხში.

ზოგიერთი ფინანსისტი მოითხოვს მოგების გათავისუფლებას გადასახადებისაგან, ზოგი კიდეც, როგორც მაგალითად, ქ. ციშანგი დაბეგვრის ახალ პრინციპს აყენებს, რომლის თანახმად გადასახადი დამოკიდებული უნდა იქნეს არა მარტო შემოსავლის სიდიდეზე, არამედ ამ შემოსავლის გამოყენების ხასიათზედაც, რადგან მეწარმე დაგროვებას ეწევა, ე.ი. შემოსავალს მწარმოებლურ დანიშნულებას აძლევს, მას გადასახადები უნდა შეუმცირდეს.

ზოგიერთი ფინანსისტი კიდეც დაბეგვრის საკითხში ილაშქრებს სამართლიანობის პრინციპების, ეთიკური ნორმების წინააღმდეგ.

თავი მეათე

სახელმწიფო კრედიტი

სახელმწიფო კრედიტი. ფართო აზრით, არის ყველა ის საკრედიტო ურთიერთობა, რომელშიაც სახელმწიფო დებიტორია, ხოლო მოსახლეობა, ბანკები, სამრეწველო საეაჭრო საწარმოები – კრედიტორები. საგარეო სესხის დროს ერთ-ერთი სახელმწიფო დებიტორია, მეორე – კრედიტორი. სახელმწიფო კრედიტი მოიცავს საშინაო და საგარეო სესხების, სახელმწიფო შემნახველი საღაროების ვალდებულებებს მეანაბრეთა წინაშე, ბანკებიდან მიღებულ სესხებს და ავანსებს და კერძო სესხებზე ან იჯარაზე სახელმწიფოს მიერ გაცემულ გარანტიებს.

სახელმწიფო ვალი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი თავისი ყველა სარგებლით, რაც მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის.

ეროვნული ვალი უფრო ფართო ცნებაა. იგი სახელმწიფო ვალთან ერთად შეიცავს ქვეყნის ყველა სახის – ბანკების, მეურნეობის ყველა დარგის, ფიზიკური პირებისა და სხვ. დავალიანებას.

კრედიტი სახსრების ცენტრალიზაციის ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს. იგი ხდება დაგროვების თანაშემწე. კრედიტი იზიდავს და აერთიანებს დიდ ან პატარა მასებად დაქსაქსულ ფულად საშუალებებს. იგი იქცევა, კონკურენციის დიდ იარაღად და კაპიტალების ცენტრალიზაციის დიდ საშუალებად.

სახელმწიფოს ვალებმა კრედიტს ახალი თვისებები შემატეს. მათ შექმნეს უსაქმო რანტიები და უცბად გამდიდრებული ფინანსისტები, გადასახადთა მოიჯარე შემსყიდველები, აქციონერული საზოგადოებანი, ყოველგვარი ფასიანი ქალაქებით ვაჭრობა, ბირჟაზე თამაში, ბანკოკრატია.

სესხად გაცემული ფული დოკუმენტებად იქცევა და ბრუნვაში ფუნქციონირებენ როგორც ნაღდი ფული. XVII საუკუნეში ყველა საკრედიტო დაწესებულება უკვე განვითარებული იყო. სახელმწიფო კრედიტი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ წინდაწინვე აიღო გადასახადების ნაწილი. აღებული სესხის ნაწილს არამწარმოებლური დანიშნულება ეძლევა. ხშირად სესხის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიერ დახარჯულია და სასესხო დოკუმენტები ფუნ-

ქციონირებენ როგორც კაპიტალი. ამ ობლიგაციებს ასეთ ძალას ანიჭებს ის, რომ მფლობელს შეუძლია ისინი კვლავ გადააქციოს კაპიტალად მათი გაყიდვის საშუალებით.

არის შემთხვევები, როდესაც სარგებლის განაკვეთი ისე მაღლა იწევს, რომ სრულიად ითვისებს სრულ მოგებას. ამ დროს სახელმწიფო ფასიანი ქარაღებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ფასი ეცემა. ასეთ შემთხვევაში ფულიანი ხალხი შეისყიდის გაუფასურებულ ფასიან ქაღალდებს იმის მოლოდინით, რომ შემდგომში მათი ფასი კვლავ მაღლა აიწევს.

კრედიტის და, საერთოდ, მევახშეობის საფუძველს წარმოადგენს ფულის ფუნქცია, როგორც გადახდის საშუალება (გადასახდელები, იჯარა, საურაი). გადასახადი დაკავშირებულია გადახდის განსაზღვრულ ვადასთან. ეს დიდ გასაქანს აძლევს გადასახადების მოიჯარე-შემსყიდველებს. საქონლის წარმოებისა და ეაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ყიდვის და გადახდის მომენტების განსაზღვრული ინტერვალით ერთმანეთისაგან დაცილებას. სახელმწიფო კრედიტი ემყარება საგადასახადო სისტემას ...სახელმწიფოს შეუძლია ხარჯები გაწიოს ისე, რომ ის მაშინვე ვერ იგრძნოს გადამხდელმა. სახელმწიფოს მოთხოვნილებები იზრდება, იზრდება მათი დაკმაყოფილების ხარჯები, რომელთა დაფარვა ხდება ან პირდაპირ გადასახადებით, ან არაპირდაპირად სახელმწიფო სესხებით, რომლებიც საბოლოო ჯამში დაიფარება გადასახადებით. ამიტომ სახელმწიფო ვალების ზრდა დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო ხარჯებზე. ამგვარად, სახელმწიფო ვალი ხალხისათვის ქმნის ახალ საგადასახადო სიმძიმეს.

სახელმწიფო სესხის სისტემის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს წონასწორობის დარღვევა ბიუჯეტის შემოსავალსა და გასავალს შორის, თუმცა იგი მის შედეგადაც გვევლინება. მიზეზთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ომები.

XX საუკუნეში სახელმწიფო ვალებმა წელში გატეხეს სახელმწიფო. უმარმაზარმა სამხედრო ხარჯებმა გამოიწვიეს დიდი სესხების აღება, რამაც გაზარდა საგადასახადო გვირთი.

კრედიტორი სახელმწიფოსათვის სახელმწიფო სესხი ნიშნავს აგრეთვე კრედიტორის საქონლის გასაღების გადიდებას, რამდენადაც დებიტორმა სახელმწიფომ მიღებული სესხის ნაწილი კრედიტორ სახელმწიფოში უნდა დახარჯოს.

ფასიანი ქალაქების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ობლიგაციები, ანუ სახელმწიფო კრედიტის სავალო დოკუმენტები. სახელმწიფო ქალაქები არის წლიური შემოსავლის ნაწილი, რაც დანიშნულია ვალის გადასახდელად, მისი შესაბამისი კაპიტალი უკვე გახარჯულია. იგი შეადგენს სესხისათვის ნომინალურ ღირებულებას, მაგრამ სახელმწიფოს ქალაქი მას არ გამოხატავს, ვინაიდან ეს თანხა უკვე აღარ არსებობს, უნდა შეიქმნას ახალი სიმდიდრე, რომელიც უნდა მიეცეს იმას, ვინც გაასესხა ის სიმდიდრე, რომელიც გაიხარჯა, ეს ნაწილი მწარმოებლებს გამოერთმევა გადასახადის სახით და გადაეცემა სახელმწიფო კრედიტორებს სარგებლის სახით.

სმსხის სახეები

გავრცელების ადგილის მიხედვით სახელმწიფო სესხი არის საშინაო და საგარეო. საშინაო სახელმწიფო სესხის დროს სასესხო ვალდებულებები ადგილობრივ მცხოვრებთა ხელშია, საგარეო სესხის დროს კი სასესხო ვალდებულებების მფლობელები არიან უცხოელები. ეს შესაძლებელია მოხდეს ან უცხოეთის ბირჟებზე სესხის გავრცელებით, ან უცხოელთა მიერ სასესხო ვალდებულებათა შესყიდვით ამის გარეშე.

კრედიტორი ქვეყნისათვის უცხოეთის კრედიტი ნიშნავს კაპიტალის ექსპორტს და პირიქით, დებიტორისათვის — კაპიტალის იმპორტს. საგარეო კრედიტი ფართო მასებისათვის მოასწავებს საგადასახადო გვირთის გადიდებას. ამ შემთხვევაში თავიანთი ქვეყნის რანგიეთა საგადასახდელ სიმძიმეს უნდა დაემატოს გადასახდელები უცხოეთის კაპიტალის სასარგებლოდ.

შესაძლებელია საგარეო სესხი იქცეს საშინაოდ, როდესაც საზღვარგარეთული სესხი, რომლის მფლობელნი არიან უცხოელი მოქალაქენი ან დაწესებულებანი გამოსყიდვის გზით დაბრუნდება თავის ქვეყანაში, მაშინ საგარეო სესხი გადაიქცევა საშინაოდ. შესაძლებელია საწინააღმდეგოც, სახელმწიფო სესხი გადავიდეს უცხოელთა ხელში, მაშინ საშინაო სესხი გადაიქცევა საგარეოდ.

გავრცელების მეთოდების მიხედვით სახელმწიფო სესხი არის ნებაყოფლობითი და იძულებითი. ნებაყოფლობით სესხს სახელმწიფო დებულობს ნებაყოფლობითი ხელშეკრულებებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს ისევე როგორც კერძო პირი.

იძულებით სახელმწიფო სესხს სახელმწიფო დებულობს იძულებით. სახელმწიფო სესხს ართმევენ ყველას ან ცალკეულ ფენებს იძულებითი გზით. ეს სესხი შესაძლებელია იყოს ანამლაურებითი ან აუნამლაურებელი. იძულებით სესხს მოსახლეობაზე ანაწილებენ ისევე როგორც გადასახადებს. იძულებითი სესხები განსაკუთრებით გავრცელებული იყო ფეოდალიზმის დროს XVIII-XIX საუკუნეებში.

სესხები არის ფულადი და ნატურალური. ნატურალური სესხი აიღება პურის, შაქრის და სხვ. მიხედვით. ჩვეულებრივად სახელმწიფო სესხს დებულობს ფულის სახით – გამანადგურებელი ომების ან ინფლაციის დროს.

გამოშვების ვადის მიხედვით სესხი არის უვადო და ვადიანი. როდესაც სესხი უვადოა, კრედიტორს ყოველ დროს შეუძლია მოითხოვოს ვალის დაბრუნება, ასეთია შემნახველი სალაროს ანაბრები.

ვადიანი სესხის დროს სახელმწიფო სესხს იღებს განსაზღვრული ვადით. ეს სესხი განიყოფება გრძელვადიანად (10 და მეტი წლით), შუა ვადიანად (3-დან 5-10 წლამდე) და მოკლევადიანად (1-დან 3 წლამდე).

არის აკრეთვე სარენტო სესხი. ეს სესხი სახელმწიფოს შეუძლია დაფაროს ყოველ დროს. იგი გავრცელებული იყო ფეოდალიზმის პირობებში. ამ სესხის დროს სახელმწიფო იხდიდა მხოლოდ სარგებელს, არ იხდიდა თვით სესხის თანხას.

სესხის დაფარვა წარმოებს ობლიგაციების მოსპობით, გირაჟის გზით; ამ შემთხვევაში სახელმწიფო მათ მფლობელებს უხდის ობლიგაციაში აღნიშნულ თანხას ან ობლიგაციაში აღნიშნულ თანხას, ან ობლიგაციებს ბირჟაზე შეისყიდის საკურსო ფასით.

სახელმწიფო სესხს ხშირად აქვს ლაგარიული ფორმა. ასეთებია ლაგარიული სესხები პრემიებით და ანუიტეცებით.

ლაგარიულია სესხი, როდესაც ობლიგაციის მფლობელი დებულობს არა რეგულარულ შემოსავალს პროცენტების სახით, არამედ მოგებას. ლაგარიული სესხის დროს მოგების მიღებით დაიმედება აღძრავს სურვილს ფული გაასესხოს. ლაგარიული სესხის დროს პროცენტებიდან ან მის ნაწილიდან ქმნიან ფონდს და აქედან მოგებებს აძლევენ ობლიგაციის მფლობელებს. წელიწადში რამდენჯერმე ეწყობა გათამამება. ეს, რასაკვირველია, არ არის ფულის მშვიდობიანი გასესხება. თუ სესხი გასასტუმრებე-

ლია, მაშინ ნომრები, რომლებსაც მოგება შეხედება, გირაიდან გამოდის და სესხი გასტუმრებულად ითვლება. ლაგარიული სესხის გავრცელება უფრო ადვილია.

XVII-XVIII საუკუნეებიდან ინგლისსა და საფრანგეთში ცნობილია სესხის ფორმა ანუიტეტის სახელწოდებით.

ანუიტეტის დროს კრედიტორს სესხში ეძლევა რენტა, რომელიც პროცენტთან ერთად ძირითადი თანხის ნაწილსაც შეიცავს. ამგვარად, მაღალი პროცენტებით წარმოებს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის დაფარვაც. სასესხო ვალდებულებების მფლობელის სიკვდილის შემდეგ სესხი ითვლება გასტუმრებულად. ლაგარიულია მდგომარეობა სახელმწიფოსთვისაც და გამსესხებლისთვისაც, თუ კრედიტორი აღრე მოკვდა სახელმწიფო მოიგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში – წააგებს. დებიტორი თავის მხრივ გარალობს, დიდხანს რომ იცოცხლებს და მაღალი პროცენტით თავის სიცოცხლეშივე მოასწრებს დააბრუნოს ძირითადი თანხა, ჩვეულებრივი სარგებელი და კიდევ მეტიც.

ანუიტეტები შესაძლებელია განსაზღვრული იყოს ან წელთა რიცხვით, ან მფლობელის სიცოცხლის ვადით. როდესაც ის განსაზღვრულია წელთა რაოდენობით – 30, 60, 90 წლით, მაშინ კაპიტალის განაკვეთი, რომელსაც ყოველწლიურად უხდიან კრედიტორს სარგებლით, წესდება გამოანგარიშებით. აქ კრედიტორი ან მისი კანონიერი მემკვიდრე თანდათან უკანვე ღებულობს თავის თანხას.

მეორე ფორმას წარმოადგენს ტონტინი, რომელიც ცნობილია საფრანგეთში XIX საუკუნის მიწურულიდან. ესეც ლაგარიული სესხია. სესხის ამ ფორმის დროს, კრედიტორთა ჯგუფი მიასუსხებს ფულს სახელმწიფოს. ისინი სარგებელსაც ერთად მიიღებენ და ურთიერთმორის გაინაწილებენ. სარგებელში შედის თავნის დაშრეტაც. ბუნებრივია, რამდენიმე ხნის შემდეგ კრედიტორთა ჯგუფის კონტიგენტი შემცირდება, რადგან ზოგი მოკვდება. სახელმწიფო ვალდებულია იმავე ოდენობის სარგებელი გადაიხადოს, რასაც ინაწილებენ ურთიერთმორის დარჩენილი წევრები და, მაშასადამე, თითოეულს უფრო მეტი ხვდება. ჯგუფი ყოველი შემდგომი წევრის სიკვდილის გამო თანდათან მცირდება და, მაშასადამე, ჯგუფის წევრთა შემოსავალი იზრდება. უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგ წყდება სესხის ვალდებულება. ამ ჯგუფში თითოეული ფიქრობს, რომ სხვა უფრო აღრე მოკვდება და, ამგვა-

რად, დიდ მოგებას მიიღებს. სახელმწიფოც თავის მხრივ იმედოვნებს, რომ სანამ ამ პროცენტებით მათ თავნსაყ გაისტუმრებს, ის ჯგუფი სულ ამოწყდება და ამნაირად მოგებული დარჩება.

კრედიტის მესამე ფორმაა არაფონდირებული სესხები. ესაა მოკლევადიანი სახელმწიფო სესხები, რომლებიც გამოშვებულია რამდენიმე კვირიდან ერთ წლამდე ვადით, საფინანსო რესურსების მობილიზაციის მიზნით. არაფონდირებული სესხების ძირითადი მყიდველები არიან ცენტრალური და კომერციული ბანკები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

შემოსავლის მიღების მიხედვით არჩევენ პროცენტისა და უპროცენტო (მომგებიან) სესხებს. პროცენტის სესხები ლებულობენ სარგებელს დაწესებული პროცენტის მიხედვით, უპროცენტო სესხი სარგებელს ლებულობს მაგების მიხედვით.

სესხები შესაძლებელია გამოშვებულ იქნეს ეროვნულ ვალუტაში და უცხოურ ვალუტაში.

სესხის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მთავრობათმორის სესხები. ეს არის სესხი, რომელსაც შეთანხმების საფუძველზე ერთი ქვეყნის მთავრობა აძლევს მეორე ქვეყნის მთავრობას. ეს არის სესხის არაობლიგაციური ფორმა.

ცნობილია აგრეთვე სახელმწიფო მოკლევადიანი სესხი სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო თამასუქების სახით. მათ უწოდებენ აგრეთვე მიმდინარე სახელმწიფო ვალს. ამ სესხის გავრცელება დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოდან. ამ ფორმის სესხს სახელმწიფო მიმართავდა ხოლმე ფულის გაჭირვების დროს ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად. სახაზინო ვალდებულებებსა და სახაზინო თამასუქებს შორის ის განსხვავებაა, რომ სახაზინო ვალდებულება არის მოკლევადიანი ობლიგაცია, სახაზინო თამასუქი კი სახელმწიფოს სავალ ვალდებულება, რომლის პროცენტები ჩართულია თამასუქის თანხაში.

ამასთანავე, არსებობს ცენტრალური მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებული სესხები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სესხები გამოშვებული ადგილობრივი ორგანოების, თვითმმართველობის, მუნიციპალიტეტებისა და სხვ. მიერ. ფედერაციულ სახელმწიფოებში არის ცენტრალური ფედერალური ხელისუფლების მიერ გამოშვებული სესხები და

არის ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოებრივი ერთეულების (მაგალითად აშშ-ის) მიერ გამოშვებული.

წინათ სესხი აიღებოდა განსაკუთრებული უპუნველყოფით. ასეთ უპუნველყოფას წარმოადგენდა ძვირფასეულობა და უძრავ-მოდრავი ქონება დაგირავებით. მთავრობას პირადი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა კრედიტორების წინაშე. შემდეგ სახელმწიფო კრედიტის უპრუნველსაყოფად საჭირო შეიქნა სხვა უფლებრივი გარანტიები, მაგალითად სახელმწიფოებრივ შემოსავალთა წარდგენა. წინათ გირაოს ობიექტად გამოდიოდა დომენებისა და რეგალიების შემოსავალი. სახელმწიფო გადასახადების როლის გაძლიერების შემდეგ გირაოს საგანი გახდა გადასახადები.

სახელმწიფო სესხის ბაზრცემლებისა და

დაზარკვის ხერხები

სესხების რეალიზაცია

სესხის გამოშვება შეიძლება პირდაპირი და არაპირდაპირი გზით. სესხის პირდაპირი გამოშვების დროს სახელმწიფო სესხის გასავერცელებლად პირდაპირ მიმართავს მოსახლეობას, მათ მიყიდის ობლიგაციებს თავისი სახელით და თავის ხარჯზე. სესხის გასაღება წარმოებს აგენტების საშუალებით, რომელთაც საკომისიო საფასურს აძლევს. ასეთ სესხს საკომისიო სესხი ეწოდება. სესხის გავრცელება ხდება აგრეთვე საჯარო ხელმოწერით. ფინანსური მმართველობა მოსახლეობას მოუწოდებს მონაწილეობა მიიღოს მისესხებაში.

სესხის გავრცელების არაპირდაპირ გზას წარმოადგენს სესხის გავრცელება ბანკებისა და კომპანიების საშუალებით. ბანკები შეისყიდიან ყველა ობლიგაციას და შემდეგ ხელსაყრელად ავერცელებენ მოსახლეობაში: ფასის სხვაობა, რომლის მიხედვითაც შეიძინეს და გაყიდეს, წარმოადგენს მათ მოგებას.

შინაგან სესხებს ჩვეულებრივად ავერცელებენ ცენტრალური ბანკები, ისინი თავის მხრივ იყენებენ შემნახველ სალაროებს, ან შემნახველ ბანკებს, დამზღვევ კომპანიებს და სხვ. ბანკები ხშირად ავერცელებენ ობლიგაციებს კომისიის საფუძველზე, რაშიც ღებულობენ სა-

კომისიოს. საგარეო სესხებს ან ერთი ქვეყნის მთავრობა აძლევს მეორე ქვეყნის მთავრობას, ან კონსორციუმები აძლევენ თავის ქვეყნის ან მეორე ქვეყნის მთავრობას. ეს სესხი ობლიგაციურია.

კონსორციუმებში გაერთიანებულია რამდენიმე ბანკი ან მსხვილი მონოპოლიური გაერთიანება, რაიმე განსაზღვრული ფინანსური ოპერაციის განსახორციელებლად, მაგალითად სესხის რეალიზაცია.

სესხის გავრცელებასთან დაკავშირებით უნდა გავეცნოთ აგრეთვე „ანდერაიტივს“, რაც წარმოადგენს სახელმწიფო სესხის გავრცელებისაგან თავის დამზღვევის ხერხს. იგი გავრცელებულია აშშ-ში და მდგომარეობს შემდეგში: ბანკი, რომელიც მეთაურობს სესხის გავრცელებას, დაიხმარს სხვა ბანკებს იმ მხრივ, რომ თუ სესხი არ გავრცელდა, ისინი გარკვეული ზომით (კურსში წინდაწინვე მეთანხმებით) თვითონ იყიდიან. ამგვარად, ისინი ხელს უწყობენ სესხის გავრცელებას. თუ სესხი წარმატებით გასაღდა, ამ გაწეული რისკისათვის წამყვანი ბანკებიდან გასამრჯელოს ღებულობენ.

სესხის ნომინალური ღირებულება არის თანხა, რომელიც აღნიშნულია ობლიგაციაზე.

სესხის საკურსო ღირებულება არის სესხის ღირებულება სესხის კაპიტალის ბაზარზე; ეს არის მისი საბაზრო ფასი, რომლის მიხედვით ობლიგაციებს ყიდულობენ და ყიდიან საფონდო ბირჟაზე, ან ყიდულობენ ბანკში. კურსი მეტია ან ნაკლებია ნომინალზე, როდესაც კურსი მეტია ნომინალზე, მაშინ იგი აღინიშნება როგორც კურსი აჟიო, თუ ნაკლებია, როგორც კურსი დიზაჟიო. კურსი და ნომინალი იშვიათ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს, მას ეწოდება კურსი ალ-პარი.

ობლიგაციური კურსი დამოკიდებულია ნომინალური პროცენტისა და სასესხო პროცენტის სიდიდისაგან. სესხის ნომინალური შემოსავლიანობა განიჩევა ფაქტიური შემოსავლიანობისაგან.

ობლიგაცია და მისი სახეები

ობლიგაცია ის ფასიანი ქაღალდია, რომლის გამომშვებიც იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადაში გადაუხადოს მის მფლობელს ობლიგაციის ნომინალური ღირებულება და ფიქსირებული პროცენტი. ე.ი. ობლიგაცია არის სავალ ვალდებულება, რომელშიც აღნიშნულია სარგებლის გადახდის პირობები, გადახდის ვადა და აგრეთვე სხვა პირობა, როცა სესხი ვადიანია.

შემოსავლის მიღების მიხედვით არჩევენ პროცენტთან და უპროცენტო (მომგებიან) სესხებს, პროცენტთან მომგებიან სესხებს (რომლებსაც „ოქროს“ ობლიგაციასაც უწოდებენ). პროცენტთან სესხები ღებულობენ სარგებელს დაწესებული პროცენტის მიხედვით, უპროცენტო სესხი სარგებელს ღებულობს მოგების სახით.

იმის მიხედვით, თუ ვინ უშვებს ობლიგაციას, განასხვავებენ: სახელმწიფო ობლიგაციებს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს, ბანკების ობლიგაციებს და კორპორაციების ობლიგაციებს. კორპორაციების მიერ გამოშვებული ობლიგაციები, ჩვეულებრივ, განირჩევიან მაღალი კუპონით, ამიგომ სასურველია მათზე გარანტიის არსებობა.

აღნიშნულის გვერდით მოქმედებენ აგრეთვე: უზრუნველყოფილი ობლიგაციები, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები, სერიული ობლიგაციები, კონვერტირებადი ობლიგაციები, პირდაპირი ობლიგაციები, ობლიგაციები ნულოვანი კუპონით, მაკულატურული ობლიგაციები და მუნიციპალური ობლიგაციები.

არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებს ძირითადად უშვებენ დიდი კომპანიები, რომლებიც საყოველთაო ნდობით სარგებლობენ და შეუძლიათ გამოუშვან ფასიანი ქაღალდები „პატიოსანი სიგყვის“ გარანტიით.

კონვენტირებადი ობლიგაცია ისეთი ობლიგაციაა რომელთა გაცვლა გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება აქციებზე.

პირდაპირ ობლიგაციური – კუპონურია. თუ იგი სახელობითია მისი შემოსავალი გაიცემა ჩეკის სახით, თუ უსახელოა, იგი გაიცემა წარმომდგენზე.

მაკულატურულმა ობლიგაციებმა ეს სახელი მიიღეს თავიანთი დაბალი რეიტინგის გამო.

შტატების, ოლქებისა და სხვა წერილ ადმინისტრაციულ ერთეულთა ხელისუფლების მიერ გამოშვებული ობლიგაციები იწოდება მუნიციპალურ ობლიგაციებად.

სახელმწიფო ვალების მმართველობა

სახელმწიფო ვალების მმართველობა გულისხმობს მთავრობის ღონისძიებებს, რაც დაკავშირებულია სესხების მომსახურებასთან. ბიუჯეტური გასაჯლის შემცირების მიზნით სახელმწიფო ხშირად მიმართავს სესხის პირობების შეცვლას, რაც გამოიხატება სესხების კონსოლიდაციასა და კონვერსიაში.

კონსოლიდაცია ნიშნავს მიმდინარე ვალის (გრძელვადიანი) ფუძიანად გადაქცევას. იგი ნიშნავს აგრეთვე, რამდენიმე ძველი ვალის, რომლებიც აღებულია სხვადასხვა პირობებში, განსაკუთრებით პროცენტების მხრივ სხვადასხვა სიმაღლის ვალების ერთ ვალად გარდაქმნას. კონსოლიდაციის მიზანია ან მხოლოდ მმართველობის ანგარიშიანობის გამარტივება, ან გასტუმრების პირობების შეცვლა.

კონვერსიაში იგულისხმება სავალო ვალდებულებათა გარდაქმნის სახე. ის ყველაფერს შეეხება, როგორც პროცენტების სიდიდეს, გასტუმრების პირობებს, ისე ვალუტის ცვლილებებსა და სხვ. კონვერსია ნიშნავს ერთი ვალის ფორმის შეცვლას მეორე ფორმის ვალად: მიმდინარე ვალის ფუძიანად, ვადიანი ვალის — სარენგოდ, უსახელო ვალის სახელობითად.

კონვერსია არის იძულებითი და ნებაყოფლობითი. იძულებითი კონვერსიის დროს ობლიგაციის მფლობელის სურვილისაგან დამოუკიდებლად უნდა გამოიცვალოს ძველი ობლიგაცია ახალი ობლიგაციით, რომელშიც შეცვლილია სესხის პირობები დებიტორის სასარგებლოდ. ნებაყოფლობითი კონვერსიის დროს ობლიგაციის მფლობელმა უნდა აირჩიოს სურვილის მიხედვით ან ახალი ობლიგაცია ნაკლები სარგებლით, ან დაიბრუნოს უკანვე თავისი გასესხებული თანხა.

სახელმწიფო სესხის დაზარება

სახელმწიფო სესხის დაფარვა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ აღებული სესხის გასტუმრებას. საშინაო სესხების დაფარვისას სახელმწიფო ან ერთდროულად გამოისყიდის ყველა ობლიგაციას სრული თანხით, ან ნაწილობრივ, ანდა დაფარვას აწარმოებს ყოველწლიურად თანაბარ ნაწილებად; სახელმწიფო ობლიგაციის

მფლობელს სესხს უხდის სარგებლის ჩათვლით, ან კიდევ ობლიგაციებს თანდათანობით შეისყიდის საფონდო ბირჟაზე. სესხის გასტუმრება ხდება აგრეთვე დაფარვის გირაჟებით. უკანასკნელ ხანებში იგი უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს.

დაფარვის გირაჟი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო სესხის პირობის თანახმად, განსაზღვრულ ვადებში გაისტუმრებს სესხის გარკვეულ ნაწილს დაფარვის გირაჟების საშუალებით.

სესხის დაფარვა ხდება აგრეთვე დაფარვის ფონდის საშუალებითაც. დაფარვის ეს ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო სესხის აღებისთანავე ქმნის მისი გასტუმრების ფონდს. ამ ფონდში გადარიცხავს თავის სახელმწიფო შემოსავლების ნაწილს; როდესაც გარკვეული ოდენობის თანხა დაუგროვდება, ის აყენებს სესხის გამოსყიდვის საკითხს; უკანასკნელ ხანებში ამ ხერხს დაფარვის დროს აღარ იყენებენ.

გადახდის უუნარობის შემთხვევაში, სახელმწიფო მიმართავს რეფინანსირებას, რომელიც გულისხმობს ძველი ობლიგაციების შეცვლას ახლად გამოშვებული ობლიგაციებით. ძველი ობლიგაციების დაფარვის ვადის დადგომამდე, ან მისი დადგომისას.

სახელმწიფოს გაკოტრება ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფო ფარულად თუ აშკარად ამჟღავნებს თავის შეუძლებლობას სესხის გასტუმრებაში. ვალების დაფარვის ხერხს ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს სესხების ანულირება.

სახელმწიფო კრედიტის ანულირება არის საგანგებო ღონისძიება, რომელსაც მიმართავს სახელმწიფო მსესხებელი კრედიტორის მიმართ, რაც გამოიხატება სესხის პროცენტების გადახდის შეწყვეტასა და ძირითადი სესხის დაბრუნებაზე უარის თქმაში. სახელმწიფო საკრედიტო ვალდებულების ანულირება ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფო მსესხებელი აუქმებს ან ყველა საკრედიტო ვალდებულებას, ან ზოგიერთი მათგანის იურიდიულ მნიშვნელობას. როდესაც სესხის ანულირებას საფუძვლად არ უდევს სახელმწიფოს გაკოტრება, მაშინ ანულირებას ახდენენ ან შესყიდვით, ან ანულირებული საბუთის მაგიერ ახალის გაცემით. ანულირება ხშირად წარმოადგენდა ერთგვარ საფარს, რომელიც მალაჟდა სახელმწიფოს გაკოტრებას, რაც არაიშვიათი შემთხვევა იყო დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებ-

ში. დასაეღეთ ეეროპის სახელმწიფოებმა მარტო XIX საუკუნეში განიცადეს სახელმწიფო გაკოტრების შემთხვევა.

სახელმწიფო გაკოტრების ფორმები სხედასხვაგვარია. ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენს „რეკუდიცია“. როდესაც სახელმწიფო ოფიციალურად აცხადებს გადახდის შეუძლებლობას. ეს შესაძლებელია გამოიხატოს იმით, რომ ან კატეგორიულად უარს აცხადებს პროცენტების გადახდაზე და დაშრეტაზე, ან მხოლოდ ნაწილობრივ გადახდას პირდება, ან ვადას აგრძელებს. ფარული გაკოტრების ფორმას წარმოადგენს ისეთი ანულირება, როდესაც სახელმწიფო სარგებელს ოქროს მაგიერ გაუფასურებული ქაღალდის ფულით იხდის, როდესაც სარგებელს ამცირებს ან კუპონებზე დიდ გადასახადებს აწესებს.

შემნახველი ბანკები (შემნახველი სალაროები)

და სახელმწიფო კრედიტი

სახელმწიფო კრედიტთან დაკავშირებულია შემნახველი ბანკები. შემნახველი ბანკების ანაბრები არსებითად წარმოადგენენ სახელმწიფო სესხს. მასვე მიეკუთვნება შემნახველი ბანკების მიერ ანაბრების ნაწილის სესხის ობლიგაციად გარდაქმნა.

შემნახველ ბანკებში მოსახლეობის მიერ შენატანებს ანაბრები ეწოდება. ანაბრები არის ვადიანი და უვადო. უვადო ანაბარი ეწოდება ანაბარს, რომელიც შეტანილია მოთხოვნამდე. ანაბრის პატრონს შეანაბრე ეწოდება.

საერთაშორისო ^{სა}ხელმწიფო კრედიტი

საერთაშორისო კრედიტი ნიშნავს ისეთ ურთიერთობას, როდესაც განსაზღვრული ვადით სესხი ეძლევა უცხოელ მსესხებლებს. სესხი შესაძლებელია იყოს ფულადი ან ნატურალური – საქონლის სახით (მანაქანები და სხე). ამ სესხის დაფარვის ფორმა განსაზღვრულია ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს ან ოქროს, ან უცხოურ ვალუტას, ან საქონლის მოწოდებასა და სხე.

სახელმწიფო კრედიტი ფართოდ გავრცელდა XIX-XX საუკუნეებში. საერთაშორისო კრედიტს წარმოებრივი ფორმა აქვს. როდე

საც ხდება კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთულ წარმოებაში, როგორც არის რკინიგზის მშენებლობა, სამთო წარმოება და სხვ. სესხს ფულადი ფორმა აქვს, როდესაც მსესხებლად გამოდის უცხოეთის მთავრობა, ბანკები, სამრეწველო საზოგადოებანი და სხვ.

დაკრედიტების სუბიექტებია ამა თუ იმ სახელმწიფო ხაზინის ცენტრალური ბანკები, აშშ საექსპორტ-იმპორტო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოქმედება დაიწყო 1947 წლიდან. იგი შექმნილია გაერთიანებული ერების სავალუტო-ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი შექმნილია გაერთიანებულ ერთა სავალუტო ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი დაარსებულია 1930 წლიდან – როგორც სააქციონერო საზოგადოება.

საერთაშორისო კრედიტის ხაზით სესხს იღებენ მთავრობები, სამრეწველო და სხვა საწარმონი, მუნიციპალიტეტები, კრედიტორებად გამოდიან მთავრობები, ბანკები, ფინანსური კორპორაციები, ქვეყნების მიხედვით კრედიტორები არიან აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, პოლანდია და სხვ.

სახელმწიფო კრედიტის თეორიები

სახელმწიფო კრედიტის შესახებ მოსაზრებები გამოთქმული აქვთ არა მარტო ცალკეულ ეკონომისტებს, არამედ ეს საკითხი გულდასმით შესწავლილი აქვთ პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა მიმართულებასა და მიმდინარეობას.

1. *მერკანტილიზმი* სახელმწიფო კრედიტს თვლიდა სახელმწიფო შემოსავლის საგანგებო წყაროდ. სახელმწიფო კრედიტისათვის სახელმწიფოს უნდა მიემართა ომებისა ან რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევებში. მერკანტილისტების აზრით, კრედიტით სახელმწიფო ქმნის არამატერიალურ კაპიტალს და ზრდის ხალხის კეთილდღეობას.

მერკანტილისტების თეორია კრედიტზე დაკავშირებულია მათ მუხედულებასთან ფულის როგორც სიმდიდრის შესახებ. მათი აზ-

რით, სიმდიდრე იქმნება და იზრდება მიმოქცევის სფეროში. ამიტომ ვაჭრობასთან ერთად კრედიტიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის საშუალებად.

იუსტი, ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მოძღვრება სახელმწიფო კრედიტის შესახებ. იგი მას სასარგებლო მოვლენად თვლიდა. იგი მეფეს ურჩევდა ფართოდ გაეშალა საკრედიტო საქმიანობა. მისი აზრით, სახელმწიფო კრედიტი რომ არ ყოფილიყო, ვერ შესრულდებოდა მრავალი კარგი წამოწყება, ვერ განხორციელდებოდა მრავალი კარგი გეგმა. სახელმწიფო კრედიტს შეუძლია გაზარდოს ერის სიმდიდრე, ხალხის კეთილდღეობა. კრედიტის კეთილქმედების მტკიცებასთან ერთად იუსტი მოითხოვდა ვალის თავის დროზე დაფარვას, რათა კრედიტის ავტორიტეტი არ შერყეულიყო¹.

სახელმწიფო კრედიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მონენფელსიც. იგი სახელმწიფო შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროდ თვლიდა გადასახადებს, მაგრამ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასარგებლოდ მიაჩნდა სახელმწიფოს მიერ სესხის აღებაც. ის გარემოება, რომ, რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია სესხი ბოროტადაც იქნეს გამოყენებული. მისი აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია სახელმწიფოს სარგებლობა მოუტანოს. მან დაწერილებით განიხილა სახელმწიფო კრედიტის საკითხი და ჩამოაყალიბა განსხვავებულობა სახელმწიფო და კერძო კრედიტს შორის².

ჯონ ლოს შეხედულებები კრედიტის შესახებ შემუშავებულია (1671-1723) მერკანტილიზმის გავლენით.

მისი აზრით, ერის სიმდიდრე ფულში აისახება, მაგრამ არა მარტო ლითონის ფულში, არამედ ქაღალდის ფულშიც, საკრედიტო ბილეთებშიც. ლოს მიხედვით ფული შეიცავს დამატებით ღირებულებას, რომლის გამოვლინება შეუძლია საკრედიტო ბილეთებსაც. იგი კრედიტს აიგივებდა ფულთან და ამდენად მისი მომხრე იყო.

შინაგანი ბაზრის ფულით მომარაგების მიზნით და არა ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსის მანევ შედეგების გასაქარწყლებლად, ლო აყენებდა წინადადებას ლითონის ფულის ქაღალდის ფულით შეცვლის შესახებ, რომელიც გარანტირებული უნდა ყოფილიყო

¹ Justl. Staatswissenschaft. 1758, p. 451.

² Sonnenfels. Gundsätze der Polizey, Handlung und Finanz. 1787, გვ. 381 და შემდეგი.

მიწით. ასეთი ფული ლოს აზრით, მეგად მტკიცე იქნებოდა, ვინაიდან მიწის ფასი უფრო ნაკლებად ცვალებადი და მტკიცეა, ვიდრე სხვა პროდუქტებისა. ლოს თეორიით, კრედიტი არის მონეტა. ამიტომ, ჭეშმარიტი კრედიტი შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ მეფეს, ვინაიდან მონეტის მოჭრა, გამოშვება, მამასადამე, კრედიტიც სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის. კერძო კრედიტი სახელმწიფო კრედიტის მხოლოდ აჩრდილია.

სახელმწიფო შესაძლებლობას აძლევს კერძო პირებს ისარგებლონ კრედიტით, ის ყიდის სამრეწველო კომპანიის აქციებს და მყიდველები საწარმოთა მონაწილენი ხდებიან. ეკონომისტიკმა ლომ წარმოადგინა ორი კატეგორიის საკრედიტო ნიშნები: ბილეთები და აქციები. ბილეთების ფასეულობა არ შეიძლება, რომ შერყეულიყო, ვინაიდან ისინი იგივენი იყო. რაც მონეტები, რომელთაც უზრუნველყოფას ანიჭებს ქვეყნის მწარმოებლური ძალები. სახელმწიფოს მონეტები შეუძლია შეცვალოს ბილეთებით, ამდენად საზოგადოებრივი სიმდიდრე გაზარდოს, შრომა დაასაქმოს. აქციები მისი აზრით, იგივეა, რაც კაპიტალი, ამიტომ არავითარი საჭიროებით არ არის დაპირობებული მისი მონეტური რეალიზება.

ლო მოითხოვდა ყველა ძველი ვალის დაფარვას და ბანკის მიერ აქციების გამოშვებას.

ლოსა და ყველა შემოხსენებულ ეკონომისტთა შეხედულებების მცდარობა ემყარებოდა იმ განუვითარებელ, არამეცნიერულ შეხედულებას, რომლის თანახმად სიმდიდრე მიმოქცევაში იქმნება. ისინი კრედიტს ვაჭრობასთან ერთად თვლიდნენ სიმდიდრის წყაროდ და ამტკიცებდნენ კრედიტის გაფართოებით საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას. ლოს ეს აძლევდა შესაძლებლობას ეფიქრა, რომ ყოველი პროცენტის სესხით სახელმწიფო ქმნის ახალ ხელოვნურ კაპიტალს, თითქმის არარსებულ კაპიტალს, ვინაიდან ამ კაპიტალის უკან მოთხოვნა არ შეიძლება; კერძო პირები ამ კაპიტალით მდიდრდებიან.

ამგვარად, ლოს აზრით, სახელმწიფო ამრავლებს ფულს, სახელმწიფო სესხები თვით ფულად იქცევა, ძველი სესხები ახლის აღებას აადვილებენ და ამდენად სესხები სახელმწიფოს ამდიდრებენ³.

³ ლომ არაუზრუნველყოფილი ბანკნოტები ბევრი გაუშვა მიმოქცევაში და მისი ბანკი გაკოტრდა.

ფიზიოკრატიებისა და სმიგის წინამორბედად შესაძლებელია ჩაითვალოს დავით იუმი. იგი ამბობს, რომ ძველად ყველა ხალხს კქონდა ჩვეულება მშვიდობიან დროში მოემარაგებინა ყოველივე ის, რაც საჭირო იყო სახელმწიფო მეურნეობისათვის. ამიგომ ომის დროს აღარ მიმართავდნენ საგანგებო გადასახადებსა და სესხებს. დღეს კი საყოველთაო ჩვეულებად გადაიქცა სახელმწიფო შემოსავალთა დაგირავება და წინაპართა მიერ აღებული ვალების მომავალ თაობაზე გადაკისრება.

თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის პირობებში ომი იწვევს ყოველგვარ დამლუქველ შედეგებს: ადამიანთა დაკარგვებს, გადასახადების გადიდებას, ვაჭრობის დაცემას, უზარმაზარ ფულად დანახარჯებს, ძარცვა-გლეჯასა და განადგურებას ხმელეთსა და ზღვაზე. ძველი პოლიტიკის პირობებში სამოგადოებრივი ხაზინის გაქსნა, რომელიც იწვევდა ოქროსა და ვერცხლის უჩვეულო მოჭარბებას, დროებით გამოაცოცხლებდა ხოლმე სამრეწველო საქმიანობას.

შემდეგ იუმი ჩამოთვლის სახელმწიფო ვალების სასარგებლო და მავნე მხარეებს, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მათი ერთმანეთთან შედარებაჲ კი არ შეიძლება, იმდენად აჭარბებენ მავნე თვისებები დადებითს.

იუმის დებულება⁴ სახელმწიფო კრედიტის არამწარმოებლური ხასიათის შესახებ გაიზიარეს ფიზიოკრატიებმა და ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

ფიზიოკრატიების აზრით, სახელმწიფო კრედიტი ბევრი რამის მაჩვენებელია სახელმწიფოსათვის. ფრანსუა კენეს მიხედვით, სახელმწიფო კრედიტი ამრავლებს არამწარმოებლურ კლასს, მოსახლეობის ისეთ ნაწილს, რომელიც სიმდიდრეს არ ქმნის, ცხოვრობს არა სოფლის მეურნეობის შრომით, არამედ კუპონების კრეჭით. სახელმწიფო კრედიტი ამრავლებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ე.ი. არამწარმოებლურ ფულად სიმდიდრეს. სახელმწიფო სესხის აღება იწვევს მოსახლეობის ზედმეტად დაგვირთვას გადასახადებით. სახელმწიფო კრედიტი სახსრებს ართმევს სახალხო მეურნეობის მწარმოებლურ დარგს – სოფლის მეურნეობას, ამცირებს სოფლის მეურნეობაში დაბანდების შესაძლებლობას და მათი სოფლის მეურნეობის კულტურის განვითარებას. კაპიტალის-

⁴ Д. Юм. Опыт. 1896, с. 103-119.

ტები სარგებელს (პროცენტებს) უმატებენ უნაყოფო ფულებს, ქმნიან ადვილად გადასამალავ სიმდიდრეს, რომელსაც სამშობლო არა აქვს და ქვეყნიდან ქვეყნად ხეგიალობს.

ამავე პოზიციამზე დგას ფიზიოკრატი მირაბო – მამა, რომელსაც სახელმწიფო კრედიტი ქვეყნის გამანადგურებელ ფაქტორად მიაჩნია. მისი ამრით, კრედიტი სახელმწიფოს ამარაგებს, ხალხს ეს ვერ გაუგია და ბრალს დებს ფინანსთა მინისტრებს, რომ ისინი იწვევენ კრედიტის არეუ-ღარევას. მას მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფო ვალები დაიფაროს დიდი გადასახადებით. ომის შემთხვევაში კი, მიწის მესაკუთრეებზე დაკისრებულ სამხედრო გადასახადებს უჭერს მხარს, ვიდრე სესხის აღებას რანტიეთაგან.

ფიზიოკრატი *ტიურგო* ასე ხელალებით არ ილაშქრებს საერთოდ კრედიტის წინააღმდეგ. მას სესხის სარგებელი კანონიერად მიაჩნია. იგი თავის შრომაში ამტკიცებს იმის აუცილებლობას, რომ სარგებლის ოდენობის განსაზღვრაში უნდა იყოს თავისუფლება; ეს დაპირობებულია, მისი ამრით, ვაჭრობისა და მრეწველობის თავისებურებით. უსარგებლოდ სხვა რატომ გახდის სარისკოდ კაპიტალს? ვაჭრობა რომ მარტო ნაღდად წარმოებდეს, მაშინ დიდი კაპიტალები უქმად იდებოდა, ვაჭრობა ძალიან ძვირი ეღირებოდა. ვინც სხვას ფულს ასესხებს, ის მას სამსახურს უწევს და მისგან რაიმე სამაგიერო უნდა მიიღოს, ვერც ერთი კანონი ამის წინააღმდეგი ვერ იქნება.

ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია სახელმწიფო კრედიტს ახასიათებდა როგორც არამწარმოებლურ კატეგორიას.

ა. *სმიტი* სახელმწიფო კრედიტის საკითხში განიცდის ფიზიოკრატთა დიდ გავლენას.

სმიტი ისევე უარყოფითად ეკიდებოდა სახელმწიფო კრედიტს, როგორც ფიზიოკრატები. სმიტის ამრით, სახელმწიფო ვალების დაგროვება ერის წლიურ პროდუქტს აკლებს ერთ ნაწილს, რომელიც აღარ ფუნქციონირებს როგორც კაპიტალი. ამგვარად, სახელმწიფო ვალი ამცირებს მწარმოებლური კაპიტალის ფონდს.

რაც შეეხება სახელმწიფო სესხიდან ამონაგებს, ისიც სამოგადოების არამწარმოებლურ ნაწილს მოემსახურება. იფლანგება წლის განმავლობაში ისე, რომ აღწარმოებას აღარ უბრუნდება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ს. *სმიტი*, ფიზიოკრატებთან შედარებით, რამდენადმე უფრო ნაკლები სისასტიკით ეკიდება სახე-

ლმწიფო კრედიტს. ომიანობის დროს, სმიტის აზრით, იქმნება აუცილებლობა, სახელმწიფომ სესხს მიმართოს. ეს აუცილებლობა დაპირობებულია მით, რომ სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს არ უცდია მომჭირნეობა, მეორე მით, რომ ომი დიდ ინტენსიურ ხარჯებს მოითხოვს.

ბ. სმიტი წერს: „არასაკმარისი მომჭირნეობა მშვიდობიანობის დროს იწვევს ვალის აღების აუცილებლობას ომის დროს. როდესაც იფეთქებს ომი, ხაზინაში იმაზე მეტი ფული არ აღმოჩნდება, რაც საჭიროა ჩვეულებრივი მმართველობის ხარჯების დასაფარავად მშვიდობიანობის პირობებში. ომის დროს სახელმწიფოს დასაცავად აუცილებელი ხდება ხარჯი სამოთხჯერ უფრო მეტი და, მაშასადამე, საჭიროა სამჯერ-ოთხჯერ უფრო მეტი შემოსავალი. კიდევაც რომ დავუშვათ, რომ მეფეს აქვს და, ეს იშვიათად თუ ხდება – საშუალებები, რომ სწრაფად გაზარდოს შემოსავალი თავისი ხარჯების შესაბამისად, მაინც გადასახადები, რომელთა ანგარიშით უნდა მოხდეს შემოსავალთა გადიდება, ხაზინაში შემოსულას დაიწყებენ მათი შემოღებიდან ალბათ არაუგვიანეს ათითორმეტი თვისა, მაგრამ ომის დაწყების შემთხვევაში იგი მაშინვეა საჭირო, ანდა იმ მომენტში, როდესაც ირკვევა მისი აუცილებლობა, გადიდეს არმია, შეიარაღდეს ფლოტი, მოყვანილ იქნეს თავდაცვით მდგომარეობაში ციხესიმაგრეები; ეს არმია, ფლოტი, ციხესიმაგრეები უნდა მომარაგებულ იქნეს იარაღით, აღჭურვილობით და სურსათით, ამ უშუალო სამიშროების მომენტში, რომელსაც არ შეუძლია დაუყადოს ახალი გადასახადების თანდათანობით, ნელ-ნელა შემოსულას, უნდა გაწეულ იქნეს სასწრაფოდ დიდი ხარჯები. ასეთ უკიდურესობაში მთავრობას არავითარი სხვა შემოსავალი არა აქვს თუ არა სესხის აღება“⁵.

„ასეთი სახელმწიფოს მთავრობა ემყარება თავის ქვეშეურდო-მთა უნარიანობასა და მზადყოფნას ასესხოს მას ფული საგანგებო ვითარებაში. ის ითვალისწინებს ფულის სესხის სიადვილეს და ამიტომ თავისთავს ათავისუფლებს დამოგვითი მოვალეობისაგან“⁶.

ამიტომ, სმიტის აზრით, ზოგიერთი ომი სრულიადაც არ მოხდებოდა, რომ სახელმწიფო სესხი არ არსებობდეს. წინდაწინვე

⁵ Адам Смит. Исследование о природе и причинах богатства народов. т. II, 1985., с. 417-418.

⁶ იქვე, გვ. 419.

რომ იყოს საჭირო გადასახადებით მილიარდიანი თანხების დაწყობა, სახელმწიფონი მრავალ ომზე უარს იტყოდნენ, მაგრამ სესხის აღება აადვილებს დიდი ხარჯების გაწევას, რომელიც შემდეგ ხდება მეტად მძიმე და საგრძნობი. ომი გაივლის ხოლმე და სესხის მანვე შედეგები მის შემდეგაც დიდხანს განაგრძობს არსებობას. სარგებლის გადახდა და თვით სესხის დაფარვა დიდი ხნის მანძილზე მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. მის სიმძიმეს გრძნობს თანამედროვე საზოგადოება და იგრძნობს მომავალიც. ს. სმიტი ომის დროს უპირატესობას ანიჭებდა გადასახადების გადიდებას, ვიდრე სესხის აღებას.

ვინაიდან სარგებლის გადახდა და თვით სესხის გასტუმრება დიდი ხნის განმავლობაში ამცირებს ერის შემოსავალს და, რიგ შემთხვევებში, მძიმე ტვირთად აწვება მომავალ თაობასაც, ამიტომ სამხედრო ხარჯების სესხით დაფარვა არამიზანშეწონილია. სამხედრო ხარჯები უნდა დაიფაროს სამხედრო გადასახადებით, რომლებიც გადამხდელს აიძულებენ სხვა ხარჯები შეამციროს.

რიკარდო სახელმწიფო ვალს ბოროტად თვლიდა და ამიტომ პარლამენტში პროექტი წარადგინა ვალები გაესტუმრებიათ ქონებაზე დაწერილი დიდი გადასახადებით. ისინი გადამხდელებს დიდი სიმძიმის გამო მომჭირნეობისადმი მიდრეკილებას გააძლიერებდნენ.

ვალების დაფარვის ფონდი რიკარდოს ზედმეტად მიაჩნია. „დაფარვის ფონდი შემოღებულია მშვიდობიან დროში რაციონალური ვალის შემცირების მიზნით და ომის გავრძელების შემთხვევაში მისი სწრაფი ზრდის საწინააღმდეგოდ. სამხედრო გადასახადების ერთადერთი ბრძნული და კეთილი მიზანი, მამასაღამე. იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვალის დაგროვების საწინააღმდეგო წინასწარ ზომებს ღებულობს. დაფარვის ფონდი და სამხედრო გადასახადები მხოლოდ იმ შემთხვევებშია სასარგებლო თუ ისინი გამოყენებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნისათვის, რომლისათვისაც მას ახდევინებენ; ის იქცევა ბოროტებისა და მოგყუების იარაღად, თუ მით სარგებლობენ ახალი სესხის პროცენტების გადასახდელად“⁷.

რიკარდო ეწინააღმდეგება ლორდ ჰენრი ჰეგის 1807 წელს გამოთქმულსა და ვანრი გარტის 1813 წელს გამოკრულ აზრს,

⁷ Давид Рикардо. Соч., том. II, М., 1855, с. 263.

რომ „...მთელი ნაციონალური ვალის ერთბაშად დაფარვა ნაციონალური გაკოტრების თანაბარი იქნებოდა, რარივ პარადოქსალურადაც არ უნდა ჩანდეს ეს მტკიცება: კაპიტალი თითქმის მთლიანად გაუფასურდება, ხოლო სარგებელი, რომელიც მას წინათ მოქონდა, გაქრება“⁸.

რიკარდოს მიხედვით ვალები უნდა დაიფაროს სწრაფად, სულ 2-3 წლის განმავლობაში საკუთრებაზე დადებული გადასახადებით. სწრაფი გასტუმრების გამო, მისი აზრით, სახელმწიფოს კრედიტორის ხელში აღმოჩნდება უამრავი თანხები, მრეწველებსა და მიწათმფლობელებს, რომელთაც დიდი გადასახადები გადახდებოდათ, გაუჩნდებათ ფულის დიდი მოთხოვნილება. ამას დააკმაყოფილებენ კრედიტორები, რომელთაც ბევრი ფული მიიღეს და, ამგვარად, ნაცულად სახელმწიფო კრედიტის ურთიერთობისა, გაიძლება კერძო კრედიტის ურთიერთობა. ყოველივე ამით, ამბობს რიკარდო, ერთის დაკვრით დავაღწევთ თავს იმ საშინელ ჭირს, რომელიც ხალხის შესაეწროვლად გამოუვონიათ.

მე-20 საუკუნეში სახელმწიფო ვალებმა წელში მოხარეს მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოები.

უმარმაზარმა სამხედრო ხარჯებმა გამოიწვიეს დიდი სესხების აღება, რაც, როგორც ცნობილია, თავის მხრივ მრდის საგადასახადო გვირგვინს და ამცირებს მშრომელთა საცხოვრებელ ღონეს.

ამერიკელი ეკონომისტი სელიგმანი სამართლიანად ცნობს ომისათვის აღებულ სახელმწიფო ვალების მომავალ თაობაზე გადაკისრებას, რადგან იმპერიალისტური ომი კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ წარმოებულია დემოკრატიის დასაცავად. ის წერს: „ვლებულობთ რა მხედველობაში მოცემული ომის განსაკუთრებულობებს (ლაპარაკია პირველ მსოფლიო ომზე – ვ. ჩ.) რამდენადაც ეს ომი იყო დემოკრატიული დაცვის ომი, იგულისხმება სამართლიანი იქნება იგი მომავალ ათწლეულს დავაწეროთ ვალების შენახვის ერთი წილი, როდესაც ისარგებლებენ უშიშროების კეთილმოქმედებით ... სრულიად სამართლიანი იქნება დიდი ომის სიმძიმის გვირგვინის ნაწილი დავაკისროთ თანამედროვეობის გადამხდლებს, ხოლო დანარჩენი გადავიგანოთ შემდგომ წელთა გადამხდლებზე“⁹. ამის ხარჯების გადაკისრება მომავალ თაობა-

⁸ Давид Рикардо. Соч., том II, М., 1855, გვ. 277.

⁹ Э. Селигман. Очерки по теории обложения. 1924, с. 16-17.

ზე ვალების ვზით, მისი აზრით, სამართლიანია იმიტომ, რომ მომავალი თაობა უშიშროებით ისარგებლებს. მაგრამ, თუ რა უშიშროებითაც ისარგებლა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობამ, ეს ყველასათვის ცნობილია.

„ვალის გადახდევინების მიზნით, წერს ნ. ლიუბიმოვი, — სესხის მიმცემი ქვეყნები მიმართავდნენ ხოლმე პირდაპირ თავდასხმას თავის მოვალეზე. რევოლუციამდელი ჩინეთის, აგრეთვე თურქეთის, ირანის, ეგვიპტის, ენესუელას, მექსიკის და სხვა ქვეყნების ისტორიაში დიპლომატიური დაწოლის უკან სამხედრო ძალის გამოყენების პირდაპირი საფრთხე იდგა ხოლმე. უცხოური სესხებით დავალიანებულ ქვეყნებს ხშირად თხოვდნენ, რომ მათ წარედგინათ სპეციალური უმრუნველყოფა გირაოს სახით საბაჟო გადასახადები, ფისკალური მონოპოლიები, თანხმობა მიეცათ კრედიტორ ქვეყნებს თავიანთი ამკრებნი და კონგროლიორები დაენიშნათ და სხვ. მსოფლიო ომების დროს სესხების მიცემა დაპირობებული იყო გირაოთი ოქროსა და ფასიანი ქაღალდების გადაცემით კრედიტორ-ქვეყნებისათვის. 1940 წელს აშშ-მ 425 მილიონ დოლარ სესხზე ინგლისს მოსთხოვა გირაო ფასიანი ქაღალდები თანხით, რომელიც აღემატებოდა თვით სესხის ოდენობას“¹⁰.

1930-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შემუშავდა ახალი თეორიები სახელმწიფო კრედიტის შესახებ.

ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ინგლისელი ეკონომისტის ჯონ კეინსის თეორია. ის გვაძლევს სახელმწიფო სესხის სარგებლიანობის დასაბუთებას. მან თითქოს სახალხო მეურნეობა უნდა გააჯანსაღოს, უმუშევრობა მოსპოს და სხვ.

„...პროგრესულად მზარდი უმუშევრობა სახელმწიფოს ჩვეულებრივად აიძულებს დამხმარება აღმოუჩინოს ნასესხი ფულის ანგარიშით“. „...ფასების შემცირება გაზრდის სახელმწიფო ვალის რეალურ ტვირთს, აქედან საგადასახადო დაბეგვრის ტვირთსაც, რაც აგრეთვე, ალბათ მეტად არახელსაყრელი აღმოჩნდება დარწმუნებულობის მდგომარეობისათვის საქმიან სამყაროში“¹¹.

კეინსი თავის შრომაში ამტკიცებს სახელმწიფო ვალის თითქმის მუდმივობას, რანტიეს ხანგრძლივ არსებობას. იგი წერს:

¹⁰ Н. Н. Любимов. Финансы капиталистических государств. 1956, с. 174.

¹¹ Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег. 1949, с. 244, 255.

„რანტიეს მშვიდობიანი აღსასრული, როგორც არამაჟუნქციონირებელი მეწარმისა, არა თუ უეცარი იქნება, არამედ, პირიქით, იქნება თანდათან და ხანგრძლივი განვითარება იმ პროცესისა, რასაც ჩვენ ვხედავდით ამასწინათ დიდ ბრიტანეთში და რისტვისაც საჭირო არ არის რევოლუცია“.

კეინსი საყვედურს გამოთქვამს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ, თავის მხრივ ამტკიცებს, რომ პირამიდების აგებას, მიწისძვრას, ომებსაც კი შეუძლიათ გაზარდონ სიმდიდრე. მიწის თხრა ოქროს მოსაპოვებლად არაფერს არ უმატებს ნამდვილ სიმდიდრეს, პირიქით, დამატებით შრომასაც მოითხოვს, მიუხედავად ამისა, მიჩნეულია ამ საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად. „ისევე როგორც ომი ერთადერთი ფორმაა დიდი ხარჯებისა უზარმაზარი სესხის ანგარიშით, რომლებსაც სახელმწიფო მოღვაწენი გამართლებულად თვლიან, ასევე ოქროს ამოღებაც წარმოადგენს ერთადერთ საბაბს მიწაში ორმოების ამოსათხრელად, რომელიც ბანკირების მიერ განიხილება როგორც ჯანსაღი ფინანსური საწარმო. საქმიანობის თითოეულმა ამ გვაროსანთაგანმა თავისი როლი შეასრულა პროგრესში, როდესაც მასზე უკეთესი სხვა არა იქნებოდა რა“¹².

კეინსი სახელმწიფო კრედიტს აფერადებს და მას აწერს დიდ გამაჯანსაღებელ მნიშვნელობას სახალხო მეურნეობისათვის.

ჩეიზი, პარისი, მოულტონი სახალხო მეურნეობის განვითარების საშუალებას მიმოქცევისა და კრედიტის დარგში ეძიებენ. მათი აზრით, ბიუჯეტის საშუალებით სახელმწიფო სესხის თანხები უნდა მოხმარდეს ქვეყნის მეურნეობის გაძლიერებას.

საერთაშორისო ფინანსური საკითხების ბრუკინგის ინსტიტუტის დირექტორი მოულტონი სახელმწიფო კრედიტს დიდ ცხოველმყოფელ ძალას ანიჭებს. ის წერს, რომ „სახელმწიფო დავალიანება ერისათვის უფრო აქტივია, ვიდრე პასივი“. ამასთანავე, დანაკლისი ხარჯების დასაფარავად „სახელმწიფოს აყვავების საფუძველს წარმოადგენს.“

ამერიკელი ეკონომისტი ჰანსენი სახელმწიფო კრედიტის საკითხში საესებით იზიარებს მე-13 საუკუნის დასაწყისის მკვლევრის ლოდერდელისა და მალთუსის შეხედულებებს¹³. ჰანსენი არ-

¹² Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег, 1949., с. 363.

¹³ Эл. Хансен. Экономические циклы и национальный доход. М., 1959, с. 303-329.

ჩვენს ლოდერდელისა და მალთუსის შეხედულებებს მოცემულ საკითხში და აკეთებს დასკვნას, რომ მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა და პანსენს ის სწორად მიაჩნია. პანსენს მოაქვს ციტატა მალთუსიდან. ის ამბობს: მძიმე „გულისგაცრეება უწევს მათ, ვინც ფიქრობს, რომ საგრძნობი შემცირების ან მისი სწრაფი ლიკვიდაციის საშუალებით (ე.ი. სახელმწიფო ვალისა) ჩვენ შევძლებთ გაემდიდრდეთ და სამუშაო მივცეთ ყველა ჩვენ მშრომელ კლასს“¹⁴.

პანსენი აღნიშნავს, რომ კანადის მთავრობამ განიხილა ომის შემდგომი ვალი და გადაწყვიტა, რომ შექმნას ბიუჯეტური დეფიციტი და გაზარდოს ნაციონალური ვალი, „თუ ამას მოითხოვს მისი პოლიტიკა დასაქმებისა და შემოსავლის დარგში“¹⁵. პანსენი და სხვები ცდილობენ დაასაბუთონ სახელმწიფო კრედიტის სასარგებლო როლი სახალხო მეურნეობის საწარმოთა დაუტვირთველობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

¹⁴ T. R. Malthus. *Principples of Political Economy*. p. 426-427.

¹⁵ იქვე, გვ. 641.

თავი მეთერთმეტი სახელმწიფო ბიუჯეტი

1. ბიუჯეტით დაინტერესება. დიდი ხანი არ არის, რაც ფინანსური მეცნიერება დაინტერესდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის განწერის შესწავლით. XIX საუკუნემდე სიგყვა „ბიუჯეტი“ ოფიციალურ აქტებში და ფინანსურ მეცნიერებაში არ იხმარებოდა. შემდეგ კი მან ფართო გავრცელება მოიპოვა.

სიგყვა „ბიუჯეტი“, როგორც ეს მეტ-ნაკლები ვარიაციით გამარტებულია ფინანსური მეცნიერების სახელმძღვანელოებში, წარმომდგარა ძველი ფრანგული სიგყვიდან bougette pochette, რაც ნიშნავს გყავის ქისას. იგი გადაიღეს ინგლისელებმა, გადააკეთეს ინგლისურ სიგყვად budget, რომელიც ნიშნავს გომარას და შეიცავს ანგარიშებს. ინგლისელებმა ამ სიგყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს, როდესაც პარლამენტის სესიაზე მთავრობა თემთა პალატას ფულად დახმარებას სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს, რომელშიაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის კანონპროექტი იღო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის, ანუ ფულადი ქისის გახსნას. ბიუჯეტს უწოდებდნენ თვით ხაზინის კანცლერის სიგყვასაც წარმოთქმულს თემთა პალატაში სახელმწიფო განწერის დამტკიცების შესახებ. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ეს სიგყვა ისევ საფრანგეთს დაუბრუნდა, მაგრამ უკვე თანამედროვე მნიშვნელობით, რაც გულისხმობს მომავალ და მიმდინარე წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხობრივად გამოსახულ ვარაუდს.

ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხარჯთა და შემოსავალთა კატეგორიების სისტემა, რაც წარმოადგენს განსაზღვრულ ურთიერთობათა კონკრეტულობას.

2. ბიუჯეტის აგების პრინციპები და საბიუჯეტო პერიოდი. ბიუჯეტის აგების პრინციპებად ცნობილია ბიუჯეტის სისრულე, ერთიანობა, რეალობა და საჯაროობა.

ბიუჯეტის სისრულე ნიშნავს, რომ ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნეს ყველა ხარჯი და შემოსავალი სრული თანხებით. ყველაზე უკეთ ბიუჯეტის სისრულეს გამოხატავს ბიუჯეტი ბრუტო. ნეტო ბიუჯეტი არ იძლევა სრულ წარმოდგენას დაბეჯერის სიმძიმის შესა-

ხებ. ნეტო ბიუჯეტი უჩვენებს მხოლოდ წმინდა შემოსავალს. მულა-ნგველობის შემზღუდვისა და კონტროლის მიზნით უმჯობესია ბრუ-ტო ბიუჯეტი.

ბიუჯეტის ერთიანობა გულისხმობს, რომ მთელი საბიუჯე-ტო მასალა ერთ დოკუმენტშია თავმოყრილი. მამასადამე, შედგე-ნილ უნდა იქნეს ერთი ბიუჯეტი და არა რამდენიმე. ბიუჯეტში შე-ტანილ უნდა იქნეს ყველა ვათვალისწინებული ხარჯი და შემოსა-ვალი. ბიუჯეტის ერთიანობა აადვილებს კონტროლს სახელმწიფო სახსრების გამოყენებაში.

ბიუჯეტის რეალობა გულისხმობს ბიუჯეტის სისწორის მო-თხოვნას. მის თანახმად ბიუჯეტში შეტანილი შემოსავალ-გასავა-ლი უნდა იყოს მართალი, ზუსტი და თვალსაჩინო.

ბიუჯეტის საჯაროობა მოითხოვს იმას, რომ ბიუჯეტი ყვე-ლასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ბიუჯეტი უნდა ქვეყნდებოდეს. ბიუჯეტის საჯაროობას მოითხოვს აგრეთვე კრედიტის მიღების საჭიროებაც. სახელმწიფო საწარმოები და ზოგიერთი სახელმწი-ფო დაწესებულებები ადგენენ დამოუკიდებელ ბიუჯეტებს. საფრა-ნგეთში გავრცელდა დამოუკიდებელი, ავტონომიური და მიერთე-ბული ბიუჯეტები. იაპონიაშიც მრავალი ანგარიში და ნუსხაა გა-მოყოფილი ბიუჯეტიდან.

ჩვეულებრივი ბიუჯეტების გვერდით გავრცელდა არაჩვეულე-ბრივი ბიუჯეტებიც. ჩვეულებრივ ბიუჯეტებში ხარჯები იფარება გადასახადებით. არაჩვეულებრივ ბიუჯეტებში – სესხებით, ფულის ემისიით და არაჩვეულებრივი გადასახადებით. ინგლისში გამოცა-ლკევებული ბიუჯეტებისათვის აქვთ ტერმინები: „ბიუჯეტის ბალა-ნსის მიღმა“, „ბიუჯეტის ფარგლებს მიღმა“. მასში ათავსებენ მაგა-ლითად, ფოსტის ექსპლოატაციის ხარჯებს, რომლებიც მისი შემო-სავლით იფარება, სახელმწიფო სესხებსა და ხარჯებს, რისთვისაც არის იგი დანიშნული.

აშშ-ში წესად იქცა ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება ნაწილ-ნაწილ, რაც აადვილებს დიდი სამხედრო ხარჯების გატარებას.

3. საბიუჯეტო პერიოდი. კანონის ძალით ბიუჯეტი მოქმე-დებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. დროის ამ მონაკვეთს საბი-უჯეტო პერიოდი ეწოდება. ადრე ზოგიერთ სახელმწიფოში ბიუ-ჯეტი მოიცავდა 2, 3 და 4 წელიწადს. მაშინ პოლიტიკური და ეკო-ნომიკური ცხოვრება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

შემდეგ ყველა სახელმწიფოში ბიუჯეტისათვის დამკვიდრდა ერთი წელიწადი.

საბიუჯეტო პერიოდის დასაწყისი და დასასრული სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, ასე მაგალითად, საბიუჯეტო პერიოდი კალენდარულ წელს ემთხვევა (იწყება 1 იანვარს, მთავრდება 31 დეკემბერს) საფრანგეთში, ავსტრიაში, უნგრეთში, ბელგიაში და პოლანდიაში, იწყება 1 მარტს და თავდება 28 თებერვალს თურქეთში. იწყება 1 აპრილს და თავდება 31 მარტს ინგლისში, გერმანიაში და სხვ. იწყება 1 სექტემბერს და თავდება 31 აგვისტოს აშშ-ში.

ზოგიერთ სახელმწიფოში დაწესებულია ბიუჯეტის დამთავრების „შელაეთიანი ვადები“, ე.ი. საბიუჯეტო პერიოდთან ერთად არსებობს მეორე ცნება „საანგარიშო პერიოდი“, ეს არის ბიუჯეტის ფაქტიური დასრულების პერიოდი. ამისათვის დაწესებულია 2 კვირის ვადაცილება, ზოგან გაცილებით უფრო მეტი ხანიც – რამდენიმე თვე.

4. ბიუჯეტის ბალანსი, დეფიციტი და გარდამეტი. ბიუჯეტს ჩვეულებრივად ადგენენ ბალანსის სახით, შემოსავალსა და ხარჯებს შორის დაცულია წონასწორობა. მაგრამ ყოველივე ეს ხდება ფორმალურად. საქმე ისაა, რომ ბიუჯეტი ბალანსური უნდა იყოს აღსრულების პროცესში და აღსრულების შემდეგ, რაც ზოგჯერ ძნელად განსახორციელებელია. ბიუჯეტის ბალანსის დარღვევა შემოსავლების გარდამეტებით ხარჯებზე იძლევა გარდამეტს, ხოლო ბალანსის დარღვევა ხარჯების გადამეტებით შემოსავალზე – დეფიციტს.

დეფიციტი შეიძლება იყოს საკასო და მაგერიალური. საკასო დეფიციტია მაშინ, როდესაც შემოსულობა იგვიანებს, მაგრამ მაშინ, როდესაც შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს, იმიტომ კი არა, რომ შემოსულობა იგვიანებს, არამედ იმიტომ, რომ ბიუჯეტს შემოსავალი აღარ აქვს, რაც მისაღები იყო უკვე მიღებულია, ანდა გარკვეულია, რომ ვეღარ მიიღება.

ამ მაგერიალურ დეფიციტს უწოდებენ საბიუჯეტო ხასიათის დეფიციტს, როდესაც დეფიციტი ბიუჯეტში იმთავითვე გათვალისწინებულია და ფაქტობრივი ხასიათის დეფიციტს, როდესაც იგი აღსრულების პროცესში ამკარავდება.

გარდამეტი არის ილუზორული და ნამდვილი. ილუზორულია გარდამეტი, როდესაც ბიუჯეტის შემდგენელი ხელოვნურად ქმნის გარდამეტს. ის ახდენს შეგნებულად მოსალოდნელ შემოსავალთა შეკუმშვას, ან ხარჯთა გადიდებას, ან ერთსაც და მეორესაც ერთ-

დროულად. ნამდვილი გარდამეტი არის იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება ფარისოვდება, როდესაც ეროვნული შემოსავალი ნამდვილად იზრდება.

ბიუჯეტის დასაბალანსებლად სახელმწიფოები იყენებენ შემდეგ მეთოდებს: პირველი, ხარჯების შემოკლება, რასაც ნამდვილად შეუძლია ბიუჯეტის დაბალანსება და გადასახადების შემცირება, მაგრამ ამის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება ელობება, განსაკუთრებით აბრკოლებს ამას სამხედრო ხარჯები, რომლებიც პირიქით – სულ იზრდება.

მეორე მეთოდი არის გადასახადების გადიდება, ამ გზითაც შეიძლება ბიუჯეტის დაბალანსება, მაგრამ იგი დაკავშირებულია დიდ სიძნელებთან, ვინაიდან გადასახადების გადიდებასაც თავისი საზღვარი აქვს. გარდა ამისა, გადასახადების გადიდება მრდის მოსახლეობის საგადასახადო გვირგვინს და მასების მღელვარებას. ამიგომ უფრო ადვილად მიმართავენ მესამე მეთოდს – სახელმწიფო სესხების აღებას და მეოთხე – ქალაქის ფულის ემისიას.

5. ბიუჯეტების შემოსავალ-გასაწვალთა კლასიფიკაცია და კრედიტების სპეციალიზაცია. ბიუჯეტების კლასიფიკაცია ეწოდება შემოსავალთა და გასაწვალთა გარკვეული სახით დაჯგუფებას. ბიუჯეტური კლასიფიკაცია უნდა არკვევდეს წყაროებს, საიდანაც სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს და იმ მიზნებს, რისთვისაც სახსრები იხარჯება.

უწყებრივი ანუ მინისტერიალური კლასიფიკაცია. უწყებრივი ანუ მინისტერიალური კლასიფიკაცია იმაში მღგომარეობს, რომ ბიუჯეტში ხარჯები მოცემულია უწყებების ანუ სამინისტროების მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია არ გვიჩვენებს ამ ხარჯების ნამდვილ სტატუსს, ვინაიდან ერთი და იმავე სახეობის ხარჯებს ეწევა სხვადასხვა სამინისტრო. ასეთი კლასიფიკაციის დროს სხვადასხვა სამინისტროს მიხედვით დაქსაქსულად იქნება ნაჩვენები, რაც ხელს უწყობს ფალსიფიცირებას. სახელმწიფოთა უმრავლესობა იყენებს უწყებრივ კლასიფიკაციას.

საგნობრივი კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციით ხარჯები ბიუჯეტში ნაჩვენებია დანიშნულების მიხედვით. ამგვარ კლასიფიკაციას ეხედებით ინგლისის ბიუჯეტში, მაგრამ მთლიანად ის აქაც არ არის გატარებული.

შემოსავლის დარგშიც გამოყენებულია იგივე უწყებრივი და საგნობრივი კლასიფიკაცია. იგალიაში, მაგალითად, შემოსავალი ბიუჯეტში დაჯგუფებულია სამინისტროების მიხედვით. ინგლისში ბიუჯეტის შემოსავალი ნაჩვენებია შემოსულობათა ცალკე სახეების მიხედვით.

შერეული კლასიფიკაცია. შერეული კლასიფიკაცია ეწოდება ისეთ კლასიფიკაციას, როდესაც სახელმწიფო ხარჯები ბიუჯეტის კრებსში მოცემულია საგნობრივად და შემდეგ ცალკეულ უწყებათა ნუსხებად ნაწილდება. შერეული კლასიფიკაცია ეწოდება ისეთ დალაგებასაც, როდესაც ბიუჯეტის საბოლოო კრებსი შედგენილია სამინისტროების მიხედვით, ხოლო თითოეული სამინისტროს ფარგლებში ხარჯები განაწილებულია საგნობრივად. ყველა სახელმწიფო იყენებს ბიუჯეტის შერეულ კლასიფიკაციას, მაგრამ მას სჭირდება უწყებრივი და საგნობრივი კლასიფიკაცია.

კრედიტების სპეციალიზაცია. ბიუჯეტის დამტკიცების დროს ბიუჯეტური სახსრების განსაზღვრულ თანხას განსაზღვრული დანიშნულება ენიჭება. ამას ეწოდება კრედიტების სპეციალიზაცია. კრედიტების სპეციალიზაციას აქვს საკონგროლო მნიშვნელობა, რაც უფრო სპეციალიზებულია ბიუჯეტი, მით უფრო შემლუღულია მთაფრობის თავისთავადობა. ბიუჯეტის ქვედანაყოფთა რიცხვი ზოგიერთ სახელმწიფოში მეტისმეტად დიდია, ის 100-დან 4000-მდე აღწევს.

6. ბიუჯეტური პროცესი შეიცავს ბიუჯეტის შედგენას, განხილვას, დამტკიცებას და აღსრულებას. ამავე პროცესში შედის აგრეთვე აღსრულებული ბიუჯეტის ანგარიშგების დამტკიცებაც. ბიუჯეტური პროცესი ზოგიერთ სახელმწიფოში სამ წელიწადს გრძელდება.

ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტს ადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება. სხვადასხვა სახელმწიფოში მეტ-ნაკლებად არის შემლუღული აღმასრულებელი ხელისუფლება ბიუჯეტის შედგენაში. ბიუჯეტის შედგენაში პირდაპირად თუ არაპირდაპირად მთელი მთაფრობა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობაც ღებულობს მონაწილეობას. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები განაცხადებს სახსრების მოთხოვნის შესახებ, წარუდგენენ ზემდგომ ორგანოებს და ეს უკანასკნელნი – სამინისტროებს. სამინისტრო აერთიანებს ასეთ მოთხოვნებს და წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო გააერთიანებს და საერთო ჯამს გამოუყვანს მთელ სახელმწიფო ხარჯს. ვინაიდან ფინანსთა

სამინისტრომ ხარჯები შემოსავალთან შესაბამისობაში უნდა დააყენოს, ამიტომ იძულებულია ხშირად შეამოკლოს ხარჯები. თითოეული უწყება ემყარება თავის მოთხოვნას, მან არ იცის რამდენს მოითხოვს სხვა სამინისტრო, ან რას შეადგენს მთელი ჯამი სახელმწიფოსათვის. დაფარავს თუ არა ხარჯებს მთელი შემოსავალი. ფინანსთა მინისტრი სხვა მინისტრებთან შეთანხმებით ამცირებს სახელმწიფო ხარჯებს ამა თუ იმ უწყებისათვის. სახელმწიფო ხარჯების ერთ ნაწილს აწესებენ საკმარისი განსაზღვრულობით, როგორც არის, მაგალითად, ცივილური ფურცელი (ე.ი. ხარჯები სასახლისა და სამეფოს საგეარეულოს წევრთა შესანახად). ვალის პროცენტები და მოხელეთა ჯამაგირები.

არც ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შედგენაა ადვილი, ძალიან ცოტაა შემოსავლის მუხლები სახელმწიფო ბიუჯეტებში, რომელთა შემოსულობა ცოტად თუ ბევრად განსაზღვრული იყოს, დიდი ნაწილი სააღბათოა.

7. ბიუჯეტური გაანგარიშების ძირითადი მეთოდები.

ცნობილია სახელმწიფო ბიუჯეტური გაანგარიშების რამდენიმე მეთოდი: ავტომატური, მაჟორაციის, მინორაციის და უშუალო შეფასების.

ავტომატური მეთოდი ისტორიულად წინ უსწრებს სხვა მეთოდს. სახელმწიფო შემოსავალთა და გასაველთა ავტომატური გაანგარიშების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკანასკნელი წლის ბიუჯეტის შესრულების ფაქტობრივ შედეგებს მომავალი წლის სააღბათო შემოსავლად სახავს. ეს არის სახელმწიფო შემოსავალთა და გასაველთა გაანგარიშების მექანიკური ხერხი. ეს ხერხი იმ მოსაზრებას ემყარება, რომ მომავალში მოვლენები იმგვარადვე გამოვლდება, როგორც წარსულში. სინამეილეში ეს ასე იშვიათად ხდება, ან საერთოდ არ ხდება.

შემოსავალთა და გასაველთა გაანგარიშების მეორე ხერხი არის მაჟორაცია, სხვანაირად, წამატების ხერხი. ეს მეთოდი ითვალისწინებს, მაგალითად, რამდენიმე წლის შემოსავალთა ზრდას და მას უმატებს უკანასკნელი წლის ფაქტობრივი შესრულების რიცხვს. თუ უკანასკნელი წლების განმავლობაში შემოსავალი კლებულობდა, მაშინ მიიღება უარყოფითი კოეფიციენტი, რომელსაც აკლებენ უკანასკნელი წლის ფაქტობრივ შეხედულებას. ამას უწოდებენ მინორაციის ხერხს.

როგორც ვხედავთ, ამ ხერხებს ზოგიერთი უპირატესობა აქვთ ავტომატურ ხერხთან შედარებით, რამდენადაც მხედველობაშია მიღებული მოვლენის მოძრაობა რამდენიმე წლის მანძილზე მაინც, მაგრამ არსებითად ეს ხერხი სახეშეცვლილი ავტომატური ხერხია. იგი ემყარება მოვლენათა ცვალებადობის ერთფეროვნებას; გულისხმობს მოვლენათა თანაბარ განვითარებას მაგების ან კლების მიხედვით და მხედველობის გარეშე რჩება მოვლენის ზომა-რაოდენობის საზღვრები, თვისების შეცვლა. ბიუჯეტების აღსრულების პრაქტიკა ადასტურებს ამგვარად გაანგარიშებული ბიუჯეტების უსუსურობას, საკმარისია სულ მცირე ცვლილებები ქვეყნის ცხოვრებაში, რომ ბიუჯეტი და სინამდვილე ერთმანეთს შორდება.

უშუალო შეფასების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ბიუჯეტის შედგენისას სახელმწიფო შემოსავალთა და გასავალთა მუხლების ან, საერთოდ, მთელი ბიუჯეტის სააღბათო მრდას ან კლებას უშუალოდ აფასებენ.

8. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. ბიუჯეტის დამტკიცებამდე ხდება მისი განხილვა. ამ მიზნით ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტს გადასცემს პარლამენტთან არსებულ საბიუჯეტო კომიტეტს. იგი განიხილავს, შეათანხმებს სხვადასხვა სამინისტროს დავას ფინანსთა სამინისტროსთან, თუ ასეთს ადგილი აქვს და მოწონების შემდეგ გადასცემს პარლამენტს.

პარლამენტურ ქვეყნებში ბიუჯეტს განიხილავს საბიუჯეტო კომისია და მოახსენებს პარლამენტის პლენუმს. ორ პალატიანი სისტემის დროს ბიუჯეტს ამტკიცებს ორივე პალატა. ამის შემდეგ გადაეცემა საბოლოოდ დასამტკიცებლად მეფეს ან პრეზიდენტს, რომელთა ხელის მოწერის შემდეგ ბიუჯეტი ქვეყნდება.

ბიუჯეტის დამტკიცების უფლება მნიშვნელოვანი უფლებაა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება უსახსროდ ვერაფერს გააკეთებს, ამიტომ ბიუჯეტის დამტკიცების უფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დამტკიცება ერთგვარად კონტროლის საშუალებაა.

აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ ბიუჯეტური ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ბიუჯეტის დამტკიცებაზე უარის თქმა და საბიუჯეტო ინიციატივა. პირველი გულისხმობს ბიუჯეტის დამტკიცებაზე სრულ ან ნაწილობრივ უარის თქმას, რაც ნიშნავდა იმას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება უსახსრებოდ დარჩებოდა. საბიუჯეტო ინიციატივა ნიშნავს წარმომადგენ-

ლობითი დაწესებულებების უფლებას წამოაყენონ წინადადებები სახელმწიფო ბიუჯეტის სამემოსაველო ან საგასაველო ნაწილის შესაცვლელად. ასეთი წინადადებებით შესაძლებელია გამოვიდნენ წარმომადგენლობითი დაწესებულებების ცალკეული წევრებიც.

ბიუჯეტის აღსრულება. დამტკიცების შემდეგ ბიუჯეტი შედის აღსრულების სფეროში. ბიუჯეტის აღსრულება ნიშნავს ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის აკრეფას, მათ თავმოყრას ერთიან სახელმწიფო საღაროში და სახსრების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, სხვაგვარად საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ხარჯების გაწევას.

აღმასრულებელი ხელისუფლება კრეფს ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებს. გადასახადების აკრეფა დაკისრებული აქვს ფინანსურ უწყებას; ფინანსთა სამინისტროს და ხაზინას ან ბანკს. სახელმწიფო შემოსავლის აკრეფაში მონაწილეობენ სხვა ორგანოებიც. მაგალითად – მისაგებლის აკრეფაში, ან სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავლის აკრეფაში.

შემდეგ ეს აკრეფილი სახსრები უნდა ინახებოდეს, საიდანაც შემდეგ შეიძლება მათი გაცემა საჭიროებისამებრ. ამისათვის მოწყობილია ხაზინები. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ფუნქციას ასრულებს ბანკები.

საკასო ორგანიზაცია. თანამედროვე პირობებში საკასო ორგანიზაცია კასის ერთიანობის პრინციპზეა აგებული. აღრიზდელ პერიოდში საკასო ორგანიზაცია დეცენტრალისტური იყო. ქვეყნის ტერიტორიაზე გაფანტული მრავალი საღარო აგროვებდა სახსრებს და ეწეოდა ხარჯებსაც. ხოლო ნაშთი გადაიგზავნებოდა საერთო საღაროში. ამ პირობებში სახელმწიფომ არ იცოდა რამდენი ფული აქონდა საერთოდ ამა თუ იმ მომენტში. ძნელი იყო კონტროლი. ფინანსური ურთიერთობის განვითარებამ მოითხოვა ცენტრალისტური საღარო.

ჩვენი ამრით, საკასო ორგანიზაციის განვითარებაში მაღალ საფეხურს წარმოადგენს ბანკის გამოყენება სახელმწიფო სახსრების შესაგროვებლად. ფულის დაცვა-შენახვასა და გადაზიდვას ადვილად ახორცილებს ბანკი. მას აპარატი აწყობილი აქვს და რადგან საკუთარ ფულს ინახავს, შეუძლია ადვილად შეინახოს სახელმწიფო სახსრებიც. ვინაიდან ბანკს განყოფილებები აქვს მთელ ტერიტორიაზე, ამიგომ ფულის გადაგზავნაც თავიდან აცილებულია. გარდა ამისა, სახელმწიფო სახსრები გამოყენებამდე ხაზინა-

მი უქმად დევს, ბანკის საშუალებით კი მათი კაპიტალად გამოყენება ხდება.

ამგვარად, ბანკი ხდება სახელმწიფოს მოლარედ. ბანკის სახელმწიფო სახსრები შერეულია ბანკის სახსრებთან. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, ინგლისში ოპერაციებს ბანკი უსაფასუროდ ეწევა, სამაგიეროდ ის სახელმწიფო სახსრებით უპროცენტოდ სარგებლობს.

ბიუჯეტის საგასაველო ნაწილის აღსრულება ხდება ფინანსური უწყების ხაზინის საშუალებით, რომლებიც ბიუჯეტში დამტკიცებული თანხების ფარგლებში, რაც ვათვალისწინებულია ამა თუ იმ უწყებისათვის, მიეცემათ ასიგნაციების ან ჩეკების სახით. ინგლისში ყველა შემოსავალი თავს იყრის ინგლისის ბანკში. მთავარი გადამხდელის მონაცემების მიხედვით შეიძლება იმის გარკვევა თუ როგორ აღსრულდა ბიუჯეტი.

ამშ-ში ბიუჯეტის აღსრულებას ხელმძღვანელობს ფედერალური სარეზერვო სისტემა, ის არის ცენტრალური საემისიო ბანკი. ამ ბანკს მთელს ქვეყანაში გაშლილი აქვს ფართო ქსელი.

კრედიტების განმკარგულებლად ითვლებიან ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელები. მეორეხარისხოვანი განმკარგულებლები ეწოდება იმ პირებს, რომლებსაც პირველი განმკარგულებლები მიანდობენ კრედიტების განკარგვას.

ბიუჯეტგარეშე და მიზნობრივი ბიუჯეტური ფონდები.

ბიუჯეტგარეშე ფონდები საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერი ქვეყნისათვის ბიუჯეტური სისტემისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს. მათი ფორმირების საწყისი დაემთხვა საქართველოს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდს და იურიდიულად გაფორმდა 1996 წლის 29 მაისს მიღებული კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“. ამ და სხვა კანონმდებლობის საფუძველზე დღესდღეობით საქართველოს ბიუჯეტგარეშე სპეციალური ფონდები წარმოდგენილია საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დასაქმების და საქართველოს საგზაო ფონდის სახით.

სპეციალური სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს ფინანსური რესურსების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით. საქართველოში არსებული დამოუკიდებელი სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და გასავლის შედგენა, და-

მტკიცება და აღსრულება ხდება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტთან ერთად. სპეციალური სახელმწიფო ფონდები მთლიანად კონსოლიდირებულნი არიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული წესით იქმნება საქართველოს პრემიენდენტის რწმუნებულის ფონდი.

საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სპეციალური სახელმწიფო დამოუკიდებელი ფონდის შექმნის საკითხს წყვეტს მხოლოდ საქართველოს პარლამენტი.

სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს გააჩნიათ შემოსავლები და ხარჯები.

სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავალში ჩასარიცხი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების სახეები და ამ გადასახადების განაკვეთები განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში შეიძლება ჩაირიცხოს არაგადასახადური შემოსავალი, რომელთა ჩამონათვალი და ფონდების შემოსავალში ჩარიცხვის წესები განისაზღვრება შესაბამისი სპეციალური სახელმწიფო ფონდის შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ ნორმატიული აქტის შესაბამისად.

ამ კანონით განსაზღვრული საქართველოს ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ჩასარიცხი საგადასახადო და არაგადასახადური შემოსავალი არ შეიძლება შეტანილ იქნეს სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლის სახეებში.

სპეციალური სახელმწიფო ფონდების ხარჯების კონკრეტული მიმართულება და მოცულობა ყოველწლიურად განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბიუჯეტგარეშე ფონდები საერთო-სახელმწიფოებრივი ფინანსური სისტემის რგოლებია. ისინი ხელს უწყობს სახელმწიფოს მისი წინაშე არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, განსაკუთრებით დროებითი ეკონომიკური პრობლემებისა და კრიზისული მოვლენების დაძლევაში.

ქვეყნის ბიუჯეტგარეშე ფონდები წარმოადგენენ ფინანსური რესურსების გადანაწილებისა და გამოყენების ფორმებს, რომლე-

ბიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიმართულია ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების მოთხოვნილებათა დასაფინანსებლად, რომლებიც კომპლექსურად გამოიყენება ოპერატიული დამოუკიდებლობის საფუძველზე.

ბიუჯეტგარეშე ფონდები მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით იყოფა – ეკონომიკურ და სოციალურ ფონდებად, ხოლო მმართველობის თვალსაზრისით – სახელმწიფო და რეგიონალური ფონდებად.

ბიუჯეტგარეშე ფონდების წყაროების მობილიზაციისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომელთაგან ძირითადია: სპეციალური გადასახადები და მოსაკრებლები, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები და სესხები.

სამართლებრივი პოზიციიდან ფონდები იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივ ფონდებად. პირველს მართავს ცენტრალური მთავრობა, ხოლო მეორეს – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

ბიუჯეტგარეშე ფონდებს მკაცრად მიზნობრივი დანიშნულება გააჩნიათ.

ბიუჯეტგარეშე ფონდების შემოსაველებია: სპეციალური მიზნობრივი გადასახადები და მოსაკრებლები; საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგებიდან ანარიცხები; ბიუჯეტის სესხები, იურიდიული პირების კომერციული საქმიანობიდან შემოსაველები; ბანკებიდან მიღებული სესხები.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დანიშნულებაა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა, დახმარებები მკურნალობაზე, დროებით შრომისუუნარობაზე, ორსულობაზე და მშობიარობასთან დაკავშირებით. ამ ფონდის სახსრების ფორმირება ხორციელდება შემდეგი ძირითადი წყაროებიდან; შრომის ანაზღაურების დასაბეგრი ფონდი ეროვნულ მეურნეობაში, იურიდიულ პირთა (დამქირავებლის სავალდებულო შენატანებით) მოქალაქეთა სავალდებულო შენატანებით და საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გაღებული გრანსფერგებით.

საქართველოს საგზაო ფონდი გამოიყენება მაგისტრალური გზების მოვლა-შენახვისათვის, მათი კეთილმოწყობისა და ვარგისიანობისათვის.

საქართველოში ფუნქციონირებადი ფონდების მართვა სორციელდება ხელისუფლების ორგანოთა სუბიექტების, ადგილობრი-

ვი თვითმმართველობის ორგანოების, დაინტერესებული საწარმოებისა და ფიზიკური პირების მიერ.

9. ბიუჯეტის თეორიები

ა) ბიუჯეტი, როგორც მარტივი ცნება. ზოგიერთი ფინანსისტიკის აზრით, ბიუჯეტი მეტად მარტივი ცნებაა; ამიტომ იგი თავისთავად ცხადია. ასე მაგალითად, ნიგის აზრით, ბიუჯეტის ცნება „...თავისთავად სრულიად ცხადია, ბიუჯეტი სხვა არა არის თუ არა ნაეარაუდევე შემოსავალთა და სახელმწიფოს, ან აღმინისტრაციულ დაწესებულებებისათვის ნებადართულ ხარჯთა, დოკუმენტალურად დამოწმებული განწერა, ეს არის აქტი, რომელიც შეიცავს სახელმწიფო შემოსავალთა და ხარჯთა წინასწარ მოწონებას“¹.

ამ ჯგუფს ეკუთვნიან ბელა ფოლდეს², კარლ ტიშკა³, ვალტერ ლოტცი⁴, იერლ როლფი და ჯორჯ ბრეიკი⁵, ეებერგი⁶ და სხვ.

ფინანსისტთა ერთი ნაწილი ბიუჯეტს განმარტავს როგორც საანგარიშო ხასიათის ოპერაციას. ასე განმარტავს მაგალითად, ფრანგი ფინანსისტი გასტონ ეეზი, რუსი ფინანსისტები ორლოესკი, ალექსანდროვი და ნ. ლიუბიმოვი. ამ შეხედულების ფინანსისტები მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს ეკუთვნიან ეებერგი, მ. ჰეკელი, ლერუა ბოლიე, ლეონ სეი, ილოვაისკი, ლებედევი და სხვ.

გერმანელი ფინანსისტიკის თეოდორ კარლ ეებერგის აზრით, შეუძლებელია შემოსავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აჭარბებდეს ხარჯებს, ან პირიქით მას ჩამორჩებოდეს. ფინანსური მეურნეობის ნორმალური მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ბალანსი, წონასწორობა შემოსავალსა და გასავალს შორის.

სახელმწიფოებრივი გაწერა, ანუ ეგრეთ წოდებული ბიუჯეტი ან ნუსხა, შეიცავს მომავალ ხარჯებსა და საალბათო მოსალოდნელ შემოსავალთა თანხას, რომელიც შედგენილია უმაღლესი ფინანსური უწყების მიერ და ფინანსური, ანუ მეურნეობრივი კანონის სახეს ღებულობს შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის⁷.

¹ Фр. Нитти. Основные начала финансовой науки. 1904, с. 553;

² Bela Foldes. Finanzwissenschaft, Jena, 1927.

³ Karl von Tiszka. Grundzüge der Finanzwissenschaft, Iena, 1924.

⁴ Walter Lotz. Finanzwissenschaft. Tübingen, 1929.

⁵ Earl R. Rolph, George F. Break. Public Finance. H. Y., 1964.

⁶ K. Th. Eheberg. Finanzwissenschaft, 1909.

⁷ იქვე, გვ. 547.

ამგვარად, ებერგი ვარდა იმისა, რომ აიგივებს ბიუჯეტსა და გაწერას, ბიუჯეტს განმარტავს მხოლოდ ტექნიკური, გარეგნულობის მიხედვით, რომ ის მომავალ ხარჯებსა და სააღბათო მოსალოდნელ შემოსავალს შეიცავს, სახელმწიფოს გარკვეული ორგანოს მიერ შედგენილსა და დამტკიცებულს.

მეორე გერმანელი ფინანსისტის მ. პეკელის აზრით, „ბიუჯეტი არის მომავლისათვის, დროის განსაზღვრული პერიოდისათვის სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი კავშირის ნავარაუდევ შემოსავალთა და ხარჯთა ციფრობრივი გამოსხატულება და შეფასება“⁸

ასეთივეა განმარტება ბიუჯეტისა, რომელსაც გვაძლევს ცნობილი ფრანგი ფინანსისტი ლერუა ბოლიე: „ბიუჯეტი არის წინასწარი ნუსხა, რომელიც მოიცავს დროის განსაზღვრული პერიოდისათვის ხარჯთა და შემოსავალთა ვათეალისწინებას, ეს არის შედარებითი ცხრილი, რომელშიაც ნაანგარიშევი და ერთმანეთის დაპირობებულია მისაღები შემოსავალი და გასაწევი ხარჯები“⁹

ბიუჯეტის ამ განმარტებაშიც მოცემულია ბიუჯეტის იგივე ტექნიკური ნიშნები, გარეგნული მომენტები, რომ ბიუჯეტი შემოსავალ-გასავალთა გაანგარიშებაა, შემოსავალ-გასავალთა ცხრილია და სხვ.

მეორე ფრანგი ფინანსისტის, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ლეონ სეის განმარტებით, ბიუჯეტი არის ხელშეკრულება მარწმუნებულთა, ე.ი. გადამხდელთა და რწმუნებულთა, ე.ი. მმართველებს შორის, იგი წერს:

„ბიუჯეტი არის ხალხის მიერ თავიანთ რწმუნებულებზე გაცემული ბრძანება განკარგონ სახელმწიფო ფინანსები წინასწარ, სასტიკად განსაზღვრულ პირობებში“¹⁰

ბ) ნორმატიული თეორია. ფინანსისტთა ერთი ნაწილი ბიუჯეტს განმარტავს როგორც კანონს, როგორც საკანონმდებლო აქტს. ამ შეხედულებას ბიუჯეტის არსად მიაჩნია სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის განწერის კანონმდებლობითი ხასიათი. მათი შეხედულებით ბიუჯეტის ცნების განმსაზღვრელი მომენტი ის არის, რომ იგი განხილული და დამტკიცებულია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ და, რომ ამიგომ ბიუჯეტს კანონის ხასიათი აქვს.

⁸ M. V. Heckel. Die Budget. 1898, p. 1.

⁹ Poul Leroy-Beaulien. Traite de la science des Finances. 1888, tom second, p. 2.

¹⁰ L. Say. les finances de la France. T. I, p. 1.

ამ შეხედულებაზე დგანან ლორენც შტეინი, კარლ უმპენბახი, რენე შტურმი, ვიგე, გასტონ ჯემი, იეკლინი და სხვ.

გერმანელი ფინანსისტი ლორენც შტეინი წერს, რომ ბიუჯეტი არის „კანონი სახელმწიფო მეურნეობის შესახებ, ამასთანავე ეს ის კანონი არ არის, რომელიც საერთოდ განსაზღვრავს სახელმწიფო ფინანსების მეურნეობრივ ურთიერთობებს, არამედ ის კანონია, რომელიც ფორმალურად თავს უყრის მთლიანობაში სახელმწიფო შემოსავალს სახელმწიფო მმართველობის ყველა ხარჯთან და ა. შ. თავისი მინაარსით წარმოადგენს ფულად ოდენობებში ყველა ხარჯის დამოკიდებულებას შემოსავლისაგან, რაც მას საკანონმდებლო ხელისუფლების გამგებლობის საგნად აქცევს და დასასრულ, სახელმწიფოს მეთაურის სანქციით – სახელმწიფო მეურნეობის კანონად“¹¹.

ბიუჯეტის განმარტებაში აქტის, კანონის მნიშვნელობა განსაკუთრებულად წინ წამოწეული აქვს ფრანგ ფინანსისტს რენე შტურნს, რომელიც ბიუჯეტის განმარტებას იწყებს ბიუჯეტის სხვადასხვა განმარტებათა ჩამოთვლით.

ცნობილი ფრანგი ფინანსისტის გასტონ ჯემის მიხედვით ბიუჯეტი არსებითად „პოლიტიკური მნიშვნელობის აქტია“¹². ის უსაყვედურებს შტურმს, ლერუა ბოლიეს, ლეონ სეის, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ ბიუჯეტის პოლიტიკურ მხარეს და გავრცელებული შეხედულების მიხედვით ბიუჯეტს განმარტავდნენ როგორც საანგარიშო ხასიათის ოპერაციას. ეს უკანასკნელი შეხედულება მას მიაჩნია მოძველებულად, რასაც შეუძლია ბიუჯეტის ყველა თეორია დაამახინჯოს. გასტონ ჯემის აზრით, მართალია ბიუჯეტი საანგარიშო ხასიათის ოპერაცია არის, მაგრამ ეს უკანასკნელი ბიუჯეტის არსი არ არის. გასტონ ჯემი წერს: „დღეს ბიუჯეტი პირველყოფლისა არის, ცხოვრებაში რაიმე პოლიტიკური პროგრამის გატარების საშუალება: იგი მთავრობის აქტია par excellence“¹³. პოლიტიკური პარტიები თავიანთ პროგრამებსა და დებულებებს ერთმანეთს უპირისპირებენ და მთავრობა, რომელიც სახელმწიფოს სათავეში დგას, თავისი პარტიის პროგრამას ატარებს, რაც თავის გამოხატულებას პოვნებს სახელმწიფო ხარჯთა

¹¹ Lorenz von Stein. Lehrbuch der Finanzwissenschaft. Erster Band. Leipzig, 1885, p. 200.

¹² Гастон Жем. Общая теория бюджета. 1930, с. 3.

¹³ იქვე, ვ. 3.

ამა თუ იმ სახის გადიდებასა თუ შემცირებაში. მეორე მხრივ, რამდენადაც ეს ხარჯები შემოსავლით უნდა დაიფაროს, აქაც სერიოზულ საკითხს წარმოადგენს საგადასახადო ტვირთის განაწილება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის. ყოველივე ამის გამო, ასკენის გასტონ ემბი, ბიუჯეტის პოლიტიკური ხასიათის უარყოფა პირდაპირ შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ გასტონ ემბი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ბიუჯეტის პოლიტიკურ მხარეს, საკითხი მას ბოლომდე არ მიჰყავს.

გასტონ ემბის განმარტების საყურადღებოდ უნდა ითქვას აგრეთვე ის, რომ იგი არსებითად პარლამენტარულ სახელმწიფოთა ბიუჯეტებზე ლაპარაკობს და ამდენად წინ წამოწეული აქვს ბიუჯეტის პოლიტიკური მნიშვნელობა.

ვ) ბიუჯეტი როგორც სახელმწიფო მეურნეობის გეგმა. ფინანსისტების ერთი ნაწილი ბიუჯეტს განმარტავს როგორც ფინანსურ გეგმას, როგორც სახელმწიფო მეურნეობის გეგმას. ამ თვალსაზრისზე დგანან ადვანგერი, ვალტერ ლოტცი, ომეროვი და სხვ.

რუსი ფინანსისტის – ომეროვის აზრით, ბიუჯეტში იგულისხმება სახელმწიფო მეურნეობის გამგებლობის გეგმა დროის მოცემული პერიოდისათვის.

„განწერაში (рoсписъ) იგულისხმება მეურნეობის გამგებლობის გეგმის ციფრობრივი გამოხატულება დროის მოცემული პერიოდისათვის, რომელიც განხილულია საკანონმდებლო დაწესებულებების მიერ და დამტკიცებულია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ“¹⁴.

ომეროვი იმოწმებს ვაგნერს და ასკენის, რომ განწერა ნაწილია ბიუჯეტის, რომ „ამ აზრით განწერა მხოლოდ საბიუჯეტო კანონის დამატებაა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევისადმი. ბიუჯეტი განსაზღვრავს ფინანსური გეგმის შედგენისა და დამტკიცების საერთო ნორმებს, ხოლო განწერა ნიშნავს თვით ფინანსურ გეგმას დროის მოცემულ პერიოდისადმი. განწერა შეადგენს სახელმწიფო მეურნეობის გამგებლობის გეგმის ციფრობრივ კერძო გამოხატულებას“¹⁵.

¹⁴ И. З. Озеров. Основы финансовой науки. Вып. 11, 1910, с. 4.

¹⁵ იქვე, ტვ. 5.

ად. ვაგნერის განმარტებით, ბიუჯეტს გარდა გეგმური ხასიათისა, აქვს სააღბათო ფულად-რიცხოვრივი გამოხატულება, რაც ბალანსზეა დამყარებული. იგი წერს: „ნუსხა ან განწერა არის საზოგადოებრივი კაცშირის მეურნეობაში სააღბათო შემოსულობათა და გაყემათა – შემოსავალთა და გასავალთა ფულად-რიცხოვრივი გამოხატულება, ცოგად თუ ბევრად განსაზღვრული სისტემატური მიმოხილვა მომავალი პერიოდისათვის – წლისათვის, რომელიც დამყარებულია ამ ციფრთა ორი წესრიგის ბალანსზე“¹⁶.

იგივე ამრს გამოთქვამს გერმანელი ფინანსისტი ვალტერ ლოტცი, რომლის თანახმად სიყყვა „ბიუჯეტი“ ანუ განწერა დღეს იხმარება ორგვარი ამრით:

1. შემოსავალთა და გასავალთა ნუსხა მეურნეობრივი პერიოდისათვის, ამჟამად რეგულარულად ერთი წლისათვის (განწერის პროექტი, ანუ ბიუჯეტის პროექტი. სახელმწიფო მეურნეობრივი გეგმა).

2. დამთავრებული სამეურნეო პერიოდისათვის ნამდვილად მიღებული შემოსავლისა და გაწეული ხარჯების მიმოხილვა (ფაქტიური განწერა ან ფაქტიური ბიუჯეტი, სახელმწიფო მეურნეობრივი ანგარიშგება)¹⁷.

დ) ბიუჯეტის საშუალებით ეკონომიკის რეგულირების თეორია. ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინსმა წამოაყენა შეხედულება, რომლის თანახმად შესაძლებელია ეკონომიკის რეგულირება სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით. მისი ამრით, თუ სახელმწიფო გაზრდის ხარჯებს სამხედრო შეკვეთებზე, სხვადასხვა „საზოგადოებრივ სამუშაოზე“ შესაძლებელია შექმნას სტაბილიზაცია უმუშევრობის შემცირებით და კრიზისების მოსპობით.

ამგვარად, კეინსის თეორიით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტებს, როგორც მარეგულირებელ საშუალებას.

კეინსი და სხვა ეკონომისტები არ უარყოფენ, რომ მიწოდება – მოთხოვნის ფასებში გამოხატულია წარმოებრივი და მოხმარებითი მეურნეობა საზოგადოების წევრებისა. კეინსი უარყოფს ამ შევრძნების ავტომატური წონასწორობის პრინციპს.

კეინსი ფიქრობდა, რომ დარღვეული წონასწორობის ცალკეული ელემენტები თავისთავად ვერ გამოსწორდებიან ან მოგიერთები,

¹⁶ A. Wagner. Finanzwissenschaft. 1883, Bd. I, p. 102.

¹⁷ Walter Lotz. Finanzwissenschaft. 1929, p. 100.

რომელნიც გარეშე გავლენას განიცდის, შესაფერისად ვერ უპასუხებს. ის უარყოფს სამოგადოებრივი წარმოებისა და მიმოქცევის ავტომატურ თვითრეგულირებას და მოითხოვს სახელმწიფოს როლის გაძლიერებას და ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

კეინსი აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში ჩნდება „ეფექტური მოთხოვნის“ არასაკმარისობა. დასაქმების დონე დამოკიდებულია პროდუქციის ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნაზე. კეინსი მთავარ ყურადღებას აქცევს ერთობლივ მოთხოვნას, რაც მისი აზრით, დასაქმების დონის შემოსავლის ოდენობის ერთადერთი განმსაზღვრელია. ერთობლივი მოთხოვნა ჯამია „ორი სიდიდის – იმისა, რაც დასაქმების მოცემული დონის პირობებში მოხმარებაზე იხარჯება და იმისა, რაც ინვესტირებაზე მიდის“¹⁸. მისი აზრით, პირად მოხმარებაზე სამოგადოების მიერ დახარჯული თანხის სიდიდე დამოკიდებულია ეროვნული შემოსავლების სიდიდეზე. აქ ის გამოიყენებს მის მიერ გამოგონილ „ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს“, რომლითაც ფიქრობს ახსნას მოცემული მოვლენა.

კეინსი ფიქრობს, რომ დასაქმება გაიზრდება ინვესტიციების ზრდასთან ერთად¹⁹. ინვესტიციების გადიდება გამოიწვევს შემოსავლის ორკეცად გადიდებას, ამ ნიადაგზე გაიზრდება დასაქმებაც. აქ კეინსი მოიშველიებს ინგლისელი ეკონომისტის რ.ფ. კანის მულტიპლიკატორის თეორიას, რომლის თანახმად თუ სახელმწიფო ხელს შეუწყობს კაპიტალდაბანდებებს, მაშინ წარმოების ზრდა და დასაქმება წარმოების საშუალებათა წარმოების დარგში შესაბამისად გაზრდის წარმოებასა და დასაქმებას სამომხმარებლო საშუალებათა წარმოების დარგშიაც. აქ კეინსის მხედველობის გარეშე რჩება მუდმივი კაპიტალის უფრო სწრაფი ზრდა ცვალებადთან შედარებით, ამასთანავე კაპიტალის ორგანული შემადგენლობით გამოწვეული მოთხოვნის შემცირება სამუშაო ძალაზე.

კეინსის რეალიზაციის თეორია მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში ინვესტიციის სტიმულირების გზით, რაც მისი აზრით, მოხსნის წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის.

ე) ბიუჯეტური უწონასწორობის ანუ ციკლური ბიუჯეტის თეორია. ამერიკელი კეინსიანელი ჰარვარდის უნივერ-

¹⁸ Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег, 1949, с. 83.

¹⁹ იქვე. გვ. 26.

სიტეგის პროფ. ელვან ჰანსენი მოითხოვს სამხედრო ასიგნობების გადიდებას²⁰. ის სახელმწიფოს ურჩევს არ შეამოკლოს სამხედრო მრეწველობა, ხელი შეუწყოს ამერიკის ექსპორტს, სხვა ქვეყნებისათვის კრედიტების მიწოდებით²¹. ჰანსენი ასახულებს ექსპორტის აუცილებლობას ამერიკის კაპიტალისათვის. ის ამბობს, რომ ქვეყნის შიგნით მოიპოვება უამრავი კაპიტალი, რომელიც გამოყენებას ვერ პოულობს; ამიტომ მას უნდა მიეცეთ გასაქალაქო. აშშ-მ უნდა სხვა ქვეყნებს მიაწოდოს კრედიტი სავალდებულო პირობით, რომ შეიძენენ ამერიკულ საქონელს.

ჰანსენი წერს, რომ დასაქმების სრული უზრუნველყოფისათვის სახელმწიფომ რაიმე უნდა გააკეთოს არა მარტო იმიტომ, რომ დააბალანსოს ციკლი, არამედ იმიტომაც, რომ გაზარდოს ეფექტური მოთხოვნის საერთო მოცულობა. წარმოებრივი სიძლიერის სრული გამოყენება აუცილებლად მოითხოვს დიდ სახელმწიფოებრივ ხარჯებს.

ჰანსენის მიზანია კეინსის „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიის საფუძველზე გამოძებნოს საშუალებები გამანადგურებელი ციკლური კრიზისების მოსასპობად. ჰანსენი დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ეკონომიკური ზრდის პროცესში, მას ციკლური კრიზისების მოსპობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიაჩნია სახელმწიფო ხარჯები.

ჰანსენის აზით, „სახელმწიფო ხარჯები და კერძო ავტონომიური ინვესტიციები წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის გაფართოებისა და შემოკლების ყველაზე მნიშვნელოვან და ღინამიკურ ფაქტორებს“²².

ჰანსენი არჩევს სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც სესხებით იფარება და სახელმწიფო ხარჯებს, რომლებიც გადასახადებით იფარება.

შემდეგ ჰანსენი განიხილავს სახელმწიფო ხარჯთა დაფინანსების სამ ხერხს: პროპორციული სამემოსავლო გადასახადები, რომლებსაც იხდის ყველა შემოსავლის მიმღები და მას ისე ახდენენ, რომ შემოსავალთა განაწილება უცვლელი რჩება; პროგრესული სამემოსავლო გადასახადები, რომლებიც მძიმე გვირგვინად

²⁰ Alvin Hansen. Fiscal Policy and Business Cycles. 1941.

²¹ Alvin Hansen. Economic policy and full Employment.

²² Э. Хансен. Экономические циклы и национальный доход. 1959, с. 268.

აწევა შემოსავლის მიმღებ საშუალო ჯგუფთა მედა ნაწილს და მდიდარ ჯგუფებს და მით ამცირებს დაზოგვას; დაფინანსებას სესხის საშუალებით, რომელიც არ არღვევს ნორმალურ შეფარდებას მოხმარებასა და დაზოგვას შორის, ია კანსენის მიხედვით ყველა არხს უხსნის დაზოგვას, რომლის გამოყენება მოსახლეობას სურს, ამიტომ არ ეხება შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობას როგორც მოხმარებისა, ისე დაზოგვის მიზნებისათვის.

კანსენი სახელმწიფო ხარჯების გავლენას შემოსავალზე განიხილავს დაფინანსების ამ სამივე წესის პირობებში. ის წერს, რომ შეიცვალა შეხედულება თითქოს სახელმწიფო ხარჯები ისეთი გადასახადებითაა დაფინანსებული, რომელთაც გავლენა არ შეუძლიათ მოახდინონ შემოსავლის განაწილებაზე, ვერ ასწევენ შემოსავლის ღონეს. დღევანდელი შეხედულებით ასეთ ხარჯებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ექსპანსიის მხრივ.

დავუშვათ, ამბობს კანსენი, რომ საზოგადოებაში, სადაც შემოსავლის არსებული ღონე მუდმივად შენარჩუნებულია, არსებობენ უმუშევრები. ამასთან გავითვალისწინოთ, რომ შეიქმნა ახალი საწარმოები, რომლებიც ახალ შემოსავალს აძლევენ მუშებსა და აქციონერებს. ისინი შემოსავალთა ნაკადში უშუალოდ უკანვე ისერიან ამ შემოსავლებს. დავუშვათ აგრეთვე, რომ კიდევ დარჩნენ უმუშევრები. წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფომ კიდევ წამოიწყო საზოგადოებრივი სამუშაოები, ან შექმნა დაწესებულებანი, რომლებიც მომსახურებას უწევენ საზოგადოებას. აქ ისინი გასცემენ დამატებით შემოსავალს.

ხარჯები აქ იფარება ფასებისა და გადასახადების საშუალებით. იგი საკმარისია მიმდინარე ხარჯების დასაფარაველ და არ ეხება საზოგადოების არსებულ მსყიდველობით უნარს.

სახელმწიფო ხარჯთა დაფინანსების მეორე ხერხის დროს სახელმწიფო ხარჯთა გადიდება იფარება პროგრესული საშემოსავლო გადასახადით. ეს გადასახადი მოხმარებას სუსტად ეხება, დაზოგვას უფრო სერიოზულად, ამიტომ, აქ კერძო მოხმარების ფუნქცია უფრო ნაკლები ხარისხით იქნება შემცირებული, ვიდრე წინა შემთხვევაში.

მესამე შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხარჯები სესხებით იფარება, მოხმარების ფუნქცია არ მცირდება რაიმე ახალი გადასახადებით, აქ ახალი სახელმწიფო ხარჯები ზრდიან შემოსავალს²³.

²³ Э. Хансен. Экономические циклы и национальный доход. 1959, с. 273-280.

პანსენის კონსეფცია სახელმწიფო ხარჯთა და გადასახადთა ბუნებისა და როლის შესახებ წინააღმდეგობივია. სახელმწიფო ხარჯთა უდიდესი ნაწილი არამწარმოებლურია. ის აკლდება მატერიალურ წარმოების სფეროში შექმნილ ეროვნულ შემოსავალს და უდიდესი ნაწილი მიდის სამხედრო ხარჯებისათვის (გადაკისრების მხედველობაში მიღებით) ეკისრება მშრომელებს, სახელმწიფო ხარჯთა წყაროდ გამოდის აგრეთვე დამატებითი მოგება.

პანსენის კონსეფციის მცდარობა მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადების ანგარიშით დაფარული სახელმწიფო ხარჯები თითქოს იწვევს ნაციონალური შემოსავლის ზრდას ისევე როგორც ეს შესაძლებელია წარმოების გაფართოებით. როდესაც სახელმწიფო სამოგადოებრივ სამუშაოებს აწყობს ან მომსახურებას ეწევა გადასახადების ანგარიშებით, ამით სახელმწიფო „დამატებით“ შემოსავალს კი არ იხდის, არამედ პირველადი შემოსავლის გადანაწილებას ახდენს. გადასახადების გზით აკრეფილი ეს გადანაწილებული შემოსავალი არ წარმოადგენს „შემოსავალთა ნაკადის დამატებას“, ვინაიდან სახელმწიფომ იგი უკვე გამოაკლო პირველად შემოსავალს მანამდე, სანამ მას მუშებსა და მოსამსახურეებს გადაუხდოდა.

პანსენის აზრით, სრულებით საჭირო არ არის ბიუჯეტის ყოველწლიური დაბალანსება. ბიუჯეტი შესაძლებელია ბალანსდებოდეს სამრეწველო ციკლის პერიოდში. ამიგომ მისი აზრით, სახელმწიფო ხარჯების ეკონომია და ბიუჯეტური წონასწორობა აუცილებელი არ არის.

ბიუჯეტური წონასწორობის, ანუ ციკლური ბიუჯეტის თეორიას აყენებს აგრეთვე ფრანგი ეკონომისტი ეკ. ლაუფენბურგერი. მისი აზრით, მეურნეობრივი გამოცოცხლების პერიოდში ბიუჯეტს უჩნდება ნაჭარბი და კრიზისის პერიოდში – დანაკლისი. ამიგომ ლაუფენბურგერი სახელმწიფოს ურჩევს სახსრები დააგროვოს გამოცოცხლების პერიოდში და გამოიყენოს კრიზისის პერიოდში. ამგვარად, ბიუჯეტის ყოველწლიური უწონასწორობა საშიში არ არის, ბიუჯეტის დაბალანსება შესაძლებელია ციკლის მთელი პერიოდისათვის. ლაუფენბურგერი წერს: „ციკლური ბიუჯეტი ცდილობს წონასწორობის ცნება გამოიტანოს სამოქალაქო წლის მეტად ვიწრო ჩარჩოებიდან და გადაიტანოს იგი ეკონომიკური ციკლის უფრო ფართო პერიოდზე“²⁴.

²⁴ Henry Laufenburger. Du Traite d'economie et legislation financier. Ed. 3. 1918, p. 184, 221.

თეორია, რომელიც ბიუჯეტურ დეფიციტს თელის ნორმალურ მოვლენად, „ნორმალურ ფინანსურ პოლიტიკად“, მართებულად ვერ ჩაითვლება.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტს ჩვეულებრივად ადგენენ ბალანსის სახით. შემოსავალსა და ხარჯებს შორის დაცული უნდა იქნეს წონასწორობა, მაგრამ ხშირად ყოველივე ეს ხდება ფორმალურად. არსებითია, რომ ბიუჯეტი ბალანსური იყოს აღსრულების პროცესში და აღსრულების შემდეგ, რაც რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ ძნელად განსახორციელებელია.

ე) ბიუჯეტის ციკლური მოსწორების თეორია. ჯონ კეინსის თეორიაზე დამყარებით შეიმუშავეს ბიუჯეტის ციკლური მოსწორების კონცეფცია. ამ უკანასკნელის თანახმად, ბიუჯეტური პოლიტიკა უნდა ემსახუროს ძირითადად არა ფისკალურ მიზნებს, არამედ უნდა იკისროს საერთოდ ეკონომიკური ფუნქცია: უნდა შეამციროს კონიუნქტურული რყევადობა და გაზარდოს დასაქმების დონე, ამასთან, საჭირო არ არის ბიუჯეტის ყოველწლიური მოსწორება. ბიუჯეტის მოსწორება უნდა ხდებოდეს განსაზღვრულ პერიოდში და არა ყოველწლიურად, ამ კონცეფციის მომხრენი ციკლის ფარგლებში მაინც მოითხოვენ ბიუჯეტის დაბალანსებას.

ზ) მაკომპენსირებელი ბიუჯეტის თეორია. მაკომპენსირებელი ბიუჯეტის თეორია ემყარება წმინდა დეფიციტურ დაფინანსებას. ასე რომ, ბიუჯეტის მოსწორება აუცილებელი არ არის არც ციკლის ფარგლებში. სავსებით ბედმეცია ბიუჯეტური დაბალანსება. წონასწორობა უნდა იქნეს მიღწეული არა ბიუჯეტის, არამედ მთელი მეურნობის მასშტაბით; კერძო მეურნეობის ეფექტური მოთხოვნის უკმარისობისას სახელმწიფომ უნდა გააკეთოს დეფიციტური ბიუჯეტის დაფინანსებით, რაც აუცილებლობით დაკავშირებულია კრიზისთან.

თ) მასტაბილიზებელი ბიუჯეტური პოლიტიკა. მასტაბილიზებელი ბიუჯეტური პოლიტიკის კონცეფცია უარყოფს მაკომპენსირებელი ბიუჯეტის შეხედულებას და ათანხმებს ბიუჯეტის სავალდებულო დაფარვის „კლასიკურ“ თეორიასთან. ეს შეხედულება ემყარება მასტაბილიზებელი მოქმედების ავტომატიზმს. ამ კონცეფციის წარმომადგენელთა აზრით, მაღალი კონიუნქტურის პირობებში მტკიცე პროგრესული განაკვეთებით მიღებული გადასახადური შემოსავალი ქმნის შესაძლებლობას დაიფაროს სახელმწიფო ვალი, რომელიც აღებულია ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში.

თავი მეორეეტი ფინანსური მმართველობა

მმართველობა გულისხმობს მმართველობის გეგმაზომიერ გე-
მოქმედებას სამმართველო ობიექტზე, მისი განვითარების ან მისი
სტაბილიზაციის მიზნით. ეკონომიკურ სისტემაში და მის ქვესისტე-
მაში – ფინანსურ სისტემაში – მმართველობა ხორციელდება მეურ-
ნეობრივი მექანიზმის, უფრო ზუსტად, ფინანსური მექანიზმის საშუა-
ლებით, რაც აისახება მის მეთოდებში, სტიმულებში და სანქციებში.

ფინანსური მმართველობა საჭიროებს აღმასრულებელ დაწე-
სებულებებს და სახელმწიფოს ფინანსური ხელისუფლების წარმო-
მადგენლებს, რომელთა საშუალებით ხორციელდება მმართველო-
ბის ამოცანები. ეიწრო ამრით, საფინანსო მმართველობაში იგუ-
ლისხმება აღმასრულებელ საფინანსო დაწესებულებათა სისტემა,
ფინანსთა სამინისტრო ფინანსთა მინისტრის მეთაურობით. ამას-
თან ერთად განიხილება დამოუკიდებელი მეორე ცენტრალური
დაწესებულება – სახელმწიფო კონტროლი.

ფინანსური მმართველობის კარგ მუშაობად ითვლება საქმიან-
ობის სფეროს ცალკეულ ნაწილებად ზუსტი გამიჯვნა და საფინან-
სო უწყების ცალკე გამოყოფა. ფინანსთა სამინისტროს გამგებ-
ლობა უნდა ერთმანეთს უხამებდეს მოსახლეობისა და საფინანსო
უწყების ინტერესებს. უნდა ცდილობდეს შესაძლებლობის ფარგ-
ლებში გააუმჯობესოს გადასახადების სისტემა, სახელმწიფო კრე-
დიტის ოპერაციები, საფინანსო უწყების კონტროლი, საბიუჯეტო
განაწესის შედგენა, რაც ფართო საქმიანობას მოიცავს და კვალი-
ფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს.

ფინანსთა მინისტრის მიერ სახელმწიფოს ყველა მატერიალუ-
რი სახსრის ერთ ხელში თავის მოყრა, თან სახელმწიფო მმართ-
ველობის ზოგიერთი აქტიური საქმიანობის გამგებლობა, აუცილე-
ბლობით იწვევს უხვ ხარჯებს.

მმართველობის ფინანსური ორგანიზაციის საკითხები, გარდა
დაწესებულებებისა, შეიცავს აგრეთვე პიროვნული შემადგენლო-
ბის საკითხსაც. თავისთავად ცხადია, რომ ფინანსური უწყება არ
უნდა იგონებდეს თანამდებობებს, პიროვნებების მოსაწყობად,
ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სინეკურას, ყოველი სამსახურის აუ-
ცილებელ პირობად მიჩნეულ უნდა იქნეს ნაკლები პიროვნებებით
ბუერი საქმის წარმართვა. საჭირო არის სპეციალისტობის ცენში
და მომსახურე პერსონალთა მომზადება.

სალაროთა წყობილება

ბიუჯეტის აღსრულებას მოემსახურება სალარო. ბიუჯეტური სახსრების შეგროვება, დაცვა და გაცემა ხარჯების გასაწევად სადაც უნდა იყრიდეს თავს, საიდანაც თანდათანობით საჭიროების მიხედვით გაიცემა დანიშნულებისამებრ. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ სახელმწიფო ხაზინები ან ბანკები. საჭირო არის, რომ ცენტრალურმა ფინანსურმა მმართველობამ ყველა მომენტში იცოდეს მთელი მეურნეობის ფაქტობრივი მდგომარეობა, აუცილებელია თვალს ადევნებდეს ბიუჯეტური კანონების აღსრულებას შემოსავლისა და გასავლის დარგში. ამის მიღწევა შესაძლებელია სალაროების მოწყობით, ბუღალტერიით და კონტროლით.

სალაროს მიზანშეწონილი ორგანიზაცია მდგომარეობს საფინანსო სალაროს ცენტრალიზაციაში და პირებისა და დაწესებულებების დაყოფაში, რომელთაც უფლება ეძლევათ დამოუკიდებელი ხარჯები გასწიონ, იმ პირებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ინახავენ და გასცემენ ამ თანხებს.

შუა საუკუნეებში თითოეული გერიგორია ადგენდა თავის შემოსავალ-გასავალთა განწერას და თავისი სალარო ჰქონდა. თავისი შემოსავლებით ფარავდნენ ხარჯებს და თუ გადამეგებული სახსრები აღმოაჩნდებოდათ, მათ გზავნიდნენ ცენტრალურ სალაროში. ეს იყო კასის ღეცენტრალიზაციის პერიოდი. მას თავისი ნაკლი ჰქონდა, ამიტომ დროთა მსვლელობაში უპირატესობა მიიღო კასის ერთიანობის პრინციპმა. ეს მოხდა ფინანსების ცენტრალიზაციის პერიოდში.

კასის ერთიანობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო მეურნეობის ყველა შემოსავალი უნდა გროვდებოდეს და ინახებოდეს ერთ სალაროში და მას უნდა ემორჩილებოდეს ფინანსთა სამინისტროს ყველა თანამშრომელი. აქ გროვდება ყველა შემოსულობა და აქედან გაიცემა ყველა ხარჯი.

გარდა ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაში მყოფი კასებისა, ყველა სახელმწიფოში არსებობს აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების სპეციალური კასა, როგორც არის საფოსტო და სხვ.

სალაროს ერთიანობა თავიდან გვაცილებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ზოგიერთ სალაროში თავისუფალი თანხების ნაჭარბია, ზოგან თანხების დანაკლისი. სალაროს ერთიანობის არარ-

სებობის პირობებში თითოეულ უწყებას აქვს თავისი დამოუკიდებელი შესავალ-გასავლის სალარო.

სალაროები არის შესავლისა და გასავლის. შესავლის სალაროებში გროვდება შემოსულობა გადამხდელებისა და შემკრებელთაგან. მათი ამოცანა არის ამ თანხების დაცვა და თავისდროული გაცემა დანიშნულებისამებრ. გასავლის სალაროები არის ისეთი დაწესებულებები, რომლებიც გასცემენ თანხებს კრედიტების განმკარგულებელთა ასიგნების მიხედვით.

მთავარი გასავლის სალაროები განცალკევებული უნდა იქნეს შემოსავლის სალაროსაგან. წესიერად დაყენებულ ანგარიშწარმოების დროს ცენტრალურ დაწესებულებას შეუძლია მულამ თვალყური ადევნოს თუ რამდენი თავისუფალი თანხაა მოცემულ დროს ყველა სალაროში და რამდენად დამაკმაყოფილებელია სალაროს შემოსულობა და სხვ.

სალაროს ერთიანობის სისგემის დროს უფრო ადვილად ხდება იმის მიღწევა, რათა გამიჯნულ იქნეს თანხების დაცვა-შენახვა მისი გაცემის განკარგვისაგან. უწყებანი, რომელთაც განკარგვის უფლება აქვთ, ასიგნებას ახდენენ წვრილ სალაროებში, საიდანაც გაიცემა შესაბამისი თანხა. აქ ოპერაციები სრულდება შესაბამისად უფრო სწრაფად. უკანასკნელ დროს ბიუჯეტს საკასო მომსახურებას უწევს ხაზინა. სახაზინო სისგემა დიდ ხარჯებს მოითხოვს. საჭიროა მრავალ სალაროში ფულის დაცვა-შენახვა, გადაზიდვა-გადმოზიდვა, შენობები, აპარატი და სხვ. ბანკს ესენი ყველაფერი აწყობილი აქვს და შეუძლია ის შედარებით უფრო იაფად აწარმოოს. ბანკს განყოფილებები გამართული აქვს მთელ გერიტორიაზე და ადვილად შეუძლია ყველა ისინი მოამარაგოს ფულის გადაუგზავნელადაც. ამ სახსრებს, იმის ნაცვლად, რომ უქმად ეწყოს საკუჭნაოებში, საკრედიტო ოპერაციებში მოაქცევს. ამიგომ, თანამედროვე პირობებში, ბიუჯეტებს ხშირად მომსახურებას უწევენ ბანკები.

სახელმწიფო კონტროლი

შუა საუკუნეებში, როდესაც სახელმწიფო შემოსავალი ძირითადად შედგებოდა დომენების შემოსავლებისაგან, მეფეები დროდადრო შეამოწმებდნენ ხოლმე თავიანთ სალაროებს, რასაც შედარებით შინაურული ხასიათი ჰქონდა. შემდგომში, როდესაც საფინანსო მდგომარეობა გაფართოვდა, სახელმწიფოს სხვადასხვა

მრავალფეროვანი შემოსავალი გაუჩნდა, რომელთა გვირთი სხვადასხვა სიმძიმით დააწვა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, როდესაც უმარმაზარი სახელმწიფო ხარჯები სხვადასხვა ზომით იხარჯებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის. როდესაც გაიზარდა თანხები და გამრავალფეროვანდა შემოსავლის სახეები, აუცილებელი შეიქმნა სისტემატური კონტროლი და რევიზია.

სახელმწიფო კონტროლის ამოცანას შეადგენს: პირველი – საკასო კონტროლი, საკასო ბრუნვის შემოწმება – რამდენად სწორად შეესაბამება იგი ნუსხურ დანიშნულებებს. მეორე ამოცანას შეადგენს კონტროლი მმართველობის მიხედვით, აქ არსებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო მეურნეობის ყველა მხარე. კონტროლმა საერთოდ უნდა შეამოწმოს შემოსავალთა და გაწეულ ხარჯთა კანონზომიერება და მიზანშეწონილობა. სახელმწიფო კონტროლი ამოწმებს საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების ყველა მხარეს და დასკვნებს აკეთებს მათზე. სახელმწიფო კონტროლი ამოწმებს ფულადი თანხების მოძრაობას არა მარტო ფინანსთა სამინისტროს ხაზით, არამედ სხვა უწყებებისა და დაწესებულებების ფინანსურ საქმიანობაზედაც. ამიგომ საჭიროა ფინანსური კონტროლი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ექვემდებარებოდეს.

უფრო მიზანშეწონილია კონტროლის უმაღლეს დაწესებულებას კოლეგიალური ფორმა ქქონდეს. საკონტროლო ორგანიზაციის წევრები ერთმანეთისაგან დამოკიდებული არ უნდა იყენენ; ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილ უნდა იქნენ. სახელმწიფო კონტროლი მოხსენებას უკეთებს საკანონმდებლო ხელისუფლებას იმ წლის ფინანსური შედეგების შესახებ, რომელსაც რევიზია გაუწია და აცნობებს თავის კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას ფინანსთა მინისტრს. თუ შემჩნეულ იქნა ბიუჯეტში დაუდევრობა, უწესრიგობა, დამნაშავე პირებს დანაკლისს დაარიცხავენ.

არჩევენ სამგვარ კონტროლს: წინასწარს, მიმდინარეს და მომდევნოს. წინასწარი კონტროლი ამოწმებს ხაზინის ან ბანკის მიერ სახსრების გაცემას, რამდენად კანონიერია ეს გაცემა. და თუ აღმოჩნდება, რომ იგი კანონით გათვალისწინებული არ არის, უარი ეთქმის. ამიგომ ამ კონტროლს შეუძლია ბოროტმოქმედების თავიდან აცილება. მომდევნო კონტროლის დროს შემოწმება მაშინ ხდება, როდესაც ხარჯი უკვე გაწეულია. ამ შემთხვევაში უკანონოდ გახარჯული თანხის ამოღება ხდება დარიცხვით. წინასწარი კონტროლი მომსახურეთა დიდ რიცხვს მოითხოვს. კონტროლი უნდა იყოს დოკუმენტური და საჯარო.

თავი მეცამეტი

აღბილობრივი ფინანსები

1. აღბილობრივი ფინანსები როგორც ფინანსური მეცნიერების საბანი

აბსოლუტიზმის გადასვლამ კონსტიტუციურ მართვაზე მოითხოვა ბიუჯეტის განხილვა, დამტკიცება და კონტროლი, რაც ფინანსური მეცნიერების შესწავლის საკითხების სფეროში შევიდა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსისტიკების დიდი ნაწილი არ შემოფარგლავდა ფინანსური მეცნიერების საგანს სახელმწიფოებში მეურნეობის საკითხებით და მასში შექონდა საჯარო კორპორაციების, თემების, ოლქების, პროვინციების და მოკავშირე სახელმწიფოების მეურნეობანი. მაგალითად, ავსტრიელი ფინანსისტი ეომეუ რეში წერდა: „ფინანსური მეცნიერება არის მოძღვრება საჯარო მეურნეობის შესახებ. მასში გულისხმობენ არა მარტო სახელმწიფო შემოსავლებს, სახელმწიფო ხარჯებს, სახელმწიფო ვალს და სხვ., არამედ აგრეთვე დანარჩენი პოლიტიკური კოლექტივების – თემების, რაიონების და ქვეყნის ბიუჯეტებსაც, მათი მმარდი პოლიტიკური და მეურნეობრივი მნიშვნელობის გამო“.

ფინანსური მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა იმ პრინციპების გამოვლენა და იმის სისტემატური გადმოცემა, თუ საჯარო კორპორაციები როგორ მოიპოვებენ აუცილებელ სახსრებს და როგორ ხარჯავენ მათ.

მეურნეობრივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია როგორც ერთპიროვნულ, ისე კოლექტივებში გაერთიანებულ ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, შეიცავს ორ მხარეს: დოვლათთა მოპოვებასა და მათ გამოყენებას. დამხარჯველმა ფული ან უნდა გამოიმუშავოს, ან საჩუქრად მიიღოს, ან სხვას წაართვას, ან ისესხოს, ან კიდევ ფლობდეს ქონებას. იგივე შეეხება სახელმწიფოს, თემებს, ქვეყნებს, ისევე, როგორც ყველა მეურნე სუბიექტს. ცალკეულ პირთა ძირითადი ყურადღება მიმართულია დოვლათის შექენაზე, სარეწაო მეურნეობაზე, კოლექტივებში კი პირიქით – დოვლათთა დახარჯვაზე, სამომხმარებლო მეურნეობაზე¹

¹ Josef Resch. Grundzüge der Finanzwissenschaft und der Österreichische Abgabe. 1934, p. 7-8.

რეში ცდილობდა საზღვარი გაეელო სახალხო მეურნეობის თეორიასა და ფინანსურ მეცნიერებას შორის. სახალხო მეურნეობის თეორია, მისი აზრით, სწავლობს მხოლოდ სარეწაო მეურნეობას, ხოლო ფინანსური მეურნეობა იკვლევს საჯარო მეურნეობას და ამიტომ ეხება სამომხმარებლო დოვლათთა მნიშვნელოვან მასას.

ფინანსური მეცნიერების ამგვარ ფართო გაგებას ემხრობოდნენ: ი. კონრადი, ვალტერ ლოტცი, ვ. გერლოფი და სხვ.²

ადგილობრივ ფინანსებს ეკუთვნის ფინანსები თემების, ოლქების, საგრაფოების, ოკრუგების, ქალაქების, რაიონებისა და სხვ. ადგილობრივ ფინანსებს ეკუთვნის აგრეთვე ფედერაციის წევრთა ფინანსები – შტატების, ქვეყნების, პროვინციებისა და კანტონებისა.

თემები უფრო აღრინდელი საზოგადოებრივი არსებობის ფორმაა, ვიდრე სახელმწიფო. ისინი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციისათვის შესაფერი ფორმით არსებობდნენ როგორც ადგილობრივი მმართველობის აპარატი. დღეს ყველა სახელმწიფოში არსებობენ სხვადასხვა სახის კავშირი და მათი მეურნეობანი, რომლებიც სწრაფად იზრდებიან და თავიანთ საქმიანობათა მრავალმხრივობით ხასიათდებიან. მათ დაეკისრა მრავალი ფუნქცია, ისეთიც კი როგორიც არის პოლიცია, სასამართლო და სხვ. მიუხედავად ყოველივე ამისა ადგილობრივი ფინანსების საკითხების შესწავლა დაიწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ადგილობრივი ფინანსების საკითხები გერმანიაში თავის შრომებში წამოაყენეს ფაუშერმა³ და რუდოლფ გნეისგმა⁴. უაჟენბახმა⁵ პირველმა დააყენა საკითხი გაფართოებულიყო ფინანსური მეცნიერების საგანი ადგილობრივი ფინანსებით და თავისი ფინანსური მეცნიერების კურსში შეიტანა ადგილობრივი ფინანსები. შემდეგ ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს მას ად. ვაგნერმა⁶, ლორენც ფონ შტეინმა⁷ და

² Konrad. Grundriss zum Studium der politischen Oekonomie. III. Th. Finanzwissenschaft. 1913, p. 2; W. Lotz. Finanzwissenschaft. Tübingen, 1920-1931, p. 1-4; W. Gerloff. Wesen und der Finanzwissenschaft. Handbuch der Finanzwissenschaft. 1952, Erster B.p. 11.

³ Vaucher. Vierteljahrschrift für Volkswirtschaft. მისივე, Staats- und Gemeindebudgets.

⁴ Gneist. Geschichte und heutige Gestalt englischen Kommunalverfassung der Selfgouverment. 1963.

⁵ Umpfenbach. Lehrbuch der Finanzwissenschaft. 1860.

⁶ A. Vagner. Communalsteuerfrage. 1877.

⁷ Lorenz Stein. Lehrbuch der Finanzwissenschaft. 1885.

სხვ. მათი ამრით, ფინანსური მეცნიერების საგანი მოიცავს ადგილობრივ ფინანსებსაც.

ადგილობრივი ფინანსები მჭიდროდ დამოკიდებულებაშია ადგილობრივი კავშირის, გაერთიანების გვარუობასთან, სხვანაირად, იმასთან, თუ რას წარმოადგენს ეს კავშირი – ერობას, მრევლს, სოფლის საზოგადოებას თუ ქალაქს. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული გააჩნია, რაც ერთგვარად აპირობებს მათი ფინანსების ხასიათს.

ინგლისში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია მრევლი, კავშირი, ოლქი, საგრაფო, ქალაქი და სპეციალური მიზნით შექმნილი კავშირი. იქ ადგილობრივი ორგანოები სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოებიცაა; თანდათან იზრდება მათი დამოკიდებულება ცენტრალური მმართველობისადმი. ეს უკანასკნელი ნიშნავს ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს. ადგილობრივი ორგანოები ასრულებენ ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებსაც, ინახავენ პოლიციას, სასამართლოს და სამხედრო თავდაცვასაც ეწევიან.

საზოგადოებრივი მმართველობის არჩევით ორგანოებს მიცემული აქვთ შეზღუდული უფლებები და მათ საქმიანობას ზედამხედველობას და კონტროლს უწევს ცენტრალური ხელისუფლების აგენტები – სასამართლოები.

საფრანგეთში ქვეყანა დაყოფილია დეპარტამენტებად და თემებად. ადგილობრივი მმართველობა ცენტრალიზებულია, იმყოფება ცენტრალური ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ, თემებს და დიდ ქალაქებს თავისთავადური ბიუჯეტები აქვთ, ოლქებსა და კანტონებს არა აქვთ. დეპარტამენტში ბიუჯეტს ადგენს მთავრობის მოხელე, ამგვიცებს მთავრობა.

ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას ზედამხედველობასა და კონტროლს უწევენ პრეფექტები.

გერმანიაში ადგილობრივი ორგანოებია სოფლისა და ქალაქის თემები, აგრეთვე შუალედური ორგანოები სახელმწიფოსა და თემებს შორის, პროვინციები და ოლქები. ქალაქებს განაგებენ ბურგომისტრები და არჩევითი მმართველობა – მაგისტრანტი. იგი აღმასრულებელი ორგანოა.

ადგილობრივი ფინანსების მთავარ რგოლს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. მასში ასახულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხარჯები და შემოსავლები. ესენი არიან მმარ-

თველობის პერიოდების ორგანოების – შტატების, ქვეყნების, პროვინციების ბიუჯეტები, რომელთა მოქმედება ერცელდება აღმინისტრაციული ერთეულის მთელ ტერიტორიაზე. უკანასკნელ ხანებში ადგილობრივი ბიუჯეტების ხვედრი წილი ძალიან გაიზარდა – აშშ-ში შეადგენს 18%, იაპონიაში – 21%.

ადგილობრივი ფინანსების ერთ-ერთ რგოლს შეადგენს სპეციალური ფონდები. ამ ფონდებს აქვთ მიზნობრივი დანიშნულება. რომელიც გამოყოფილია ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. ამ ფონდებით ეწევიან, მაგალითად, სასესხო ოპერაციებს, ფარავენ დროებით საკასო გარღვევებს და სხვ.

მოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, ფინანსური სისტემის ერთ-ერთ რგოლს შემოერთებული ბიუჯეტებიც წარმოადგენდა. იგი გააჩნდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სარგებლობენ ფინანსური ავტონომიით, მაგრამ არ გააჩნიათ იურიდიული პირის უფლებები.

ადგილობრივი ფინანსების დამოუკიდებელი რგოლია ადგილობრივი საწარმოების ფინანსები. ადგილობრივ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან კომუნალური საწარმოები, გაზის, ენერჯის, წყალმომარაგების, საგრანსპორტო, საგზაო და საბინაო მეურნეობანი. ადგილობრივი საწარმოები მოემსახურებიან მოსახლეობას.

„ადგილობრივი საწარმოები ფუნქციონირებენ თვითანამდარების პრინციპით: ადგილობრივ ბიუჯეტებში აისახება მხოლოდ მარალი მათი საქმიანობისა (როდესაც საწარმოს შემოსაელები ვერ ფარავენ მათ ხარჯებს), ან მოგება (თუ შემოსაელები მოცემულ საფინანსო წელს მეგია ხარჯებზე). მოგიერთ სახელმწიფოებში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსაელები შეიცავენ ადგილობრივ საწარმოთა მთლიან შემოსაელებს, ხოლო ხარჯები – დანახარჯებს მიმდინარე საქმიანობაზე. ადგილობრივი დანიშნულების საწარმოთა მშენებლობის კაპიტალური ხარჯები, როგორც წესი, ფინანსდება, სესხების ანგარიშით, რომელსაც ავრცელებენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები“⁸.

ადგილობრივი ფინანსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეძლევათ სუბვენციები და სუბსიდიები კაპიტალური დაბანდებისათვის და მიწის ნაკვეთების მოსამზადებლად სამრეწველო მშენებლობისათვის.

⁸ Финансы капиталистических государств, под. ред. Б. Г. Болдырева. 1985, с. 178.

2. სახელმწიფოს ადგილობრივი ორბანობის

მმართველობის ხარჯები

ადგილობრივი ბიუჯეტები ეწევიან ხარჯებს ეკონომიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, ასეთია წყლით მომარაგება, გამით მომარაგება, ადგილობრივი ტრანსპორტი, სკოლების მშენებლობა და სააუადმყოფოები. ადგილობრივი ბიუჯეტები აფინანსებენ ქალაქების რეკონსტრუქციას, კეთილმოწყობას, კომუნალურ და ბინათმშენებლობას. ადგილობრივი ბიუჯეტით არის გათვალისწინებული ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების შენახვა.

ასეთი ხარჯები არის მიმდინარე – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთრების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მეორე ვახლავთ კაპიტალური ხარჯები, ეს არის – ინვესტიცია, კავშირგაბმულობის, საბინაო მშენებლობის და სხვ. ხარჯები.

დიდ თანხებს გაიღებენ ადგილობრივი ბიუჯეტები საგზაო-სატრანსპორტო საჭიროებაზე და კომუნალურ მშენებლობაზე. ხარჯების გარკვეულ მხარეს წარმოადგენს საბინაო მშენებლობა და საბინაო ფონდის რეკონსტრუქცია.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მონაწილეობენ სასკოლო და პროფესიონალური განათლების ხარჯებში. ადგილობრივი ორგანოები აფინანსებენ აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც არის მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სანახაობითი და სპორტული დაწესებულებები.

ადგილობრივ ბიუჯეტებში დიდი ხვედრი წონა აქვს აგრეთვე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს. ეს ხარჯები არის პროფილაქტიკური, ეპიდემიების საწინააღმდეგო სანიტარული ზედამხედველობის, სტაციონარული დაწესებულებების, დედათა დაცვის, სასმელი წყლის მოვლისა და სხვ.

ადგილობრივი ორგანოები არეგულირებენ აგრეთვე ფასებს კომუნალურ მომსახურებაზე.

ცალკე დარგს წარმოადგენს ადგილობრივ ბიუჯეტში ადმინისტრაციულ-პოლიციური აპარატის შენახვის ხარჯები. ადგილობრივი ბიუჯეტები ითვალისწინებენ აგრეთვე სამოქალაქო თავდაცვის ხარჯებს.

3. მმართველობის ადგილობრივი

ობიანობის შემოსავლები

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, რომლითაც ისინი ფარავენ თავიანთ ხარჯებს, არის: გადასახადები, არაგადასახადური შემოსავლები, სუბსიდიები, დოტაციები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადგილობრივი სესხები.

ადგილობრივი გადასახადები განსხვავდებიან სახელმწიფო გადასახადებისაგან, ისინი არ ითვალისწინებენ გადამხდელუნარიანობას და არ აწესებენ დაუბეგრავ მინიმუმს. არ ითვალისწინებს აგრეთვე არც პროგრესიას. არ ბეგრავენ გამოუყენებელ საკუთრებას.

როგორ არის ამ მხრივ მდგომარეობა ინგლისში? პროფ. ომეროვის გადმოცემით, აქ მთავარი ადგილობრივი გადასახადი იყო გადასახადი ღარიბთათვის. ყველა სხვა გადასახადი იურიდიულად ან, ფაქტობრივად შეუერთდა მას. გადასახადით ღარიბთა სასარგებლოდ, ბეგრავდნენ მოსახლეობას ე.წ. „უნარიანობის“ მიხედვით. საკუთრება როგორც ამ „უნარიანობის“ მაჩვენებელი, უნდა ყოფილიყო ხილული. ამ გადასახადით იბეგრებოდა მიწები, შენობები, ტყეები, სამრეწველო და სავაჭრო მარაგი. არ იბეგრებოდა ავეჯი, საოჯახო ჭურჭლეულობა, არც ფულადი კაპიტალი, რადგან ის არ ითვლებოდა ხილულად, არც მიწის რენტა, არც თანამდებობიდან მიღებული შემოსავალი, პენსიები, საშოვარი მიღებული ფიზიკური ან გონებრივი მუშაობით⁹. დაბეგრვის სუბიექტი იყო არა ქონების მესაკუთრე, არამედ ის ვინც სარგებლობდა ამ ქონებით. მაგალითად სახლის, მიწის დამქირავებელი, მოიჯარე; ხანდახან მესაკუთრეც, თუ ქონება, სახლი ან მიწა მრავალი ნაწილისაგან შედგებოდა.

ღროთა ვითარებაში ღარიბთათვის გადასახადებს უკეთებდნენ წამატებებს და ახალი ადგილობრივი გადასახადებიც შემოქონდათ დასაბეგრ გადასახადთა სიაში. დასასრულ, ადგილობრივი სავადასახადო სისტემა ისე გართულდა, რომ საჭირო გახდა მისი კანონმდებლობის გზით მოწესრიგება. ეს შეასრულა 1925 წლის კანონმა, ამ კანონს პრინციპულად არ შეუყვლია ადგილობრივ გადასახადთა სისტემა. მან გააერთიანა მანამდე არსებული ადგილობრივი გადასახა-

⁹ И. Х. Озеров. Основы финансовой науки. Вып. 11, 1910, с. 117.

დები მთელი ქვეყნისათვის ერთიან გადასახადად და დააწესა მათი გამოანგარიშებისა და გადახდევინების ერთიანი წესი.

თანამედროვე საგადასახადო დაბეგვრაში ცენტრალური მმართველობის დაბეგვრა აჭარბებს ადგილობრივს. ასე მაგალითად, ბ. ბოგოლეპოვის მიერ მოგანილი ცნობებით აშშ ფედერალურ ბიუჯეტში ირიცხება 705-ზე მეტი, ადგილობრივში მხოლოდ 30; ინგლისში ადგილობრივ ბიუჯეტში საერთო საგადასახადო შემოსულობის 1/10-მდეა¹⁰.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ბიუჯეტებს აქვთ აგრეთვე არაგადასახადური შემოსაულები, რომლებსაც ლებულობენ ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის საკუთრებიდან. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალს ეკუთვნის გრანსფერები, სუბსიდიები ცენტრალური ბიუჯეტებიდან. შემოსავალს ლებულობენ სესხის სახითაც.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს საგადასახადო ინიციატივის უფლება არა აქვთ.

ადგილობრივ გადასახადთა ერთ ჯგუფს შეადგენს ადგილობრივი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები.

ადგილობრივ პირდაპირ გადასახადებს ეკუთვნის ქონების გადასახადები, სარეწაო, მიწის გადასახადები და ავტომობილების გადასახადები. პირდაპირი ქონებისა და სარეწაო გადასახადის ობიექტს შეადგენს უძრავი საკუთრება – მიწა, სახლი, სამრეწველო და კომუნალური საწარმო, სავაჭრო ორგანიზაციები. გადასახადის სუბიექტად გვევლინებიან დამქირავებელნი და მოიჯარენი. გადასახადი გამოიანგარიშება დასაბეგრი ქონების ღირებულების ნების შეფასების წესის მიხედვით.

ადგილობრივი გადასახადების ცალკე ჯგუფს შეადგენს გადასახადები, რომლებსაც ახდენიებენ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებზე წანამატების ან მათგან ანარიცხების სახით. ეს გადასახადები გადახდებათ პროცენტული წამატებით.

მოგიერთ სახელმწიფოში ადგილობრივ ბიუჯეტებში ირიცხება მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადები. ადგილობრივ გადასახადების ჯგუფს ეკუთვნის გადასახადები სანახაობის, ძალე-

¹⁰ Б. Г. Болдырев. Финансы капиталистических государств. Вып. 11, 1985, с. 180.

ბის, ეაჭრობითი საქმიანობის, საგრანსპორტო საშუალებების, ლიცენზიების და სხვ.

ადგილობრივი ბიუჯეტი იკვებება აგრეთვე სხვა არაგადასახადური შემოსავლებით. ასეთებია მემდგომი ბიუჯეტიდან მიღებული გრანსფერები, შემოსავლები მიღებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთრებიდან, იჯარიდან, გაყიდვიდან (ადგილების და გყის ნაკვეთების), აუზებიდან და წყალსატყეუბიდან, კომუნალური საწარმოებიდან, მისაგებლებიდან, ჯარიმებიდან და სხვ.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სუბსიდიები. სუბსიდია არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გადასაწილება ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ. ფედერაციულ სახელმწიფოებში ადგილობრივ ბიუჯეტებს სუბსიდიებს აძლევს ან ფედერალური მთავრობა, ან ფედერაციის წევრი. ადგილობრივი ბიუჯეტი მას იყენებს ეკონომიკური და სოციალური პროგრამის განსახორციელებლად. სუბსიდიების არსებობით ცენტრალური მთავრობა ერთგვარ გაელენას ასდენს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მიცემულ სუბსიდიას სხვანაირად, საერთო დანიშნულების დოტაცია ეწოდება. ეს ერთგვარ უფლებას აძლევს ადგილობრივ მმართველობას თავისუფლად გამოიყენოს სახსრები.

მიზნობრივად დანიშნულ სუბსიდიებს, სხვანაირად, სუბვენციები ეწოდება: ესენი გამოიყენება გარკვეული პროგრამის დასაფინანსებლად, რომელთაც ახორციელებს მმართველობას ადგილობრივი ორგანო ან საკუთარი ინიციატივით, ან ცენტრალური მთავრობის მითითებით. სუბსიდიები არის კაპიტალური და მიმდინარე. კაპიტალური სუბსიდიები ზოგიერთ სახელმწიფოებში საკმარისად დიდია, ასე მაგალითად, იაპონიაში ის შეადგენს 30%, აშშ – 40%¹¹.

ამგვარად, სუბსიდიებით მყარდება მკიდრო კავშირი ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის და პირველის გაელენა უკანასკნელზე.

ადგილობრივი ბიუჯეტების ხშირი დეფიციტიანობა აიძულებს მათ შემოსავლის წყაროდ გამოიყენონ სესხებიც, რაც მკვეთრად

¹¹ Б. Г. Балдырев. Финансы капиталистических государств. Вып. 11, 1985, с. 185.

ზრდის მათ დაეალიანებას. სესხები მათ ეძლევათ კაპიტალური დაბანდებებისათვის. კაპიტალური დანახარჯების ნახევარზე მეტი იფარება სესხებით. სესხის გამოშვებით იფარება ინფრასტრუქტურის ხარჯები. ადგილობრივი კრედიტი გამოყენებულია აგრეთვე მარეგულირებელი ღონიძიებებისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივ ორგანოებს კრედიტს აწვდიან სპეციალური სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. სესხის გამოცემის უფლება აქვთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფრო მსხვილ ერთეულებს: საგრაფოებს, ოკრუგებს, პროვინციებს.

ადგილობრივი სესხის ობლიგაციები უერთდება ცენტრალური მთავრობის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს და მიმოიქცევა ფულის ბაზარზე. ადგილობრივი სესხები არის გრძელვადიანი და სამუალო ვადიანიც.

გავრცელებულია გრძელვადიანი ადგილობრივი სესხები გირავნობითი ფურცლების და მუნიციპალური ობლიგაციური სესხების სახით. მათი ხანგრძლივობა უდრის 10-15 წელიწადს, არსებობს აგრეთვე მოკლევადიანი სესხები ბონების სახით, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთიდან ოთხ წლამდე.

ადგილობრივი სესხების ობლიგაციებზე წინათ უფრო მაღალი პროცენტი იყო დაწესებული, მაგრამ უკანასკნელ წლებში ხშირი დეფიციტურობის გამო, მასზე უფრო დაბალი პროცენტი წესდება, ვიდრე სახელმწიფო ობლიგაციებზე. ადგილობრივმა ორგანოებმა სესხის გამოშვება უნდა შეუთანხმონ ცენტრალურ ბანკს.

მოკლევადიან სესხებზე პროცენტებს იხდიან ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლიდან.

ბოლდირევის აზრით, პროცენტებს იხდიან მომხმარებლებიც, როდესაც აღებულია გრძელვადიანი სესხები კომუნალურ საწარმოთა მშენებლობისათვის. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები პროცენტებს რთავენ პროდუქციის, ან იმ საწარმოს მომსახურების ფასში, რომლის მშენებლობაზედაც სესხია გამოშვებული¹². ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით სესხების კონსოლიდაცია და კონვერსია.

¹² Б. Г. Болдырев. Финансы капиталистических государств. Вып. 11, 1985, с. 192.

ადგილობრივი ფინანსების თეორია

1. თემის ბუნებრივი სამართლის თეორია

თემის ბუნებრივი სამართლის თეორია პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში ბურჟუაზიულ რევოლუციამდე. მე-18 საუკუნის ნახევრიდან იწყება საფრანგეთში სახელმწიფოს კრიტიკარუსოს მეთაურობით, რომელიც ქადაგებდა ბუნებრივ-სამართლებრივ ინდივიდუალიზმს. იმ ხანად სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი შეხედულება თვითმმართველობაში გულისხმობდა თემის თავისთავადურ მეურნეობას.

ფეოდალიზმის დროს სახელმწიფოებრივი მმართველობა თავმოყრილი იყო მონარქისა და მისი მოხელეების ხელში. ბურჟუაზიის მისწრაფება გამოეგლიჯა ფეოდალთა ხელიდან მმართველობა, გამოიხატა საზოგადოებრივი თვითმმართველობის დაპირისპირებაში სახელმწიფოებრივი მმართველობისადმი. ამისათვის გამოყენებულ იქნა თემის ბუნებრივი სამართლის თეორია. მკვლევრები ბუნებრივ სამართალს თელიდნენ სამართლიან სამართლად, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობდა და წარმოშობილი იყო ადამიანის ბუნებიდან.

ფრანგული ლიბერატურის, განსაკუთრებით ვოლტერის გავლენით, გაბატონებულმა კლასმა შეითვისა სკეპტიკური შეხედულებები სახელმწიფო ეკლესიის წინააღმდეგ.

დავით იუმი, რომელიც თავისი პოლიტიკური შეხედულებებით გორის პარტიის მომხრე იყო და ყოველგვარ დემოკრატიულ მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა, ამ დროიდან იწყებს სკეპტიკურ აზროვნებას.

რუსომ თავის ლოგიკურ დასკვნებამდე განავითარა ბუნებრივ-სამართლებრივი შეხედულება სახელმწიფოზე, რომელიც მოწონებული იყო ლოკის მიერ.

ფიზიოკრატები (*ტიურგო*) ქადაგებდნენ ეკონომიკურ თავისუფლებას, რაც გამოხატულია ცნობილი ფორმულით *laisser-faire*. ისინი ამტკიცებდნენ იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფოს უნდა გაეთავისუფლებია ინდივიდუუმის ეკონომიკური ძალები, რომლებიც აქამდე შებოჭილი იყვნენ.

საფრანგეთის ბურჟუაზია ბუნებრივი სამართლით ასაბუთებდა თავისუფლებას, თანასწორობას, საკუთრებას, ამით ასაბუთებდა ის ფეოდალური ურთიერთობის უარყოფას და თავისუფალ ვაჭრობას.

ეკონომიკური თავისუფლების იდეის განვითარებას ხელი შეუწყო ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლამ, კერძოდ, ა. სმიტმა. ის მოითხოვდა სახელმწიფოს შესახებ გაბატონებული შეხედულების შეცვლას.

ინგლისის სახელმწიფოებრივი მმართველობის რეფორმის მომხრედ გამოვიდა ფილოსოფიის რადიკალთა ჯგუფი: ერემია ბენტამი, ჯემს მილი, ჯონ სტიუარტ მილი, დავით რიკარდო და სხვ.

ბენტამმა დაასაბუთა დემოკრატიის აუცილებლობა, რომლის თანახმად უმაღლესი ხელისუფლება უნდა გადავიდეს საზოგადოების წარმომადგენელთა ხელში.

ბენტამის კრიტიკა შეეხო არისტოკრატიულ პარლამენტულ ხელისუფლებას და ცნობილ „Selfgovernment“-ის და ღარიბთა მმართველობის პრობლემას. ის არის იძულებითი შრომის პრინციპის დამცველი პირველი თეორეტიკოსი, რაც პრაქტიკაში ღარიბთა მმართველობაში ვლინდებოდა. მისი აზრით, საზოგადოებრივ ხარჯზე უნდა შენახულიყვნენ მხოლოდ არაშრომისუნარიანნი, ისიც სამუშაო სახლებში მოთავსებით.

იგი ლოგიკურად ერთმანეთისაგან ასხვავებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას და ცენტრალიზაციის იდეის მომხრედ გამოდის. მან წამომადგენლობითი დემოკრატიზაციის იდეა ადგილობრივ ორგანოებზედაც გაავრცელა.

ჯონ სტიუარტ მილმა თავის შრომებში განსაკუთრებით „წარმომადგენლობით მმართველობაში“¹³, დაასაბუთა ლიბერალური პარტიის რეფორმები. მისი დებულებები სახელმძღვანელოდ იქცა ინგლისის დემოკრატიისათვის.

მილმა დააყენა ძირითადი საკითხი – სად არის საზღვარი ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას შორის. ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ რაგინდ არ გააფართოვო ფარგლები ადგილობრივი მმართველობისა, მაინც რჩება ცენტრალურ ხელისუფლებას ბევრი უფლებამოსილება, რომელიც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ორგანოების მიერ.

მისი აზრით, მმართველობა უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობითი პრინციპით, ადგილობრივი პარლამენტების საშუა-

¹³ J. S. Mill. Representative Government. 1861.

ლებით. ადგილობრივ მმართველობაზედაც უნდა გავრცელდეს საყოველთაო საარჩევნო უფლება. ყოველ ადგილობრივ ერთეულს უნდა ჰყავდეს თავისთავადურად არჩეული ორგანო. მაგრამ ეს ადმინისტრაციული კორპორაციები თვითონ კი არ უნდა ასრულებდნენ მმართველობის სამუშაოებს, არამედ დაქირავებული პირები. ისინი, როგორც პარლამენტი, მიმართულებას უნდა აძლევდნენ და კონტროლს უწევდნენ მათ. ადგილობრივ ორგანოებს დაქვემდებარებული თანამდებობრივი პირები, ისევე უნდა ინიშნებოდნენ როგორც ცენტრალური ხელისუფლების თანამდებობრივი პირები.

თემის ბუნებრივი სამართლის თეორია გამოყენებულ იქნა ბელგიაში მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, გერმანიაში მე-19 საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის ცენტრალიზმის წინააღმდეგ.

2. თავისუფალი თემის თეორია

თავისუფალი თემის თეორია წარმოიშვა გერმანიაში. ეს თეორია თემს ცნობს იმგვარ გაერთიანებად, რომელიც სახელმწიფოზე ადრე წარმოიშვა. ამასთანავე, თემი სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელია. თავისუფალი თემის თეორიამ ჩამოაყალიბა დეცენტრალიზმის მწყობრი სისტემა და დაუპირისპირა ფეოდალური თუ ნახევრად ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალიზმს; თვითმმართველობა დაუპირისპირა ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს. ეს თეორია თემის საქმეებს ყოფდა ორად: საკუთარ საქმეებად და სახელმწიფოს მიერ მინდობილ საქმეებად. მაგრამ დიდი გარკვეულობა მაინც ვერ შეიგანეს ამ საკითხში – რა ითვლებოდა თემის საკუთარ საქმეებად და რა სახელმწიფოსაგან მინდობილ საქმეებად. თემი ამით ერთგვარად ღებულობდა ავტონომიას, ადგილობრივი მმართველობის ზოგიერთ საკითხში, ძირითადად, მეურნეობრივ საკითხში.

3. მიუხრანობრივი თვითმმართველობის თეორია

ამ თეორიის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა განაგებდეს ადგილობრივი ხასიათის სამეურნეო საქმეებს. სახელმწიფო საქმეებს უნდა განაგებდეს სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ბურჟუაზიის ხელშია. სახელმწიფოს განიხილავდნენ

როგორც რთულ ორგანიზმს, რომლის გარკვეულ ნაწილებს შეადგენდნენ ადგილობრივი ორგანოები. ამ უკანასკნელთ თავიანთი საკუთარი ორგანული ინტერესები აქვთ, რომლებშიც არ უნდა ჩაერიოს ცენტრალური ხელისუფლება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული თეორია

ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიები შეიქმნა მე-19 საუკუნის შუა წლებში; ისინი ამტკიცებდნენ, რომ თვითმმართველობის ორგანოები იგივე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებია. თვითმმართველობის ორგანოებს არაერთი თვითმყოფადობა არა აქვს, მათ მთლიანად აწესრიგებს სახელმწიფო ხელისუფლება.

ეს თეორია ბიუროკრატიული ცენტრალიზაციის გაფართოების მიზნით აიგივებს ადგილობრივ თვითმმართველობას სახელმწიფოს მმართველობასთან.

გერმანიის „სოციალური პოლიტიკის კავშირი“ ამ თეორიის მომხრე იყო. ამ თეორიას იზიარებენ *ადოლფ ვაგნერი* და *ლორენც ფონ შტეინი*.

ეს თეორია განავეითარა *გნეისტმა*, რომელმაც ჩამოაყალიბა „Selfgovernment“-ის მთლიანი თეორია და აქედან გამოიყვანა „თვითმმართველობის“ როგორც საერთო-სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პოსტულატის საერთო თეორია¹⁴. გნეისტმა თავის შრომებში¹⁵ მოგვცა „Selfgovernment“-ის შემდეგი განმარტება: „ოლქებისა და თემების შინაგანი მმართველობა ქვეყნის კანონების მიხედვით პირად საპატიო თანამდებობათა საშუალებით და კომუნალური და საადგილმამულო გადასახადებიდან შეგროვებული სახსრებით ხორციელდება“¹⁶.

ეს „Selfgovernment“, გნეისტის მიხედვით, არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისტემა; ეს არის სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება, რაც დავალებული აქვს კომუნალურ კავშირებს. ადგილობრივ ორგანოებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ახასიათებს ის, რომ მათ ხელშია მომრიგებელი სასამართ-

¹⁴ Н. Редлих. Английское местное самоуправление т. II, 1908, с. 345.

¹⁵ R. Gneist. Selfgovernment. 1871. Englische Verfassungsgeschichte. 1882 და სხვ.

¹⁶ იქვე, გვ. 882.

ლოები და პოლიცია. ადგილობრივი მმართველობა ითვლება სახელმწიფოებრივი მმართველობის დანამატად. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ეს იცვლება ინგლისის განვითარებასთან ერთად, „Selfgovernment“-ის გვერდით გამოდის მეურნეობრივი თვითმმართველობა.

თვითმმართველობის იურიდიული თეორია გულისხმობს თემის თავისთავადურ მმართველობას, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული ინტერესები. იურიდიული თეორიის მიხედვით თვითმმართველობის განსაკუთრებული თვისება საჯარო იურიდიული პირის უფლებებშია. იურიდიული პირის უფლება ჩვეულებრივად შეადგენს საშუალებას განკუთვნილი ქონების განკარგვისა. დაწესებულება, როგორც იურიდიული პირი, სარგებლობს მეურნეობრივი თავისთავადობით. ეს ქმნის დეცენტრალიზაციის მაგერიალურ საფუძველს.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის

პოლიტიკური თეორია

თვითმმართველობის პოლიტიკური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელია გნეისტი. ეს თეორია უფრო მეტად გამოხატავს თავადაზნაურთა იდეოლოგიას, რომელიც ცდილობდა ადგილებზე მაინც შეენარჩუნებინა ხელისუფლება, რომელიც ცენტრში დაკარგა. ამ თეორიის თანახმად ადგილობრივ თვითმმართველობაში სახელმწიფოს ადგილობრივ ორგანოებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. ესენი არიან საპატრიო პირები, რომლებიც უსაზღაუროდ ასრულებენ მოვალეობას. ეს თეორია შეესაბამება ინგლისელ ლენდლორდთა და გერმანელ იუნკერთა ინტერესებს.

ო. მაიერის აზრით, თვითმმართველობაში თანამდებობრივ ფუნქციებს ასრულებენ როგორც არაპირითადად, დამატებით.

რუსეთში 1900-იანი წლებიდან განვითარდა თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია, რომელიც ემსახურებოდა მიწათმფლობელებსა და ბურჟუაზიას.

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური თეორიის წარმომადგენლად რუსეთში 1870-იან წლებში გამოდის პროფე-

სორი ბეზობრაზოვი¹⁷, რომელიც ამტკიცებდა, რომ საერობო მმართველობა ისეთივე სახელმწიფოებრივი მმართველობაა, როგორც ბიუროკრატიული პირადი მმართველობა. ესენი ერთი და იმავე ხელისუფლების სხვადასხვა ფორმაა. ბეზობრაზოვი და სხვა რეაქციონერი პუბლიცისტები მოითხოვდნენ რეფორმებს, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობა უფრო მეტ შესაბამისობაში უნდა მოეყვანა ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ მმართველობასთან.

ვასილჩიკოვისა და ბეზობრაზოვის შრომების გამოყენებით დაწერა შრომა ვიგტემ¹⁸. იგი დგას თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური თეორიის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით არის განხილული ეს საკითხი მის შრომაში, რომელიც წარმოადგენს ლექციების კონსპექტს, სადაც ადგილობრივ ფინანსებს და ადგილობრივ თვითმმართველობას დათმობილი აქვს ორი ლექცია¹⁹.

6. ბაცვლის ანუ ურთიერთმომსახურების თეორია

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში ადგილობრივი დაბეგერის პრინციპის საკითხში ფაუშერმა თავის შრომებში წამოაყენა გაცვლის თეორია²⁰. იგი იყო ფრიტგრედერების მომხრე. მისი აზრით, ადგილობრივი კავშირები ყიდიან თავიანთ მომსახურებას, რაშიც ღებულობენ განსაზღვრულ გასამრჯელოს. ის, როგორც თავისუფალი ვაჭრობის მომხრე, ფიქრობდა, რომ მომსახურებისა და გასამრჯელოს შორის თანაბრობა ხორციელდება თავისუფალი გაცვლის პირობებში. ვაჭართა და მრეწველთა ჯგუფები უპირისპირდებოდნენ ფედერალურ სახელმწიფოს და მოითხოვდნენ ადგილობრივი კავშირების უფლებებისა და მათ განკარგულებაში მყოფი სახსრების გაფართოებას.

ურთიერთმომსახურების თეორიის მიხედვით ადგილობრივი ფინანსების სისტემა უნდა ემყარებოდეს ურთიერთმომსახურების პრინციპს, ხოლო სახელმწიფო მეურნეობა – გადამხდელუ-

¹⁷ Проф. И. Безобразов. Земские учреждения и самоуправление (მოთავსებულია ჟურნ. «Русский вестник»).

¹⁸ С. Ю. Витте. Самодержавие и земство.

¹⁹ С. Ю. Витте. Конспект лекции о народном и государственном хозяйстве. СПб. 1912, с. 545-568.

²⁰ Vauscher. Vierteljahrschrift für Volkswirtschaft, მისივე Staats und Gemeindebudget.

ნარიანობის პრინციპს. ამ ორი პრინციპის ერთმანეთისაგან სასტიკი გამოიჯენა შეუძლებელია, აქ მხედველობაში მიიღება, თუ რომელი პრინციპის საწყისები ჭარბობს.

ამ თეორიული საწყისების მუსტი გაგარება ხშირად იწვევს დაუმსახურებელ გამორჩენას ერთთათვის და დანაკარგებს მეორეთათვის. ასე, მაგალითად, ქონება-შემოსავლის გადასახადის დროს შესაძლებელია მოხდეს ქონების ფასეულობის შემცირება, ასევე, მაგალითად, თემის საერთო ხარჯებს გზების საშენებლად, ქუჩების გასაყვანად და სხვ. შეუძლიათ ხელსაყრელი პირობები შეუქმნან ზოგიერთ უძრავ ქონებას, მათი ფასეულობისა და შემოსავლიანობის გადიდების მიმართულებით. ამიგომ ზოგიერთთა აზრით, უფრო მიზანშეწონილია ადგილობრივი დაბეგვრა წარმოებდეს უდიდესი დაინტერესებულობის პრინციპის მიხედვით.

არის აგრეთვე შეხედულება, რომელიც სწორედ იმ მოსაზრებაზე დამყარებით, ამტკიცებს, თემების საქმიანობა სახელმწიფოსაგან განსხვავებით უმთავრესად ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული, რომ მომსახურებანი, რომელსაც ისინი ცალკეულ მოქალაქეებს უწევენ, განზომილება-ლია, შეფასებას ექვემდებარება. ამასთანავე, ისინი უფრო ახლო დგანან გადამხდელებთან, ვიდრე სახელმწიფო, როდესაც იგი ადგილობრივ საჭიროებებს აკმაყოფილებს. ამიგომ ეს შეხედულება ფიქრობს, რომ ადგილობრივ დაბეგვრაში უფრო მეტი ზომით გამოიყენება მომსახურებისა და ანაზღაურების პრინციპი, ვიდრე სახელმწიფოებრივი.

7. ბაზამხედუნაპრინციპის პრინციპის თეორია

ფრანჩესკო ნიგის აზრით, სწორი არ არის, რომ ადგილობრივ დაბეგვრას საზომად დაედვას მომსახურებათა გაცემა. ადგილობრივი დაბეგვრა უნდა დამყარდეს მოქალაქეთა გადამხდელუნარიანობაზე. ნიგის აზრით, განსხვავება სახელმწიფოსა და თემს შორის ის არის, რომ სახელმწიფოს არსებითად აქვს პოლიტიკური ფუნქციები, თემს კი უპირატესად – მეურნეობრივი. თემის წარმომობაც დაპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით. თანამედროვე ვითარებაში თემი სოციალურ ფუნქციებსაც ასრულებს, მაგრამ უპირატესად მაინც ეკონომიკური ფუნქციებით საქმიანობს. სწორედ ამიგომ მიუღებელია მომსახურებათა გაცელის თეორია. ყოველ სა-

ხელმწიფოს თავისი წყობა აქვს და ადგილობრივი ფინანსები მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოებრივ ფინანსებთან²¹.

8. თეორია გადასახადების ადგილებთან

დაკავშირების ხასიათის შესახებ

კონილიანი თავის შეხედულებას ამყარებს მასზე, თუ რამდენად არის დაკავშირებული გადასახადელი ადგილობრივ ორგანოსთან. გადასახადელი შესაძლებელია დროებით ან შემთხვევით იყოს ქალაქში, ან იქ ცხოვრობდეს მუდმივად, ან ამ ქალაქში ჰქონდეს საწარმო, ან ქონება.

ის გადასახდელები, რომლებიც დროებით არიან ქალაქში, უნდა იხდიდნენ მცირედ გადასახადებს მოსმარებაზე. ქალაქს უნდა ჰქონდეს მოსმარება დაბეგრული გადასახადებით, რომ დაბეგრებაში მოაქციოს ის პირებიც, რომლებიც ქალაქთან ფაქტობრივად დაკავშირებული არ არიან, მაგრამ ქალაქის სიკეთით სარგებლობენ. ის პირები, რომლებიც ქალაქში მუდმივად ცხოვრობენ და მუდმივი შემოსავლის წყარო აქვთ პირადი შრომით – მოსელეები, მუშები – უნდა იხდიდნენ საშემოსავლო გადასახადს.

საეაჭრო და სამრეწველო საწარმოთა, ან უძრაობათა მეპატრონეები უნდა იხდიდნენ რეალურ გადასახადებს.

გვერდობისათვის ამას შენიშვნას უკეთებს, რომ ასეთი დაბეგრის სისტემა შესაფერისია იგალიისათვის, სადაც ბევრი უცხოელია, რომლებიც არ იხდიან არც შემოსავლის გადასახადებს და არც რეალურ გადასახადებს.

9. ბანკომილება და არაბანკომილება

ხარჯების თეორია

გენგელი ადგილობრივი კავშირების ყველა ხარჯს ყოფს საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივი მნიშვნელობის ხარჯებად. ადგილობრივი მნიშვნელობის ხარჯებს თავი მხრივ ყოფს ორად: ისეთ ხარჯებად, რომელთა სარგებლობის გამოშვება შეიძლება და ისეთ ხარჯებად, რომლებიც არ განიზომებიან.

²¹ Ф. Нитти. Основные начала финансовой науки. М., 1904, с. 591-592.

ხარჯთა პირველი კატეგორიის, რომელსაც ის აკუთვნებს სახალხო განათლებას, სანიტარიას და ნაწილობრივ კეთილმოწყობას, დასაფარავად მიზანშეწონილად მიაჩნია შემოსავლის გადასახადი, მაგრამ მისი განაწილების უთანაბრობის გამო ის წინადადებას აყენებს, რომ მას ახდევინებდეს სახელმწიფო. აქედან უნდა შედგეს ეკვალიბაციური ფონდი, საიდანაც ადგილობრივი კავშირები მიიღებდნენ შემწეობას.

ხარჯთა მეორე კატეგორია, რომელთაც დიდი სარგებლობა მოაქვთ გარკვეული პირებისათვის, უნდა დაიფაროს რეალური გადასახადებით.

ხარჯთა მესამე კატეგორია, რომელთა სარგებლობის გამოშვება შესაძლებელია, უნდა დაიფაროს მისაგებლებით და სპეციალური მოსაკრებლებით²².

ამ თეორიის ნაკლი ის არის, რომ პრაქტიკაში ძნელია საზღვრის გაგარება ადგილობრივ და სახელმწიფოებრივ ხარჯებს შორის და ასევე ძნელია ადგილობრივი ხარჯების დაყოფა ისეთებად, რომელთა მომსახურების გამოშვება შეიძლება და ისეთებად, რომელთა არა.

10. „ზისაბებლის“ პრინციპის თეორია

ვ. გვერდობლებოვის აზრით, ზემოხსენებული შეხედულება სწორი არ არის, ვინაიდან ადგილობრივი კავშირების ამოცანების უმრავლესობა არ უპასუხებს ამ მოთხოვნებს და მოემსახურება საერთო ინტერესებს. გვერდობლებოვის აზრით, სპეციალური სარგებლობა უკეთესად გაითვალისწინება სპეციალური მოსაკრებლებით და მისაგებლებით. არავითარი შესაბამისობა არ არსებობს მიწისა და სახლის გადასახადებს შორის, რომლებსაც მიწათმფლობელნი ერობას უხდიან ან სახლის მეპატრონენი – ქალაქს, იმ სპეციალურ სარგებელს შორის, რომელსაც გადამხდელი ერობის ან ქალაქის საქმიანობისაგან ღებულობს, არავითარი პროპორციულობა არ არის. მარტო, ერთი მხრით, რეალური გადასახადები უფრო შეესაბამება, ვიდრე საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივ გადამხდელთა სარგებლობას: ისინი ეკისრება საერთო

²² Гизель. Новейшие течения в коммунальном обложении. 1909, с. 58-60.

შემოსავალს – ვალები არ აკლდება. მაგრამ ვინაიდან ქონების ფასეულობის ზრდასა, რაც მიიღება ერობის საგზაო ან სხვა ღონისძიებათა შედეგად და საერთო შემოსავალს შორის, რაც ობიექტია რეალური გადასახადების, არის დიდი პროპორციულობა, ვიდრე ქონების ფასეულობის მაგებასა და ძლიერ დავალიანებულ მიწათმფლობელის წმინდა შემოსავალს შორის. ამიტომ ნაწილობრივ მართალია, რომ ვალების უქონლობა რეალურ გადასახადებში მათ აახლოებს რამდენადმე სპეციალურ სარგებლობასთან, რომელსაც უძრაობის მოცემული მფლობელი ღებულობს. რეალური გადასახადები გვერდობს აზრით, როგორც გადასახადები საშუალო შემოსავალზე ქონების ნამდვილ შემოსავლიანობას არ შეესაბამება და მემამულე, რომლის შემოსავალი ძლიერ გაიზარდა რკინიგზის გაყვანის ან ადგილობრივი კავშირების რაიმე სხვა ღონისძიების გამო, სრულებით შეუსაბამო გადასახადს იხდის იმ სარგებლობასთან შედარებით, რომელსაც ის ღებულობს.

ამგვარად, გვერდობს აზრით უმჯობესია სპეციალური მოსაკრებლები და მისაკრებლები²³.

11. კომბინირებული დაბეგვრის პრინციპის თეორია

ზოგიერთების აზრით, ადგილობრივი ფინანსები შეუძლებელია აგებულ იქნეს ერთი რომელიმე პრინციპის საფუძველზე. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია კომბინირებული პრინციპი. ურთიერთმოსახურებისა და გადამხდელუნარიანობის პრინციპების კომბინირება. ამ შეხედულების მიხედვით უმჯობესია ადგილობრივ ფინანსებში ხარჯზე დაკისრებული გადასახადები – ბინის გადასახადისა და სამომხმარებლო საგნების დაბეგვრის სახით. დაბეგვრის არათანაბარზომიერობის შესანელებლად უნდა დაწესდეს პროგრესული ან რეგრესული გრადაციები ერთი შემთხვევისათვის და შესაბამისად შეირჩეს ხარჯის საგნები მეორე შემთხვევისათვის.

აქ მთავარია ის, რა პრინციპის საფუძველზედაც არ უნდა მოხდეს ადგილობრივი დაბეგვრა, ის წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივი დაბეგვრის ვაგრძელებასა და შეესებას.

²³ В. Твердохлебов. Местные финансы. 1919, с. 78-90.

ლიტერატურა

თავი პირველი – ფინანსური მეცნიერების საგანი.

1. ვასილ ჩანგლაძე. ფინანსების თეორიის საკითხები. თბ., 1987, გვ. 99-116; 123-156.
2. И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. М., 1890, с. 1-19.
3. earl R. Rolph, George R. Break. Public Finince. New York, 1961, p. 5-49.
4. B. Foldes. Finanzwissenschaft. Zweite Auflage, 1927, p. 1-35.

თავი მეორე – სახელმწიფო ხარჯები.

1. ვასილ ჩანგლაძე. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 94-119.
2. М. Кулишер. Очерки финансовой науки. М., 1919, с. 14-34.
3. B. Foldes. Finanzwissenschaft. p. 91-155.

თავი მესამე – სახელმწიფო შემოსავალთა სისტემა.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 140-148.
2. И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. М., 1890, с.20-27.
3. B. Foldes. Finanzwissenschaft. p. 156-167.

თავი მეოთხე – სახელმწიფო ქონებათა და საწარმოთა შემოსავალი.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 332-351; 358-375.
2. И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. М., 1890, с.65-202.
3. B. Foldes. Finanzwissenschaft. p.157-182.

თავი მეხუთე – გადასახადები.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 149-193.
2. И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. М., 1890, с.230-386.

3. Earl R. Rolph, George F. Break. Public Finince. New York, 1961, p. 105-354.

4. B. Foldes. Finanzwissenschaft. p. 204-265.

თავი მეექვსე – არაპირდაპირი გადასახადები.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 194-200.

2. И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. М., 1890, с.387-493.

თავი მეშვიდე – მისაგებლები.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 201.

2. И. И. Янжул. Основные начала финансовой науки. М., 1890 с.494-524.

3. B. Foldes. Finanzwissenschaft. p. 188-303.

თავი მერვე – გადასახადის თეორიები.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 203-263.

2. И. Озеров. Основы финансовой науки. М., 1909, с. 229-242.

თავი მეცხრე – გადასახადების თეორიები (გავრძელება).

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 269-313.

2. Франческо Нитти. Основные начала финансовой науки. Перевод с итальянского, М., 1904, с. 513-538.

3. И. Озеров. Основы финансовой науки. М., Выпуск 11, 1910, с. 213-351.

4. B. Foldes. Finanzwissenschaft. p. 566-661.

თავი მეათე – სახელმწიფო კრედიტი.

1. ვასილ ჩანგლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 376-418.

2. И. Озеров. Основы финансовой науки. М., Выпуск 11, 1910, с. 317.

3. B. Foldes. Finanzwissenschaft. p. 36-90.

4. Earl R. Rolph, George F. Break. Public Finance. New York, 1961, p. 50-73.

თავი მეთერთმეტე – სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ვასილ ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 393-394.

2. И. Озеров. Основы финансовой науки. М., Выпуск 11, 1910, с. 18-20.

3. В. Foldes. Finanzwissenschaft. p. 83-90.

თავი მეთორმეტე – ფინანსური მმართველობა.

1. ვასილ ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 390.

2. И. Озеров. Основы финансовой науки. М., Выпуск 11, 1910, с. 31-46.

3. В. Foldes. Finanzwissenschaft. p. 662-674.

თავი მეცამეტე – ალგილობრივი ფინანსები.

1. ვასილ ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972, გვ. 113-208.

2. И. Озеров. Основы финансовой науки. М., Выпуск 11, 1910, с. 113-208.

3. В. Foldes. Finanzwissenschaft. p. 533-552.

სარჩევი

რელაქტორისაგან	3
თავი პირველი ფინანსური მეცნიერების საგანი	4
თავი მეორე სახელმწიფო ხარჯთა სისტემა	32
თავი მესამე სახელმწიფო შემოსავალთა სისტემა	57
თავი მეოთხე სახელმწიფო ქონებათა და საწარმოო შემოსავალი	63
თავი მეხუთე გადასახადები	79
თავი მეექვსე არაპირდაპირი გადასახადები	97
თავი მეშვიდე მისაგებლები	104
თავი მერვე გადასახადის თეორიები	111
თავი მეცხრე გადასახადების თეორიები (გაგრძელება)	129
თავი მეათე სახელმწიფო კრედიტი	136
თავი მეთერთმეტე სახელმწიფო ბიუჯეტი	159
თავი მეთორმეტე ფინანსური მმართველობა	180
თავი მეცამეტე ადგილობრივი ფინანსები	184
ლიტერატურა	203

გამომცემლობის რედაქტორი ე. ხურცია
ტექრედაქტორი ფ. ბუდალაშვილი
კორექტორები: ც. მოლოდინი
ნ. ჩახაია
კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ურუშაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.01.04
საბეჭდი ქალაქი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 13
სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,92
შეკვეთა №3 **ტირაჟი 300**

ფასი სახელშეკრულებო